

114
1949


ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

2

თბილისი



1949

გნათობი



საქართველოს სახელმწიფო განათლების უნივერსიტეტის სოციალ-საზოგადოებრივ-საპედაგოგიკური ფაკულტეტი

წილისადმი მადლობა

1949. 4573



2

თბილისი

*

თბილისი

1949



შინაარსი

კონსტანტინე ბაშსახშვრდია — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი შესაძვ, ვაგარჲელები	58- 3
რძეზ მარზინი — სიძლერა კომუნისმისა	33
სოლომონ თაშაძე — მისის ჯანთილი, რომანი, დასარღლი	49
გიორგი შინიშვილი — გამოქვეყნებელი ლექსები	78
ბორის ჩხიძე — ნამოსახლარზე, მოთხრობა	83
შალვა შორჩხიძე — წვიმაში, სამგორის ველზე, ლექსი	117
ჯაბარია შერაჯადიშვილი — შევირდები, ლექსი	119
—	
მ. შილიძე — ივანე მაჩაბლის თარგმანები, წერილი	120
მ. შინიშვილი — საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საჯარო პოლოტიკა, წერილი	149
ლ. ბოქიძე — მათემატიკის დაუფინების თანამედროვე დასაველური რეაქციული თეორიები, წერილი	176
—	
დემან შინაშვილი — „დ. ჯანე ლიძე — ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, ბიბლიოგრაფია	194

პსუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია:

ალექსანდრა აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პსუხისმგებელი
მდივანი), იოსებ ბარბაქაძე, პავლე ინგოროვსკია, სერგო კლდია-
შვილი, ალიო მირცხულავა (მაზაშვილი), ბისარიონ შლენტი,
ვალანტინო ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემან შინაშვილი.

ხელმოწერილია დასავექლად 9/III-49 წ. ნაბეღ ფორმათა ჩაოდენობა 12½ ფ. ში 01135.
შეკე- № 159. ტირაჲი 5.200.

საქ. სარ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოქვეყნების საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательств при
Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ქონსკანონი გამსახურლი

ღავით აღგაგენებელი

ბრილოზია

კარი მისამი *

IV

„კბილებს გადაცდენილ სიტყვას,
ქამანდითაც ვერ დავიბრუნებ“.

მეფე გიორგი და დედოფალი ელენე ისედაც შეშფოთებულნი იყვნენ გიორგი ქყონდიდელის სპიანად თრიალეთს წასვლის გამო. ამას ზედ დაერთო ქყონდიდელის ავადგახდომა, მაგრამ როცა მოაღწია ლიბარტის უბნიდან გამოგზავნილმა მალემსრბოლმა და ამცნო მათ გიორგი ქყონდიდელის კლდეკარს წასვლა და ფარცხისის შემოწყობა, აქ თვით უღარდელმა მეფე გიორგიმ ტყის ქათამზე ნადირობას ხელი შეუშვა.

მან უკვე აღარ იცოდა, რას მოასწავებდა ეს ყოველივე.

თუ დავით მეფეს კლდეკარის ერისთავის შემორიგება ეწადა მართლაც, ელარ გაეგო, რა საჭირო იყო ფარცხისის შემოწყობა. არც ის დაუმალავს მალემსრბოლს: რატის მეციხოვნენი გამოუვარდებიან ხოლმე ციხიდან აზნაურ მორკნეველს და ეკენწლავებიანო პირველი ქამრის მისადგომებთან დღისით და ღამით.

ამასობაში გეგუთს უწია ნიანია ბაქურიანმა.

იგი თავით იყო თანადამსწრე მთელი საქრისტიანოს გაერთიანებისა იმეამად, სელჯუქიანთ სასულტანოს დასათურგნელად, ამიტომაც ეუტხოვა ეს ყოველივე მას, მაგრამ დუმილი არჩია.

გიორგი მეფეს სასოწარეყვითა, ოდესდაც გიორგი ქყონდიდელს იყენებდა იგი ჭაბუკ მეფეზე ზეგაველნის მოსახდენად. ახლა ეს მოხუცებული სარდალიც ჩაითრეხს დავითმა და მისმა სპასალარებმა, სხვა ვინა დაჩჩა? როგორც ბედიელსა და ქუთათელს, ისე გეგუთის მოხუც დიდებულებს და დარბაზის ერთა „ქუქითაც მოხუცებს“ უწოდებდნენ დავითი და მისი სპასალარები.

დილას და საღამოს, პურობამდის და პურობის შემდეგ ბევრი უჩიჩინა მეფემ ნიანია ბაქურიანს, ეუბნებოდა, ემუღარებოდა, შთაავონეთო რაიმე ამ კაცს, თორემ საკუთარი თვალითაც ხედავთ, ცვილივით შემოგვადნა სამეფო ხელში, გარეშე მტრებიც გვეყოფა, შინააშლილობაც არ წავეუმატოთ, არა?

ათასგზის გაიმეორა გიორგი მეფემ ეს „არა?“ და ბრაზი წაეკოდა მას გულზე, რომ ეს „ხარკის ნაშობი“ სდუმდა ერთხელაც ვერ წამოაცდენინა „პო“.

ბოლოს ხელი აიღო ნიანიას შეგონებაზე და მის გონებაში აღიგზნო ახალი აზრი. ვინა დაჩჩა ერისთავთა და მღვდელმთავართა შორის ვისაც პატივს

* გაგრძელება „მნათობი“ № 12, 1948 წ.

სცემდა მეფე დავითი? გუარამ ბექის ციხის პატრონი ყიფჩაღეთს გადაქარგა დავით მეფემ.

შამან ერისთავი მზაგონდა მხოლოდ, ოღონდ შეყოყმანდა.

ჯერ ზამთრის სუსხი ბარშიაც არ იყო გადავლილი, თავვერის ყინულოვანი მთები წინ გადაეღობნენ მის განზრახვას.

მაგრამ არა, თუმც უსინათლოა შამანი, მაგრამ რაც უნდ არ დაბერდეს მგელი, მინც ვერ მოიშლის მგლობას.

ერთერთ უძილო ღამეს, ელენე დედოფალს გაანდო ეს აზრი.

ყალბზე შესდგა დიოფალი.

რას, ამ ზამთარში უსინათლო მოხუცის ჯერ თავვერიდან ჩამოყვანა.

მერმე აქედან თრიალეთს წარგზავნა ცხენით?

გონს მოდი გიორგი, რასა ბრძანებ, რას?

იგიც გვეოფათ სასახელოდ შენ და შენს ვაჟს ის უბედური გიორგი ჭყონდიდელი ღამის არ იყოს დაღუპეთ.

დიღხანს საყვედურობდა დიოფალი, მაგრამ გიორგი მეფემ თავისი არ დაიშალა და მესტუმრეთუხუცესმა წვევის წიგნი გაგზავნა თავვერს.

ერთი კვირაც არ იყო გასული და როცა მესტუმრეთუხუცესი შემოუძღვა „დიდი ბუბრის დარბაზში“ შამან ერისთავს, საკუთარ თვალებს აღარ უჯერებდა დედოფალი ელენე. უფრო მეტი ეუცნაურა რა დაინახა, გვანცა რომ თან შემოჰყვია შამას.

ცხენით ნამგზავრთა ბროწეულის ყვაილეოვით შეფაკლოდა ორივეს ღაწვები, მსკითხოსილ, ახოვან რაინდსა და პირმშვენიერ ქალწულს.

როცა გიორგი მეფემ ამცნო შამან ერისთავს: თრიალეთს უნდა წახვიდე, რათა ძმათა სისხლის ღერა ავადღინოთო დავით მეფეს თავიდან, შამანს არც ეუცხოვა ეს ამბავი.

„თუ ჩემი ქვეყანა ამას მოითხოვს

ჩემგან, ცხენით კი არა ფუხით წაველბნელეთის კიდეს“.

სთქვა ერისთავმა ხმადამტყნულმა მაშინ წამოდგა მეფე გიორგი და შეწითლებულ ღაწვის თავზე აკოცა სიყრმის მგვობარს.

უსინათლოს არ დაუნახავს, თუ როგორ დაემანჯა სახე ძოწოლისაგან დედოფალ ელენეს, მინც შეიგრძნო ქვეშეცნულად ძლელვარება მისი, დაესილი თვალეზი მიამტერა მას და სთქვა:

„დარდი ნუ გაქვს, დიოფალო ძვირფასო, არც ისე დავებრებულვართ მე და გიორგი, პირველობა რომ დავანებოთ ვინმეს, ერთგულებაში გინდ (აქ შესდგა მცირე ხანს და მერმე სთქვა) თუნდაც ვაქვაცობაში.“

ხომ გსმენია, დიოფალო ჩვენო, ბებერი ხარის რქაცა ხნავსო, ბრძენს აგრე უთქოშს.

ჩვენ ძველი ვართ, ძველნი, ჭირთამთემენი მრავალთა. ვარდა ამისა, შეცხენი მყავს ისეთი, გიორგი მეფის ნაჩუქარი, უკუნეთშიაც ვამატარებს უღლზოდ. ვარდა ამისა, ჩემი ქალიც თან მახლავს გვანცა, თუმც არ მიწოდდა მისი წამოყვანა. მაგრამ ამიხირდა ეს გომბიო, თან წამოგყვები თრიალეთს, არავის ვანდობო შენს თავს“.

ელენე დედოფალი აიღუწა.

მას მცირეოდენი იმედი კიდევ ჰქონდა: თუ ლიპარტ ერისთავს ბორკილს ახსნიდა დავითი, ასე თუ ისე მოგვარდებოდა დამოყვრების ამბავიც. ახლა კი, გვანცას მანდ ჩასვლა არამც თუ გაამბრახებდა კატაის, შესაძლო იყო თავით დავით მეფესაც შესდგომოდა ყოყმანი, რადგან კარვად ამჩნევდა გულხშიერი დედა, რომ მისი ვაჟი არც ისე გულგრილად ექცეოდა გვანცას.

ვარდა ამისა, ელენე დედოფალს გულწრფელიად სჯეროდა, რომ ზოგჯერ ქალი შესაძლოა წამალი იქნეს, ზოგჯერ კიდევ საწამლაიცა.

საკარცხლოლზე ნებოიად მოდარი შეიმართა ელენე და ეწადა უგზობი-



სა და აედრის მობოღიშებით წინ აღ-
დგომოდა გენცას თრიალეთს წაყუ-
ნას, მაგრამ საერთოდ როყიო გიორგი
მეფემ დააწრო თავის სათქმელი:

„რას მიჰქარავ, ვეყო, რამ მოგაფიქ-
რებინა ამ უამიდობაში, იმ ღრინკელ
გზებზე გენცას თან წაყუანა თრია-
ლეთს, რას ამბობ, ხომ არ გაგიყდი, ვე-
ყო?“

გენცას უარესად შეუღდა ყვრიმა-
ლებში სიწითლე, როცა მისი სახელი
ახსენა მეფემ და გააყროლა, რა შე-
იციო — აღმიყვეთენო თრიალეთს წა-
სვლას. იგრძნო უმწეობა მოკრძაღე-
ბულ ქალთაგანისა და როგორც დარც-
ხვენილი ფოთრი ჯიხვისა იფარებს
ხოლმე დედას, ისე მიეხუტა თავის
ომახიანი მამის განიერ მხარს და ზედ
შემოეჭლო მას.

უნდოდა ეთქვა მტკიცედ და განუხ-
რელად: მე არ გავუშვებო უჩემოდ მა-
მას, მაგრამ წამიერად თვალთ დაუბნელ-
და და ხორხის არეში გაეხირა სათქ-
მელი.

ამასობაში შამან ერისთავმა სთქვა:
„არც თვალის სინათლე დაეკარგე, მე
გენცას დაფყავარ ცხენითაც, ვშიშობდი
იღარდებს მეტქი, თორემ თავკერში
დაეტოვებდი ამ გომბიოს, მე აგრე მგო-
ნია და თქვენ განსაჯეთ უკეთ“.

ვლენე დედოფალი კვლავ შეეცადა
ხმა ამოელო და როგორმე ხელი შეეშა-
ლა გენცას წასვლისთვის, მაგრამ ბუ-
ნებით მოკრძაღებულს არა სჩეოდა
სიტყვის ჩაჩრა ორთა საუბარში და ამი-
ტომაც არჩია დღმილი.

მეფე გიორგიმ სთქვა:
„რა გაეწყობა, ვეყო, მამა ბრძანდე-
ბი მისი და საკუთარი შვილის ბედი
შენვე გეკითხება“.

ეს სიტყვები: „საკუთარი შვილის ბე-
დი“ სამსკვალივით მისწვდა დედოფლის
გულს, გველციმულივით ზეწამოიჭრა
და დარბაზიდან გავიდა.

ნაჯახშმევს, როცა მესტუმრეთოხუ-
ცესმა დასასვენებლად გაიყვანა შამან

ერისთავი და გენცა, დედოფალი „დი-
დი ბუხრის“ დარბაზში მამრწყნად

გიორგი მეფე შეკარბუნებულს უკლებ
წერასყელრან, ვერცხლის სურის პი-
რისპირ, ღვინით სავსე ფიალა წინ ეღდა
და გაოგნებული გასცქეროდა ბუხარში
გაღვივებულ ცეცხლს.

— „რა ჰქენი, შე კურთხეულის შეი-
ლო, რა ჰქენი ეგ?“

გიორგი შეკრთა.

„რა მოგსვლია, დიოფალო, ღვინოცა
ხომ არ გიჰამია საღმე?“

მას განუმარტეს გენცას თრიალეთს
გამგზავრების გამო მოსალოდნელი ამ-
ბავი.

თუმცა მიხვდა, მოუფიქრებელი სი-
ტყუა რომ წასცდა ბავიდან, საკარცხლუ-
ლიდან გადმოიხიარა, გრძელი მამა ჰკრა
დიდ ბუხარში დანაკერცხლებულ
ჯირკვს, რომელიც ამ წუთში მიაგავდა
გამოხურებულ ოქროში ამოვლებულ
ეშვის თავს და ბუხრიდან გამონთებულ-
მა სიმხურვალემ აიძულა იგი უკან გა-
ეჩოჩებინა თავისი საკარცხლული.

ბოლოს ამის თქმა მოახერხა მხოლოდ:

„უკ, მოგვლია, ჩემო დიოფალო, მე
მეგონა მართლაც დაეაშავე რაიმე, ნუ
ფიქრობ დიაციებისთვის თავს აიტყო-
ვებს დავით მეფე ოდესმე? სულ სხვა
დაიმიონები უღადრავენ მას გულს“.

არც მე მაღარდებს ეს ამბავი შენმა
მზემ. ასე უქნია შენს ვაქს, ორივენი
ერთბაშად შეურთავს თუნდაც, ხალიფა
ვალიდს ათას ორასი ცოლი ჰყავდა,
მაგრამ არც ერთისათვის არ გასულა
ბელზე“.



მეორე დღეს ჩამოიყვანეს ოგისითი-
დან უფლისწული დემეტრე, მამამძუ-
ძემ და დედამძძუმე. დედოფალი ელენე
ცრიმლორეოლი შეეგება შვილიშვილს
სასახლის კიბეზე, ღონიმიხილიმა სნე-
ულმა ქალმა იმდენი მხნეობა მაინც მო-

ეკრიფა, ხელში აიტაცა მოზრდილი ბიჭუნა და დიდი ბუხრის დარბაზში შეიყვანა თავათ.

როგორც ზამთრისგან გულმოწყულ-ლებულ გლეხის გულს შესძრავს ხოლმე ქოხში შემთხვევით შემოფრენა მერცხლისა, ისე გაიხარეს მოხუცებულთა, როცა დემეტრემ დიდ დარბაზში დაიწყო თავის ცხენჯოხის ქენება და მზიარული ყიყინით გააღვიძა გეგუთის სასახლეში დავენებული მყუდროება, რომელსაც ხანდაზმულ მსახურთა ფაჩუნების ტკაპნი და მობერებული შიმუნვარების ჩიფჩიფი არღვევდა მზოლოდ.

დიოფალი ელენე იმ ღამეს განუწყვეტელად ლოცულობდა. მკერდში იხუტებდა საყვარელ შვილიშვილს და ეფედრებდა მას ხან მაცხოვარს, ხანაც ხახულის ღვთისმშობელს, რომელიც მისი აზრით უნდა ყოფილიყო „უღედო ბაღათა ყოველთა შემწყვალე“.

როგორც მეორე ისე მესამე დღესაც უფლისწული დემეტრე ხან თავის ბურტხუნა პაპის დაეღაფა, სქელ კისერზე იჯდა, ხანაც ისევ ცხენჯოხს მოახტებოდა. მაგრამ როგორც კი თვალი დაიდგა ნაზამთრალმა მშემ სასახლის ეზოსა და ბაღბოსტანს, მენადირეებმა მოართვეს უფლისწულს ჩიტბადენი და ტრედბადენი, სალაღობო მშვილდისრები და კაკანათები და ასტეხა ბაგრატოვანთა მოუსვენარმა სისხლმა საცდელი ჯირითი და ისრის ტყორცნა გეგუთის დადუმებულ სასახლის გარშემო . . .

.

შამან ერისთავის მარტო წასვლა თრიალეთს საკმარისად არ მიიჩნიეს დარბაზისერთა. გადაწყდა: მოხუც ერისთავს თან ხლებოდნენ ჩუთათელი და ბედიელი მთავარებისკოპოსნი, ამალითურთ.

ნინია ბაქურიანის მიერ ბეჭედიანილიან ჩამოტანილმა უჩუქლმეცხმემა ფრთენი შეასხა „ბიზანტიელ სიძებინსა“ და მუდამ სხვათა იძედით გულმოცემულ დარბაზისერთა ოცნებას.

„მთელი საქრისტიანოს გავრთიანების“ ილღაუზიებით აღტყინებულ დიდაზნაურთა თვალში სასაცილოდ მოსჩანდა შუაში გამობილი საქართველოს ჰაბუკი მეფის ქაღილი სელჯუქიანათვის ტფილისის წაგლეჯისა და დიდი საქართველოს კვლავ აღდგენისა.

მოხუცებულ დიდაზნაურთა შორის ზოგნი ჩუმჩუმად თანაუგარძნობდნენ ლიპარიტ ერისთავს, თავათაც ქვეგამხედვარნი იყვნენ, მაგრამ ვერ ბედადნენ „ლიპარიტობას“ და ახლა როცა დაინახეს, რომ გიორგი მეფე და სასახლის დიდებულნი ორბელიანთა შემორიგების მომხრენი იყვნენ, ხელმარჯვე დრო იპოვნეს და ერთხმად დალაღებდნენ: მთელი საქრისტიანო ერთიანდებდა და მოვირთოთო ლიპარიტიცა.

ისინი, ეინც ამ „უცნაური დაეით მეფის ჰირვეულებაზე“ გულაბრეზილნი იყვნენ, აღშფოთდნენ გეანცას თრიალეთს გამგზავრების გამოც, უკმაყოფილოდ ჩურჩულებდნენ მოხუცი აზნაურები, რომელთაც ათათი ხასა ჰყავდათ სიბერეშიაც და მათი თანამემცხედრენიც. ეინც სახლთუხუცესებთან და მეჯინიბეთუხუცესებთანაც არ თავილობონენ მრუშობას.

წიწმატობდა გეგუთის სასახლის შიმუნვართა წინამდგომი შარავშიძის ასულიც: რაო, ორი ერისთავის ქალი უნდა შეერთოთო დაეით მეფეს წრეულს?

ნინია ბაქურიანს ეს ყოველივე ესმოდა, არც თავათ მოსწონდა შამან ერისთავის ქალის თრიალეთს გამგზავრება, კარგად იცოდა: ქვემო და ზემო ქართლის აზნაურნი და მღვდელმთავარნი ამ ამბავს გამოიყენებდნენ უთოოდ, რათა დაეით მეფის თვალში ზედმეტი ბეწვი გამოეჩხრიკათ როგორმე.



ელენე დედოფალი ლოგინად ჩაეარდა დარდისაგან.

თავს იმართლებდა დიდახანურთა ცოლების წინაშე: „მე გაფრთხილება არ დამაცალა გიორგიმ, ისე მისცა დასტური შამანს. მოგესხენებათ კბილებს გადაცდენილ სიტყვას ჭამანდითაც ვერ დაიბრუნებ“.

V

მაცხოვრები

დიდხუთშაბათს შამან ერისთავი და მღვდელმთავარი წამოვიდნენ გვეუთიდან ლიპარიტის უბანში, ხოლო მეორე დღეს, დიდ შაბათს, მალეშსრბოლი მოეარდა კლდეკარიდან. იუწყებოდა გიორგი ჭყონდიდელი: მოგდივართ და მოგყავსო ლიპარიტ ერისთავი.



როგორც კატაი და დედისიმედი, ისე მთელი ოჯახი ლიპარიტისა ვანუწყვეტელი მღვლევარებას განიცდიდნენ ამ დღეებში. მალეშსრბოლები დაჰქროდნენ ლიპარიტის უბანსა და კლდეკარს შორის.

კატაი ღამღამობით მუხლმოყარილი ვედრებოდა ძელიცხოველის ჯვარს: დაეხსნა განსაცდელისაგან მისი ოჯახი. ლოცულობდა და სტიროდა. ბოლოს როგორც იქნა, წაბრძანდა გიორგი ჭყონდიდელი კლდეკარს, ცრემლებით, მუხლის მოხვევით გააცილა მან მღვდელმთავრები, წიგნი მოსწერა ლიპარიტს, ემუდარებოდა: თუ თავი არ გებრალემა, ჩემი სიბერე შეიბრალე, შენი შვილები შეიცოდეთ. სანუგეშო ხმები მოდიოდა კლდეკარიდან.

ახლა იმის გამო ღელავდა უბედური დედა, რა ბედი ეწეოდა რატის, ფარცხისში გარემოცულს. იცოდა მისი უკვითობის ამბავი, ზედ შეაკვდება მე-

ფის სპათა და უსისხლოდ დაეცა მკვრივსო ფარცხისს.

შ. მ. ჯ. ი. მ. მ. მ.

ხანდახან განაზრახებდა ხორეშანს, ფერხითი დავუვარდები მეფეს, შევევდრები, ნება მომცეს თუნდაც ფეხშიშველი წავიდე ფარცხისს, ეგებ შევაგონო რაიმე რატის და დაეთაობოთ ციხე.

არ გაამზილო, რას ამბობ კატაი ბატონო, სად ვაგონილა დიცინი გარემოცულ ციხეში რომ დადოოდნენ. ჩვენი საქმეა ვილოცოთ, ცრემლით ვემუდაროთ ღვთისმშობელს.

დიდად გაეხარდა კატაის შამან ერისთავისა და ნიანია ბაქურიანის ჩამოსვლა. თუმცე ნიანია სდუმდა, მაგრამ იმედი ჰქონდა კატაის, ნიანია სისხლისღერისკენ არ მოუწოდებდა მეფეს, სამაგიეროდ შამან ერისთავი არ ფარავდა იმედს, რომ არამც თუ ლიპარიტის შემორიგება, არამედ რატისაც მოხერხდებოდა უთუოდ.

ამ უკანასკნელ დღეთა მღვლევარებას კიდევ ერთი სიმძიმელი წაემატა; ეს იყო გვანცას ჩამოსვლა. კატაიმ კარგად იცოდა, დავით მეფის თვალში ერთადერთი მეტოქე დედისიმედისა ეს იყო გვანცა.

კატაი ვაოცებული შესცქეროდა, როცა შენიშნა, თუ როგორ გულწრფელად გადაეხვია დედისიმედი გვანცას. თავის საწოლში დააბინავა, წარამარა კოცნიდნენ ერთმანეთს.

გვანცამ ჩამოუტანა დედისიმედს ძვირფასი ამინაშატის ხატი, დიდდდი ლალებითა და აღმასებით მოოქვილი, საყურეები და ბეჭდები, საესეებით რშეითი საფირონებით შემკული, ფასდაუღებელი სახარება ოქროს ყდაში, უცნობი ქართველი ოსტატების მიერ მოხატული, საცხენო ასალი, რომლის კალთებზე ოქრომყრდით იყო ამოჭარჯული ვაფრენილი ხობები, აბანოს სუნანები, ფერადი აბრეშუმის შეიდიშები.

ისხდნენ ბუხართან გვანცა და დედისიმედი, იგონებდნენ გეგუსთა და სათათფლიაში გატარებულ ბედნიერს

დღეებს, ცხენებით ჯირითს და მახარას ოინებს.

გვანცა წარამარა კონინდა დედის-იმედს, მომეწყინაო უშენოდ, ეფიცებოდა. საზაფხულოდ ეპატიებოდა თაყვერში, ჯიხვის ფოთრები მყავსო შენტვის, ჩემი ხელით ვასმედი რძეს, ისეთი თვინიერნი გავზარდე, შენი ამბავი რომ ვიცი, შეგიყვარდებო უთუოდ.

ერთადერთი ხორეშანი უხიავად აიბრიზა, ჩემს საწოლში არ შემოიყვანოთ მაგ გომბიო, თორემ არ დაეშურავო საძაგებელ სიტყვებს.

თავათ კატაიც არა ნაყლებად ამრეზილი იყო, მაგრამ ვასხევილი თავაზიანობით ეკიდებოდა სტუმარს.

გულმეცნიერი მახარა კარგად გრძნობდა უნებლიეთ შექმნილ უხერხულობას, ცდილობდა მისთვის ჩვეული ოინბაზობით შეესრულებინა ეს ყოველივე.

პირდებოდა, სადაცაა გამოზაფხულება, გავიტანთ სასირე ბადეებს და სათაფლიას დღეები მოვიგონოთ.

მრავალნადაი საჭურისი უკითხავად შედიოდა ქალწულთათვის მიჩენილ საწოლის დარბაზში და დილიდანვე მოესმოდა ხორეშანს დედისიმედისა და გვანცას მზიარული ტარცალი.

არ მოსწონდა ეს არა მარტო ხორეშანს, კატაიც გაგუდული იყო ბრაზისაგან, მაგრამ იცოდა ამ დღეებში არ ივარგებდა ენაგესლიან ქოსასთან წაკიდება არამც და არამც.

მახარა დაეინებით ურჩევდა მეფეს დაუყონებლივ წასულიყო ლიპარიტის უბნიდან, უფლისციხეს. ტაძრეულითურთ და იქ ეხმო შეწყალებული ერისთავი. მანდვე დარბაზისერთა, მღვდელმთავართა და ტაძრეულის თანდასწრებით სახარებაზე დაეფიცებინათ ორბელიანი.

ამას არა სჯერდებოდა მახარა, ფარცხისი უნდა ვაეტება მორკნეველს, რატი გამოეყვანათ ციხიდან, ფიცი გამოეძა-

ლათ მისთვის, ან არა და ძელზე გავს-ვით იგი.

ფარცხისის ძალით აღებას და რატის წურთენას მხარს უჭერდნენ ქარიმან სეტრელი და ციხოვანი აზნაური მორკნეველი.

თავათ მეფე სდუმდა.

პარასკევს უთენია, მეჯინიბეთუხუცესს მზად ჰყავდა ტაძრეულისათვის ცხენები, ქარიმან სეტრელის ჩუხჩებსა და მოისართა ერთ ათასეულს ებრძანა სამგზავრო მზაობა. ხმა გავარდა: თრიალეთის მართვა აზნაურ მორკნეველს უნდა ეურვა.

დიდ შაბათს ადრე აბრძანდა მეფე, თორი გადაიცვა და დიდ დარბაზში გავიდა მუნ შეკრებილ ეპისკოპოსთა და დიდაზნაურებთან საბჭოდ.

წინა დღეს შამან ერისთავს შეეთათბირა მეფე: „მართლაც და ხომ არ აჯობებდა უფლისციხეში გვეხმო კლდეკარის ერისთავი, შენ რას იტყოდ, შამან ბატონო, ჰა?“.

„რა ლიპარიტის უბანი და რა უფლისციხე, ორივე შენი სამკვიდროა, ჩვენო პატრონო, გარდა ამისა უფლისციხე... ყოყმანით სთქვა შამანმა, უფლისციხე... მუჭარაა მაინც და მაინც“.

თანადამსწრენი ერთობლივად კვერს უკრავდნენ უსინათლო ერისთავს, რადგან გადმოცემით ყველამ იცოდა, რომ სწორედ უფლისციხეში ეწეოდნენ განდგომილთა წურთენას ბაგრატ მეოთხე და დავით კუროპალატი.

უფლისციხეში შეიტყუა თავის დედის დისწულნი ბაგრატ მესამემ ვითომდაც შემოსარიგებლად, თავები დააპრა და გადმოჰკიდა ციხის ქონგურებიდან.

შამან ერისთავს ისე გადასდებოდა გიორგი მეფისა და ელენე დედოფლის მიერ შთავიგნებული შიში „ძმათა სისხლის ღვრის წინაშე“, გულის თრთოლვით ჩამოვიდა თრიალოთში, მაგრამ როცა ლიპარიტის უბანში მოაღწია,

დარწმუნდა: სისხლის ღვრამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

ამიტომაც ხელადებით გადასწყვიტა, არამც თუ ლიპარიტ ორბელიანს, მისი ვაჟის შემორიგებას აღარაფერი დაუდგებოდა წინ. (და ეს მტკიცედ ირწმუნა მან, თუმცა მეფეს სიტყვაც არ ეთქვა ამის გამო მისთვის).

სხვა დანარჩენნი აშკარად გრძნობდნენ, ჯერ კიდევ ყოყმანობდა მეფე. არც ის იცოდა დაბეჯითებით ვინემ, ლიპარიტის უბანში დაუხვდებოდა იგი ლიპარიტ ერისთავს, თუ აიყრებოდა ტაძრეულითურთ და უფლისციხეს წავიღოდა, ან ნაპარმავევს?

ლიპარიტ დედისეული „ძელი ცხოველის დარბაზი“ საზეიმოდ მოერთოთ წინააწარ. დილიდანვე ანთებული ოქროს სასანთლენი ბრწყინავდნენ ოთხივე კუთხეში.

მეფის შესვლისთანავე მთელი ტაძრეული ფეხზე ადგა, მხოლოდ შამან ერისთავი იჯდა ბუხრის პირად ოქროპედილ სელზე.

როცა მესტუმრეთუხუცესმა ალყისა და ქონის შემოშტან მსახურთ აღუკვეთა დარბაზში შემოსვლა და თავათაც გაიხურა კარი, შამან ერისთავი ოქროქუდილ სელიდან წამოდგა და პირდაპირ მიმართა მეფეს.

„ბრძნულია განზრახვა შენი, ჩვენო პატრონო, ფრიად. ხომ მოგახსენებდათ ნიანია ბაქურიანი გუშლამ, მთელმა საქრისტიანომ საკურველი აისხა სელჯუკიანთა ნათესავის შესამუხრულად. ფრანკნი და ბერძენნი, სომეხნი და რუსნი, ვალახნი და ბულგარნი, სორიელნი და ვარანგნი, ყოველი ტომი და ყოველი ნათესავი ეძმო ურთიერთს, თათა წარვხოცოთ პირისაგან მიწისა ამ თურქი ავაზაკების ვასაგისი და სახსენებელი.

იგიც შენგანვე გვაქვს განაგონი: მოყვასად ქცევა მტრისა ვაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მტრად მოკიდება მოყვასისა თვისისა.

რა თქმა უნდა, მე როდი მოგახსენებთ, ჩვენო პატრონო, მტკიცე კოშკარიტ ორბელიანი მოყვასი იყვენ ჩვენს, მაგრამ განდრეკილობის თვისის მიუხედავად იგი ხომ ჩვენზე ხორცია ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, აგრე მგონია.

ხომ პირუტყულმართნი იყვენ ლიპარიტისძენი საერთოდ, მაგრამ რამდენადაც მამაპაპათგან გვსმენია, სულეურობხეულ პაპას თქვენსას ბაგრატს, არა ერთგვის გამოუყენებია ისინი მამეულის ჩვენის მტერთა დასათურგენელად ომებში.

არც ის უნდა დაგეავიწყდეს, რომ სამეფოს ჩვენის დაუძღვრების ეამსა, როცა ჯერად ყრმა იყო მეფე ბაგრატი, ლიპარიტ დიდი და იონანე აბაზასძე, კვირიკე კახთა მეფე და სომეხთა მეფე მოერთენ სამეფოს სპათა და საერთო ძალით შეებნენ ფადლონს, ამირას განძისას და გააქციეს იგი.

ბოლოს იგიც მოგეხსენებათ, ლიპარიტ დიდმა გამოიტყუა ტფილისიდან ამირა ჯაფარი, დაატყვევა იგი და წაართვა ციხე ბირთვისისა“.

აქ ოდნე შესდგა შამან ერისთავი და სრული დუმილით გულმოცემულმა უფრო მხნედ განაგრძო:

„დამერწმუნეთ, ჩვენო პატრონო, არაეინაა კაცთა შორის გარეწარი ისეთი, რომლის მოთვინიერება არ შეეძლოს სიკეთესა და სათნოებას. განაგონი გექნება სიყრმეში ალბათ, ეს მე ვუწრთენიდი მეფე გიორგის ფარისიტანიდან მოგვრილ გააფთრებულ ავაზებს და იემენიდან ჩამოყვანილ ურა კვიციებს მევე ვუხეზნიდი, მერმე ისეთ თაუწყებებელ ულაყებს, რომელოც სამსამი მეჯინიბე ძლივს დაატარებდა ხოლმე დასამწყურვალეზლად, პირგამშიდარნი. მელდურეკნი და უხიანგი, ცოფიან მგლებივით იკბინებოდნენ.

ხოლო ჩემს მიერ მოთვინიერებულ ქორ-შავარდნები შენს ბაღლობაში თა-

ვითაც გინახავს შენი ბედნიერი თვალე-
ბით ალბათ.

არწივი ხომ ყველაზე მეტად ურჩია
და გოროზი ფრთოსანთა შორის, ერთ-
ხელ არწივის ბახალაც გამოვწაფე და
ვიკურდლავეთ კიდევ მე და გიორგიმ
საყულისას ველზე იმ არწივითა.

თუ ტყის ნადირნი და მტაცებელნი
ფრინველთაგანნი დაყვავებით დაგვიო-
კებია, ეს მიბრძანე, ვინ უნდა იყვეს
კაცთაგანი ისეთი გულარძნილი სათნო
მოაყრობით რომ ვერ მოეთურგნოთ და
ვერ ვიძმოთ?

ვინაიდან დიდ არს ძალი სიყვარული-
საჲ, რამეთუ სიყვარულს იქვე უთე-
სია მარადეჲსა, სადაც სიძულვილს ყა-
ნა მოუწყია ზოლმე.

ცხადია, შამაი გიორგი ჩამოგვიყვანს
დღეს ლიპარიტ ორბელიანსა და იგი
დიდებულთა და ეპისკოპოსთა თანა-
დასწრებით ფიცს დასდებს სახარებაზე
დღესვე, ზოლო რაიცა შეეხება რატის,
თუმიც მე დამალა ხანგრძლივად ცხე-
ნითსელამ, თუ მიბრძანებს ჩემი პატ-
რონი, მე წავალ ფარცხისს უსპოდ და
რატის გამოიყვან ციხიდან“.

მეფემ ახედა ამ მხცითმოსილსა და
ენამწვერობით დამშვენებულ დევკაცს,
აგრე მოეჩვენა, უცნაური სხივი რია-
ლებდა თითქოს მის დაესილ თვალის
თეთრონში. თანაც იმდენი სიკეთე და
შთაგონება საცნაურსკყო ამ უსინათლო
ბერიკაცის ლალდისში, ხმის შებრუნება
ვერ შეკადრა მას.

შამან ერისთავი დაეშვა სელზე და
მცირე ხანს სდუმდნენ თანდაამსწრენი
ერთობლივ. ნიანი ბაკურიანმა თვალი
მოაღო დარბაზს და რა დარწმონდა
უხუცესთაგანი არავენი აპირებდა აზრის
გამოთქმას, მოკრძალებულად დაიწყო:

„მართალი ბრძანა შამან ერისთავმა,
დღეს მთელი საქრისტიანო თორშია
ჩამადარი სელჯუკიანთა ნათესავის
შესამოსერგლად. განა თუ ფრანკთა
და ბერძენთა შორის არ იყო ცილობა?
თუ არ დიდსულოვნება აღექსი კეისრო-

სა, ქრისტიანთა სისხლით შეიღებებოდა
აგუსტეონის მოედანი და მსხვერპლ-
დას კარიბჭენი“.

ესა სთქვა, ოდნავ შესდგა, მეფეს შე-
ხედა და განაგროო:

„შენგანვე გესმენია, ჩვენო პატრო-
ნო, მრავალგზის: ქარქაშიდან ხმლის
ამოღებას ყრმის ძალიც ეყოფა უცი-
ლოდ.“

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რა ად-
ვილი იქნებოდა შენთვის ფარცხისის
ციხიდან რატის გამოყვანა და ძელზე
გასმა, იგიც არ ახალია, რომ რატი ორ-
ბელიანი თავის გულმამაცობას მი-
წერს ამას ყოველივეს და არა სიბრძნეს
გულით უძრავ დავით მეფისას, რადგან
ყოველი ცუნდრუჟა საყუთარ ძალას
უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ღონეს
თუნდაც მასზე გამარჯვებულ მოპირ-
დაპირისას.

თქვენ წუხელაც აგრე ბრძანებდით.
ლიპარიტის შემორიგება როდია სათუო,
იგი ჩვენ ხელთა გეყავს, რატისთანაც
მიგვიწვდება ხელი, მაგრამ იგი ამჟა-
მად იმ ცხენსა ჰგავს, რომელსაც ტო-
ილო აუწყვიტია, ყალუხზე შემდგარა და
დაკვირბრძნის უფსკრულის პირად,
ხმალომწვდილი მეომრებით გარსშე-
მორტყმული.

გულდაგულ მისელა რატისთან,
სისხლს მოითხოვს უცილოდ, ეგ არა-
ფერი, იგი თავით რომ შემოგვაკედეს
ხელში, მაგრამ მაგარი ისაჲ, რამდენსა-
მე ათას ქართველ მეომარსაც თან გა-
დაიყოლიებს უფსკრულში“.

მეფემ თავი ასწია, ჯერ ზემდგომთა
შორის თვალით ეძებდა ვილაცას, მერმე
შურა შეაჩერა კარის ზღურბლის
მხარმარჯვენით მღვთმელ აზნაურ
მოკრეველზე და სთქვა:

„შენ რას იტყობი, შტორა?“
„არა მგონია, ჩვენო პატრონო, უსის-
ხლოდ მიგენებდეს რატი: ჯერ კიდევ
ფარცხისის შემოწყობის კვირადამდე
რატის მეჯორე დაიჭირეს ჩემმა მხვე-
რავებმა ერთი. ბირთვისში წაიყვანე,

დილეგში ჩავაგდე და ძალით გამოეტეხე. აგრე სთქვა ამ ბერიკაცმა: უსისხლოდ ციხეს არ დასთმობსო რატი. იგიც წამოვაცდენინე მასვე: ციხიონითურთ აბირებსო გაქცევას რატი, თხილამურებსა და მუჯრებს-ლა უცდისო ახლა“.

მეფემ გაიცინა და ბრძანა:

„ხომ მიუტანია მერმე თხილამურები და მუჯრები ევტიხი ბერს ფარცხისში?“

მორკნვეულმაც ვერ შეიკავა ღიმილი და განაგრძო:

„საქმე ისაა, ჩვენ დაეასწარით და გარს შემოვეწყვეთ ციხეს. უფრო მეტს მოგახსენებდით, ჩვენო პატრონო. ამ ერთი კვირის წინად ასიოდე მძიმედ შეპურვილი ცხენოსანი გამოუშვა ციხიდან შებინდებისას რატიმ. ეტყობოდა ჩვენი ძალების გასინჯვა ეწადა. ამ ასეულს ჯერით ხელში მოუძლოდა ერთი ჩია ბერი.“

ციხის მისადგომებთან შეგვებნენ, მცირე ხანს გვეკენწლავენ, ხუთი მძიმედ დაკოდილი მხედარი დასტოვეს ბრძოლის ველზე. წამოვაცვანინე დაკოდილები. მეორე დილით, ბერი მიქელი აღმოჩნდა მათ შორის.

როცა მოვასულიერე ბერი, მანაც აღვიარა: რატი ორბელიანს გადაწყვეტილი აქვს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დასთმოსო ციხე. მისი აზნაურები და ათასის თაენი მოითხოვენ დღისით მზისით ციხიდან გამოსვლას და ბრძოლით გზის ვაკიდვას. ზაზაი ჯუბიელი და მალალ გიორგი ვერ დაითანხმა, ციხისთავი და მეხმლე.

მიქელამ დასძინა:

უკანასკნელ საღამოს რატი გვეუბნებოდა: ევტიხი ბერს, ზაზაი ჯუბიელსა და მე: მამა ჩემი, ლიპარიტ ერისთავი და გიორგი ჭყონდიდელი აქ მომგვარონ, ჩემი მეხმლის, მალალ გიორგის ამარად გამოვალ ციხიდან და ჩემს პირობებს შევეუთვლიო მეფეს“.

მეფემ კვლავ ახედა უკვე დაღუპულ აზნაურ მორკნვეულს.

„რა გამოარკვეე, შტორამ, მამადასკელი ყადი და მისნი მხლებელნი თურქნი თუ მოაყოლიან გარემოცვაში მართლაც? აგრე მარწმუნებს ქარიშხან სეტიელი, ვერ მოასწარესო თურქის მსტოვარებმა გაქცევა“.

დაამოწმა შტორამ: ციხეში არიანო ოთხივენი ამჟამად.

„აფსუს, ლიპარიტ ამირას ხელახლა ძელზე გასმა რომ არ შეგვიძლია ამ სააღდგომოდ, თორემ მერწმუნეთ, ერთი წვეთიც არ დაიღვრებოდა სისხლისა“.

სთქვა მახარამ და განაგრძო ინით შეღებილი ფრჩხილებით თავისი ჭოსანიკაპის ფხანვა.

„გიორგი ჭყონდიდელის მანდ წარგზავნა, ყოვლად შეუძლებელია. არც წამოცდეს ეს ამბავი თქვენთაგანს, ვესმეს, თორემ აგვიხიბლებს ბერიკაცი“.

ოღნავ გასავრანად დაიპუტუნა მახარამ:

„ვინ იცის, რამდენი წლისაა ეშმაკი, ეგებ მაღალ გიორგის ხმლით ააყუპონოს მამაი გიორგი მაგ შლუმ“.

მეფემ კვლავ დასძინა:

„არც ლიპარიტ ამირას წარგზავნა იქნებოდა შესაწყნარებელი“.

უკვე შუალამე გადასული იყო, როცა მესტუმრეთუხუცოსმა კარი შემოაღო და ამცნო პატრონს: გიორგი ჭყონდიდელი ჩამობრძანდაო და ვაეიდა სასწრაფოდ.

ზეწამოპრა შამან ერისთავი, მცოვანი დიდებულნი და მოვდელმოთაგარნიც მას აპყვენ, ისევ შემოვიდა მესტუმრეთუხუცოსი, კარის ზღურბლის მხარმარცხნით უკუდგა.

შემობრძანდა გიორგი ჭყონდიდელი, მღელვარებისა და დაქანცულობისაგან მთლად გაფითრებულმა პირდაპირ მიაშურა მიფეს. მას უკან მოჰყვებოდა თაგჩაქინდრული, უქოლო, წვერაბურბგენილი ლიპარიტ ერისთავი, რომელიც

მხრებში ოდნავ მოდრეკილი მოეჩვენათ თანადამსწრეთა, ერისთავს მხარდამხარ მოსდევდნენ კირიონ მანგლელი და მამაი ბასალი.

ღარბაზის შეავლამდის მიაღწია თუ არა, ნაბიჯი აღჩქარა ლიპარიტ ერისთავმა და ეიდრე მეფე თავის საკარცხლულიდან ოდნავ წამოწევას მოასწრებდა, ლიპარიტმა ცალი მუხლი იატაკს დაქარა, დაეითის გამოწვდილი მარჯვენას წაავლო თავისი გრძელი ბანჯგვლიანი მარჯვენა, პირისკენ მიიზიდა ძალით და ეამბოჯა.

და როცა მეფემ მხარზე შეავლო ხელი და წამოყენება დაუპირა, ლიპარიტი ზეწამოიჭრა და აღელვებული ხმით შესასხა: „ქრისტე აღსდგა, ჩვენო პატრონო“.

„ქეშმარიტად“, მიუგო მეფემ და მარჯვენა მკერდზე აკოცა, ერისთავს.

„ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა“ ლაიბუბუნეს თანადამსწრეთა ერთხმად. უკუდგა და ოდნავ გაბზარული, მაგრამ მაინც ომახიანი ხმით წარსთქვა ლიპარიტ ერისთავმა:

„მოწყალეო მეფეო და ჩვენო პატრონო, და მომიტევე შეცოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი, რამეთუ კაცთა გულბოროტთა მაცდუნეს მე.“

და ვფიცავარ აწ უკვე მკვდრეთით აღმდგარ მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტეს, ერთგულ ვექმნე ამიერიდან ტახტსა შენსა და მეუფებასა შენსა ეიდრე სიკვდიმდე.

და თუ ოდესმე განმარაბონ მტერთა შენთა და გავხდე ქვეგამხედვარი ტახტისა შენისადმი, იყოს წყვეა ჩემსა ზედა და შეიღობა ჩემთა ზედა და მექცეს წყვეა იგი სარტყლად ჩემდა, ვფიცავარ ფიცითა ძალითა სახარებისათა და ძალითა ძელის ცხოველისა, ვიქნე ერთგული და თავდადებული შენი და სამეფოსა ჩვენსა, ისევე როგორც სულკურთხეული მამა ჩემი ერისთავთ-ერისთავი კლდეკარისა, ანანე—მზრდელი და

მოამაგე მამისა თქვენისა ვედრები, ესე როსისა.

გვიღობოთქა

ქრისტე აღსდგა“

სამგზას განიმეორა ლიპარიტ ერისთავმა.

„ქეშმარიტად, ქეშმარიტად, ერთობლივად გაიმეორეს ერისთავებმა და მღვდელმთავართა.

დაწინაურდა კირიონ მანგლელი, მარჯვენა მკლავში ხელი წაავლო ლიპარიტ ერისთავს, კედელზე დაკიდული ძელიცხოველთან მიიყვანა, იქვე მდგარ მაგიდაზე დაასვენა სახარება და ზედ ჯვარი დასდო და დაიჩოქეთ უბრძანა ერისთავს.

მუხლი მოიყარა ორბელიანმა და კირიონ მანგლელმა ილოცა:

„უფალო ღმერთო, მაცხოვარო მონათა შენთაო, რომელი მოწყალე ხარ და სულგრძელ მონანულთა ზედა თვისთა სიბოროტეთა და ცოდეთათვის, რომელსა არა გნებავს სიკვდილი ცოდელისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი, შეისმინე აწ ვედრებაი მონისა ამის შენისა და მოჰმადლე ამის შემდგომი ყამი სინანულისა; შეუნდენ ამას ყოველნი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი, შეაერთე ესე წმინდასა ეკლესიასა, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელსა გშვენის დიდებაჲ, პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

„ამინ“ დაიგრგვინა მთელმა ღარბაზმა.

•
•

დიდ შაბათს, ჩრდილის ძერა ჯერაც არ იყო დაწყებული, აიყარნენ მეფე და ტაძრეული, ლიპარიტ ერისთავის მთელი ოჯახი, ნათესავნი და ნათესავთ ნათესავნი, თრიალეთის ციხოვანი და უციხო აზნაურნი და მანგლისის გზას დაადგნენ, რათა ლიპარიტისძეთა უძველეს ტაძარში მოესმინათ აღდგომის წირვა.

სეფე დროშა და ჯვარის მტკირთველი წინ მოუძღოდნენ აფხაზ მოწიართა ათასეულს.

მათ უკახ მიჰყვებოდა მეფე და ტაძრეული, ერისთავები სპასალარები და ხუხჩარხი.

მათ შემდეგ ცხენოსანი მანდილოსნები, ბერები, მონახუნები, ამ უკანასკნელთ ქონდაქარნი მეფისა.

მთლად ბოლოს მლოცველთა, უზოვართა და გლახაკთა ფეხშიშველა ბრბოები ფსალჟუნების გალობით უკან მისდევდნენ ამ პროცესიას.

წიოვის დროს პირველად ახსენა კირიონ მანგლელმა აფხაზთა და ქართველთა რანთა, კახთა და სომეხთა მეფენი გიორგი და ძე. მისი დავითი, ხოლო მეორედ, ერისთავთ ერისთავი თრიალეთისა ლიპარიტ ორბელიანი.

ნაწირვევს, როცა ლიპარიტის უბანს ბრუნდებოდა მეფე, გზის ასაქცევთან მან თვალი მოჰკრა მანდილოსან მხედართა დასტანს. სამი მხედარი მოუძლოდა წინ: დედისიმედი და გვანცა, ხოლო მათ შუაში საყურისი მახარაი.

ხლეა ხალხი მოაწყდა მანგლისის ტაძარს. ტევა არ იყო არამე თუ ტაძრის ეზოში, მანგლისი თავად იქცა რაღაც უცნაურ ბანაკად. ეტლები, ურმები და დასადავებელი ცხენები ვეღარ ვტეოდნენ მოედნებსა და თემშარებზე, კაცს ევონებოდა, თრიალეთის მთელი საერისთავო დამძულა, აღდგომის წირვის მოსასმენად ერთ ეკლესიაში.

დიდი და მცირე. საჩინო და უჩინო, ქალი და კაცი, ხანდახმული თუ ახალგაზრდა, ყველა უმკრეტდა დასაეღუთისა და აღმოსაეღუთის ერისთავების ორ ქალს და როცა ისინი მახარას გვერდით მიაჯირითებდნენ თავიანთ ნასოქალ ულაყებს. მოსეირნენი ისე გაოჯნებულნი რჩებოდნენ გზებზე, უკან მიმავალ მხედრებს თავიანთი ცხენების ყალყზე შეყინება უხდებოდათ წამდაღუწუმ, რათა მაქცერალნი არ გადაეთქერათ როგორმე.

როცა ლიპარიტის სასახლის ეზოში მეფემ შორიდან თვალი მოჰკრა მანგლელთა ცხენებისგან დაწვეთვად დასტანს, მან თავათ აღარ იცოდა, თუ რომელი მათგანი იყო უმშვენიერესი, ან მოსეტებულად სასურველი მისი გულისა.

სალამოს ლიპარიტის უბანში ნაშუალამემდის გაგრძელდა ნადიმი. დედისიმედმა გადმოიღო თარიდან ლიპარიტ დიდის ოქროს ბულბული და ამ ხმებმა მოაგონა მეფეს ის ბედნიერი წუთები, რომელნიც განიცადა მან ლიპარიტის უბანში ვეფინს სალაშქროდ მიმავალმა.

ერთადერთი მახარაი არ დასწრებია ნადიმს. როცა დაქანცული მეფე საწოლის დარბაზში მიბრუნდა, ნიანია და შამან ერისთავი დაუხედნენ მას ბუხრის პირად მსხდარნი.

თორი გახადეს თუ არა, მსახურნი დაითხოვა მეფემ. ჯერ იყო და ფსალმუნს წაეპოტინა, მერმე ისევ დაეცა წიგნი და ეუბნება შამანს:

„ჩემთვის აშკარაა, თუ რისი იმედიცა აქვს რატის, მან კარგად იცის, ლიპარიტის შემორიგების შემდეგ უხერხელი იქნება იარაღის ან შიმშილის ძალით ციხის აღება...“

მახარამ სთქვა:
„კიდევ ერთი რამ აიმედებს მას“. მეფემ მზერა, გაუმართა ქოსას. ყყყ

„რატის იმედი აქვს მალე ქორწილი იქნება და იგი გეოქარნახებს თავის პირობებს“.

მეფემ არა მიუგო რა მახარას, ისევ შამან ერისთავს მიუბრუნდა და უთხრა:

„ნიანია ბაყურიანმა მართალი სთქვა გუშლამ. რატი ძლიერ წააგავს ყალყზე შემდგარ, გაშმაგებულ ცხენს. ხელის კერა და მისი გადაჩეხა უფსკრულში ეგ არც ისე ძნელი საქმეა, უმთავრესია მის მიერ გაბრძოვებულნიც არ გადაეკოლოთ ამ თავაწყვეტილს. და იგოც ცნობილია, ერთი ვაცბოროტი მთელს

ფარას გადაიყოლებს ხანდახარ უფსკრულში.

შენ რას იტყობდი შამან ბატონო, ვგონებ აჯობებდა დაგვენებებინა მისთვის უსპოდ გაქცევა ციხიდან?”

შამან ერისთავი სდუმდა მცირე ხანს და მერმე სთქვა:

„ღღესაჲ ვიმეორებ, ჩვენი პატრონო, უსისხლოდ გამოვიყვან ციხიდან რატის“.

მეფემ იქნეულად თავი გააქნია და დასძინა:

„მე ეგ არ მჯერა, მაგრამ კიდევაც რომ შეეძლოთ მისი გამოყვანა, იგი მუდმივი ამბოხისა და შინააშლილობის თავიკაცი იქნება უცილოდ“.

მახარას ბრაზი მოეზუნა ყელზე.

ეს და წაიღულულა:

„ბარქაიროკთან რომ ვაგვექცეს?“

მეფემ მიუგო:

„რას დაგვაკლებს მერმე, ერთი ზედმეტი მტერი უნდა შევიგულოთ სელჯუკიანთ სასულტანოში“.

მეფეს უღრტვინველად ეძინა იმ ღამეს.

ეზმანა ქარაფის კიდეს იდგა უფლის ციხის მახლობლად.

ყაყაოებით შემოსილი ველს გადასცქეროდა და ამ ერთიანად გადაწითლებულ ველზე მოჰქროდა მისკენ ორი მზედარი, ერთს მარჯნისფერი ყაბაჩა ეცვა, მეორეს სოსანისფერი.

მოჰქროდნენ ნასუქალი ულაყები, მაგრამ ყაყაოები ისე მაღალნი იყვნენ და ისე სქელად ამოსულნი ცხენები ძლივსდა იკაფავდნენ გზას.

ჯერ ჯუფთად მოგვლავდნენ მხედრები, ცხენთა თავისერნი სწორ სწორად მიჰქროდნენ უზანგი უზანგის გასწვრივ და რა მოახლოვდნენ ოდნავ შეიცნო ორივე მხედარი; სოსანისფერ ყაბაჩიანი აღმოჩნდა გვანცა, ხოლო მარჯნისფერ ყაბაჩიანი დედისიმედი.

იდგა დავითი და შესცქეროდა მისკენ მიჰქროლავ მხედრებს, ახლა ხან სოსანისფერი ყაბაჩიანი მოდიოდა წინ,

ხან მარჯნისფერი, ერთბაშად დიქუხაცამ და დაეშვა არმურტრ ~~მისკენ~~ და აავსო ნისლმა ქვეყანა ~~გადატეხეს~~ და იყო ნისლი, ქვახერელსა და უფლისციხის შორის ჩამომდგარიყო ზღვა და დაეცა გულგანაწყენი რაინდი მიწაზე და მოესმა ზღვის ფსკერიდან სორინოზის ხმა, ის შორეული და გულისდამწყვეტი, როგორც გალობა ოქროს ბულბულისა.



აღდგომის მესამე დღეს, სტუმრები რა წავიდ-წამოვიდნენ, დავით მეფე ეთათბირა ლიპარიტ ერისთავს, რატო ორბელიანის ციხიდან გამოყვანისათვის, როგორც მეფემ ისევე ერისთავმა გადასწყვეტეს ერისთავნი და მღვდელმთავარნი მოეწვიათ და ეთათბირნათ. ამ თათბირზე გადაწყდა ლიპარიტ ერისთავს წიგნი მიეწერა ვაჟისთვის და ერჩია: უსისხლოდ დათმობა ციხისა.

მოციქულად წასვლა დაავალეს სამთა: შამან ერისთავს, კირიონ მანგლელს და მამაი ბასილის.

როცა ლიპარიტის მიერ გავზავნილი წიგნი და სააღდგომო წითელი კვერცხები შეუგზავნეს ციხეში რატის, მან უკან გადმოაყრევინა ეს კვერცხები ციხიდან.

ორიოდე საათი ალოდინა მოციქულებს, ბოლოს მაღალ გიორგის ამარა გამოვიდა პირველი გოდოლიდან და განუცხადა წარმოგზავნილთა:

„უკეთე დავით მეფე თრიალეთის საერისთავოდან უკლებლად გაიყვანს ლაშქარს, შირთებისა და ფარცხისს შემოგვიმტყიცებს, სამშვილდებსა და გერანთაზე სამერმისოდაც აიღებს ხელს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მე და მამაჩემმა დავათმობიეთ ეს ციხენი თურქებს, უომრად დავთმობ ფარცხისს, თუ არა და ხმალმა გაგვასწოროს“.

ესა სთქვა, ცივად გამოეთხოვა მეფის მიერ წარმოგზავნილთ, უკან გაბრუნდა

და დაახშევინა ციხის კარები მუისვე.

ცხენებზედაც შეჯდომა ვერ მოასწრეს მოციქულებმა, ისე დაუშინეს ფარცხისის მეციხოვნეთ ისრები მათ.

თვით ყოვლად თვინიერმა შამან ერისთავმა ეს განუცხადა ლიპარიტის უბანში მიბრუნებულმა მეფეს:

„ქეშმარიტად ვაცბოროტი ყოფილა რატი ორბელიანი. ჯაჭვის პერანგი რომ არ გეცმოდა, დაგვხოცავდნენ მისი მეციხოვნენი უთუოდ“.

VI

ბარათები შარალანიდან ზჳონ-დიდის მთამარაპისკოპოსს მამაი გიორგის ბავშუთში

„გუშლამ დიდის ვაივაგლახით მიაღწია შარალანს გუარამ ბექისციხის პატრონის მიერ გამოგზავნილმა კაცმა. ეს გახლავთ ალანი ჩვარტაი.

გუარამ ბექისციხის პატრონი გამხდარა ხორკაში, შარალანიდან ხუთი დღის საგალზე ფორანით.

მამცნო: კიდევ ერთი კვირიავე და დაიძრებინაო თქვენს მიერ წარმოგზავნილნი მოციქულნი.

ჩვარტაიმ ბოტინატები და ქალალდი მომიტანა და ამ გაუთენებელ დამეებში ვზივარ და გწერთ ამ უცნაურ ამბებს.

უფულოდ და უსაზრდოვოდ აქ დიდ გასაქირში ჩავეარდი. ჯერ იყო და ჭაკ ცხენებს ვწველავდი და ამით ვჭამდი სამადლო პურს. ჭაკი ცხენის მოწველას აქ მხოლოდ ნაყიდ მონებს ანდობენ. (ეს საქმე ვაქყაცისათვის დიდად სამარცხვინოდაა აქ მიჩნეული).

გაქირება უდიდესი მწრთენელიაო, აგრე უთქვამს ბრძენს და მეც ბევრი რამ მასწავლა აქ განციდილმა შექირებებამ.

ჩემს ფსალმუნებს ერთი პატარა კარაბადინი გამოჰყოლოდა. შევისწავლე იგი

და აქიმობას მიეყავ ხელი. ვარჩუნდი ძელის მოტეხილობას, ყიფჩაღი კარგი ცხენოსნებია, მაგრამ ხერხად ჩინებულ ვეენ თავს, კისერს (ცნობილია ცხენოსნებს მოსდით ხოლმე მეტწილად მარცხი).

იმევე წიგნიდან ვისწავლე ცხერის ჭირისა, ბალხური წყლულისა, გველემულისა და ღრიანჯალით დაგესლილის ჟურნება, კურნება კირჩხიბისა, სარატანისაგან, რომელსაც ხარჩანგს უწოდებენ სპარსნი, მღერისა და მქავარისა, ფილენჯისა, შაეი და თეთრი ყვაეილისა სხვათა და სხვათა.

აქ ყვაეილისაგან ბუზივით იხოცებიან ყიფჩაღები და ამ საქმეში ხელი გავიწაფე. შარალანის ბრძანება მოვიდა აქ, მომცეს საგანგებო ფორანი და მათრიეს მთელ საყიფჩაღოში.

როცა ყვაეილი დაემართება ყიფჩაღს, გაიტანენ სანებვეზე და უპატრონოდ დააგდებენ მუნ, ერთ წითელ მამალს დაუბამენ სასთაულთან, ხოლო ფერხითი ერთ თხას, კუპრისფერისას.

თხა კიკინებს და მამალი ყვიის...

და აგრე სჯერათ მაგ რეგვენებს ამ გზით გაფრთხებიან ავნი სულნი და მოეშვებიანო ავადმყოფს.

თუ მორჩა სნეული, თხასა და მამალს დაკლავენ და ღრეობას შექქენიან.

თუ მოკვდა, მაშინაც დაკლავენ ორივეს და გამართავენ ქელესს. მოვარჩენდი სნეულს და მეც წილს დამიდებდნენ „ნაღიშში“ კუმისს მასმევედნენ ან ბუჩახსს.

ალანმა ჩვარტაიმ გაღმომცა შენგან მოწერილი წიგნი, რომელშიაც გობრძანებია კიდევ მცირეოდენი რამ მემცნო ყიფჩაღთა ნათესავის ყოფისა და მათი შჯულისათვის.

მათი შჯული ურჯულობაა, მათი რწმენა ურწმუნობაა, მაინც ვასრულებ შენს ნაბრძანებს და გწერ აქ ნახულსა და განავონს, ვინძლო ღირდეს ეს ყოველივე შეუფებისა შენისა გულისყურის. მოცდენად და ქალალდის დახარჯვად.

ყოფილთა ფორნებში შესულის და დაკვირვებულის თვალი შენიშნავს ბალის სიმაღლეს ქეჩის თოჯინებს, რომელთაც წითელი კინკით შეხვეული აქვთ თავი.

ეს გახლავთ ყოფილთა ნათესავის კერპები. მათი ხელისხლება აღკვეთილია, მით უმეტეს თავსაბურჯის შესხნა.

მე მუდამ ვიწვოდი ცნობისწადილიდან, მინდოდა მენახა თუ როგორი თავპირი აქვთ მეთქი ამ კერპებს, ამდენი ხანი აქა ვარ და ეს ვერ შეეძელი.

ერთხელ სნეულის სანახავად მივდიოდით მე და ალანი ჩვარტაი და ვნახეთ, ათზე მეტი ფორანი იდგა უკაცრიელ ველზე და მიცვალებულნი ესვენენ შიგ.

ნუ იტყვიოთ, ყვავილი დარევია ამ ბელშეებს თურმე და დედაშუღიანად ამომწყდარან. ცხედრები ფორნებში ეყარნენ, ხოლო თოჯინები გარს მოესხათ სიკვდილის წინ, აგრე ეგონებოდა უბირს. დიდებს ბალები გარს შემოსხლომიანო მიცვალებულების სატირლად.

აეხადეთ მერმე თავსაბურავი ამ კერპებს და ვნახეთ, ცელისაგან იყვნენ ისანი შეთითხნილნი, ხოლო წარბები და ტუჩპირი ნახშირით ჰქონდათ დანახანილი, თავი ყოფილურად გადაპარსული, ხოლო კეფაზე ყოფილური ქოჩორი.

ახლა თავს თუ არ შეგაწყურნ. მკიარე რამ მინდა მოგახსენო მათი რწმენის გამო. ყოფილებს აგრე სჯერათ, რომ ეს ქვეყანა არარაისაგან შექმნა საშინელმა ქარბორბალამ, ზღვათა წიაღიდან ამოვარდნილმა.

ამ ქარბორბალამ დააყარა მიწას სქელი არბური და სიბნელე. მერმე მორეკა ვითომც ამ ქარბორბალამ ღრუბლები, ღრუბლებმა დაუშვეს ისეთი თქეში, რომლის თითო წვეთი ყოფილური ფორანის ბორბლის ოდენა ყოფილა.

მერმე დააგროვა ამ მერეხმა მიწის ღრუბლებში რძე. ამ რძის ქაფს მოადგა

ერთ დღეს უზარმაზარი ოქროს რქე.

ეს რქე ისრით განგმირაჲ ქარბორბალამ და მით რომელლაც დემონმაჲ შეაქწესდა ზღვის ფსკერზე და სახე იცვალა, მის ნაცვლად ამოვარდა მიწიდან ვეებერთელა მთა.

ხუთი კიდე ჰქონია ამ მთას, ერთი ვერცხლისა, ერთი ცეცხლისა, ერთი ძოწისა, ორი დანარჩენი ლაპის ლაზულისა და ოქროისა.

გავიდა ხანი და შეიღი მთა ამოიზარდა, მათ გვერდით ერთიც რკინისა. ამ მთებს საძირკველად დაედო ვითომდაც, ოქროს რქეს ძელები.

სამხრეთის კიდე, რომელსაც ყოფილნი თავის სამკვიდროდ თვლიან, პატიოსანი თელეებისგანაა შემდგარი და იქ იზრდება ხე სასწაული—ასამბუ.

აღმოსავლეთის კიდე ოქროსაა, აქ ცხოვრობენ ათი წყრთის სიმაღლე მღვევები. დასავლეთის კიდე — ძოწისა, აქ ბინადრობენ, თორმეტი წყრთის სივრძე მღვევები.

ჩრდილოს კიდე—ვერცხლისაა მანდ ბინადრობენ ვითომც მკენესარე ადამიანები, რომელთაც სული წართმეული აქვთ და ისე მოძრაობენ, როგორც თოკით ურთიერთზე გადაბმული თოჯინები, მათ არც გული აქვთ და არც ვნება, ორასი წყრთის სიმაღლეს აღწევენ სიბერეში, ათას წელს ცხოვრობენ მიწაზე, თეთრნი არიან ფერხორციით, თეთრი სამოსი აცვიათ.

მათ ქვეყანაში იზრდება ერთი ხესასწაული, რომელიც საზრდოსაც ისხამს და სამოსსაც.

ისინი აროდეს ხდებიან ავად, ათას წელს შეიღი დღე რომ დააკლდება, ცილან რეკვა მოესმით, გამოეთხოვებიან ნათესავეებს და შეუდგებიან თავტირილს.

ამ კიდეზე მცხოვრებთ ბურთივით მრგვალი აქვთ სახე, ხოლო სამხრეთით მცხოვრებთ, სამკუთხედის დარი.

ჩენი ხმელეთის მკვიდრნი, ყოფილთა რწმენით, თავდაპირველად უზორ-

ცონი იყვნენ, ყოველ წუთს შეეძლოთ ფრინველსავეთ აფრენა მიწიდან, ხორციელი მრუშობის გარეშე იბადებოდნენ და ცოცხლობდნენ ოთხმოცათას წელს ამ მიწაზე.

მზებერ ბრწყინვალე სახე ჰქონდათ, არ იცოდნენ, თუ რა იყო ცრემლი, ტკივილი და კენესა, მარად მოლხენილთ არც ესმოდათ თუ რა არის მოწყენა ან სიძიმბილი, მიიცვლებოდნენ თუ არა, კვლავ იმვებოდნენ ასევე სრულყოფილ სხეულით.

ერთ დღეს მიწიდან ამოვიდა ხესასწაული ერთი და გამოისხა თაფლისებრ ტკბილი, უცნაური რამ ნაყოფი. რადგან ჯერაც მნათობნი არ იყვნენ შექმნილი, დაბნელდა ირგვლივ...

ერთმა რეგვენმა იგემა ეს ნაყოფი და ასტეხა ხარხარი, მოცვივდნენ სხვანი, მათაც იგემეს იგი დაჩიავდნენ ბოლოს ამ ნაყოფით გამძღარნი, მოაყლდათ ბრწყინვალეება სახისა და მარადი ღამე დაეშვა მიწაზე.

ერთ საღამოს ამოვარდა ისევ ქარბორბალა, ციდან დაეშვა მერეხი, რომლის წვეთი ყიფნალური ბორნის ფერსოს უღრიდა და დადგა მიწაზე ქაფი, მოვიდა ვიღაც ხელჯოხიანი და ისე, როგორც ყიფნალი დიაცი მოუტრევს ხოლმე ჯოხს, კასრში ჩამდგარ ცხენის რქეს.

ურია,
ურია,
ურია და ავარდა მიწიდან ორი მნათობი, ერთი ჭიქისა და ციცხლისგან, მეორე წყლისა და შუშისგან შენიეთული.

სხვა მნათობებიც იმ ღამეს შობილან ვითომც

რა განათდა მიწაზე, ისევ მიადგნენ ხესასწაულს, მაგრამ მომრავლდნენ კაცნი, და შემცირდა ნაყოფი, დაღეწეს რტონი ხესასწაულისა და აღარ გამოიღო მან ნაყოფი, მერმე მიადგნენ ტრამალზე ამოსულ ღოლოს, მაგრამ

ღორმუცელებმა ღოლოც ამოსტამეს/მიწიდან.

სხვადასხვა ტომისა ნაშიერებმა დაიწყეს შავი დღისთვის მომარაგება ღოლოსი.

ბოლოს გაჩნდა საზრდოს მიტაცება, მრავალრიცხოვანთა და მკლავმაგართა იწყეს მოხვეჭა საზრდოსი.

ავრე გაჩნდა მდიდარი და ღატაკი, მშვიერი და მაძღარი, ატყდა მათ შორის ბრძოლა და აურზაური.

დაჩიავდნენ კაცნი, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ას წელზე დაეშვა ასე რომ, თუ კიდევ დიდხანს იბოვინა კაცთა მოდგმამ ამ ხმელის პირზე, დაჩიავდებიან არა მარტო ადამიანები, ცხენები კურდღლის სიმაღლე გახდებიან, ხოლო ცხენის პატრონი ერთი ციდა ვოჯილა გახდება, ხოლო ადამიანის ასაკი ათ წელს ვერ გადასცდება.

მერმე დაერევა ამ ქონდრის კაცების მოდგმას, სახადი და ავადობა, ყვაეილი, კეთრი და ცხვრის ჭირი.

ხეები ნაყოფს აღარ გამოისხამენ, ტრამალეებზე ბლახი გახმება, ამოწყდება ზესტაკი და ცხვარი, მერმე წამოვცა ციდან ისრის წვიმა და მიწაზე დაყორდება აქოთებული ცხედრების მთა, სისხლის მდინარეები აჩქამდებიან და ყორნები დაფარავენ მიწას

ისევ წამოვა ციდან მერეხი, გადარეცხავს ქონდრის კაცების გეამებს ხმელეთის პირიდან, ბოლოს იმდენ ხანს იწვიმებს, სანამ ახალი ნათესაერი კაცთა არ ამოვა მიწიდან და წვიმას ჩამოყვება ცოდან პატროსანი თვლები და კაცთა საზრდო, თაფლისა და რძის მდინარეები მოსქდებიან ოქროს, ვერცხლის და ლაპისლაზულის მთებიდან და აღარ იქნება ქვეყნად მიმძღავრებული და მომძღავრებული, მდიდარი და ღარიბი ხანი და მონა.

მიწა იარსებებს ათასი ეზოქის მანძილზე, მაგრამ ყოველი შვირიც

1946

საქართველოს
საგარეო
აფხაზეთის
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო



ცეცხლით განწმენდა მოწყვება, ხოლო შეიღვერ შეიღის შემდეგ ამოეარდებო ცეცხლის ქარბორბაღა.

შეიღი მზე ამოვა აღმოსავლეთიდან და ესენი ისეთ ხეატს დააყენებენ, გადაბუგება სიციხისაგან მწვანე და იგივე ოქროს რკე, რომლის ძელები საძირველად დაედო მთებს, გადაეფოფრება გადარუჯულ მიწას, როგორც ფარშავანგი თავის ნამღევს...

გვონებ თავი შეგაწყინე, მამაო გიორგი, ამ რეგენი ყიფჩაღების ნაბეუტუოეთით, ახლა საქმის გამო მინდა მოგახსენო მცირედი. გასულ კვირას წარგვანვე შარაღან შარაღანისძის სასახლეში (მართლაც სასახლე არ გეგონოთ ეგ, გეგუთის, ნაქარმაგევის ან წაყელისთავის დარი) ასიოდე ფორანი სღვას ტრამალზე ბავირებით და თოკებით ურთიერთზე გადაბმული, ამ უზარმაზარ ფორანების შესაეალთან ნაბღის გოჯიღები ღვანან, ფორანებში ცხოვრობენ ყიფჩაღთა უმთავრესი და მისი ცოლები, (ღიაეებს ცალკე აქეთ ფორანები), ამ ბანაკის ირგვლივ მარგიღეზია, მარგიღეზზე ცხენის თავებია წამოცობილი, ამ მესარებს გარშემო მგლის ორმოები, ხაფანგები და სარეგეგაეებია მოწყობილი, ხოლო მათ გარშემო ავი შეგელძაღლები აბია, ჩვენებური ვირის სიმაღლეა თითოეული, მათი ყეფისა და გნიაისაგან ყურთასმენა არაა.

მობრუნდა ალანი ჩეარტი და ამბავი მოიტანა. შარაღან შარაღანიძე რუსებთან საბრძოლველად წასულა წყალს გაღმა, კარისკაცთა უხუცესს რომელსაც ბარუხა ჰქვია, ღიაეური გრძელი ნაწნავი ამშვენებს და ვირთხის კუდივით დარი უღუაშები, თვალი გაუბრწყინდა, რა შეიენო მეფის ელჩები მოსულანო ხუთი ღღის სავალზე, მყისვე უკითხავს საჩუქრები ხომ არ მოაქეთო?

ორივე ხელის თითები გამოუშვერია და უთქვამს: ათი ღღის შემდეგ მოიყვანეთო ელჩები.

ასე რომ ათი ღღის შემდეგ გამოეგზავნი ჩეარტის. ღეთიღე კლდე კლდე წყალბით ახლა ქალაღდი მომეპოეება, თუ სასიამო ამბები მექნა მოსაწერი.

მიწა მეუფებისა შენისა.

სტეფანოზ წილკნელი.

VII

ფარცხისმლი პროზელიტები *

აზნაურმა მორკნეველმა კარგად იცოდა ფარცხისის ციხეს უნდა ჰქონოდა საღმე იღუმალი ხერელი.

ეს ციხე მეფე გიორგიმ ჯერ კიდევ დიღო თურქობის დროს წაპგლიჯა მაღიქ-შაპს სარანგს, მაგრამ ლიპარიტ ივანეს-ძეს გადასცა იმავე წელს და მას შემდეგ თრიალეთის ერისთავის მიერ ჩაყენებული ციხიონი იღვა შიგ.

მახარა ორჯერ გააყოლა მეფემ მორკნეველსა და ქარიმან სეტოელს. წერილად მოჩხრეეს ბირთვისის მთების კალთები, იმ ქედებსა და ღრანტებში, სადაც თავათ ციხეა ბირთვისის, ამაოდ ეძიეს, მაგრამ ხერელის მეორე პირს ველარ მიავნეს.

ბოლოს როგორც იქნა მიავლიეს. მეორე ხერელი ჩამოდიოდა იმ ბეჭობიდან, რომელზედაც ფარცხისის ციხე ღვას, თემშარის ქვეშ მიდიოდა სამხრეთით და ჩადიოდა ალგეთში სწორედ იმ ადგილას, სადაც კოლმეტურნობის წისქვილი ღვას ამჟამად.

ამ წისქვილთან ქარაფი იყო ხახლითა და ლაშქარათი შემოსილი და სწორედ აქ თავდებოდა იგი. ხერელი იმდენად განიერი იყო, მთიულური ურემი თამამად გაივლიდა მასში.

* პროზელიტი — ეწოდება ერთი სარწმუნოებიდან. ან პარტიიდან მეორეში გადახედს, პირაინდელი შოაღის. ან რწმენის მოლაღტეს, სხვას მიტმსნებულს.



• •

ამასობაში ფარცხისის ციხეში უკანასკნელი მარაგი მოთავდა, დარჩა რამდენიმე ირმის ჩაჩხი, ასიოდე ბათმანი ლობიო, ოსპი და უკანასკნელი ბედელი ჭერისა.

შიშნაილა ხელი დარია ციხიონს, ჯერ ვირები და ჯორები დახოცეს, ახლა ცხენების ჯერი მოვიდა, მარცვლეულის შემკორებამ ვირთხები გამოიყვანა სამუხოზე, მეციხოვნეებმა ვირთხებზე ნადირობას მიჰყვეს ხელი.

ზაზაი ჯუბიელი და მალალ გიორგი სასოწარკვეთილებას მიეცნენ, არამც თუ მონასპათი, რატის აზნაურებსა და ათასის თავებს მოუხდათ ჭამრის მოჭერა.

რავი თავით შეენადგლიანი და გულჩახეული გახდა, მღუმარედ უჯდა ბუხარს, ზაზასა და მალალ გიორგის ებუზღუნებოდა, ხანაც მუსტაფა ბენ ისმაილს ლანძღავდა, ავიწებდა თურქებს, პირისგამტეხები ხართო, ფლიდები და მატყუარები, თქვენი დახმარების ლოდინში კახეთ-ჰერეთს არ გავიქცეთ, მემუდარებოდა კახთა მეფე კვირიკე და ძისწული მისი აღსართან, ვეცინს ჩამოდი ერთობლივად შევეუტიოთო დაეით მეფეს, ბარჭიაროკის იმედით დავყოვნდით ფარცხისში და ამ ლოდინმა გარემოცვამდის მიგვიყვანაო.

მართალია, მალალ გიორგი შერბილებულად უთარგმნიდა ამას ყოველივეს ყადის, მაგრამ მუსტაფა ბენ ისმაილ უსიტყვოდ გრძნობდა, თუ როგორი არასასურველი სტუმარი გახდა.

ეს განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა მას შემდეგ, რაც ირმის ზომცის ნაცვლად შემწვარი ვირთხებითა და ჭვავის პურიტ დაუწყეს კვება თურქებს.

წინაღ თუ მათ რატის სუფრასთან იწვევდნენ დილას და საღამოს, ახლა მათ იქვე მოუგდებდნენ საჭმელს, სადაც ეძინათ.

მუსტაფა ბენ ისმაილი შეტრუნებულად გასცქეროდა ფარცხისის მთაგულე გზებს, დარწმუნებული რომ აზნაურთა მორკნეველის გარემომცველი სპაი იერიშს დაიწყებდა.

ერთ დღილთ შენიშნა: მორკნეველის მონასპებმა ბორბლებიანი კოშკები და ვერძები წამოიღეს ბირთვისის ციხიდან, თუმარაზე შეაყენეს და ისრის მისაწვლენზე წამოსწიეს ფარცხისის პირველ ქამრისკენ.

უმეტეს თურქებმა ლოცვას, ვეღერბოდნენ ალაჰს, როგორმე დაეხსნა ისინი „მუსლიმთა სისხლს მოწყურებული“ გატურჯების მეფის მახვილისგან.

არა ნაკლების ძრწოლით მოელოდა ციხის აღებას და განკითხვის დღეს ეგტიხი ბერი, მან კარგად იცოდა ქარიშხან სეტრელს თუ ჩაუვარდებოდა ხელში, მოპირულ ხმაზე გადახტომას რომ შესთავაზებდნენ...

ქადაგად დაეარდა და მოუწოდებდა მეციხოვნეთ ღუმილის დაცვას, მორჩილებას, ზორციელ ვნებათა დაოკებას და „წრთობას სულისას“.

თავდაპირველად ქენჯნის ქამრები შემოიღო ეგტიხი. ჯერ უქადაგებდა მეომრებს, თუ როგორ „ცოდვილია“ ადამის მოღგმა და მოსალოდნელი სიყვდილის კვირბაღში, ყოველმა ქრისტიანმა უნდა დასაჯოს თავისი ცოდვილი სხეული.

ქენჯნის ქამრებს აკეთებინებდა უხეში ჯაგრისაგან დაგრებოლ ბავირიდან, ეგტიხის თავით შეირტყამდა წელზე ამ ბავირს. ბოლის იმდენი უჩიჩინა რატის და მის აზნაურებს, ყველამ საითთაოდ გაიშოშვლეს წელი და მონასპათა თვალწინ ზედ შემოიკრეს ქენჯნის ქამრები.

მეციხოვნეთ, რა დინახეს ერისთავი და მისი აზნაურები ამას ხალისით ჩალოდნენ, თავთავც შემოირტყეს ქენჯნის ქამრები.

დასვამდა ეგტიხი ბერი თორმეტ თორმეტად მეომრებს დასტა დასტად

აიღებდა ფსალმუნს, გალობდა და აგალობებდა ხალხს.

მერმე მოსდგებოდა და საკმაო სიმკვერით მოუთხრობდა მათ თუ როგორ დაისჯებოდნენ ჯოჯოხეთში ისინი, ვისაც ქენჯნის ქამარი არ უტარებია არასოდეს.

„ცოდვილია ადამის ნათესავი, დათრგუნეთ ხორციც, რათა განვამკვიდროთ სიმტკიცე სულია.“

მართალია, მაცხოვარი ჩვენი ევნო ცოდვითა ჩვენათვის, მაგრამ ეს არა კმარა, განემზადნეთ ცოდვითა მოსანანიებლად, ქენჯნით სხეული, რათა განსპეტაკდეს სული.

ადამის ტომი მანკიერია, რადგან პირველ მთასახვის ცოდვა თანა გვაქვს დაყოლილი ევას საშოდან. დათრგუნეთ ხორცი, რათა ღებნა პოვო სულმა“.

ამ ქადაგების დროს უფრო და უფრო უმატებდა ხმას, ბოლოს იწყებდა თვალების ბრიალს, პირიდან ღორბლი გამოუვიდოდა, შემოიხვედა პერანგს წაიქცეოდა აფურის იატაკზე, აფხარკალებდა ხელფეხს, წამოსწევდა თავს, აი ავრე ჯვარს ეცეო იესო, ჯვრის დარად გაშლიდა ხელებს, ისევე დაიკრეფდა, მერმე დაიშენდა გულმკერდზე მჯიღს და ყვიროდა:

„მოდით, ჩამქოლეთ ცოდვილი, აიღეთ სხეული ჩემი და გაიტანეთ ჯვარზე, რათა ვევნო ვეწამო ჩვენი ტბილი იესო ქრისტესთვის“.

მერმე წამოვარდებოდა, ისევე იწყებდა თვალების ბრიალს, ღუქს მოიყენებდა ტუჩპირზე და ყვიროდა: „ჰარაი, ჰარაი, არული სატანას“.

გაშლიდა ხელებს, ატკაცუნებდა თითების სახსრებს და ამას ისეთი ოსტატობით ჩადიოდა, როგორც ინდოელი ფაქირები, რომელნიც კასტანაეტების დარად შექმნიან ხოლმე ბრბოს განსაცვიფრებლად, ხელთა, მკლავთა და მუხლის ობგების ტკაცანს.

ბოლოს გადმოკარკლავდა, ცხველები მორთავდა შემზარავ ღმერთის მკვლელები იწვიმებდნენ მის თვალებიდან.

ისევე წაიქცეოდა აფურის იატაკზე, გადაფიჩინდებოდა როგორც საყმაწვილოთი სნეული ბაღლი გაუგებარ ბგერებს ისროდა პირიდან.

ხაოდა: „არული სატანას“.

ისევე აღდგებოდა, „ხორცუმესხმული ჯვრის“ გამოსახატავად გაშლიდა მკლავებს, ხელებს გააშეშებდა თავაწეული პაერში და მოყვებოდა ამგვარ ბოდვას:

„მე ვარ ჯვარი განსხეულებული წარმოგზავნილი მოსაქცევად თქვენდა. მე ვარ ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი ადამისა და ხორცი იგი არ ეკუთვნის ცას, ვინაიდან ჩემშია ზეცა, ჩემშია ღმერთი თავათ.“

არა, არა, ხორცი ჩემი უნდა შესქამონ შლილთა, ხორცი იგი უნდა იქცეს მიწად და იქცეს ავლად საყვდილის სახმილში.

ჰოა, უბადრუკო ნათესავო ადამისა, შენა ხარ თესლი იფქლისა ამ ქვეყნად, მარცვალი მღოვვისა დათესილი მიწაში და უნდა წამოიზარდო და გახდე ხეი ცხოვრებისა, რათა მოვიდნენ ანგელოსნი, დაგწვან უფლის გენაში და გაქციონ ფერფლად.

ხომ დაწერილა, შეშა სულისა შენისა უნდა დაიწვას ერთხელ უკანასკნელ სახმილში, სული შენი დარჩება დანაპრულ ავლში, რაი გნებავთ თქვენ სხეული თქვენი დაიწვას ეთარცა ხეი ცხოვრებისა და მოტანილ იქნას უფლის ტრაპეზეზე. თუ მიუგდონ იგი კოლტს ლორისას, შესაბილწულად და წარსაწყმდად.

ნუ ეტრფით მკედარ ღმერთებს. ეტრფილეთ ხეს ცხოვრებისას ჩვენისას, მარადღე ცოცხალ იესოს.

ქრისტეს მიერ ძმანო ჩემნო, ავხედოთ ცასა და ვარსკვლავებს გაგზოდოთ ხესა და ბალახს, და ვიტროთ რამითუ ცასა და მყარს. ხესა რა მტკოს მწვანლოვანს წარხოცავს მარადეამობის ცეცხლი, ვიტროთ, ვიტროთ...

ივდა ღვთისმშობელი მარიამ შავდ² მოსილი შავ ქვაზე და სტიროდა. მოვიდა შავი გველი, ჰკითხაედა:

„რაღა სტირი ქრისტეს დედაო?“

მიუგო დედაღვთისამ მაცათუნებელს: ვაჟ მე ბედკრული ნაშობო იქედნეთაო ვაჟ, შერ ცრემლი რომ არ დაგდინდება არასდროს. მე მიეტირი ადამის ნათესავის ცოდვას და მინდა ცრემლით წარეხოცო იგი.

მა დავსხდეთ ჩვენაც, ძმანო ჩემნო ქრისტესმიერნო, შავ ქვაზე და ვიტორით, რადგან მოწეულია ეჟი უკანასკნელ თავტირილისა“.

ამას იტყოდა თუ არა, ფეხმორთქმული დაჯდებოდა აგურის იატაკზე და ასტეხდა ლულულს. მოუცუტკვებოდნენ გარს რატის წვერგაბურთვენილი, დამწეული მეციხოვნენი და იწყებდნენ თავში ხელების ცემას, მჯიღს დაიშენდნენ მკერდზე და სტიროდნენ.

მუსტაფა ბენ ისმაილ ყოველდღე ხედავდა ამ ამბავს, აგრე ვარაუდობდა: ალბათ დავით მეფე ახლოვდება და ამად სტირიანო მეციხოვნენი. უფროდაუფრო ემატებოდა ძრწოლა.

ღამით წამოიჭოტებოდა ლოგინზე და გასცქეროდა ციხის სამშერებს, ეშინოდა ღამით არ აიღონო ციხე. ჩასთვლემდა, სიზმარს ნახავდა რაიმე უხიავს, ასტეხდა ბლავილს: „ალაჰ აკბარ“, მოდიან, მოდიან!“

წამოცვივდებოდნენ მეციხოვნენი და ასტეხდნენ განგაშს.

ერთ დილას ადგა, აზნანის ლოცვა შესრულა. ეახლა რატის, მუხლზე მოეხვია და შეჰლაღადა:

„მე დავებრდი სულტანის სამსახურში. აწი გვიანაა ჩემთვის მოპირულ ხმაღზე ზტომა, თუ ციხის ზერელიდან გამაპარებ, ავასინის სპათა სერანგს ჯარს გამოვართმევ და ალყას შემოვარტყამთ ფარცხისის გარემომცველებს.“

რატის თავი ჰქონდა მობეზრებული ბერიკაცის ჰირვეულობისგან. მისი იმედი არა ჰქონდა მის მიერ მოყვანისა, მაინც დაჰპირდა ვაგაპარებო ციხიდან.

VIII

ღამასკური ხმალი

ფარცხისის სამხრეთით ბოგვის ხევში დიდი სოფელი იყო ნაირმალი. მალიქ შაჰს სერანგის შემოსევის დროს ათაზე მეტი სული ამოსწყვიტეს ბოგვის ხევში, ორგზის მეტი ტყვედ წაასხეს, ხუთი ეკლესია დაანგრეეს; ნაირმალში თითქმის არცერთი მამაკაცი არ გადარჩენილა.

ამ სოფელში უპირატესად ხორგაის გვარი სახლობდა.

მხოლოდ სამი ძმა ხორგაი გადაურჩა დიდი თურქობას, რადგან სამივენი გიორგი მეფის სპაში იბრძოდნენ, მათი ცოლშვილი თემძის ხევში იყო ვახიზნული ზესტაგინად და ფარიანად.

მერმე ის იყო, როცა გიორგი მეფემ ხარაჯა იკისრა და ასე თუ ისე დამშვიდდა ცხოვრება, დაბრუნდნენ სამივე ძმანი: გაბრიელი, შიომ და ვაჩე, ვადაბუგული დაუხედათ არა მარტო საკუთარი სახლკარი, არამედ სარჩოსაბადებელი ბიძაშვილებისა.

ხუთმეტი ბალლი წამოიყვანეს დიაცებმა ხიზნობიდან, ათი მიხრწნილებასში გადამღვარი ბებერი დაუხედათ, შვიდი ქერივი დიაცი და ათი ტყვედ წაყვანილთა ქალბაღნი.

ძმები საპატრონო გლეხები იყვნენ ბეგარისაგან წელში გადრეკილნი, ისინი საკუთარ ცოლშვილს ძლევს-ლა არჩენდნენ, ახლა თავზე დაწვით ომში-დაღუპულთა და ტყვედწაყვანილ ბიძათაშვილების წვრილშვილნი.

თუმცა სამივენი სიბერეში იყვნენ ვადამღვარნი, მაგრამ გაყრილობის წიგნის

² დიდ არს უფალო.

დაწერა არ ისურვეს, ამიტომაც ორმოცდარევიდემტი სული დედაწულიანად ცხოვრობდა ერთ უხარბახარ, პაპისეულ, გლეხურ დარბაზში.

ოცა ხათურგალ სოფელში მობრუნდნენ ძმები, კედლები-ლა დაუხვდათ სახლისა, ცეცხლს ვერ შეეშუსრა დედაბოძი.

გამარცხული და გადაბუგული იყო ბიძაშვილების ოჯახებიცა, ათა მარტო ნაგებობანი, შრამელები და ბოსლები, თვით სამეურნეო ხელსაწყო, ურძები, ერქვანები და აჩაჩები ცეცხლს ემსხვერპლნა.

ნასაბძლარებზე ყმუოდნენ ძაღლები...

გაბრიელი უფროსი იყო ძმათა შორის, თუმცა გიორგი მეფის ლაშქარში ბარე ხუთი პრილობა მიეღო, მაგრამ მაინც მან იურვა ხორგაის გვარის ნაშიერთა გაძლოლა.

სოფელი ნაირმალი მთის ბრეკებზე იყო შეფენილი, ასე რომ ხორგაის გვარს სახნავ-სათესი ზა ვენახები დაბლა ჰქონდა ხევში, სწორედ იმ ტაფობზე, რომელზედაც ვადის ახლაც ფარცხისიდან სამშვილდეს მიმავალი თემშარა.

ბარე ორმოცდაათი დღიური ჰქონდათ დასამუშაებელი საპატრონო ამ სამ ძმას ხორგაის, როგორც საკუთარი, ისე ბიძათაშვილების ქვრივობოლთა.

ადრე დაწყებული ზამთრის დიდი თოვლიანობის შემდეგ ამ მხარეში გაზაფხულმაც ადრე გამოაჩინა პირი. ჯერ კიდევ ნეკერი არ იყო გამოსული და გაბრიელ ხორგაიმ ამცნო ძმებსა და ბიძათაშვილებს შეღერებულ ბიჭებს, ადრე დეაწყობით ანეულსათვის ზენა.

ასე რომ ადღგომის მესამე დღეს ბარე ოცდაშვიდი მამაკაცი ხორგაის გვარისა წინა დღიდან ამზადებდა ორ გუთნეულს.

ხარიპარია ჯერ კიდევ არ იყო ცაზე გამკრთალი, როცა გაბრიელ ხორგაიმ ერქვანს წააელო ხელი. ჩირგვებში გულწითელა წრიბინებდა საწყალობელად, მეხრეების ჟივილსა და შოლტის

გატლამუნებაზე მხმარ ბლანტი მოტაჩუხე ტოროლები ფრთხილად ელაგაში აქონდათ კარზე მოჭრილი მუჭაფხელის სიმღერა.

გულდაწყვეტილი იყო გაბრიელი, რომ ამ ხელს მისი ერთადერთი ვაჟი გოდერძი შეელოდა მხოლოდ. იგი წინა კვირას დაბრუნდა ნაქარმაგვევიდან, დაებარებინათ უმცროს ძმებს: როსტოისა და გოგილის; ჩვენაც დაგვიბრდა ათასისთავი, ნაიღგომევეს ჩვენც გამოგვიშობსო და ხენაში წავეშველებითო მამას.

თაეჩაქინდრული მიჰყვებოდა გაბრიელ გუთანს, მალიმალ გასცქეროდა ფარცხისის შარას, რომელიც პირდაპირ მოსჩანდა ამ ტაფობიდან.

ბინდბუნდი დაწყებულყო, როცა ცარგვალის კიდეს ჩრდილოეთისკენ ორი მხედარი გამოჩნდა, გოდერძი წინ მიუძლოდა ხარებს, მან პირველად მოჰკრა თვალი თავდამართში ამოსულ მხედრების ჩრდილებს და გახარებული ეუბნებამამას:

„ევკონებ მოდიან ჩვენები, მამო!“

თავი ასწია გაბრიელმა და ხედავს ორ მხედარს ორიც წამოეწია, კიდევ დააცქერდა და შენიშნა ცხენოსნები როდი იყვნენ ესენი, არამედ ჯოროსნები.

„მამო“-ყო შესძახა გულდაწყვეტილმა ხარებს და დაჰყვა თავდამართში უკვე გაკვლეულ კვალს. გუთნეული მიუახლოვდა თუ არა გზას, გაბრიელმა უბრძანა მძღოლს, თემშარაზე გადაეტარებინა ხუთივე უღელი, იგ უნდოდა, მოტყულებილ გზაზე კლერტებისაგან გაეშინდა გუთანა.

გოდერძიმ შეუძახა ხარებს და გზის გადაღმელ თბრილამდის მიიყვანა მეწინავე უღლისანი და აქ შეაჩერა გუთნეული.

ვიდრე გაბრიელ ხორგაი კლერტებს გააცლიდა გუთანს, ჯოროსნები ზედ მიადგნენ გუთნეულს. მათმა მეწინავემ, გრძელწვერა კაცმა, რა ნახა გადა-

ტიხრული იყო გზა, ათიოდე ნაბიჯზე შეაჩერა ჯორი.

როცა სამი დანარჩენი წამოეწიენ წვეროსანს, იგი მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს და უქმყოფილო ჯაჯღანნი შექქმნა თურქულად.

თურქულის ვაგონებაზე, გაბრიელმა ხელი უშვა სახნისს და გადასძახა გოდერძის:

„ნულა მოაბრუნებ ხარებს, ვნახოთ ვინ არიან ეს ჯოროსნები“.

გოდერძი ხარები შეაჩერა და მზერა ესროლა ახალმოსულთა წინამდგომს, რომელსაც ინიო შეღებილი წვერი სცემდა მკერდზე და ქართული კაბა ეცვა თავისთვრად ჯუბის ქვეშ. მისნი მსლებელიც ქართულ კაბა-ჯუბით იყვნენ მოართული და ქართულივე წაღები ეცვათ.

ამასობაში გრძელწვეროსანი მოხუცი შეეკითხა გაბრიელს:

სამშვილდის გზას თუ გვიჩვენებო?

გაბრიელს თურქული არ ესმოდა, თავის ვაჟს მიუბრუნდა „ერთი ხმა გაეც ამ კაცს“.

გოდერძის ეუცხოვა ეს კითხვა, რადგან იმ უამად თურქებს ეჭირათ სამშვილდე: მან კარგად იცოდა თურქული, მაგრამ პასუხი არ გასცა, რადგან ვაუკვირდა ქართული კაბა ჯუბით მორთულნი რად შეგვესიტყვენო თურქულად.

ნაცვლად პასუხისა, კითხვა შეაგება მოხუცს:

„გიურჯი ბილმერსან“ *

უსიამოდ დაიმანჭა კითხული და უარის ნიშნად გააქნია თავი.

გაბრიელმა ხელი შეუშვა ერქვანს, ღინჯად მიუახლოვდა წვერწითელას და გადასძახა გოდერძის:

სადაღრობა ჰკითხეო ბერიკაცს.

გაბრაზდა წვერწითელა, მაგრამ თავი შეიკავა და ნაძალადევი თავაზიანობით უთხრა გოდერძის:

„თუ სამშვილდეს გზას გეასწავლავთ, ხომ კარგი, თორემ რამდენი ცუდი შეგე გზაზე შეგვეყრება, ყველგან მისივე ცუდობით ვინა ვართ და საითკენ მივალთ, მოყვარევ“.

გაბრიელმა ჯორის სადავეს ხელი წაივლო და ეუბნება თავის ვაჟს:

„გადაუთარგმნე მაგ ბებერს, არც ეგ გზაა თქო თქვენი და არც თუ ჩვენა ვართო თქვენი მოყვარე“.

ვაფიცბდა წვერწითელა და უყვირა გაბრიელს:

ხელი უშვიო სადავეს.

გაბრიელი წინ გადაუდგა, მაგრამ ამასობაში წვერწითელამ დეზი ჰკრა ჯორს, ცხოველი შეკუნტრუშდა, გაბრიელს სადავე გაეცალა ხელიდან, მაგრამ ხარებს გადატიხრული ჰქონდა თემშარა და ჯორიც გაუოჩნდა პატრონს.

ამასობაში გაბრიელი მიეჭრა მოხუცს: ჯორიდან ჩამოდიო, უყვილა.

წვერწითელა ჩამოიწია ძირს და სილა გააბრტყა გაბრიელს.

გაცხარებული მიეპარდა გაბრიელი, ხურკინივით ჩამოიღო ჯოროსანი ძირს.

ვიდრე გოდერძი მოასწრებდა, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი გადმოხტა ჯორიდან და მზრის თავზე იატაკანი დასცა გაბრიელს.

მოეპარდა გოდერძი, იატაკანი წაართვა უცხოს, წამოაქცია და ყელში წაუჭირა ხელი. ახლა ორი დანარჩენი გადმოხტნენ ჯორებიდან და მათრახები დაუშინეს მამაშვილს.

გაბრიელი ტყავკაბამ დაიფარა იატაკანისგან. თუმცა გრძნობდა სისხლის დენას, მაინც მუშტებით იგერიებდა უცხოთა.

ხელები შეუკრა წვერწითელას, ასე რომ ბერიკაცმა ველარ მოიხმარა ჯუბის ქვეშ დამალული ხმალი.

გოდერძი, იატაკანი რა ხელში მოიგდო, დაერია წვერწითელას მსლებლებს.

ამასობაში მოცივდნენ გაბრიელ ხორგაის ბიძათაშვილები, სასტიკად

* ქართული არ იყო?

სცემეს მოძალადეთა, თოკებით შეკო-
ქეს და გზის პირად დაყარეს ისინი.

გოდერძი მოაბტა წვერწითელას
ჯორს და ხულუსტის ციხეში, ქარიზან
სეტიელთან გაექანა, ქენებით.

ტყვეები გატვირთულნი იყვნენ თემ-
შარის მტვერში და ხმა აბრ იღებდნენ
არც მათი ვინაობის, არც სადაურობის
გამო.



შტორა მორკნეველი და მახარაი და-
წყონებლივ განდნენ ხულუსტის ცი-
ხეში.

მთელ კვირას ვასტანა ქართულად
შორთულ უცხოთა დაკითხვამ. ვერც
სიმშლით, ვერც ტაჯგანაგების ცემით,
ვერც მოპირულ ხმლებზე გადახტუნე-
ბის მუჭარით, ვერ ათქმევინეს მათ, თუ
ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ, ან რა
საქმისთვის მიემგზავრებოდნენ სამ-
შვილდეში.

ბოლოს ქარიზან სეტიელს მართლაც
შზად ჰქონდა მოპირული ხმლები, მაგ-
რამ არა ჰქნა მორკნეველმა შტორამ,
დაიხოცებთან და საიდუმლოს თან ჩაი-
ტანენო საფლავში.

ერთადერთი, რისი გამოძალავაც მო-
ახერხა ქარიზან სეტიელმა, ეს იყო ოთ-
ხივემ ცალცალკე განაცხადეს: ჩვენ
თუმცა თურქულის მტეი სხვა ენა არ
ვიცით, მაგრამ თურქნი არა ვართო.

ბოლოს იქვე აღძრა მორკნეველს,
ვინ იცის, ეგებ ალანები იყვნენო.

მაშინ ბრძანა მორკნეველმა: ღორის
ხორცი მიძალეთო.

მიუტანეს ღორის ხორცი ტყვეებს,
ახლოს არ მიეკარნენ საქმელს.

ცალიერ ხშიადა სუამდნენ, ისევ მი-
უტანდნენ ღორის ხორცისაგან გაკეთე-
ბულ კერძს, დაყნოსავდნენ და განზე
გადადგამდნენ.

განხრეკის ღრის ორ კაცს არ აღ-
მოაჩნდა იატაგანი.

მახარამ ჩამორთმეული იატაგანი და-
ათვალღერა, ირანული აღმთქნა
ხმალი მოიკითხა. იგუ ჩულუსტის
ხისთავს შეენახა თავისთვის. ბოლოს,
როგორც იყო მოუტანეს იგიცა.

ამ ხმალზე ორი მშვილდოსანი იყო
ოდნავ შესამჩნევად გამოხატული, ერ-
თიერთისადმი ზურგმუქეკული, ხოლო
შუა წელში ხაზადამჩენილი მგელი.

მახარაი იარაღის მცნობი იყო ჩინე-
ბული.

თვალი დაადვა ამ ხმალს.

მორკნეველი შეეკითხა ქოსას:

„რაო, ზომ არ გეცნაურა ეს ხმალი?“

„თუ არა ვცდები, ეს ის ხმალია, რო-
მელიც ტულრილ-ბეგმა აჩუქა მას ეამსა
შინა ლიპარიტ დიდს.“

კვლავ დააშტერდა ხმალს და ეუბ-
ნება ქარიზანსა და შტორას:

„აჰა, ქაბუჯნო ჩემნო, ფარცხისიდან
ზომ არ გაგპარვით ეს უცნობნი
თქვენ?“

უკანასკნელ კვირას ისინი ნაქარმა-
გეეს ჰყავდა წარგზავნილი მეფეს და
არც კი იცოდნენ, თუ ვინმე გაიპარა იმ
დღეებში ფარცხისის ციხიდან.

მორკნეველის თავში ახალი აზრი გა-
ნათდა:

„ახლავე აქ მომგვარეთ ბერი მი-
ქელაი“.

ამოათრიეს დილეგიდან მიქელაი.

დაშინებული ბერი მინდერის თავვი-
ვით აცეცებდა თვალებს.

მახარამ თაროდან გადმოიღო ხმალი,
ზედ ცხვირთან მოუტანა და ეუბნება:

„აჰა, თუ იცნო ეგ ხმალი, ბერო?“

ბერი ჯერ სდუმდა, დაკვირვებით
დააქებრდა მას. შეცუფნდა, მაგრამ და-
დუმდა.

„ტაჯგანაგები ზომ არ მოგნატრებია
ამ ნაადღგომევეს, ბერო, ახლავე უნდა
სთქვა, ვისია ეგ ხმალი?“

ეუბნება წარბმეყრილი მორკნეველი.

„ეგ ხმალი ლიპარიტ დიდის დამასკუ-
რი ხმალია, ვგონებ“.

„ქარგი და პატიოსანი, სთქვა მორკნეველმა, თუ სადმე გინახავს ეგ ხმალი ოდესმე“.

ბერი მცირე ხანს სდუმდა და როცა მორკნეველი კვლავ მოიღუშა, ყოყმანით სთქვა:

„ეგ ხმალი ფარცხისში ჰქონდა რატის“.

„შენ როგორ გგონია, ხომ არაღისთვის უჩუქნია ეგ ხმალი რატის?“

ეკითხება მორკნეველი.

ბერი კვლავ შეყოყმანდა და ბოლოს სთქვა:

„ეგ ხმალი აჩუქა რატიმ, თუ არ ვცდები, ჰამადანელ ყადის, მუსტაფა ბენ ისმაილს“.

„სად არის ახლა ის კაცი?“

ეკითხება მახარა.

„ფარცხისში“.

სთქვა მიქელაიმ.

„დანამდელებით იცი?“

შეეკითხა მორკნეველი.

„ყოველ შემთხვევაში მე იქ დაეტოვე და უფალს უკეთ ეცოდინება“.

მორკნეველმა ციხისთავი იხმო, უბრძანა:

აქ მომგვარეთო ის წვერწითელა ბებერი.

როცა მოხუცი შემოიყვანეს, ბერი შეცდუნდა, მოხუცმა აინუნში არ ჩააგდო მისი სიახლოვე, აპარბალებდა თავის მწითურ წამწამებს და მღუპარედ დასჩერებოდა იატაკს.

მორკნეველმა ხმალი მიაშვირა წვერწითელა მოხუცს და ეკითხება მიქელაის:

„ვინ არის ეგ ბერიკაცი ბერო?“

მიქელაიმ კიდევ შეხედა მას და ყოყმანით სთქვა:

„თვალი თუ არა მატყუებს, ჰამადანელი ყადი, მუსტაფა ბენ ისმაილი“.

„რას აკეთებდა იგი ფარცხისში?“

შეეკითხა მახარა.

„რატისთან სტუმრობდა“.

ბიუგო მიქელაიმ.

მორკნეველმა უბრძანა მას:

„ახლა წადი და დანარჩენი დღეებს ხვალ გიხმობთ, ბერო“.

მიქელაი გაიყვანეს და მუსტაფა ბენ ისმაილი ტიელი ეუბნება ყადის:

„ახლა ხომ ნათელია ყოველივე, აწი მაინც უნდა გვიამბო, ბერიკაცო, რაც იცი“.

ხომ აგრე თრთოდა მუსტაფა ბენ ისმაილ დავით მეფის სპათა წინაშე, მაგრამ როგორც კი ტყვედ ჩაეარდა, განსაცვიფრებელი ვეაყაცობა გამოიჩინა.

იგი ხმის გაუღებლად ითმენდა ტაჯვანავებით ცემას, მაშინ როცა მისი მხლებლები დასაკლავ ხარასავით ბლაოდნენ, არ უშინდებოდა არაფითარ მუქარას.

ახლაც ქედმაღლურად განუცხადა ახნაურ მორკნეველს:

„გინდ მოპირულ ხმლებზე გადამაბტუნეთ, გინდ ტაჯვანავებით მცემეთ, გინდ ორი ცხენი შემაბით მკლავებზე და შუაში გამბლიჩეთ, ისე როგორც თქვენ ეს გჩვევიათ გაურჯებს, თუნდაც ერთ სიტყვასაც ვერ დამაცდევინებთ ალაჰის შეურაცხყოფელს რადგან ალაჰ ყოველის შემწყალება და ყოველისმხილველი და იგი უმზერს წამებას ჩემსას თვალნათლივ. ვერც ჩემი სულტნის აუგს დამაცდევინებთ, იცოდეთ, რადგან ერთგულების ფიცით ვარ ბერიკაცი შეკრული.“

სხვას დანარჩენს, რაც კი რამ ვიცი, ყოველივეს წვრილად მოგახსენებთ მიუშპირებლად“.

მორკნეველს მოეწონა ბერიკაცის ესოდენი სიმტკიცე, დაუყვავა ტყვეს და ეუბნება თურქულად:

„ჩვენს მეფეს არ ესაპიროება არც თქვენი შჯულის ძაგება და არც აუგი თქვენი სულტნისა, მხოლოდ ეს გვამცნე პირუთენელად, თუ რა ხდება ამჟამად სელჯუკიანთ სასულტანოშა. ამ თავიდანვე იცოდე ოღონდ: ყალბი ჩვენებისათვის პასუხს მოგთხოვთ უთუოდ“.

მუსტაფა ბენ ისმაილმა თავმოდრეკილად მოისმინა ეს ყოველივე. როცა იგი გაიყვანეს, აზნაურმა მორკნეველმა ბრძანა:

დამასკური ხმალი დაებრუნებინათ ყადისთვის და ამიერიდან ღორის ზორცის ნაცვლად, ცხერის ქარისა ექმით მისთვის.

IX

ჰადი მუსტაფას შემოღობანი

მორკნეველმა შტორამ და მახარამ მეორე დღესავე მოახსენეს მეფეს ჰამადანელი ყადის შეპყრობის ამბავი. მეფემ ბრძანა გამოეკითხათ მისთვის სელჯუკიანთა სასულტანოს ვითარებანი.

მესამე დღეს ჩუხჩებმა ამოიყვანეს დილეგიდან ყადი მუსტაფა ბენ ისმაილ, ხელუტის ციხისთვის სამყოფელოში მიჰგვარეს მორკნეველს.

მორკნეველი:

„ყადი მუსტაფა, ჩვენს მეფეს მრავალგვარი ცნობები მოზღის სასულტანოში მყოფ თავის სარწმუნო კაცთაგან, ჩვენ გვინდა შემოწმება მათ მიერ ნაუწყებისა, ამიტომ შეუფარველად უნდა ვეიამბო, რაც მანდ მოხდა მეჯიდ ალ-მულკის მოკვდინების შემდეგ. იცოდე, ჩვენების გამარუღებისთვის პასუხს გავებინებთ“.

ყადი მუსტაფა ბენ ისმაილ:

„მე ყოველივეს მოგიხრობთ, რაც ვიცი და რაც გამოიგონია, სხვა უკეთესად ალლამს ეცოდინება გულმეცნიერსა და ყოვლის მცოდნეს.“

„როგორც კი მოჰკლეს მუეიდ ალ-მულკი, ამირებმა შეუთვალეს სულტან ბარქიაროკს:

„შენ ქალაქ რეის წაბრძანდი სპიანად, ჩვენ ლაშქარს წარუძღვლებით და

შენი ძმის, მოჰამედის მიერ ატეხილ ამბოხს ბოლოს მოვეუღებო“.

სულტანი შეყოყმანდამს ლაშქარს მგერამ ბოლოს მაინც აიყოლია თავისი ღედა ზობეიდა ხათუნ და სპიანად გაემართა რეისკენ.

არ ვიცი ასასინებმა, ან სხვა უშჯულოებმა ლაშქარი აუჯანყეს გზად მომავალს სულტანს, დამით გაძარცვეს სულტანისა და მისი სერანგების კარგები. ზობეიდა ხათუნ შეერთა, თავი აარიდა აღრზაურსა და რეის მიამურა მცირე ამალითურთ.

როცა ბარქიაროკმა მიიღწია რეის მისადგომებს, აქ მას მოერთვნენ ამირთა ამირა ინალ ბენ ანუშტეკინ და იზზ ალ-მულკ, ნიზამ ალ-მულკისა და ბაგრატ აფხაზთა მეფის ასულის ვაჟი, რომელსაც დიდძალი ლაშქარი თან ახლდა“.

მ ა ხ ა რ ა :

„შენ გეშლება ყადი მუსტაფა, ეს ქალი დისწული იყო მამი ჩემისა და არა ასული მისი!“

ყადი მუსტაფა.

„ეგ ჩემთვის სულ ერთია, უფალო, ვინც უნდა იყოს ეგ დიაცი“. ესა სთქვა ყადიმ და დადუმდა.

მორკნეველი:

„განაგრძე, განაგრძე, ყადი მუსტაფა“.

ყადი მუსტაფა.

„ამცნეს თუ არა სულტან ბარქიაროკს, მოჰამედი მოდისო სპიანად, შებრძოლება არ მოიწადინა, რადგან შეუძლოდ იყო თავათ, და ისპაჰანისკენ მიმავალ გზას დაადგა.“

ისპაჰანში მეტ წილად მოჰამედის შემხრენი იყვნენ, ამიტომაც მათ ციხეთა კარები დახშეს და არ შეუშვეს სულტანი ქალაქში.

ბარქიაროკი ხუზისტანისკენ გაემართა სპიანად.

თვესა გულკადეს, დღე არ მახსოვს დანამღვილებით, მოჰამედი და მისი ვაზირი მეჯიდ ალ-მულკი დაეუფლნენ

რეის; აქ მათ დაუხვდათ ზობეიდა ხათუნ.

თქვენ ალბათ გეცოდინებათ, მეჯიდ ალ-მულკი ბარქიაროკის პირველი ვაზირი იყო და სწორედ ზობეიდა ხათუნის შთავაზნებით გადააყენა სულტანმა იგი.

ამიტომაც შური იძია მეჯიდ ალ-მულკმა და საკუთარი მშვილდის საბე-ლით მოაშთო იგი.

ამირთა ამირა საად ედდაულაჰ აინ ბარქიაროკის მტერი იყო, მან განაზრახა ამირები: ქერბოგა, ჯეყერშიშ, ზორაჰ და კენგავერ. ესენი ეახლნენ მოჰამედს და ერთგულება შეჰფიცეს.

ხსენებული ამირების სახელით ბაღდადს წავიდა საად ედდაულაჰ აინ და მოჰამედი შეავედრა ხალიფა ალ-მოსტაღლირს.

მართლაც თევსა ზულპიჯეს, დღესა მეჩვიდმეტეს, ხალიფამ ხუტბა აღაველინა მოჰამედის სახელზე.

ამასობაში ბარქიაროკის ჯანმრთელობა გამოიჯობინდა, იგი ხუზისტანში შეიჭრა სპიანად. ვზადაგზა მას მოერთვნენ დიდ დიდნი ამირნი. ხოლო განდგომილნი ქალაქ ვიკიტში გამაგრდნენ.

შიადგა თუ არა ციხეს ბარქიაროკი და მისი სარდალი, ამირთა ამირა ინალი, ქალაქის უბუცესნი და მოჰამედის მემხრე ამირები გაიქცნენ, ბარქიაროკმა უგრძნეულოდ აიღო ციხე, თავის მტრებს სასახლეები გადაუბუგა, მათი ცოლშვილი დაატყვევა და მძიმედ დაბევრა ქალაქი.

ასასინები და სხვა მწველებლები მოედნებზე თავს ესხმოდნენ ბარქიაროკსა და მის ამირებს, მაგრამ ალლაჰს თანადგომის მეოხებით, უვნებლად გადაგვირჩა სულტანი.

მოედნებზე გამოიყვანეს ასასინებისა და სხვა მემამოხეთა თავკაცები, ზოგი ძელზე გასვეს, სხვანი საკუთარი ცხენების ძუას მიიბეს და ასე ათრიეს ქუჩებში.

ერთი კვირის შემდეგ ბარქიაროკმა აჰყარა ლაშქარი და ბაღდადს წავიდა.

ხალიფა შეჰკრთა და თავისი ვაზირი ბაღდადის ანიდ * შიაგება სულტანს ბაღდადიდან რამდენიმე ფარასანგის მანძილზე.

დაფრთხა ბარქიაროკის მტერი—დიდი ამირი საად ედდაულაჰ აინ, ბაღდადიდან გაიპარა დამით და მოიხზო: ნეჯამ ალ-დინ ილლაზი ძე ორტოკისა, და სხვა ამირები, რომელთაც ბარქიაროკი სძულდათ, თათბირი გამართეს და შეუთვალეს მოჰამედსა და მეჯიდ ალ-მულკს: დაუყოვნებლივ მოგვეშველენით და საერთო ძალით მოვაშთოთო ბარქიაროკი.

ბაღდადს სალაშქროდ წასვლა ვერ გაბედეს მოჰამედმა და მეჯიდ ალ-მულკმა, ნაცელად ამისა, ათაბაგი ქერბოგა და ამირ ჯეყერშიშ გამოგზავნეს სპიანად.

ამის გამო გაანჩხლდნენ მოჰამედის მემხრე ამირები და მოციქულებით მიუგზავნეს სულტან ბარქიაროკს იღუმალ და ამანი სთხოვეს.

ბარქიაროკმა ამანი შემოუთვალა განდგომილ ამირებს და ბოლოს თავათ მივიდა მათ ბანაკში.

დაინახეს თუ არა სულტანი, ამირები ჩამობტნენ ცხენებიდან, განერთხნენ მის ფერხით და ეამბორენ მიწას*.

მორკნეველი

„ახლა ეგ გეამცნე, ყალი მუსტაფა: რა ბედი ეწვია ხალიფას ვაზირს, ბაღდადის ამიდს?“

ყალი მუსტაფა:

„ბარქიაროკმა თავდაპირველად დაატყვევა ამიდ, მაგრამ ვანრისხდა ხალიფა ალ-მოსტაღლირ და მუქარა შეუთვალა სულტანს. ბოლოს ბარქიაროკი მოლბა, ას სამოცი ათასი ღირჰემი მოსთხოვა თავის დასახსნელად ვაზირს,

* ამიდ — ქალაქის მოურავი.

ხალიფამ იყისრა ამ თანხის გადახდა და საპატიო ხალათიც უბოძა სულტანს.

თვესა ჯუმადას, ბარქიაროკი ბაღდადიდან გავიდა სპიანად და შერიზური-საკენ გაემართა. აქ მას მოერთნენ დიდ დიდნი ამირნი, თურქომანთა აურაცხელ ლაშქრითურთ.

ჰამადანელ ქალაქის უხუცესებმა მორჩილების წიგნი გაუგზავნეს ბარქიაროკს, შესთხოვეს გვიცმე და მოჰამედის მემზრეთა საამირონიც ჩაიბარეო, მაგრამ ბარქიაროკმა პასუხიც არ გასცა მათ და განაგრძო გზა.

მ ა ხ ა რ ა

„ეს ამბავი ჩვენ თავის დროზე გვაუწყეს, ყადი მუსტაფა, ახლა შენ ეს გვამცნე: სად და როდის შეიბნენ ბარქიაროკი და ძმა მისი მოჰამედი?“

ყ ა დ ი მ უ ს ტ ა ფ ა

„მე ჰამადანში არა ეყოფილვარ იმ ემამზე, მაგრამ როგორც ისპაჰანში გადმომცეს, ეს მოხდა თვესა რეჯებს, დღესა მეოთხეს, მდინარეს სპიდრუდის ნაპირას. ეს ადგილი მდებარეობს ჰამადანიდან სამი ფარასანგის მანძილზე.“

მ ა ხ ა რ ა

„ამ ომში მოჰამედი თუ სარდლობდა თავით?“

ყ ა დ ი მ უ ს ტ ა ფ ა:

„ლაშქრის გულს სარდლობდნენ მოჰამედი და ამირ სერამეზი. მარჯვენა ფრთას ამირ-ახორი და ეაცი მისი აიზ, ხოლო მარცხენას მეჯიდ ალ-მულეკი.

სულტან ბარქიაროკი შეუძლოდ იყო, მაგრამ მიინც იყისრა ლაშქრის გულის გაძლოლა, მას თან ახლდა თავისი ვაზირ ელააზ. ბარქიაროკის ლაშქრის მარჯვენა ფრთას უსარდლეს საად ედლაულაპ აინ, ამირ სადაყას ეაცი—იზ ედლაულაპ და ამირ ზორკაბი, ხოლო მარცხენა ფრთას ლაშქრისას — ათაბაგი ქერბოგა.

საად ედლაულაპ აინ ბრძოლია დაწყებისთანავე ეძვერა მოჰამედის მარჯვენის მარცხენა ფრთას და დაეცა იგი. ამასობაში მოჰამედის ჯარის მარჯვენა ფრთამ უკან დაახევინა ბარქიაროკის ჯარის მარცხენას.

უკუაქცია თუ არა იგი, ახლა ბარქიაროკის ლაშქრის გულს მიადგა, სულტანმა უკან დაახევინა ჯარის და მოიშალა გული ლაშქრისა.

საად ედლაულაპ აინ, მალიქ-შაპ სულტნის მრავალ ნაცადი სარდალი იყო, აინ თან ახლდა მალიქ-შაპს, როცა იგი სომხეთსა და საქართველოს ლაშქრავდა.

არ შეერთა საად ედლაულაპ აინ და განაგრძო მოჰამედის მარცხენა ფრთის დევნა, მაგრამ ცხენი გამოუკლეს, მიწაზე დაეცა თუ არა იგი, მყისვე მიეჭრა მას ხორასნელ მონათაგანი ერთი, თავი მოსჭრა აინს და მიართვა მოჰამედს.

ბარქიაროკის ვაზირი ელააზ ტყვედ ჩაეარდა, ლაშქარი საცხებით გაიფანტა. მეჯიდ ალ-მულეკმა დიდის პატივით მიიღო ელააზ, ბაღდადის ამიდის წოდება და საპატიო ხალათი უბოძა მოჰამედმა მას. სამავთეროდ მეჯიდ ალ-მულეკმა, უჩრია ელააზს, ხალიფას ხლებოდა და ეთხოვა მისთვის მოჰამედის სახელზე ლოცვის წარმოთქმა.

ალ-მოსტაღპირმა „შეიწყნარა“ ამ მოლაღატე ვაზირის აჯა და თვესა რეჯებს, ხუტბა აღაეკლინა მოჰამედის სახელზე ბაღდადში.

ესა სთქვა ყადიმ, ორივე ხელი საფეთქლებზე შემოიწყყო და დადუმდა.

მ ა ხ ა რ ა:

„კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს გვამცნე: რა იქნა სულტან ბარქიაროკი?“

ყ ა დ ი მ უ ს ტ ა ფ ა

„როგორც ცნობილია, შეუღრეველი ეაკაცია სულტან ბარქიაროკი, იმ დამეს, ასიოდე ცხენოსნის ამარა სადლატ უკაცრიელ შამზნარებში გაათია ღამე, მაგრამ არ იკითხავთ როგორი?“

* ისპიდ რუდი — თეთრი წყარო.

იგიც გსმენიათ ალბათ, კაცთა ხორცის ძოყვაოულნი არიან ლომები, თუ სადმე ომი გაიძართა, ისინი შორიან-ლოდან დადარაჯებულნი არიან, შელაძდება თუ არა, გაბოვლენ და დაესევიან ბრძოლის ველზე დარჩენილთ.

იმ ლამეს ისე დაქანცულნი იყვნენ ბარქიაროკი მხედრები, ცხენები გაუშვეს მოუვლელად ტრამალზე, ნაშუადაცვს შამხნარში მძინარე მეომრებს მოეპრნენ ცხენები, ეს თავათ მიამბოვრთმა ამირმა, ბარქიაროკის მემხრემ.

შემზარავეი ჭიხვინით მოეარდნენ თურმე დაფეთებული ცხენები, ზოგმათგანს ზურგზე ასხდნენ ლომები, როცა ცხენების ჭიხვინისა და ლომების ღრიალისაგან გამოეღვიძათ მეომრებს და ნახეს ცხენებზე აღმხედრებული ლომები მოჰქროდნენ, ამ შამხნარში მათეც, მრავალ მეომარს თმები გათეთრებია შიშისგან თურე.

მეორე დღეს სულტან ბარქიაროკი გაემართა რეისკენ და აქ მოაგროვა ნიშაბურის, ტაბარისტანის, ხორასნის, ჯორჯანის საამიროთა ლაშქარი.

მანდვე ეახლა სულტანს ამირ დაძი, ოცი ათასი მონასპითურთ.

მერმე ის იყო, ახალი ომი გადაიხადა ენუშჯანში.

მორკნეველი:

„ენუშჯანთან გენა მოჰამედს შეება ბარქიაროკი?“

ყადი მუსტაფა

„არა, თავის უმცროს ძმას, სინჯარს.“

მახარა

„ერთი ეს მითხარი, ყადი მუსტაფა, მოჰამედი და სინჯარი ღვიძლი ძმებია ბარქიაროკისა?“

ყადი მუსტაფა

„არა, ესენი დედით ერთნი არიან, ნახევარ ძმანი მისნი.“

მორკნეველი

„როგორც ჩვენ გვამცნეს, სინჯარს გაუმარჯუნია ამ ბრძოლაში, არა?“

ყადი მუსტაფა აენტო, ათუხთუხდა და იყვირა:

„ეგ არაა სწორი ალლაჰმ უკეთ უწყის, აგრე არ არის ეგჟერციენული მართალია, ენუშჯანთან სინჯარს სხაჰ ჰყავდა სინჯარს, მაგრამ მანდ მოხდა ასეთი რამ:

აქაც ბარქიაროკი თავათ სარდლობდა გულის თავის ლაშქრისას, ხოლო სინჯარისას—ამირ რუსტემი.

ბარქიაროკმა ხმალი გააშისველა და ყიფინით წინ გაუძღვა შუბოსნებს, ლანდის გაეღვების უსწრაფესად მიეჭრა ამირ რუსტემს და შუბით განგმირა იგი.

ამირ რუსტემი უძლეველად იყო ცნობილი, სინჯარის მონასპათ რა დაინახეს, თუ როგორ მიათრევედა მის ცხედარს ცხენი, მთელი ლაშქარი ბრძოლის ველიდან გაიქცა და მახლობელ მდინარეში გადაცვივდნენ ცხენოსნები უფონოდ.

ბარქიაროკს ტყვედ ჩაუვარდა მოჰამედისა და სინჯარის დედა:

დაფრთხა დიაცი, ბარქიაროკმა დაუყვავა:

„ნუ გეშინია, დედაკაცო, შენ ზომ დედა ჩემის ტოლი არა ხარ, რომ მოგკლა, მისწერე შენ ვაჟს სინჯარს, ჩემი ტყვეები დამიბრუნოს და შინ გაგიშვებო.“

როცა ყადი მუსტაფამ მოათავა ამ ამბის თხრობა მორკნეველი და მახარა სდუმდნენ მცირე ხანს, მახარას ეწადა კიდევ გამოეცითხა ზოგი რამ ამ ამბების გამო, მისთვის, მაგრამ ყადიმ დაასწრო და თქვა:

„აგრე უძლეველია ჩვენი სულტანი და სელჯუკიანთა ნათესავი. ალლაჰ ყოველთა შემწყვალე, თავის თანადგობას არ მოგვავლებს არასდროს. ალლაჰ მფარველობს ჩვენს დიდსა და უძლეველ სულტანს და ამიტომაც მას ვერას დააკლებენ ვერც ძმები და ველარც მტრები.“

მახარამ ერთხელ დაახველა.

ყადიმ თვალები დასკეცია და განაგრძო:

„დიხ, აგრეა, დიღია და უძლეველი ალღა.“

და ამ ხმელეთის პირზე რაც ხეებია, სულ ყველა კალმუბად რომ იქცნენ, და რაც ზღვებია ამ ქვეყნად, ყველა რომ იქცეს მელნად, ალღის დიდებას მაინც ვერ აღწერდა ვერაფერს.

მხოლოდ თქვენ, ურჯულნი, ვეღარა ხედავთ, ალღას ბრძანებით რომ მოსდევს დღე ღამეს, მზე და მთოვარე მის სამსახურში რომ არიან ჩამდგარნი, ალღამ ეგიც იცის რაც ზღვათა უფსკრულში მიჩქმალულია, ან რა ბედი აქვთ ორსულ დიაცთა საშოში მთელემარე ბაღლებს, მან იგიც უწყის, ვინ სად უნდა გაიმარჯვოს, ან სად დაშარცხდეს, ან ვის სად უწიოს სიკვდილმა, რადგან ალღამ ყოველთა შემწყალება და გულმეცნიერი ყოველთა ხალხთა და ყოველთა კაცთა.

და იგიც ჩვენს ქითაბშია დაწერილი, პირუტყვზე ვარესნი რომ არიან ის ხალხები, რომელთაც ალღას ძალმოხილება არა სწამთ“.

მახარამ შენიშნა, ექსტაზში შესული ყალი უფრო და უფრო უმატებდა ხმას, ამიტომაც რამდენჯერმე ჩაახველა განზრახ, ხმის ამოღებას არ აპირებდა, რათა დაეცლია, კიდევ რას იტყოდა ეს გააყვებული ყალი.

ყ ა ღ ი მ უ ს ტ ა ფ ა :

„ამიტომაც შეუმუსერელნი ვართ ჩვენ, მორწმუნენი, თურქნი, მე ზომ ერთი კაცი ვარ, ერთადერთი მორწმუნე თქვენს შორის, თქვენი ტყვე ვარ, მაგრამ არა ერთი სიკვდილის წინაშე, რადგან ჩვენს ყოვანში აგრე სწერია: „ურწმუნოთ აგრე შესძახეთ მუღამ: „ქეშმაროტად დიღია ალღაჰის სიძულელი ურწმუნოთა მიმართ“.

ალღამ მოგვაკუთვნა ჩვენ მთელი სამყარო რათა ყველგან გავშალოთ ჩვენი კარებები. ეს მიწა ალღამ მიანიჭა საილალოდ ჩვენს ცხერებს, ველები საჯიბითოდ — ჩვენს ცხენებს, ზოლო ურწმუნოთა ეკლესიები, სინაგოგები და

სხვა მისთანანი ჩვენი ჯორების, აქლემებისა და სახედრების საჯიბითოდ კუთვნილია ალღაჰის მიერ, რადგან ალღამ არის მთელი სამყაროს თავისთავადი მეთუფე.

მახარას ქავილი ატუცდა იგი ჯერ აღტაცებული იფხანდა თავისი ინიით შეღებილი ფრჩხილებით ნიკაჰს, მერამ გესლიანი ღიმილით შენიშნა ყალის:

„ჰო, მაგრამ ახლა ერთი მიბრძანე, ყალი მუსტაფა, ვის თქვენ?“

ყ ა ღ ი მ უ ს ტ ა ფ ა

„ჩვენ, თურქებს, ალღას შეაბჯრეთა და მეგზმლეთ“.

მ ა ხ ა რ ა

„აჰა, მაშ თქვენა აგრე ფიქრობთ, რომ თქვენ მოგანიჭათ ალღამ ჩვენი ქვეყანაც, არა?“

რათათ ვითომ?“

ყ ა ღ ი მ უ ს ტ ა ფ ა :

„რათა და კაცკასიაში სამივე ხმელეთის ჰავაა, ერთიერთთან შეზავებული, ველთა სიტფო, მათათა სივრილე მწვანელოვანი ტაფობები საილალოდ და ჩინებული მთის წყაროები, ჩვენი ფარებისა და ჯოგებისათვის, ერთი სიტყვით, ყოველივე რაც ჩვენ ცხენებსა და ცხერებს ესაჭიროება“.

მ ა ხ ა რ ა :

„ოჰო, ეგებ ჩვენც გვესაჭიროებოდეს ებ ყოველივე?“

ყ ა ღ ი მ უ ს ტ ა ფ ა :

„ჰმ, რა ვუყოთ მერამ, ერთი რომ თქვენ ურწმუნონი ხართ და მცირედნი, ჩვენ კი მორწმუნენი და ბევრზე ბევრნი, მე ვიტყვოდი, აურაცხელნი.

იმდენი მონასპა, რაც თქვენ დაეთ მუფეს დღესა ჰყავს თავის ციხეებში, ერთ ომში გაუწყვეტია ჩვენს დიდ სულტანს ბარქიაროკს, ალღამ იყოს მისი თანამდგომი.

იმიტომ, რომ ჩვენ ბევრზე ბევრი ვართ და ალღამ ზომ ბევრზე ბევრის ღმერთთა და სიმაართლეც ბევრის მხარეზეა, გესმით?“



ეს უკანასკნელი სიტყვები თითქმის ყვირილით წარმოსთქვა ყადიმ.

მ ა ხ ა რ ა (დიდხანს იოკებდა მღელვარებას, ამის გაგონებისას ნიკაპის ფხანა მიატოვა, წამოდგა, თავისი ქორული მზერა მიაშტერა ამ თმავაბურძვენილ, წვეწოთელა ბებერს და უყვილა):

„ყადი მუსტაფა, შენ კარგად იცნობ ბჭვენს ყორანს?“

ყ ა დ ი მ უ ს ტ ა ფ ა :

„ჰმ, მე თუ ყორანს არ ვიცნობ, მაშ რალა მცოდნია ამ ჭვეყნად?“

მ ა ხ ა რ ა :

„მაშ ეგ თუ აგრეა, ნუჭიყვეცდოქითერთმეტე სურა, თქვეშიცლორანში და მანდევა ნათქვამი: „მოზომე შენი ნაბიჯები და ხმა შენი, რამეთუ ყველაზე უსიამო ხმა სახედარსა აქვს“.

ყადი მუსტაფა გაფითრდა.

მორკნეველმა უბრძანა კარის ზღურბლთან გახევებულ ორ ჩუხჩს, ისევე დიღეგში ჩაეგდოთ ყადი, ხმალი ჩამოერთმიათ მისთვის და ამიერიდან ცხერის პარისას ნაცვლად ღორის ხორცის კერძი მიერთმიათ მისთვის.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრი

სიმღერა კომუნიზმისა

საქართველოს გოლშევიკების XIV ყრილობას

★

1

ბევრი სიმღერა არსებობს ქვეყნად
ხალხის გულიდან ამოფრენილი
და შემდეგ დროშად ცად ატანილი.
მსურდა დიდების სიმღერა მეთქვა,
პანგი, რომელსაც ჰქვია ლენინი,
პანგი, რომელსაც ჰქვია სტალინი.

ვით შეეძლო, როცა დიდებულ შენდა
სიმღერა ისმის მილიონ ხმათა,
ესოდენ ტკბილი და პანგმარაველი.
პარტიავ ჩემო, მზრუნველო დედავ,
შენს სადიდებელ სიმღერას ვებედავ,
ოქტომბრის ერთი შთამომავალი.

შენის მზრუნველი ხელით გაზრდილი
და შენს კალთაში გალაღებული,
დედის წინაშე წარვდგები ბავშვი,
შენს სადიდებლად ხელებგაწვდილი,
ოდნავ დარცხვენით ჩაფრქვებული
და მოკრძალებით სტრიქონებს გავშლი.

შენ, ვინც ქვეყნისთვის გმირულად სქედვ
სიპართლე, მშობა—მართლა კაცური,
ხალხი გახადე თვალახილული.
ვერ მოგერია შეუდრეკ კედელს
შავბედითი და ბნელი წარსული,
შენს სინათლეზე გალღვა ყინული.

შენ, ჩემთვის შექმენ გალაღებული
ცხოვრება ტკბილი მარად მზიანი,



საესე სიმართლით და ბრწყინვალეებით, —
მუდამ სინათლეს დახარბებული,
თავისუფლების გულისტრფიალი
სიცოცხლე მუდამ სათაყვანები.

ვბედავ და ვდგევარ დედის წინაშე.
სიმღერას ვიწყებ გულგაღვლილი,
კული ღვივდება ნალვერდალივით.
ნათელ მომავლის გზას გამინათებს
ჰანგი, რომელსაც ჰქვია ლენინი,
ჰანგი, რომელსაც ჰქვია სტალინი.

ბედნიერების ამ სიმღერაში
ხალხის ხმა მესმის და ცალ ვმალღებში
ახლის მშენებელ მამულთან ერთად!
მეც მისი შვილი აღალ გულს გავშლი,
ჩირაღდანივით ავბრიალღებში
მახარობელი ბედნიერ ღღეთა!

მე მზის მოოქერილ გუმბათებს ვხედავ,
სტალინის შექმნილ მზის ბრწყინვალეებას,
უფრო უკეთესს მომავალს, დიადს.
ვხედავ, რაც დიდმა პარტიამ სჰედა,
რასაც სიცოცხლე და ნეტარება,
მზე-კომუნისმის მწვერვალი ჰქვია!

2

ცხრაას ჩვიდმეტში ელვა-ქუხილით
გრიგალმა მტრები გააცამტვერა,
დალენა მეფის წყვეული ტახტი.
დიდი ოქტომბრის რევოლუციის
ხალხი მოვიდა ქვეყნის მმართველად,
თავისუფლების მოწამე გავხდით!

მაშინ ვიყავით ძუძუმწოვრები,
ტუჩზე რძე გვქონდა შეუშრობელი,
სიხარულის ხმა ყურში ჩაგვესმა.
ერა დაიწყო ახალ ცხოვრების
და გაახარა ჩვენი მშობელი
ლენინმა, კაცმა უღიადესმა.

მასთან იმედად, ნუგეშად ჩვენდა,
იდგა ფოლადი, სიმტკიცე ჩვენი,
მუხა მაგარი მშობლიურ მხარის.



ის ხალხს გაუძღვა ლენინთან ერთად,
რევოლუციის უბაღლო ბრძენი,
ჩვენთვის მამა და მტრისათვის—ზარი!

ორი შუქურა—სიმტკიცე ძმობის,
დამონებული ხალხების მხსნელი,
ორი ბელადი ხედავდა ერთად:
რომ ახლოს იყო მზე ჩაუქრობი,
რომ კომუნისმის მზის შუქი მწველი
შორიდან ჩვენსკენ სინათლეს პფენდა.

დროშა ელავდა თავისუფლების
თვალუწედენ ქვეყნის ცაზე გაშლილი,
სამშობლო გახდა მისი მხილველი.
უცებ გაიპო მუქი ღრუბლები,
დროშას დაეცა პირველი სხივი,
მზე-კომუნისმის სხივი-პირველი!

რა სიშორიდან მოჰქროდა იგი,
მისი სინათლით ნაწერი წიგნი,
ზნელეთს აპობდა ქვეყნის იმედად.
ის იყო დიდბი კარლ მარქსის ფიქრი,
ის იყო ფრიდრიხ ენგელსის ფიქრი,
დროშას ის სხივი აციმციმებდა!

ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტის ქარში,
ერა დაიწყო ახალ ცხოვრების,
რევოლუციის ჰქუხდნენ ტალღები.
ჩვენ პატარები ვიყავით მაშინ,
ვიყავით მართლა ძუძუმწოვრები,
რევოლუციის თოთო ბაღლები.

3

შენ რომ გვიმღერე მშობლიურ ხმაზე
ბაღლებს ჩაგვესმა აკვანში ტყბილად
ხმები უძლეველ ადამიანთა.
წყველიადს აღუდგა წინ სილამაზედ
რევოლუციის პირველი დილა,
თვალწინ ცხრაათვალა მზე აბრიალდა!

ჩვენ აკვანშივე ვგრძნობდით, გვესმოდა,
გამოღვიძება ბუნების ძალითა,
სუნთქვა და ფეთქვა სულ სხვანაირი.
ჩვენთვის გახადე ტყბილი ესოდენ
მშობელი მიწის უბაღლო კალთა
და გამჟვირვალე სუფთა ჰაერი.



პაერში მეტი გაჩნდა მეცებადი,
 სინათლე უხვი და გამჭვირვალე
 ოდნავ მსუბუქი და დაწმენდილი.
 მრავალნაირი ფერით ნახატი
 ყოველი დილა გახდა ბრწყინვალე
 მზე-კომუნისმის შუქით შექმნილი.

შენს თვალწინ გაეჩნდით ჩიტისტოლები,
 გამოღვიძება იწყო ვონებამ,
 ეგერძენით, სისხლის ჩქროლვა გამძაფრდა.
 თითქოს შეტოკდნენ ქუთუთოები,
 თვალებმა იწყეს გაფართოება,
 კვირტივით გახსნა იწყეს წამწამთა.

პირველი სიტყვა ბაგეებს მოსწყდა
 ღულუნის მსგავსი ბგერები ტკბილი,
 ღიმილად დარჩა ჩვენს ტუჩებზედა.
 ეს იყო შშობლის ძეძუთა კოცნა,
 ხმოვანთა ღბილი, მარცვალი წყვილი,
 ოთხი ბგერისგან შემდგარი:—დედა!

მას შემდეგ სიტყვა უბრწყინვალესი
 აღარ მოსცილდა ჩვენთა ბაგეთა,
 ჩვენს გულში თბილად მოიკალათა.
 და ჩვენც ვისურვეთ უპირველესად
 ამაყად გვეთქვა:—სამშობლო-დედა,
 ბაგეს მომწყდარი თავისთავადა.

შემდეგ აღიქვეს გულებმა ბაღთა
 ის, რაც გვხიბლავდა გულსჩანერგული,
 ის, რაც ჩვენს ყურში რეკდა ზარივით.
 ბედნიერების სიმბოლო გახდა:
 უსაყვარლესი სიტყვა:—ლენინი,
 უსაყვარლესი სიტყვა:—სტალინი!

4

იანერის დილით თოვლი მოვიდა,
 თოვლმა დაფარა მთები და ველი,
 თოვლმა ჩაზნიქა ხეთა რტოები.
 სანქართველოში გვესმა შორიდან
 ამბავი ხალხის გულისდამწყველი,
 ცრემლმა დანამა ქუთუთოები.



არა, არ დაგვევა გული მარტოდენ,
 შეკუმშა იგი მწველმა იარამ,
 შევერთით და თითქოს ყველა გავქვეავდით.
 ბავშვებს თვალები გაგვიფართოვდა,
 გაშწყდარმა სიმმა დაიწკრილა,
 ვწუხდით — ვერასდროს ველარ ვნახავდით.

არა, არ დარჩა ქვეყნად სულდგმული
 არ ეგრძნო მწვავე და ზარდამცემი,
 მზე-კაცის, ბრძენის, მხსნელის სიკვდილი.
 გულებს აღმოხდათ უცხო გუგუნი,
 მღუმარედ იღგნენ ქვეყნისკაცები
 მტაცედ შეკრულნი, როგორც ქვიტყირი.

მაშინ ლენინის მოწაფე დიდი,
 წამწამზე ოდნავ ცრემლშეყინული,
 ჩაფიქრებული, მწუხარე სახით.
 გაუტეხელი და მარად მშვიდი,
 ხალხის ქურაზე გამოპირული —
 რწმენა პარტიის, იმედი ხალხის

დადგა დროშასთან, ურყევად ისევ,
 როგორც მას ედგა ყოველთვის მხარში,
 უსაყვარლესი მოწაფე მისი.
 ხელებგაწვდელი ლენინის მზისკენ
 დადგა, გაისმა ხალხის წინ მაშინ
 მტაცე, ურყევი პარტიის ფიცი.

და შემქმნდროვდა პარტიის ძალა,
 სტალინთან დადგა მედგარი რაზმი,
 ლენინის რწმენით გულანთებული.
 ფოლადის ირგვლივ შემოირკალა
 ის, ვინც ცოცხლობდა ლენინის აზრით —
 ბოლშევიკების მტაცე კრებული.

ხალხის წინ დადგა მედროშე დიდი,
 დროშა ელავდა ცამდე გაშლილი,
 აფრიალებდა მის კალთას ქარი.
 დროშასთან იდგა სარდალი მშვიდი,
 დიდი პარტიის ერთგული შვილი,
 იგი, ვინც ახლა ლენინი არის.

5

ოცდაოთხს შემდეგ გავიდნენ წლები,
 ზორცი შეესხა ლენინურ მიზანს,
 ლენინის ბრძნული სიტყვა გამართლდა.



სტალინის საქმემ გაშალა ფრთები
და საძირკველი კომუნისტებისა
მშობლიურ ქვეყნის გულში გამაგრდა.

მტკიცე გამოდგა თვით საძირკველი,
თვითონ ბელადის ხელით ჩაყრილი,
გამძლე გამოდგა დულაბი მეტად,
ქვეყნად გამოჩნდნენ გასაკვირველი
ხარაჩოები ცაში აყრილნი,
ცაში აყრილნი საზღაპრო სვეტად.

რუკაზე გაჩნდა ბევრი წერტილი,
როგორც კენჭები მიმოზნეული —
ძარღვებით ერთურთს გადახლართული
ურთიერთ კავშირგაუწყვეტელი,
ახლის მშენებელ ხალხისეული,
დიდი გეგმის გულში ჩართული!

რუკაზე გაჩნდა ბევრი წერტილი,
ვუშინ უცნობი და დღეს ახალი,
მაგნიტოგორსკის რუხი ბეჭეტი.
სახეშეცვლილი უღელტეხილი,
მირად მქუხარე დნებრის კაშხალი
გადმოკიდული, როგორც გლექჩერი.

მზის დარბაზები ცას მიბჯენილი
გაჩნდნენ, გვეგონა მაშინ ზღაპარი,
ცხადში ახდომა ხალხის ოცნების.
და ყოველ ქვაში ჩანდა ლენინი,
ჩანდა სტალინის ხელი მაგარი —
ახალი ქვეყნის ხუროთმოძღვრების.

მაშინ ჩაეწერეთ შენების წლების,
დაბადების და საძირკველის ჩაყრის
დაუვიწყარი თარიღი დიდი.
ჩვენ მაშინ პირველ სიხარულს ეწერდით,
პირველ სიხარულს — მშობელი ხალხის
ბედნიერების ახალ გვერდს ვშლიდით!

ლენინის დროშამ, სტალინის დროშამ
უფრო ამაყად გაშალა ფრთები,
მეტი დაადგა თავზე ნათელი.
ეს იყო პირველ გიგანტთა მოსვლა,
სოციალიზმის პირველი წლების
ქვეყნის დიდების გამომხატველი.



6

შემდეგ მიწასთან დაგვეჭირდა ბრძოლა,
 რას გავაწყობდით მარტოდენ კავით,
 რას გავაწყობდით მარტოდენ ბარით!
 ალაგ გუთანი თითო-ოროლა,
 მისგან გაველილ პატარა კვალი
 რას დააკლებდა თვალუწედენ ყამირს?!
 .

რას გახდებოდა მარტო ღარიბი,
 რას გახდებოდა მარტო მარჯვენით,
 მობერებული ძველი კავებით.
 მიწა ხდებოდა მიუკარები,
 შრომა რჩებოდა კვლავ დამტანჯველი—
 წარსულის ნაშთი და ნაკვალევი.

მაშინ პარტიამ ნათელი მიზნით
 სოფლად დათესა შრომის მარცვალი —
 კოლექტივებად გაღვივებული.
 გლეხიც წამოდგა, სიღარიბისთვის
 რომ მიეყარა თვალში ნაცარი,
 კერა ჰქონოდა დაღბინებული.

ქალაქი აღდგა მხრებგანიერი,
 ხელეზგაწვდილი დასახმარებლად,
 ქურაში ცეცხლი უფრო გაღვივდა.
 მეტის ძაღლონით და სიძლიერით
 გაიჭრიალეს რკინის ხარებმა,
 მინდვრებს შებლაღელეს სტალინგრადიდან.

გაიჭრიალეს რკინის ხარებმა,
 გლეხმა წყეული მიჯნა წაშალა.
 მზე ამობრწყინდა ცხოველმყოფელი.
 შორს დარჩა დარდი და მწუხარება,
 ბედნიერებამ ფრთები გაშალა,
 კოლექტიური გახდა სოფელი!

7

ჩვენ ბედნიერი ვქედეთ ცხოვრება,
 თვითონ ჩვენივე ხელით შევქმენით
 სიცოცხლე ტკბილი და სანუკვარი.
 ცხადად ვაქციეთ ხალხის ოცნება
 და უწმინდესი ფიქრები ჩვენი
 გახდა სახალხოც და სწკუთარიც.



ჩვენთვის ეს გახდა ჩვეულებრივი,
მილიონების გულს აღბეჭდილი,
სისხლსა და ზორცში ფესვებგამკდარი:
— რომ სახალხოა ჩემი შექმნილი,
რომ შე მეკუთვნის ხალხის შექმნილი —
მილიონ ხელის ნაამაგარი.

ხალხის ამ წმინდათ-წმინდა თვისებამ
ისე მაგარი ფესვი გაიდგა,
ჩვენთან დაიწყო შესისხლხორცება.
უფრო ამაღლდა კაცის ღირსება
ხალხს დაუბრუნდა დასაბამიდან
თავის სპეტაკი პატიოსნება.

გამოჩნდნენ ახლის მახარობელნი
და მშენებელთა გამრჯე ხელები,
ცაში ამყვანი ზღაპრულ კედლების.
დაულალავი სტახანოველნი
შრომის ახალი მეცნიერების,
შრომის უბადლო შემოქმედები.

გაქრა დიდთავან დასჯა მცირეთა
კაცთდამტანჯველი შრომა მონური,
ის რაც გარდახდათ მამა-პაპათა,
სტალინის აზრმა, ნებამ ინება
და ხალხის შრომა პატიოსნური
ნამდვილ გმირობის საქმედ გახადა!

8

ჩემს სამშობლოში დადგა ადგარი
მოყოლებული ჩრდილოეთიდან
თვითონ შავ ზღვამდე გადაკიმული.
ქალაქი ცეცხლით იყო დამწვარი,
ბაღსა და ყანას ცეცხლი ეკიდა,
სოფელი იყო გადათიბული.

ხეები გახდნენ მოელვულები,
სახლები — მუნჯი, თვალდათხრილები
და მტუტეთ იქცა წყარო ანკარა.
გზები ეყარნენ დაფანტულები,
როგორც სიმები დაწყვეტილები —
ციცხლში გახვეულ ქვეყნის მთაბარძ.

მკერძმა მოთიბა თვითონ ყვავილიც
მშველელს ეძახდნენ ნორჩი მკლავები,



სიკვდილს გაეხსნა გზა-სარბიელი.
ტყვიებისაგან დაფლეთილები
გზაზე ეყარნენ დედოფალები,
ჩექმით სთელაედა გადამთიელი.

ტალა დაიძრა საშინელების,
მწვანე ქათიბი მოძოვა ცეცხლმა
და დარჩა ცეცხლის ნაბალახარი.
გზებზე გამოჩნდნენ კაცისმკვლელები,
სახლკარი ჩვენი შებილწა მხეცმა,
წალკოტი გახდა ნაპარტახალი.

9

ომი დიწყო, ცაზე დაბინდდა,
გასაოცარი დადგა აედარი,
ზეცა გამუქდა შავი ღრუბლებით.
რჩეულნი წამსვე ლაშქრად წაყიდნენ
ოჯახის ფუძე და ამაგდარნი,
ქვეყნის ნამდვილი ჰერისუფლები.

ბევრს ტუჩზე შერჩა მწარე ღიმილი,
ვაფთორდნენ ლოყა-ბროწეულები —
თავსაფრიანი თეთრი მტრედები,
სახლკარს გასცილდნენ გულისტკივილით
ლხინსა და ჰირში შეჩვეულები,
ოჯახის მტკიცე ფუძემდებლები.

ბევრმა ძვირფასი დაზგა დასტოვა,
ბევრმა ხელეჩო და საპრეოელი,
ბევრმა ურო და გრდემლ ა ძლიერი.
დაზგამ გასწია ისევე დაზგობა
და აღიმართა ქარხნის კედელი —
ტყვიის სამკედლო მკერდგანიერი.

ერთი ხუთ დაზგას მარჯვედ გაუძღვა,
უფრო ძლიერი გახდა მწრთობელი,
უფრო ძლიერი გახდა მღარავი.
შრომამ, გმირობამ და სასწაულმა
ფოლადი შექმნა გაულღობელი,
მანქანა შექმნა დაუღალავი.

ოსტატმა მკრელი ხმალი გაფერია
და წამსვე ფრონტზე გადაისროლა
ტყვია ბასრი და ელვისფრთიანი.
ქურამ ისეთის ძალით დაჰბერა,

ჯარმა ქარბუქად წინ გაიძლოდა
 ცეცხლის და ტყვიის ორომტრიალი.

ცეცხლისმფრქვეველი სქედა თბილისმა,
 ძლიერი ტანკი სქედა ურალმა,
 სიმტყიცე ჩვენი სქედა მოსკოვმა.
 ხალხის სურვილი გაჰყვა თილისმად
 ყოველ ტყვიას და ყოველ ყუმბარას:
 — მიხაყისფერი ჭირის მოსპობა!

10

ლხინი და ტაში შეწყდა დროებით,
 მაგრამ ცხოვრებამ შინც თავისი
 განაგრძო გზა და არ შეწყდა კვამლი
 ნამტირალევი ქუთუთოებით,
 მაგრამ ისევე შრომის ხალისით
 ყანაში გაჩნდა პაპა და ქალი.

სოფელს მოაყლდა, ოჯახს გასცილდა
 კერაზე ცეცხლის გამჩაღებელი,
 ყანაში შრომის გამჩაღებელი,
 მაგრამ არც სახლის კერა გაცივდა,
 ჭირსა და აედარს შეუჩვეველი,
 თუმცა მოაყლდა დამლხინებელი.

არა, კაჭკმა ვერ გაიხარა
 მარტო შესძახა ბანი ღირღიტამ,
 მხნედ გაიარა გუთნის დედამა.
 ცელავ ძველებურად გაჰყრა წიქარამ,
 გამძლე გუთანი კვლავ აღიღინდა,
 კაჭკი შავმა მიწამ შექამა.

ტრაქტორზე გაჩნდა თავსაფრიანი,
 ნაცვლად მეუღლის ომში წასულის,
 სოფლის თვალი და დედა ნამდვილი.
 შრომაში მუდამ ხალისიანი,
 ხანდახან მწარე ფიქრით გართული,
 შეუბღალავი წმინდა მანდილი.

ყანას დასუქვა ბერმა პაპამაც
 და ძველებურად სიმღერა სინჯა,
 შემოიერთა მოძახილები.
 და როცა პაპამ მკა დაამთავრა
 ურემს შეუძღვა სოფელში დინჯად,
 გვერდს უმშვენებდნენ შვილიშვილები.



შრომა გადიდდა ერთიორადა,
დაღლა არ იგრძნო გამრჯე მარჯვენამ,
ფრონტისთვის იყო მუდამ გაწვდილი.
სამშობლოს მტრების გასაგონადა
კოლექტიურმა შრომამ გვაჩვენა
უპირატესი საქმე ნამდვილი.

11

არ ჩაგვივია ოთხ წელს მახვილი,
აღმურისაგან მიწა იწოდა,
ამოვიყარეთ ჯაგერი მტრისანი.
გულს ამხნევებდა მხნე შეძახილი
და მოწოდება წინ მიგვიძლოდა:
— სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

რა დიდი იყო გზა გასაღლელი,
გრიგალი ჰქროდა უსასტიკესი
კარზე მომხტარი იყო აფთარი.
ოთხს წელს გრიგალში დაეტრიალებდით,
მტკიცე ფოლადის ფარად ვიჭეცით,
ურჩხულს ვებრძოდით ოთხი ზამთარი.

დაიწყო, რასაც გულით ვნატრობდით,
რაც მტრისთვის იყო თავბრუდამხევეი —
დარტყმა ძლიერი, წინსვლა ზღაპრული
და ყოველი დღე—ვეფხის ნახტომი,
გახარებული ხალხის სახელით
იყო სალუტით გამოხატული.

მტერს მიკაფაედა ძმობა ხალხების
ურთიერთნდობა და სიყვარული—
სტალინის ხელის ნაამაგარი.
დრომად გვიძლოდა მისი სახელი,
ავალწინ დიადი გვედგა მამული,
მისი ზურმუხტი და ცა მაღალი.

ლაშქრის საეალი გზა მოკლდებოდა
მტერი იხევედა დაფეთებული,
ბერლინთან ახლოს იყენენ რჩეულნი
და სამშობლოდან თან მიჰყვებოდით
ცის ვარსკვლავები გაბრწყინებული
მკერდებზე ჯილდოდ მიმობნეული.



და დადგა იგი, ნანატრი წამი,
წამი რა არის, ისიც ვადიდდა
და გამარჯვების ხმა ვაძლიერდა.
წითლად აენთო ცის დასავალი,
დროშამ იელვა რაიხსტაგიდან
გამარჯვებულთა, სევბედნიერთა!

დიდებით აღდგა საბჭოთა ხალხი,
დაწუნარდა, დაცხრა ცა გარუჯული,
გაქრა ბნელი და უამინდობა.
დასრულდა ჩვენი ჭიდილი მძაფრი,
ძირს დაენარცხა შავი ურჩხული,
ხალხს დაუბრუნდა ისევ მშვიდობა!

12

არ დაწმენდილა ჯერ ისევ ზეცა,
ჯერ ისევ დენთის სუნი ტრიალებს,
ჯერ ისევ კვამლით ვართ გარუჯული.
ჯერ დედის თვალზე ცრემლი ჩანს ვერცხლად,
ომისაგან დაღლილ ადამიანებს
თავს დასტრიალებ ომის ურჩხული.

ეს შენ ხარ, ჩერჩილ, ბნელი ამქარით
ქშენით აღვიძებ ჩამქრალ გრივალებს,
ქშენით აღვიძებ ცეცხლსა და დველფსა.
თვალში გეყრება მხოლოდ ნაცარი
და ხალხი ახლოს აღარ გიკარებს,
გესმის დედების წყევლა და კენესა.

შენ ალბათ ჩვენი შუქი გაბრმავებს
მზე-კომუნისმით განათებული
საცხე სიკეთით და ბრწყინვალეებით.
და აღარ იცი, რას დააბრალო,
შენს გულს ასკდები დაფეთებული,
სიბრაზისაგან გეწვის თვალეში.

ჩვენ კარგად გვახსოვს და გვეხსოვება
შენი ჩვენდამი მტრობა და ზიზღი,
ბნელი ზრახვებით გამოზატული.
სიტყვა და საქმე სისხლისმწოველთა,
ბაქოს ოცდაექვს კომისრის სისხლი
შენის ხელეზით უღეთით დაღვრილი.

გამოლაშქრება გვახსოვს თოთხმეტის,
როცა ჯერ კიდევ ვიყავით სუსტნი,



საქართველოს
წიგნების კავშირი

ბრძოლით დაღლილი ძვლებს ვიმაგრებდით.

ეცადეთ, მაგრამ ვერ შემოხვედით.

ჩვენ შედგრად შევხვდით გრიგალს და ქუხილს, უკუგაქციეთ და არ დაგნებდით.

ვით გაგიძლიეთ, შენ ახლაც გიკვირს
ჩვენს მოსასპობად დაძრულ კალიებს,
როგორ დაგატყდით თავზე ვეფხურად.

ჩვენ აღვუდგემით, ვებრძოლეთ სიკვდილს,
ჩვენ უკვდავების წყალი დავლიეთ
თავზე ნამუსის ქუდი გვეხურა.

ეს იყო ჩვენი სიმატლის ძალა,
ლენინის მიერ გულს ჩანერგილი,
სტალინის მიერ გულს აღბეჭდილი.
ვერავითარმა ძალამ შებღალა
ის, რაც ხალხისთვის გახდა კეთილი,
ის, რაც ხალხისთვის იყო შექმნილი.

ვერა, ვერ შეძლეთ მოსპობა მისი.
რწმენა მომავლის ბედნერ დღეთა
უფრო სპეტაკი და წმინდა გახდა.
მოპოვებული ოფლით და სისხლით
ბედნიერების სამშობლოს შექმნა
ცხადად აქცია საბჭოთა ხალხმა.

შენ გახსოვს როგორ ვებრძოდით სიკვდილს,
როგორ ვიხვევდით ჭრილობებს მწვავეს,
წინ მივიწვევდით წარბშეუხრელნი.
ჰე მართლა შენი კაცობის მიკვირს
სიმატლით საესე სტალინის თვალებს,
მათ შემოხედვას ვით გაუძელი.

როგორ გაუძლეს შენმა თვალებმა
მწველ შემოხედვას ბელადის თვალთა
და მაგარ სუნთქვას ფოლადის მკერდის.
ნუთუ არ დაგწვა მზის ბრწყინვალეობამ,
როცა უცქერდი უბადლო სარდალს
კაცთმოყვარული რუხველტის გვერდით?

შენ ნძოობარ აკენის პატარა ბავშვსაც.
ყურში ჩაესმის ჯღარჯნი აბჯრის —
არამზადლოდი შენი სორვილი.
მომხრე არა ჰყავს ჩერჩილის დაშნას
და ყოველ წოთით იზრდიდა ხალხში
შენდამი მტრობა და სიძულვილი.



ჩვენი გვესმის შენი ძაღლური ყეფა
და ლამის ყეფით ამოგვეჯეს გული,
ამაოდ დამრწი კიდიდან კიდით!
ერთი ხალხური ანდაწა არის
სიბრძნე-სიშარბილე ოდენლაც თქმული:
—„ძაღლი ყეფს — ქარაეანი მიდის“.

13

ღილის მზე როცა გაახელს თვალებს,
ქვეყნიერებას სინათლეს მოჰფენს
შარადიული სიცოცხლის ძალა
ახლის მშენებელ ადამიანებს,
შამლის ყვილზე წამომდგარ სოფელს,
ქარხნის ბუბუნზე წამომდგარ ქალაქს

გამოაღვიძებს მწველი მზის სითბო,
მზის სხივს გაჰყვება ფუტყარი მღერით,
მზის სხივს გაჰყვება მფრინავი ცაში.
ხარბად შეიწოვს სინათლის სიტკბოს
ატმის ყლორტი თუ ყვავილის ღერი,
წამწაპებს გახსნის აკვანში ბავშვი.

ხნულში იფეთქებს მარცვალი უცებ
უმაღლესამწვევს ჯეჯილად ქცეულს
ზღვისებრ მღელვარეს და მობიბინეს.
აერტი გადაშლის უზადო ფურცელს,
ფურცელს—ჩიტების ფრთებით შერბეულს
და ზედ დაკიდულ მანანას მძივებს.

შეიმშენება საყანე თითქოს,
გამალებული ტრაქტორის ეშვი
უკან დასტოვებს დამსხვრეულ ბელტებს,
ეშვით დაწერილ თვითეულ სტრიქონს
დაღირებულნი ზორბლიან პეშვით
კოლმეურნენი უესებენ ფერდებს.

ჭიგოზე მკლავებშემოხეულებს
ნეტარებაში აერყოლებთ ვაზებს,
სიზანტით ოდნავ ყლორტებს გაშლიან
და ზამთრისაგან გამხდარ სხეულებს
გაისწორებენ სასხლავის ხმაზე
და მალღა, მზისკენ მიისწრაფვიან.

გაღვიძებული მზის სხივთან ერთად
ცაცხლისმფრქვეველი ბორგავს ღუმელ—



ვეება ხახა გაუძლომელი.
 'მეუსვენებლივ თამაშობს ცეცხლთან
 ჩვენი სიმტკიცე გაუღუნველი,
 გაღიმებული რკინის მჭრთობელი.

მეშახტე ჩადის ქვესენელში მარდად,
 მზის სხივი ჩააქვს სინათლის მფრქვევი
 ქვანახშირს ებრძვის მკლავით და მკერდით.
 დაუცხრომელი მარჯვენით ფატრავს,
 სამშეუროზე ამოაქვს ზევით
 ბაჯალლოს დარი ზოდები ჩვენთვის.

ხარაჩოების ტყეში ჩამუდარან,
 ღრუბლებს ფანტავენ ვეება მხრებით
 ცათამბეჯენები ცად ასროლილი.
 ქონდრისკაცებზე უფრო პატარა
 დაბლა მოჩანან სამშობლო მთები —
 დათოვლილი და მოოქროვილი.

მზეზე წიგნს გაშლის დინჯი სწავლული,
 მზის სხივზე განქვერვებს დიდებას ქვეყნის,
 დადგება დიდი მომავლის კართან.
 კაბუჯურ განცდით და სიყვარულით
 თუ როგორ უნდა, გეასწავლის, გვეტყვის,
 დამორჩილება ბუნების ძალთა.

მზის შუქზე ძვირფას ხელსაწყოს ღარავს,
 უბადლო ხელით ჩახმახებს ჩარხავს —
 მუდამ ძლიერის გამომჩარხველი.
 მზის შუქში აწებს მხატვარი ყალამს
 ფერებით მღერის სიმღერას ახალს,
 მუდამ ახალის გამომსახველი.

საზღვარზე გმირი გუშავი ფრთხილი
 გახედავს საზღვრის იქითა მხარეს,
 ხელს მოიხრდილებს ამაყად მდგარი.
 მაცოცხლებელი სხივები დილის
 ააღღვარებს არწივის თვალებს
 ჩვენი დამცველის და ამაგდარის.

ასე თენდება ყოველი დილა
 ჩემს ქვეყანაში შემოფრენილი,
 შემდეგ გაშლილი, როგორც ყვავილი.
 და ნიავს ხალხის სიმღერა მიაქვს —
 პანგი, რომელსაც ჰქვია ლენინი,
 პანგი, რომელსაც ჰქვია სტალინი!



ასე თენდება ხალისით საცხე
 ჩემი სამშობლოს დილა ყოველი,
 განათებული უქრობი სხივით
 და მუდამ მოჩანს სამშობლოს ცაზე
 ვით ცისარტყელა გადაწოლილი
 კრემლს და ხალხს შორის გაბმული სიმი.

14

ყოველი დილა თენდება ასე
 და მზესთან ერთად ჩემს ფანჯარაში
 შემოფრინდება ფარფატა მტრედი.
 ხელში ავიღებ სიმაართლის გაზეთს
 სიყვარულით და ხალისით გავშლი,
 ხილვა მწყურია პირველი გვერდის.

მზის სხივით ნაწერ სტრიქონებს ვხედავ
 ჩემთვის რომ გახდა ძვირფასეული,
 გაბრწყინებული სიმაართლის ძალით.
 მინდა შევეძახო მამულთან ერთად
 სიტყვები ჩემი ხალხისეული:
 მოსკოვი, კრემლი
 ამხანაგ სტალინს!

და მესმის, მესმის ყოველი მხრიდან
 როგორ დაიძრა ტალღა ძლიერი,
 როგორ გადიდდა და გაძლიერდა.
 მე მესმის მათი სიტყვები წმინდა
 კომუნისმისთვის თავდადებულთა,
 აწ და მარადეამს სვებედნიერთა!

მზის სხივით ნაწერ სტრიქონებს ვხედავ,
 ეს ერთგულების სიტყვები არის
 ბელადისადმი გამოხატული,
 მაგრამ რატომღაც ყველაზე მეტად
 ვმალდები, როცა დიდების ბართს
 ხელისმოწერა ახლავს ქართული.

ეს მისთვის, რადგან ჩემს მეგობრებსაც
 ამ დიდებაში მიუძღვით წვლილი,
 მათი სიცოცხლე ხარობს მღვლეარე,
 უფრო დიადი მომავლის დღე ჩანს,
 მზე-კომუნისმის მარცელები ღვივის,
 მზე-კომუნისმის ვხედავ მწვერვალებს!



ეს ყლორტებია უძველესი ბაღის
 აღმონაცენი ჩემს მიწა-წყალზე,
 გაშლილი კვირტი კეთილშობილი,
 მას უვლის ჩემი მშობელი ხალხი,
 მებაღე აღვას მზრუნველად თავზე
 ბერიას ვრდემლზე გამოწართობილი.

ჩანს—საძირკველი შეერყა ბოროტს,
 სიკვდილი მისწვდა ყელში ხელებით.
 კაპიტალიზმის გოდებას ვისმენ.
 ჩვენ ახლა ისეთ ხანაში ვცხოვრობთ,
 როცა ყველა გზა ქვეყნიერების
 შიღის დიადი კომუნისმისკენ.

კაცობრიობის ხსნად და იმედად
 ვდგავართ მზის შუქით განათებულნი,
 ლენინის დროშა თავს დაგვეფრიალებს,
 ჩვენ წინ მიგვიძღვის პარტია-დედა
 მუდამ სიმართლით გამარჯვებული
 საბჭოთა ქვეყნის აღამიანებს!

მე კომუნისმის მწვერვალებს ვხედავ
 გაბრწყინებულებს სიმართლის ძალით,
 ხალხის დიდებას მომავალ დღეთა
 და გულით ვამბობ მამულთან ერთად:
 მოსკოვი, კრემლი
 ამხანაგ სტალინს!
 იყავ დღეგრძელი, იმედად ჩვენდა!

იანვარი, 1949 წ. თბილისი.

სოლომონ თაყაიძე

მაისის განთიადი

რომანი *

XXIII

ახალი წელი

1944 წლის პირველი იანვრის დამე იყო. დღეიზია ამ ახალ წელს ახალი, უფრო მკუხხარე ბრძოლის ცეცხლში შედიოდა.

ტამანის ნახევარკუნძულიდან აზოვისა და შავი ზღვის ყელში ცამეტი კილომეტრის მანძილზე შეჭრილ ქვიშის ვიწრო ზოლზე, რომელსაც ჩუშკა ეწოდება, ამ ბნელსა და სასტიკ ღამეში იდგა ქურქში გახეული პოლკოვნიკი შიო ბეროშვილი და კატარღას ელოდა.

ზღვათა ამ შესაყარში ორმხრივი ქარი უბერავდა; ხან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან მოიქრებოდა იგი და აზოვის ზღვის სუნი და ყინვა მოჰქონდა, ხან სამხრეთ-დასავლეთიდან დაჰკრავდა, შავი ზღვის გამსქვალავ ნესტს ავრცელებდა.

პოლკოვნიკის ზურგს უკან, ხუთი-ექვსი ნაბიჯის იქით, ზღვის ყურეში ლაქაშები განუწყვეტელი შრიალით ეკეცებოდნენ ურთიერთს; ხოლო წინ — ზღვის ტალღები ბობოქრობდნენ. როცა გერმანელების პროექტორები ღამეს გააშუქებდნენ, პოლკოვნიკი გარკვევით ხედავდა ქერჩის ვო-

რკებიან ნაპირს, რადგან იქამდის მხოლოდ ოთხი კილომეტრი იყო.

დღეიზიის ნაწილების გადასვლა 28 დეკემბრიდან დაიწყო და ჯერ კიდევ რამდენიმე დღეს გასტანდა.

პოლკოვნიკი ხანდახან გაივლ-გამოივლიდა, რომ ფეხები არ გაყინვოდა, თუმცა ირგვლივ ისეთი ორომტრიალი იყო, რომ შეიძლება ასეთ პირობებში ადამიანს სიცვიის შეგრძნობისათვის ვერც კი შოეცაღა.

გერმანელები ზედადნენ, რომ ქერჩის „პატარა მიწაზე“ შეჭრილ და გამაგრებულ არმიის ნაწილებს დამხმარე ძალა მისდიოდათ, ამიტომ ზედიზედ ფლეთდნენ ღამის საფარველს შორის-მსროლელი ქვემეხების ყუმბარები; თვითმფრინავებს მამხალეებით უშუქებდნენ არეს და ისინი ძალიან ზშირად თავს ესხმოდნენ ჩუშკიდან ქერჩისაკენ კატარღებით მიმავალ მეომრებს.

გამბულ ქეჭა-ქუხილში ჩვენი მეომრების მიერ შესანიღბავად აშუებულ კვამლის ფარდას ელვასავით სერავდა საზენიტო ქვემეხების ცეცხლი, რათა გაეფანტათ მტრის თვითმფრინავები.

* დასასრული, „მნათობი“ № 12, 1948 წ.

ეს მუდმივი გუგუნი, ეს უკუნეთი და თვალისმოშორელი ელევები, ლაქაშების ეს შრიალი და ზღვის ტალღების მზაფუნე კიდევ უფრო უმძაფრებდა პოლკოვნიკს ფიჭვს იმაზე, რომ ამ უღმომებელ ბრძოლის ეამსაც, გიორგი გაბრიელიშვილის ავადმყოფობის გამო, დივიზიის ხელმძღვანელობა მას ერგო წილად.

კატარღებზე და მოტორიან ნაეებზე ძელები ბორანივით იყო დაგებული.

სამსონი, დავითი და კოლია ბარბაქაძე რომ ამ ბორანზე აღიოდნენ, ისე ბობოქრობდა მთელი ზესენელი, რომ კაცს ეგონებოდა, ცა დედამიწას უნდა დაენარცხოსო.

ტორტმანით მოშორდა ნაპირს კატარღა. ურთიერთს მიხუტებული მეზობლები ხმას არ იღებდნენ, გარინდული უგდებდნენ ყურს სტიქიონის ძალთა მძლავრობას.

კოლია ბარბაქაძე არასოდეს გემში არ მჯდარა და ახლა თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა; მაგრა მოეხებია ხელს დავით ჯანაიასათვის, რადგან მას გამოცდილ მეზღვაურად სთვლიდა.

რამდენჯერმე მოეჩვენა, თითქო კატარღა მდინარეებამ მოიტაცა და შავი ზღვისაკენ გააქანა.

— სად სკვარაში მივდივართ, დავით, თუ იცი? — ჩანძაბა ჯანაიას ყურში.

დავითმა ხელის მაგრად მოხვეეით ანიშნა, — დამშვიდდი, ნუ ღელავო.

ამ დროს სივრცე პროექტორის მძლავრმა შუქმა გაჰკვეთა, ზურგს უკან საზენიტო ქვემეხებმა იჭექეს, ხოლო განათებულ ცისიერში მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა, კატარღისაკენ დაეშვა და... კოლიამ თითქო გარკვევით დაინახა, როგორ მოწყდა ყუმბარა და პირდაპირ დაექანა შემზარავი მზუილით. უნებლიედ დასწია თავი,

წელში მოიხარა, ტანში ცივმა შაკადმა დაუარა, გული ყელთან ჩქარა წყლის დახამხამებაში მოხტამდა, კოლიამ თითქმის მთელი თავისი სიკოცხლე ხელახლა განიცადა და უფსკრულს ჩაჰხედა.

სული მოითქვა, წელში გაიმართა და დავითს გადაულაპარაკა:

— გენაცვალე სულში, ქე არ გადავრჩით, ბიჭო!

ამასობაში ნაპირს მიუახლოვდნენ. პროექტორის შუქში მცირე ხნით გამოჩნდა მეტალურგიული ქარხნის ჩონჩხი, რომელიც მაღლიდან გადმოჰყურებდა ბნელით მოცულ ფერდობს. მერე, როცა პროექტორი ჩაჰქრა, ირგვლივ საშინელი წყვედიანი გამეფდა, — ქარი კი განაგრძობდა ღმუილს, ყალბზე შემდგარ ტალღებს ენარცხებოდა. ზანდაზან უჩინარ გორებს იქით იელებდა ქვეშის და ყუმბარა ჰკვეთდა ბნელ სივრცეს.

კოლია ბარბაქაძემ ნაპირს რომ ფეხი დაადგა, ხმამალა წამოიძახა:

— ა, ბიჭო, ვცხონდი კაცი და ეს არის! აწი მე მკითხე...

იმ დროს, როდესაც დივიზია ქერჩის ნახევარკუნძულზე მოქმედ ძალებს შეუერთდა, ჩვენებს უკვე საკმაოდ მძლავრი პლაცდარმი ეჭირათ. ამ „პატარა მიწას“ სამი მხრიდან — ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან — ზღვა საზღვრავდა, ხოლო დასავლეთს სჭრიდა გერმანელთა თავდაცვის ხაზი. მათი მარჯვენა ფრთა — სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი — შავ ზღვასა და მთებით დახურულ ქერჩის ნაწილს ემიჯნებოდა. მათ ეყრათ მიტრიდატის მთა, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს ქალაქ ქერჩისა და მის მისაღვამებს; ამ მთის ბუნებრივი გაგრძელება არის მეტად დაგრაფილი ადგილები, პატარა და დიდი გორაკებისა და ხეების ზოლი. ამ მაღლობებ-



ზე არსად ტყე არაა, მარტოოდენ ქვე-
ბია და რუხი ბალახი. მიტრიდატის
მწვერვალზე ძველი ისტორიული
ციხე-სიმაგრე გერმანელებმა ახალ
ყიდაზე გადააქეთეს, ქვეშეთა და
ნაღმსატყორცთა ცეცხლის კერად აქ-
ციეს. ამასთანავე ყველა გორაკსა და
ზევში გაკეთებული ჰქონდათ უთვა-
ლავი სიმაგრე და თავშესაფარი; ისინი
მზად იყვნენ ხანგრძლივი თავდაცი-
სათვის, ვინაიდან მათ ზურგში ჰქონ-
დათ პირველხარისხოვანი კომუნია-
ცია: რკინიგზის ხაზი — ჯანკოი-ვლა-
დისლაეკა — ქერჩი და მშვენიერი გზა-
ტკეცილი — სიმფეროპოლი — ფეო-
დოსია — ქერჩი.

ყოველივე ეს დიდ უპირატესობას
ანიჭებდა გერმანელებს. ამიტომ გენე-
რალ-პოლკოვნიკი იენეკე იმედს არ
ჰკარგავდა და უსასტიკეს ბრძოლას
განაგრძობდა. მას ვერ წარმოედგინა,
თუ ამ მკაცრ ზამთარში, მუდამ ცვა-
ლებად ამინდში შესძლებდნენ ჩვენები
მათი სიმაგრეების გარღვევას.

თბილდაჩაყმული ბარბაქაძე საი-
რულში გათბა და კარგ გუნებაზე დად-
გა. რამდენჯერმე ოხუნჯობაც კი სცა-
და, მაგრამ არც დაეითი, არც ნესტორ
ირემაძე და არც ვალიკო წულაძე არ
აჰყვნენ.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო,
როდესაც სოფელ ბაკსში განლაგდნენ.
სამსონის ასეული დანგრეული სახლე-
ბის მახლობლად მიწურებში მოთავსდა.
კოლიამ სადღაც ნამსხვრევები იშოვნა
და პატარა ცეცხლი გააჩაღა. მერე
კონსტრუქცი გახსნა, პური ღამაზად დაჭ-
რა და შუა ალაგას გაშლილ ულტობ
მოსასხამზე დააწყო.

ამ დროს ქვეშეხებმა იგრაილეს და
მიწამ ზანზარი დაიწყო. ამ ახალ წელს
პირველად ბრძოლაში ქართველი არ-
ტილერისტები ჩაებნენ.

— გენაცაულე! სულში! — წამოიძა-

ხა კოლიამ. — ჩვენები არიან! საი-
ხალწლოა, ბიჭებო, სახანაგებსა
ხელი მალლა აღმართ, თითქოს გა-
აწკაპუნა, შემდეგ სამსონის მოსაწე-
ვად გაეშურა. მალე მობრუნდა.

— სამსონი და შალვა პოდპოლკოვ-
ნიკთან წასულან, — ნალელიანი ხმით
უთხრა ამხანაგებს. მერე უცებ თავი
მოიმზიარულა, ხალთიდან დიდი მათა-
რა ამოიღო: — აბა, ძმებო, ჩვენებუ-
რად შევეგებოთ ახალ წელს, ახალი
გამარჯვება დაეიბედოთ!.. ალავერდი,
დავით! ერთი შენებურად გეითხარი
რამე. მართალია ირგვლივ ზღვა გეარ-
ტყია და კრიქაში ვართ მომწყვდეუ-
ლი, მარა მაინც წინ გაგვახედე...

ყველანი დასხდნენ. მიწურის ჩასას-
ვლელს თოვლის წვრილი ფანტელები
ეფრქვევოდა. ეს ისეთ შთაბეჭდილე-
ბას ჰქმნიდა, თითქოს ჩვეულებრივი
ახალწლის დილა იყო, მშვიდი და საი-
შო, ხოლო ზარბაზნები სადღაც შორს
გრუხუნებდნენ.

დავითმა სივრცეს თვალი მოსწყე-
ტა, მეგობრებს თავისებური მიმზიდ-
ველობით გაუღიმა.

— მართალი ხარ, კოლია. — დაიწ-
ყო დინჯად, — წინ უნდა გაეიხედოთ...

მტრის ბანაიდან გამოსროლილი
ყუმბარა მიწურთან ძალიან ახლო
დაეცა, ჩასასვლელში მიწა ჩაცვივდა.
მცირე დუმილის შემდეგ დავითმა
სიტყვა ასე დაამთავრა:

— არაფერია. ჩვენ სხვა მოდგმის
ხალხი ვართ. ჩვენს გამარჯვებას ოქ-
როს ასრებით სწერს ჩვენი ღვიძლი
სტილინი...

მტრის საპასუხოდ ჩვენმა არტილე-
რისტებმა ცეცხლი ერთი-ორად გააძ-
ლიერეს. ხოლო შემდეგ, პირველი ექვსი
დღის განმავლობაში, ექვსი ათასი
ყუმბარა გაგზავნეს გერმანელთა ბა-
ნაკში.

ათ იანვარს ჩვენებმა მძლავრი შეტევა დაიწყო. არტლევგიონის პირველი დივიზიონი მტრის პოზიციიდან 500 მეტრზე იყო განლაგებული. ქვემეხები შეუწყვეტლად აფრქვევდნენ ცეცხლს.



სუსხიანი დილა გათენდა. ხევის პირად, სადაც სამსონ ლომთაძის მოიერიშე ასეული იყო განლაგებული, ჭირი არა ჰქროდა. გორაკებს გამსჭვირვალე ნისლი ეფინათ. უცნაური ჩრდილებივით მოძრაობდნენ ნისლის ფენები, ამიტომ მთელი ეს ოდროზოდრო გარემო, რუხი და წყლისფერი, ფოლადივით ცივი იერით იყო მოსილი.

შეომრები მტრის პირისპირ, ურასი მეტრის მანძილზე, ღრმად გათხრილ სანგრებში ისხდნენ. წინა დღეებში მიწიდან წყალი ამოდიოდა და ფეხები სველი ჰქონდათ. აქ კი, სადაც ლამით გადმოინაცვლეს, ნიადაგი მშრალი იყო და თავს უკეთ გრძობდნენ.

— იცოდე, ეს სიჩუმე კაის მომასწავებელი არაა.— გადაულაპარაკა ნესტორ ირემმაქემ დავით ჯანაიას.— ნახავ აგერ, თუ დღეს უარეს ცეცხლში არ მოგვიხდება შესვლა.

უცებ ერთბაშად იფეთქა მოწინააღმდეგის ბანაკიდან ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა. აშკარა იყო, რომ მტერი იერიშზე აპირებდა გადმოსვლას შალვა ყიფშიძის ბატალიონის მარჯვენა ფრთაზე. შალვამ ეს მყისვე გაითვალისწინა და სამსონს, რომელიც სწორედ მარჯვენა ფრთის ცენტრში იდგა, ტელეფონით დაუკავშირდა.

ზედ სანგრების პირთან სკდებოდნენ მტრის ყუმბარები, თან ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ტყვიები ჰკვეთდნენ შხუილით ჰაერს.

სანგრიდან თავის აწევა არ შეიძლებოდა.

სამსონმა გამოცდილენით ეცოცა, რომ გერმანელები საცავე სიმაგრეებიდან ამოძვრებოდნენ და ცეცხლს უწყობდნენ, რათა ჩვენს განლაგებაში სოლიდით შემოჭრილიყვნენ. მართლაც, მელა რომ სოროდან თავს ამოყოფს და მიმოიხედავს, ისე ფრთხილად ამოჩინდნენ გერმანელები; ეგონათ, ვრიგალისებური ცეცხლის ფარდის ქვეშ ადვილად მიადწევენ ქართული შეომრების სანგრებამდის, მაგრამ ჩვენმა არტილერიისტებმა არ დააყოვნეს და ვრიგალისებურივე ცეცხლი შეაგებეს.

სამსონის მარჯვენა ხელმა, ლეიტენანტმა დარსაქემ ტყვიამფრქვეველთა ქვედანაყოფს სიგნალი მისცა და სულ მალე გერმანელები მიწაზე განართხეს.

დაიწყო საშინელი შერკინება; მოწინააღმდეგენი, როცა ყუმბარებისა და ტყვიების ცეცხლოვან ბადეში თვალს გააპარებდნენ, ნათლად ხედავდნენ ურთიერთს. გერმანელები არ ტყდებოდნენ, დაწყებული იერიშის ვაგრძელებას ლამობდნენ.

ანაზღად ლეიტენანტმა დარსაქემ შენიშნა, რომ ერთი „მაქსიმე“ არ მოქმედობს. დააკვირდა: გუნდი წყობიდან გამოსულა. აღარ დააყოვნა, ტყვიამფრქვევს მიაშურა, მყისვე ააშუშავა. მოწინააღმდეგემ მის მიმართ ნაღმსატყორცთა ძლიერი ცეცხლი გააჩაღა. დარსაქემ მძიმედ დაიჭირა. ტყვიამფრქვევი დადუმდა.

კოლია ბარბაქაქემ ჯერ ალლოთი იგრძნო ეს, მერე მარჯვნივ გაიხედა და უმალე გაითვალისწინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მწვევე ჰილილში დაზგის ტყვიამფრქვევის განუწყვეტელ მოქმედებას.

„ე, ბიჭო, კოლია, ახლა გინდა ვაქცა-ცობა!“—უთხრა თავის თავს და ვალიკო წულაქეს გადახედა, მამაშვილური კილოთი მიმართა:



— ვალიკო, შენ განაგრძე, მე იქ მივხედავ.

უცნაური სისწრაფით ამოცურდა სანგრიდან, მერე მოწყვეტით გადახტა. ამ წამს ამ პატარა უბანში წარმოებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის ცენტრში თითქოს მარტოოდენ კოლია იყო.

ხდება ხოლმე: მონადირეს ნადირი ფეხებთან გაურბენს; ჰგონია, სადღა წამოვა, ხელში მყავსო და ჯერ ერთს დაახლის მიზანში ამოუღებლად, შემდეგ მეორეს. ხელში ცარიელი თოფი შერჩება, ნადირი-კი გარბის. ასე: გერმანელები ჰდიქრობდნენ ამ თავზეხელაღებულს ახლავე დაეაწყვენთო და უწესროგოდ ესროდნენ.

ამავე დროს ჩვენების ყურადღებაც კოლიამ მიიპყრო.

დავით ჯანაიას თვალი გაუშტერდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქო თავის საყვარელ მეგობართან ერთად ბეწვის ხილზე გადიოდა; ხმის ამოღება არ შეეძლო, მხოლოდ გული ძგერდა და ამბობდა: „ამორადა“. „თავზე გადაუარა“, „ახ, ეს მგონი მოხვდა“...

მაგრამ არა, კოლია უკანასკნელად ისე გადაეშვა, თითქო მდინარეში შეცურდაო, ტყვიამფრქვევის სახელურს თითები ჩასჭიდა...

რა მოხდა? იქნება სასიკვდილოდ დაიჭრა? თუ არა, რატომ სიღუმს „მაქსიმე“?

გერმანელებმა აღბათ, გადასწყვიტეს: ტყვიამფრქვევიც განადგურებულია და ის თავზედიც მოკლულიაო. გული მოეცათ, ფრთხილად დაიძრნენ.

კოლია ბარბაქაძემ ტუჩზე კბილი დააქირა, საკუთარი გულის ძგერას უბრძანა: „გაჩუმდი! მაცალე!...“ მერე თვალები მოჭურტა და მოახლოვებულ მტერს გახვდა: „მოდიო, თქვე წუნკლებო... იჩქარეთ... რაეა წელმოწყვეტილივით მოჩოჩავთ... კიდეე... კიდეე...“

გერმანელები წამოიშარტნენ და გომოეშტრნენ...

მოახლოვდნენ...

კოლიამ გრძელი ჯერი მიუშვა... ორ წუთში ორმოცი ჰიტლერელი დაეცა...

მტრის იერიში იმ დღეს ამ უბანში მოგვრეიებული იყო. მალე ჩვენები შეტევაზეც გადავიდნენ.

ასე გრძელდებოდა ქერჩის მთელ ფრონტზე, ხოლო შენაერთს ამ ფრონტის ერთი მეტად საპასუხისმგებლო უბანი ეკირა. პოლკები მტრის პირისპირ იდგნენ და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ. მტერი შაოცხს ვერ ურიგდებოდა, არ ისვენებდნენ მათი ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, თვითმფრინავები...

შით ბეროშვილმა აღლო აულო, რომ გერმანელები ახლო მანძილიდან ბრძოლისათვის საჭირო იარაღით გაძლიერდნენ. გადაწყვიტა კვლავ დაემუშაებინა არტილერიის ცეცხლით მტრის წინა ხაზი.

ჩვენმა არტილერისტებმა, ცეცხლის წრთობილმა ოსტატებმა, კვლავ ისახელეს თავი. მათორ არატიშვილის ტანკაწინააღმდეგო დივიზიონის ეფექტებმა პირდაპირი დამიზნებით მიღწე-მოღწეს მტრის საცეცხლე წერტილები...

გამარჯვების წყურვილით შეპყრობილი მეომრები თავს არ ზოგავდნენ, საიერიშოდ ამხედრებულ მტერს ორგზის უფრო ძლიერი იერიშით უტევდნენ.

XXIV

თებერვლის ქარი

თებერვლის შუა რიცხვებში ქერჩის ნახევარკუნძულზე თითქმის განუწყვეტლად საშინელი ქარბუქი ბობოქრობდა. გორებზე ნამქერის კორიანტელი იდგა, ხეებში თოვლი ზევე-



დებოდა. ხანდახან, დღისით, ძლიერი ქარი რომ დაგრაგნილ კალთებს აიკრებდა, ხელმარჯვნივ გამოჩნდებოდა ზღვის აქონრილი ზედაპირი, მუქ-ლურჯი ნისლის მსგავსი, ისეთი შორი და მიუსაფარი, როგორც უსაზღვროება სივრცისა.

მედიკურ-სანიტარული ბატალიონი ზღვის ყურის მახლობლად, გორაკების ძირას იყო განლაგებული. მართალია ფრონტის წინა ხაზიდან სამი-ოთხი კილომეტრით იყვნენ მოშორებულნი, მაგრამ მტრის შორისმროლეო არტილერიის ცეცხლი, „მესერშმიტების“ შემადრწუნებელი კივილი, საზენიტო ქვემეხების ჰეჰ-ქუხილი და ჩამოყრილი ყუმბარების გრუხუნის მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას კიდევ ზანთრის სასტიკი ამინდი დაერთო და მუშაობა მეტისმეტად გაძნელდა. ხოლო თებერვლის ხუთმეტს, ღამით ისეთი ქარბუქი მოვარდა, რომ ყველა მიწური თოვლით აივსო; ამავე დროს მიწიდანაც წყალი ჟონავდა.

ჭირურგთა ოცეულის კარვებშიაც შეიჭრა ქარბუქი, ახალმოყვანილ დაჭრილებს თოვლი მიაყარა.

თავგანწირულად მუშაობდნენ ამ საშინელ ღამეში ექიმები, ფერშლები, მედიცინის დები.

მაღალი, სახეზე სიყვითლეშებარული ექიმი მინდიაშვილი საოპერაციო კარავში პატრონობდა მძიმედ დაჭრილებს.

ეთერმა, ქეთომ და მარიკა ნაკაიძემ მთელ ღამეს ვერ მოიკალეს, რომ ურთიერთისათვის ხმა გაეცათ. ეთერს არ ეგონა, თუ ამდენი ძალონე კიდევ ჰქონდა. ისე ტრიალებდა მთელი ღამის განმავლობაში, მიწურიდან თოვლს ხეუტდა, ამხანაგებს კარვების გაწმენდასა და დაჭრილების გადაყენებაში ეხმარებოდა, იმდენ საქმეს სწევდებოდა, თითქოს არავითარი ავადმყოფობა არ გამოეყვალს, ისეთივე ძალოვანობა

შერჩენოდა, როგორც ომის დაწყებამდის ფიზკულტურულ ექიმს ჰქონდა.

განთიადისას თანდათან მინელდა ქარბუქი; ახლა ვარკვევით ისმოდა სროლის შორი ხმა, მაგრამ ეს ვერ არღვევდა იმ სიწყნარეს, რომელიც კარვებისა და მიწურების ირგვლივ დაეშვა. დაჭრილებმა შეება იგრძენეს. ბევრს ჩაეძინა.

ექიმმა მინდიაშვილმა, ვიდრე გადაუდებელ ოპერაციას შეუდგებოდა, დამხმარე ქალები შეათვალღერა, რომ ერთერთი დასაყვენებლად გაეშვა რატომღაც თვალში მარიკა მოხვდა და უბრძანა:

— წადი, დაისვენე!

მარიკამ შუბლი შეიკრა, თითქოს საწყენად დარჩაო ექიმის ბრძანება, მაგრამ წამსვე რაღაცა მოაგონდა და მორჩილად გაემართა კარისაკენ.

ამ ღამის განმავლობაში სამჯერ მიაკითხა იმ კაცს, მაგრამ მინც უნდა მიხედოს, საშიშია, არ შეაბრუნოს. უტილობა არ იყო მძიმე, მაგრამ ფილტვების ანთება დაერთო და ძლიერ გადაარჩინა, კრიზისი წინა დღეს გადაიტანა. ახლა ისე სუსტადაა, რომ ღამის რაკი უჭირს. მხოლოდ თავის კეთილ თვალებს მიაბყრობს ხოლმე მარიკას და... საოცარია, რამდენი რამის ამოკითხვა შეიძლება თურმე ადამიანის თვალეზში! თუმცა... იქნება მეტისმეტად დაგდალა, მარიკა, შენ ამდენმა მწუხარებამ, დაჭრილთა წუხილმა, გლოვამ და მოსვენება მოგნატრა; გინდა იპოვნო ობლად შთენილი სულის სავანე, იპოვნო ისეთი ნუგეში და შინაარსი სიცოცხლისა, როგორც ეთერსა და ქეთოს გააჩნიათ? იქნება ეს ნატვრა გატყუებს და იმ კაცის თვალეზში არაფერი ისეთი არ ამოგვიტოხავს?..

„არა, რას ამბობ! — შეედავა მარიკა თავისთავს: — იმფერი შექცია... არა,



მადლობა არაა ეს... რამდენი კაცის მადლობა მახსოვს, ასე, უსიტყვოდ თქმული, მარა ეს სხვაა, ეს სიყვარულია, შე საწყალო... პირველად რომ გავიცანი, მაშინაც შევეჩვენე, მარა ყურადღება არ მიმიქცევია... რაღა დროისა-მეთქი ჩემთვის“...

უცებ თითქოს შეკრთა. ფიქრი გაუწყდა, კალაბატკაში დარჩენილი საფლავი მოაგონდა, ოდნავ გაიღევა ილიკოს თვალების სხივმა... მთელი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ეს სხივი მაინც ჩარჩა გულში მარიკას. რამდენჯერ უღვრია ჩუმად ცრემლი, რამდენჯერ უნატრია, — მისუღიყო ილიკოს საფლავზე და ტირილით გული მოეჯერებინა. ასე მიდიოდნენ დღეები, მარიკა თვის ბედს ურიგდებოდა, შრომასა და ავადმყოფთა მოვლაში პოულობდა შევებას ახლა კი... არა, აღრე, ორი თვის წინათ ჩაცხახა აზრი, რომ არ შეიძლება ცოცხალი ადამიანი სულ უკან იტყირებოდეს, მარტოდნენ საფლავს ზედადეს, გარდასულთა შორის ცხოვრობდეს...

„მარა აი კი არაა მთავარი, — თავისებურად განაგრძო ფიქრი მარიკამ, — მთავარი ის არის, რაც სულში ნათელივით ჩადის და თავისკენ გიწვევს... მაინც რაღა ვიფიქრებდი, თუ ამ ჩია კაცს ამდენი მიმზიდველობა ექნებოდა... ნეტავი ვადამირჩებოდეს.. ვინ იცის, იქნება მართლა მოესწროს კაცი შინ მშვიდობით დაბრუნებას... იმ ობოლ ბაღნებს მაინც მიეხედავ... საწყალო, ომში რომ წამოსულა, ბაღანაის პერანგი წამოუღია, რაფერ შეიძლება, ამისთანა სათუთი გულის პატრონი რომ არ შეგეყვარდეს“...

მიწურში შესასვლელთან შესდგა ერთ წამს, ირგვლივ თვალი მიმოატარა. ეამა ეს სიწყნარე ქარბუქის მძვინვარების შემდეგ, ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქოს მშობლიური სოფლის

მახლობლად მდგარიყოს და შინ მიმავალ გზას ზედადეს.

ეს, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ სამხრეთ აღმოსავლეთი განთიადის შუქით შეფერილიყო, ისეთი ელფერიით დაშვეწებულყო, თითქოს საცაა გაზაფხულის მზე ამოღალაქდებდა და საამო სითბოს მოიტანსო. მერე დასავლეთს გახვდა მარიკამ და მყისვე გაპკრა სითბოს მოლოდინი, რადგან მეტად ცივად გამოკრთოდნენ მოლიბრო თოვლით დაფარული გორაკები და ფერდობები.

მხრები ასწია, თითქოს შეაერყოლა; ფრთხილად გამოაღო მიწურის დაბალი კარი.

ეს მიწური დაქანებული ფერდობის ძირს იყო გამოთხრილი, ნიადაგი ქვიანი იყო და შიგ წყალი არა ქონავდა. ძალიან პატარა იყო, მაგრამ ახლა სამი ავადმყოფი იყო შიგ მოთავსებული. კარს სარკმელი ჰქონდა გამოჭრილი, მაგრამ ჰაერი მაინც დამძიმებულიყო.

მარიკამ კარი ერთი წუთით ღია დასტოვა და სიბნელეში მიმოიხედა.

ლევან ალაღიძე ზელმარჯვენე იწვა ვიწრო საწოლზე; სასთუმალი ისე ჰქონდა გაკეთებული, რომ პირდაპირ სარკმელს მისჩერებოდა. დანარჩენი ორი სიღრმეში იწვნენ ერთ ფართო საწოლზე.

„სძინათ“, გადასწყვიტა მარიკამ და ლევანს სახეზე დაახედა.

ჯერ ლევანის მზერა დაიპირა, მერე მისი ხმა მოესმა:

- ვიცოდი, მომაკითხავდი...
- რატომ არ გძინავს? — გაუჯავრდა ვითომ მარიკა, მაგრამ მისი ხმა ალერსით იყო სავსე.

— შენ გელოდი. — ჩუმად ჩაილაპარაკა ლევანმა.

მარიკამ თავი ასწია, იქვე, სულ ახლო მწოლარე ავადმყოფების მძიმე სუნთქვას დააყურა. მერე წყნარად მიხურა კარი, რომ მძინარე არ გაედვინებ-

ბია. მაზარა შემოიკეცა და ლევანის სასთუმალთან ჩაჯდა ფეხმორთხვეული, ზურგით კვიან მიწას მიეყრდნო.

ლევანმა სისუსტე დაძლია, მარიკასაყენ გადაბრუნდა, მისი პატარა, ნაჯაფი ხელი აიღო, მიეფერა.

— კაი ახლა, დაიძინე! — კვლავ გაუჯაერდა მარიკა.

— ჩემს ბედზე ყოფილხარ გაჩენილი... შენ რომ არ მყოლოდი, მე ახლა მკვდარი ვიქნებოდი. — ჩემი ხმით უთხრა ლევანმა, თანაც მარიკას ხელი გულთან მიიტანა, თითქოს გულის ძბვრით უნდა აგრძნობინოსო არა მხოლოდ მადლობა, არამედ თავისი წმინდა სიყვარული.

— რა საშინელი დამე იყო, ლევან. — სთქვა მარიკამ, თითქოს სურს ლევანის გონება სხვა მხრივ წარმართოსო, თითქოს არ უნდა მოისმინოს მისგან ის აღსარება, რასაც კარგა ხანია მოგლის.

— ვიცი... არ ეყოფილვარ განწირული...

— ჩემ ძმას, გესმის, გურიაში ოთხთვლიანი ოდა აქვს. — მისდაუნებლიედ ჩაილაპარაკა გულდამტკბარმა მარიკამ. — ვერ წარმოიდგენ, რაფერ მენატრება იქ მისვლა... გაიხედავ, ლევან, და ყველაფერი თითქოს გააღერსებს, ყველაფერი სულში გინდა ჩაიძვრინო...

— პო, იქაც წაველთ. ვინ დაგვაკავებს. — მონატრული ხმით ეუბნება ლევანი. — შენ ისეთი ქალი ხარ, სადაც ფეხს დაადგამ, ყველგან სიცოცხლე აყვავდება... ნუ გეშინია, მეც მოგყვები...

მარიკამ ლევანის თავთან მისდო თავი, თვალები დახუჭა. არაფერზე ფიქრი არა სურდა; ძილის მოახლოვებას გრძნობდა დაღლილი.

ჯერ კიდევ ესმოდა მარიკას ლევანის მოალერსე ხმა; ბურჯანში შედიოდა და სადღაც ტყინის რომელიღაც უჯრედში

მთიქრობდა ტბილად: *არა, კარგია, ასეთი ახლობელი, ასეთი ჩანჩქერი, ადამიანი რომ გეყოლებოდა...* უნდა სთქვამო, ამხანაგები, ყველანი კარგები არიან, მარა ეს სულ სხვაა... ამასთან არასოდეს არ იგრძნობ მარტობას... ეს ყოველთვის შენთან იქნება...
* * *

შუადღისას კვლავ ამოიჭრა ქარბუქი, გორაკების თხემებზე დარჩენილი თოვლი გადახვეტა და ხეებში მიმოაფრქვია. ჰაერში სულისშემხუთავი კორიანტელი დაღდა.

ეთერმა რამდენიმე საათით შეისვენა, სამსონისეული თბილი ქული დაიხურა, საყურეები ჩამოსწია და საოპერაციო კარავს მიაშურა, რომ იქ მორიგედ დარჩენილი ქეთო შეეცვალა. ოციოდე მეტრი უნდა გაეცლო, მაგრამ კარუამდის ძლივს მიატანა, ისეთი მძაფრი ქარი უბერავდა.

— რატომ იჩქარე? — უსაყვედურა ქეთომ, — ალბათ, სულ არ გძინებია.

— წადი ახლა შენ, მოსვენე — ბრძანების კილოთი უთხრა ეთერმა.

— კარგი. — მორჩილად უპასუხა ქეთომ.

უცებ კარვის კალთა გადაიწია და შიგ ჯერ ეჭიმი მინდიაშვილი შემოიმართა, შემდეგ დივიზიის ახალი მეთაური გენერალი სერგოშვილი და საინტენდანტო სამსახურის უფროსი მაიორი ანისონიანი.

კაბუტური მიხვრა-მოხვრა შეევნოდა გენერალს; იგი ხუთი დღის წინათ ჩავიდა ქერხში და უკვე მოასწრო ახლო გაცნობოდა დივიზიის ყველა ნაწილს.

გენერალი 1942 წელსაც იყო ამ დეოლებში. მაშინაც ქართულ შენაერთს მეთაურობდა; დაიჭრა, შავი დღეების ქარცეცხლში გამოიარა. ახლა თავს ბედნიერად სთვლიდა, რომ მტრის პირისპირ იდგა და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.



გენერალმა სათითაოდ დახედა დაკრალთ, მისი განსაკუთრებული ყურადღება ახალგაზრდა არტილერისტმა მიიპყრო; შეჩერდა.

— ეს ნამდვილად გურული იქნება? — იკითხა გენერალმა.

— დიახ, ეს სერჯანტი გალაგრე გახლავთ, ლანჩუთის რაიონიდანაა. — უპასუხა ქირურგმა მინდიაშვილმა.

გენერალმა მინდიაშვილის გამოშეტყველებაში ამოიკითხა, რა მდგომარეობაშიც იყო გალაგრე. დიხარა, ქოჩორა თმაზე ხელი დაუსვა, მიიფერა, გულის სიღრმეში აღძრული წუხილი არ შეიმჩნია, გამამხნეველები ხმით უთხრა:

— ყოჩაღად იყავი, ბიჭო..

ეთერმა სტუმრები გასასვლელამდის მიაცილა.

XXV

ასი დღე

პაჯი-მუშეკის ქვის სამტეხლოში იყო მოთავსებული დივიზიის სამეთვრო. ეს იყო ბნელი, ნესტიანი გვირაბი, რომელიც აკლდამას უფრო მოგაგონებდათ. შიგ განუწყვეტლად, დღისითა და ღამით ერთი ქვეშების ვაზნისაგან გაკეთებული კრაქი, ამიტომ კვამლისა და ჰვარტლის სუნი თანდათან უფრო მატულობდა.

გვირაბის თავზე სწორად სკდებოდნენ ყუმბარები, ავიაბომბები, ნალმები; ხანდახან ისეთი გუგუნე შეიპტებოდა შიგ, გვეგონებოდათ, არასოდეს არ დაწყნარდებოთ ეს შემზარავი ზრიალი.

ქვის სამტეხლოში შესასვლელიდან ნათლად მოსჩანდა მიტრიდატის მთა და ნანგრევებად ქცეული ქალაქი ქერჩი.

აქ შეეგებნენ გენერალს ძველი თანამებრძოლნი — შიო ბეროშვილი და ვარლამ სოსანიშვილი. ეს იყო მეგობრული და არა ოფიციალური შეხვედრა, რადგან პოლკებისა და ბატალიონების მეთაურები ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი.

ამ დროისათვის შენგუტის მუშაკების კორპუსს ექვემდებარებოდა გენერალი და შიო ბეროშვილი, სხვა მეთაურებთან ერთად, ახალი ხერხისა და ოსტატობის ძალას უნერგავდნენ მტრის პირისპირ მღვარ მეომრებს.

დღისითა და ღამით ვრძელდებოდა მოწინააღმდეგის წინა ხაზის დაზვერვა, მოიერიშე ჯგუფების შეკრა მტრის ბანაკში, მათი სიმაგრეების აღფთქება. მოიერიშე ჯგუფებში კვლავ მოიხვეჭეს სახელი სამსონ ლომთაძემ, კაკაბიტანმა ჯიჯიეშვილმა და სერგო ჩხაიძემ.

თებერვლის მიწურულში იოსებ გორგაისძის პოლკი წინა ხაზზე შესცვალა პოდპოლკოვნიკ ქანთარელის პოლკმა, ხოლო გორგაისძისა და ანავაძის პოლკები მეორე ეშელონში გადავიდნენ.

ურთიერთის პირისპირ, ორასიოდე მეტრზე ჩასანგრებულ მოწინააღმდეგეთა შორის რაზმების რაზმებთან სისხლისმღვრელ შეტაკებებს გარდა სწორად მეტად მწვავე ორთა ბრძოლაც იმართებოდა.

სწრაფი ქელიძემ შენიშნა ის აღვილი, სადაც გერმანელი სწრაფი იყო შენიღბული; იგი ჩვენებს გასაქანს არ აძლევდა, ერთი კაცი იმსხვერპლა. ქელიძემ მთელ დღეს უთვალთვალა, მაგრამ გერმანელი, სჩანდა თავისი საქმის კარგი ოსტატი იყო და დრო ვერ უშოვნა.

ქელიძემ გადასწყვეტა ღამითაც განგრძოთ თვალყურის დევნება. ახლა მათ შორის ის ვაიმარჯვებდა, ვისაც მეტი მოთმინება აღმოაჩნდებოდა..

დრო მძიმედ გადიოდა... როგორც იყო, მოაღწია განთიადმა. გაწვიმდა, აზოვის ზღვის მხარიდან ცივმა ქარმა დაუბერა. გერმანელმა სიცივეს ვერ გაუძლო, ფრთხილად წამოიშრათა, რომ

აბლობელ გორაკზე გადაერბინა... ქელიძემ მყისვე შენიშნა და სნაიპერის შაშხანის პირველი ტყვიითვე დააწვინა...

ბოლო ხანს მაინც ემჩნეოდა, რომ ჩვენები შეტყვის ნაცელად მტკიცე თავდაცვაზე გადავიდნენ, რათა მტერი დაესუსტებინათ.

ისეთი დღე არ გამოერგოდა, რომ მეომრებს ხანგრძლივად მოეცვენებინათ ყურთასმენა ქვემეხთა და ნაღმსატყორცთა ქექა-ქუხილისაგან. ხშირად წყდებოდა ტელეფონის ხაზი და მეკავშირენი შეუპოვრად შედიოდნენ ცეცხლში.

ოცდაორ მარტს მაიორ არატიშვილის დივიზიონის მებრძოლნი დიდი სიხარულით ჩამწყრივდნენ თავიანთი საცეცხლე პოზიციების მახლობლად; ამ დღეს ისინი იღებდნენ სიმამაცისა და სამხედრო დიდების სიმბოლოს — წითელ დროშას.

სახელმოხვეჭილი მეომრების წინ იდგა ახოვანი, სახელაფლავა არატიშვილი, რომელიც მოხდენილად შეეგება მისალოცავად მისულ გენერალს.

მტკიცე გამომეტყველებით შეჰყურებდა ომახიანი მაიორი გენერალს, მაგრამ თუ დააკვირდებოდათ, უთუოდ შეაჰმჩნევდით, როგორ ეონავდა მის თვალებსა და სახის ყოველ ნაკვთში მისთვის ჩვეული ღიმილი, ის გულისმომგები ღიმილი, რომელიც ძლიერ ადამიანს სჩვევია ხოლმე.

გენერალმა მხურვალედ მიულოცა კოლექტივს დროშის მიღება და მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატება უსურვა.

დროშა არატიშვილმა ჩაიბარა და გადასცა მამაც არტილერისტს, სერჟანტ გაფრინდაშვილს.

პერში გახაფხულის მოახლოვება იგრძნობოდა; მტერი დატყვევებული არ ებურა, ხოლო სამხედრო ნილი შექმნარევი ნისლი ჰორიზონტს ვერ ჩრდილავდა.

დროშას შავი ზღვიდან მონაბერი თბილი ჯარი არხედა.

ვაფრინდაშვილმა რომ დროშას ხელი ჩასჭიდა, მწყობრი ვაშა გაისმა. მეომრებს, რომელთა შორისაც ძალიან ბევრს უმალღესი განათლება ჰქონდა მიღებული, ალტაცებისაგან სახე უბრწყინავდათ.

გენერალი მათსავით ახალგაზრდა იყო, ხოლო მის წინ ჩამწყრივებული არტილერისტები, მრავალჯნის ბრძოლაში წრთობილნი, ისეთი სიყვარულით შეჰყურებდნენ, როგორც შვილი მამას.

ავერ გენერლის გვერდით ნაბიჯი წინ წადგა ტანმორჩილმა პოლკოვნიკმა; მის ფერგამკრთალ სახეს მრავალი უძილო ღამინე კვალი ემჩნეოდა, ნაკლები ჩაღრმავებოდა, ცალი წარბი ოდნავ დახრილი ჰქონდა; ეს შიო ბეროშვილი იყო; თავის სახელოვან ეჭკაცებს გადახედა და სამხედრო ფიცის კითხვას შეუდგა.

სამი დღის შემდეგ დივიზიონმა დროშის მიღება ახალი გამარჯვებით აღნიშნა. მტრის საცეცხლე წერტილებიდან ხუთასი მეტრის მანძილზე ჩამწყრივებს თავიანთი ქვემეხები. დილის ექვს საათზე გახსნეს ცეცხლი. ეს იყო პირდაპირი დამიზნება. დაკრა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ ზარდაცემული გერმანელები ბლინდაყებიდან ამოცვივდნენ, დანარჩენები შიგ ჩაიშარხნენ.

მარტის ბოლო რიცხვებში იოსებ გორგაისძის პოლკმა საბრძოლო პოზიციაზე შესცვალა ქანთარელის პოლკის მეტად საპასუხისმგებლო ზღუდე



ყო; შალვა ყიფშიძის ბატალიონი მის-
გლისთანავე ბრძოლაში ჩაება. სამსონ
ლომთაძის მოიერიშე რაზმი რამდენ-
ჯერმე შეიჭრა მტრის ბანაკში.

ოცდაათ მარტს ძალიან ცუდი ამინ-
დი დაიჭირა, მთელ დღეს თოვლნარევი
წვიმა მოდიოდა. სანგრებში წყალი
ჩაღვდა.

ბნელი ღამე ჩამოწვა. საღმე ყუმბა-
რა თუ გაივლებდა, თორემ სხვა არა
მოსჩანდა რა.

საგუშავგოზე ვალიკო წულაძე იღვა.
რამდენჯერმე მოკრა ყური საეჭვო
ჩქამს. დააკვირდა. ნამდვილად გერმა-
ნელები არიან, მოხობავენ. რა ახლოს
მოსულან... „ახლა კი ამოვალ მაგენის
ოხტში“, — სთქვა გუნებაში და და-
ვით ჯანაია გააფრთხილა, თვითონ
ხელის ტყვიამფრქვევი მოიმარჯვა.
გული გამალებით უცემდა; მოკუბუ-
ლი თვალებით ლამობდა გარკვევით
დაენახა სიბნელეში გერმანელები. ამ
დროს აენათო ჩვენი მამხალა, ვალიკომ
მოახლოვებული მტერი მიზანში აპოი-
ლო და ცეცხლი გახსნა...

დილით კოლია ბარბაქაძემ, მტრის
გვამები რომ დაინახა, შუბლი შეიკრა,
„ფუი ეშმაკსო“, წამოიძახა და ორასი
მეტრის მანძილზე ჩასანგრებულ გერ-
მანელების მისამართით სთქვა:

— თქვენს ოჯახს ნუ მოაკლოს
ღმერთმა მიცვალებული და ვაიუბე-
დურება!..



გაზაფხულის მზემ ჩაიხედა სანგრებ-
სა და მიწურებში.

მალე ასი დღე სრულდებოდა, რაც
ქართველი მეომრები იდგნენ აქ მტრის
პირისპირ, წვიმაში, თოვლში, ქარში...

ახლა კი გორაკების ფერდოები მწვა-
ნელ იმოსებოდნენ; ზღვის ზედაპირს
ნათელი ფერები უფინებოდა. ყუმბა-
რებისაგან ამოთხრილ ორმოების ნაპი-
რებშიაც ბალახმა ამოჰყო თავი.

ხოლო წინ ბრძოლის ველად მცე-
ული ქალაქის ნანგრევები ეგდებოდა.
ზარავად გამოიყურებოდნენ მათგან
დაუსახირობელი ხეც კი არ დარჩენილა.

მეასე დღე ახლოვდებოდა და ქერჩის
გათავისუფლების ქამიც დგებოდა.

შვიდ აპრილს დაიწყო სამხადისი
გენერალური იერიშისათვის.

უკრაინის ფრონტის ჯარები მიად-
გნენ პერეკოპისა და სივაშის რაიონს.

მოუთმენლად მოელოდნენ მეომრე-
ბი ვადამწვევებ ბრძოლას. ყველანი
მოწყურებულნი იყვნენ მალე გაერლ-
ვით მტრის სიმავრეები და ფართოდ
გაეხსნათ მზიური ყირიმის კარები.
ყველაფერი: ეს გორაკები, ყუმბარები-
საგან გადათხრილი ხეები და ფერ-
დოები, მიწურები და ქვის სამტეხლო-
ები, ქალაქის ნანგრევები, მეტალურ-
გიული ქარხნის ჩონჩხი, ზღვის ნაპირი,
რომელიც ამ ასი დღის განმავლობაში
ისე მობეზრდათ მებრძოლთ, რომ თავ-
ლია კუბოს მოაგონებდათ, ყველაფერი
მოუწოდებდათ და აჩქარებდათ, რაც
შეიძლება მალე შეემთსრათ მოსისხლე
მტერი.

ათ აპრილს გერმანელებმა იგრძნეს
აღსასრულის მოახლოვება. მთელი არ-
ტილერია წინა ხაზზე წამოსწიეს, საა-
თის თორმეტზე უსასტიკესი ცეცხლი
გახსნეს. ისროდნენ მათი ქვეშეხები,
ნალმსატყორცნები, „ფერდინანდები“,
ტანკები.

ჩვენები ამ გრივალისებურ ცეცხლ-
შიაც ემზადებოდნენ, რათა სულ მალე
მიეღოთ გერმანელებს საკადრისი პა-
სუხი. არა მარტო მტრის პირისპირ
მდგარი მეომრები, არამედ შენაერ-
თის ყველა შემადგენელი ნაწილი და-
უცხრომლად მოქმედებდა გენერალუ-
რი იერიშისათვის.

აპრილის თერთმეტს შუალამისას შე-
ნაერთმა მიიღო სარდლის ბრძანება,

გაერღვიათ მტრის მოგერიების ზოლი, აეღოთ მაღლობი 95,1 და გაკრილიყვნენ წინ.

ამავე დროს დაიწყო საარტილერიო მომზადება მთელ ფრონტზე. მტერს ურტყამდა ყველა სახის საბჭოთა იარაღი. ფაშისტების ბანაკში ჯოჯოხეთი დატრიალდა, ორჯერ მეტი ლითონი ჩადღულდა.

მაღლობი იოსებ გორგაძისძის პოლკს უნდა აეღო. იოსებმა ყველა რაზმს თავისი საქმე მიუჩინა, განკარგულება გასცა.

ჯერ გათენებული არ იყო, რომ შალვა ყიფშიძის ბატალიონი წამოიშრებოდა; დაიძრნენ სამსონ ლომთაძის, სერგო ჩხაიძისა და კაპიტან ჯიჯიყიშვილის მოიერიშენი. ამოქმედდა მაიორ არატიშვილის დივიზიონი... ვეფხვისებური ნახტომით მიიჭრნენ მტრის პირველ სანგრებთან და, ვიდრე ზარდაცემული გერმანელები გონს მოეგებოდნენ, ზღუყუმბარები დააყარეს. სანგრებში ჩაუხტნენ და ხიშტებით ეკვეთნენ... ბრძოლა სასტიკი და ხანმოკლე იყო; მაღლობის სანგართა პირველი რიგი უკვე აღებული იყო. აქედან დაუყოვნებლივ გაეშურნენ მეორე სანგრებისაკენ. აქ მოწინააღმდეგემ მოასწრო ორგანიზებული ცეცხლის წარმოება, მაგრამ ჩვენი მეომრების იერიში ისეთი სწრაფი და შეუკავებელი იყო, რომ მალე ისინი მეორე რიგის სანგრებშიაც აღმოჩნდნენ, მტერი გაელოტეს და სულმოუთქმელად სანგრების მესამე წყებისაკენ გაეშურნენ.

გაზაფხულის დილა თენდებოდა, ხოლო ზღვის პირად, კლდოვან ფერდობზე და ზეგანზე შეფენილი ქერჩის ნანგრევები ისე იყვნენ გახვეულნი მქუხარე ბრძოლის აღმურში, რომ მის სიღრმეში ვერ აღწევდა ამომავალი მზის სხივი.

ამ დროს ჩვენი მეომრები მესამე სანგრებში ბრძოლას უკვე ამთავრებდ-

ნენ. იმდენად ალტაცებულნი და ფრთაშესხმულნი იყვნენ, რომ მანქანებისა და არავეითარ ძალას არ შეეშლო; მათი კვეთება სტიქიონის უღმობელ დინებას უდრიდა.

სამსონი ორჯერ ბეწვზე გადაჩრა, ავტომატის ტყვიამ სახელო გაუხვრიტა, მეორემ მხართან გაუარა, ხორცი ოღნავ გაუწვა. ყურადღება არ მიუქცევია, თავის რაზმს წინ მიუძღვებოდა; ხმა ჩახლენილი ჰქონდა, მაგრამ მაინც გაჰყოლიდა. რამდენჯერმე გაივლო გუნებში: „არ ეყოფილვარ განწირულიო“. ფიქრის ეს გაელევა თითქო მძიმე ტვირთს აშორებდა, ძალა ემატებოდა, მოსაზრების უნარი უორკედებოდა. თვალის ყოველ დახამხამებაში ახალი ვითარება იქმნებოდა. ახალი ხლართი უნდა გაერღვია. ხშირად ავტომატურად მოქმედებდა, მაგრამ ეს უკვე მრავალ ბრძოლაში გამოიმუშავებული ჩვევა იყო.

— გენაცვალეთ, ბიჭებო!.. მტერი ვარბის! დაცეხეთ, არ გაუღუშეთ!..

ამ დილას ყველანი გულანთებულნი იყვნენ, რადგან ასი დღის ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო, შავად აღმართული ზღუდე გაარღვიეს და გაშლილ ველზე გავიდნენ.

იოსებ გორგაძისძის პოლკმა ერთ საათში დაიკავა მაღლობი 95,1. ამის შემდეგ შენაერთის ყველა ნაწილებმა სწრაფად მოიყვანეს წესრიგში თავიანთი ძალები, წასწიეს წინ საცეცხლე საშუალებანი და კვლდაკვალ დაედევნენ უაჟაჟულ გერმანელებს.

მინელდა ქვემებათა გრიალი. ქერჩის ნანგრევები უკან დარჩა. წინ მწვანე ველი გადაიშალა; ზოგან ვრცელ მანძილზე ჯეჯილი ბიბინებდა. გაზაფხულის მზეში ბრწყინავდა ყირიმი, თავისუფლებას შეჰხაროდა.

ხოლო გზადაგზა თხრად ეყარა დამპყრობელთა ქვემეხები, მანქანები, დამსხვრეული თვითმფრინავები.



გამალბებულად მიისწრაფოდნენ წინ ჩვენი მეომრები, დღეში 35 — 40 კილომეტრს გადიოდნენ. ან კი რა დაღლიდათ ასი დღის პოზიციური ომის შემდეგ ამ გაშლილ გზაზე, როცა მტერი გატეხილი იყო და ამოდ ცდილობდა თავის გადარჩენას.

X XVI

სევესტოპოლისაქმე

აპრილის მეორე ნახევარში დივიზია უკვე სიმფეროპოლში იდგა. ეს ღამეში ქალაქი, რომელსაც ირგვლივ მშვენიერი ბღნარი აკრავს, ერთი შეხედვით თითქმის სრულიად არ იყო დაზიანებული. მხოლოდ ცენტრში რომ შეხედოდი, იქ ნახავდი სახურავ-ჩანგრეულ, კედლებგანზარულ დიდ სახლებს.

იმ დღეებში, როდესაც მტერი სევასტოპოლის მისადგომებთან იყო მიშწყვდილი, ახალგანთავისუფლებულ სიმფეროპოლში ცხოვრება იმ მძლავრ მდინარესავით სჩქედდა, რომელსაც ჯებირი გადაულახავს და ღალად მიეჭანება თანაც აქ ყველაფერი: ქუჩებში გაკრული პლაკატები, კედლებზე დიდი ასოებით წარწერილი სიტყვები, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი სამხედრო ნაწილები, მოქალაქეთა გამომეტყველება, ყველაფერი მგზნებარედ მოუწოდებდა:

— წინ, სევასტოპოლისაქენ!..

სამსონ ლომთაძის ასეულის ერთი ჯგუფი აბანოდან გამოვიდა, ზოგი იქვე გრძელ მერხზე ჩამოჯდა, თამბაქო გახვია. მათ შორის იყვნენ დავით ჯანაია, კოლია ბარბაქაძე, ლევან ალაიძე, ნესტორ ირემაძე და ვალიკო წულაძე.

აბანოს მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ლევანს არ მოეწონა ეს, დაწინაურდა, რომ იქვე პატარა მდინარის გაღმა შეეფინა ბაღში შეე-

ხედნა, ახალგაფორჩქენილი ხეების ცქერით დამტკბარიყო. ეარქანსული მზე ახალი ამოსული ზღბლ-ქვეყნაშტ ტოტებგაშლილი ხეების მუქანე ფონზე ცისიერში აწვდილი ალვისხეები ვეება სანთლებივით ანთებულაიყენენ.

ლევანი სამხედრო მუსიკის ხმამ გამოარკვია, მრავალგზის განცილი გრძნობა აღეძრა, თითქოს ახლაც რაზმეულებს მოჰყებოდეს და მუსიკას დალილობა დაევიწყებინოს. ყრილზე ავიდა, გზის პირად დადგა და სევასტოპოლისაქენ მიმავალ მხედრებს მზერა დაუწყო. უცქერდა მათ და გუნებაში სიამოვნებდა, — ასე ჯანსაღად, ასე მტკიცედ რომ გამოიყურებოდნენ ისინი; ვინ იცის, საიდან მოდიან, იქნებ სტალინგრადში იბრძოდნენ... რამდენჯერ გაურღვევიათ მტრის სიმაგრეები...

სხვა რაზმეულები მოახლოდნენ, მუსიკამ იგრიალა..

ლევანს კვლავ აუჩქროლდა გული, მერე ირგვლივ მიმოიხედა, უცებ მარიკა მოაგონდა, მოუთმენლად მოწყურდა მისი ნახვა...



შალვა ყიფშიძე დივიზიის შტაბიდან გარეთ გამოვიდა, მოაჯირიდან გაპხედა ეზოებში მრავალფერად აყვავებულ ხეხილნარს.

შუა დღე იყო. ცის დასალიერზედაც არა სჩანდა ღრუბლის მცირეოდენი ფთილა-ქუჩებში გაზაფხულის მაამებელი სითბო ჩამდგარიყო, ხოლო ნაპირებში ჩამწყრივებული ახალგაზრდა ხეები გაშლილი კვირტებით მზეს უღიმოდნენ.

რა საამო სანახაი იყო ყოველივე ეს ქერქში გატარებული სასტიკი ზამთრის შემდეგ! იქ მუდამ თვალწინ ედგა უდაბურად ქცეული გორაკები, ყუმბარებისაგან ამოთხრილი ორმოები, ოდესღაც ღამეში ქალაქის მარტოოდენ

ნანგრევები და მუდმივი ქექა-ქუხილი... შალვამ იცოდა, რომ შალე არანაკლებ ბობოქარ ცეცხლში მოუწევდათ შესვლა, — პირველად მხოლოდ ერთ ნაკრებ პოლკზე იყო ლაპარაკი, მერე კი, როგორც სჩანდა, მთელი შენაკრები მიიღებდა მონაწილეობას სევასტოპოლის განთავისუფლებაში, — ამიტომ ახლა მით უფრო ატკობდა ეს მყუდროება, ეს ნორჩი სამოსი განახლებული სიცოცხლისა, ეს ეზობიანი სახლები, სადაც შეიძლება იცხოვროს ადამიანი უშფოთველად, იყოს იმასთან, ვინც უყვარს..

შუბლი შეიკრა შალვამ. რამდენი ხანია არ უნახავს ქეთი! ქერჩში ერთხელაც ვერ იშოვნა დრო, რომ მდღსანბატში მისულყო, გზაში კი... მისი ბატალიონი ყველაზე წინ მოდიოდა, რამდენჯერმე ბრძოლაც მოუხდათ, მრავალი ტყვე ჩაიბარეს. აქ მოვიდნენ და, ეს არის, თითქოს პირველად ხედავს ამ მშვენიერ გარემოს, რადგან დღედაღამე საქმეში იყო გართული.

„უთუოდ შემდურის“, — გაიფიქრა შალვამ და ქეთოს მოწყენილი სახე წარმოუდგა, მაინც გაუღიმა გუნებაში, რადგან იცოდა: საკმაო იყო მიახლებოდა, ალერსით შეეხებდა და მყისვე გაქრებოდა ქეთოს სახეზე აღბეჭდილი სევდა, ცისფერი თვალები ისე გაუნათებოდა, თითქო მთლად სიზარულად იქცაო.

კარგა ხანს უმზირა ფიქრში გართულმა შალვამ ბუნების სილამაზეს, მერე შეუმჩნევლად გაიღვიძა მასში იმ გრძობამ, რომელიც მუდამ აიძულებდა, თავი კოხტად დაეჭირა, სუფთად და ლამაზად გამოწყობილი ყოფილიყო. თითები ყბებზე მოისვა. დილით რატომ არ გაიპარსა? ჩემებზე დაიხედა; არ მოეწონა განა ასეთი გაუბრიალებელი ფეხსაცმელებით გამოვიდოდა შალვა უწინ გარედ? წელზე ქამარი გაისწორა, მკერდი შემართა და თავს

პკითხა: „რა მოგივიდა, შიქო? ზომ/არ დაილაღე?.. იქნება სიბერე უნდა დაგხარა?..“

თავი გაიქნია, საფეხურები მოხდენილად ჩაიარა და ქუჩის კუთხისაკენ გაემართა.

სწორედ ამ მზიან დღეს ეთერმა, ქეთომ და მარიამამ რამდენიმე საათით თავი გაინთავისუფლეს, სამუშაო ბევრი არ იყო და ექიმ მინდიაშვილს საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა.

მეგობრები ისე მზიარულად გამოვიდნენ ქუჩაში, თითქოს გალიიდან გამოშვებულ მტრედებს სივრცეში გაენავარდოთ.

ქეთომ ქიშკართან გაიგო მხედრისაგან, რომ შალვა შენაკრების შტაბში იყო წასული. ეწყინა, მეგობრებს თვალი აარიდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა შტაბისაკენ მიმავალ ქუჩას. ბაზრის წინ, მოედანთან უცებ შესდგა და წარბშერკვით ერთ წერტილს დააკვირა. წინათაც აღძვრია ამგვარი ფიქრი, მაგრამ არასოდეს ასეთი მტკივნეული, ასეთი მძაფრი არა ყოფილა იგი. ნამდვილად შალვამ ამდენხანს იმიტომ არ მინახულა, რომ ვილაყას გადაეყარა, — ფიქრობდა ქეთო. — მეომრებში ეს ხშირად ხდება.. შალვა კი... ვინ იცის?.. შეათურია, დროს როგორ ვერ იშოვნოდა?.. არა, ასეთი უბედურების ღირსი მე არა ვარ“. — უთხრა თავის თავს და მოედანი გადასჭრა, ქვაფენილს გაჰყვა, გულში ჩაღვრილი სიმწარე გაუნელდა.

ქუჩის კუთხეში ანახლად სუნთქვა თითქმის შეეკრა, გაშვებდა; აგერ, რამდენიმე ნაბიჯს იქით დგას შალვა, ცალი ფეხი ყუთზე უდგას, პატარა ბიჭი ჩემქმას უწმენდს.

რამ გააჩინდა ქვით? უსასღერო ბედნიერებამ, თუ.. რომელიღაც მაცდური ეუბნება: „შეხედე, შალვა ისევ ისე კოხტობს... რა დაუშლის, ქალგების მეტი რაა...“

შალვამ თითქოს იგრძნო, თავი

ასწია, ჯერ სივრცეს მიაცქერდა, მერე ქეთოს მოჰკრა თვალი.

მეისევე ადგილიდან მოწყდა ქეთო, სიხარულმა აღიტაცა, მაგრამ მისკენ გამოშტერებულ შალვას რომ მიეახლა, პირზე სასაყვედურო სიტყვები მოადგა, თავისდაუნებლიედ შუბლი შეიკრა და კუშტად ახვედა.

შალვა მოელოდა საყვედურს და ეს არაღ მიიჩნია, ალერსიანი ღიმილი შეაგება; ხოლო ამ სულ მცირე დროის განმავლობაში ქეთოს ის დღეები წარმოესახა, რომელთა განმავლობაში მათ ერთმანეთი არ უნახავთ. როგორც კი შალვას დაწვებზე გაუპარსავი წვერი დაინახა, წამსვე ნათლად წარმოიდგინა, თუ რა ცეცხლში იყო გამოვლილი შალვა, რამდენჯერ იღვა ბეწვის ხიდზე, რა ძალა დასკირდა, რომ აქ მოედწია და ქეთოსთვის ეს სიხარული მიენიჭებინა.

თავისთავად გაეხსნა შუბლი ქეთოს, ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა, შალვას მკლავზე მოხვია ხელები და ზედ დაწვიით მიეხუტა დამშვიდებულნი, სავსებით ბედნიერი.



სამსონის ასეული მხვარეში გამოფენილიყო. ზოგი ყორედან ჩამოშლილ ქვაზე იჯდა, ზოგს ძელზე მოერთხა ფეხი.

დღეს მათ ყირიმში მოქმედი ქართველი პარტიზანები სწვევოდათ. ერთი მათგანი, შლა ტანის, პირხმელი კაბუქი, ყოფილი მასწავლებელი, უყვებოდა მეომრებს, თუ როგორ უმკლავდებოდა პარტიზანთა მცირე ჯგუფი გერმანელთა მოელ დივიზიას, როგორ შეიჭრებოდნენ ხოლმე მტრის ბანაკში, აფეთქებდნენ ხიდებს, მანქანებს. ესენი ბრძოლის უკანასკნელ დღეებში დაღუპულ პეტრე გვალის რაზმის წევრები იყვნენ და ღრმა სიყვარულით ასხენებდნენ თავიანთ მამაც ხელმძღვანელს.

ეთერი და მარიკა. დიდი სახლის

კუთხეში შედგნენ, უხერხულთა იჭრებნენ. ამ დროს ლევან ალაღიძემ მოჰკრა თვალი მარიკას, წამოიშტერდა და მისკენ მარიკამაც შეასწრო მზერა და მისკენ ანიშნა — იჯექი, იჯექიო.

ფეხის თითებზე შედგა მარიკა, ლევანთან მივიდა და მის გვერდით ჩამოჯდა.

სამსონი იმეამად ეთერს არ მოელოდა, წინა დღეს მიიღო მისგან წერილი და, როგორც კი დროს იშოვნოდა, თვითონ აპირებდა სანახავად წასვლას. ამიტომ ახლა ყველამ შეამჩნია, როგორ აენტო მისი ქარდაკრული სახე, როგორ გაბრწყინდნენ მისი ისედაც სხივოსანი თვალები. მაგრამ სამსონმა პალე დასძლია შინაგანი მღელვარება. ეთერს მტკიცე ნაბიჯით გაეგება და ხელი ისე ჩამოართვა, როგორც მხედრებს სწვევით ხოლმე. ამის შემდეგ ორივეს სურდა მოესმინათ პარტიზანის ნაამბობი, მაგრამ მათი გულისყური ურთიერთის სიახლოვით იყო აღსაყესე.

ბოლოს სამსონმა თავის მოადგილეს რამდენიმე სიტყვა უთხრა და ეთერი კიშკრისაკენ გაიყოლია. აქ, როგორც კი მიეფარნენ, გულლიად გაუღიმეს ურთიერთს. სიტყვის თქმა ზედმეტად ჩასთვალეს.

ეთერმა მკლავი გამოსდო სამსონს, მხარი მხარს მიაყრდნო, მოწყურებულნი თვალებით შეაცქერდა სახეზე, თან ნაბიჯს აუჩქარა:

— ვიართ, შემოგველე... ქალაქი დაეთავალიერათ...

უთხრა ეს ეთერმა, მაგრამ იმ წამს მას არც ქალაქი აინტერესებდა, არც ირგვლივ მიმოშავალი ხალხი; მას მხოლოდ სამსონთან ერთად თავისუფლად გავლა ენატრებოდა. თანაც იმ გულუბრყვილო სურვილმა გაიტაცა, რომელიც ჯერ კიდევ მამის აღძვრია, როცა მოზარდი იყო. დაუნახავს ერთად ლამაზად მიმავალი ქალ-ვაჟი და უფიქ-

რია — ოდესმე მეც გავივლით ასე ჩემ შეყვარებულთან. დეე დინახოს ყველამ, აგერ იმ ოფიცერმა და მისმა მანდილოსანმა, იმ ქალიშვილებმა, იმ ბავშვიანმა ქალმაც, აგერ კიდევ ამ მხედრებმა, ყველამ დინახოს, რა შესაფერისნი არიან, როგორ ამშვენებენ ერთმანეთს სამსონი და ეთერი.

მართლაც, არა ერთმა გამგლეღმა გააყოლა თვალი სამსონსა და ეთერს. ოფიცერის სამოსში გამოწყობილი სამსონი, ტანადი, მხრებ გაშლილი, ერთობ კარგი შესახედავი იყო.

ეთერსაც მხედრული სამოსი ეცვა, მაგრამ ამით არაფერს ჰკარგავდა; ყველა შეამჩნევდა, რომ იგი ახალგაზრდა ქართველი ქალის ბუნებრივი სამკაულით იყო დაჯილდოებული; სამსონზე ოდნავ დაბალი იყო, მაგრამ ამით არა აკლდებოდა რა მის ტანადობას.

არსად არ მიეჩქარებოდათ, ისე გადადიოდნენ ქუჩიდან ქუჩაში, მრავალ ხალხში რომ მოხედებოდნენ, განზე გაუხევედნენ, საუბარს მხოლოდ მაშინ შეწყვეტდნენ, როცა რაიმე განსაკუთრებული მიიქცევდა მათ ყურადღებას.

ეთერმა ეგნატესაგან მიღებული წერილის შინაარსზე ჩამოავდო საუბარი.

ბოლო ხანებში მამა ძალიან სწუხსო, ამბობდა ეთერი, მას რომ არ შეჰფერის, რაღაც ისეთი გულგატეხილობა დასჩემდაო. სხვა დროს გულშიაც რომ ჰქონოდა, არ წამოცდებოდა, ახლა კი იწერება, აღარ მგონია, შეილებაო, თუ მოვესწრები თქვენს ნახვასო. რა მოუვიდა? ასეთი ოპტიმისტი და სასოწარკვეთილება! იქნება წინათგარძნობაა...

ტუნზე იკბინა ეთერმა, სიტყვა შესწყვიტა, სამსონს დამნაშავესაგან შეაიქურდა.

სამსონს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, უცნაურმა ფიქრმა გაჰკრა გულში ბრწყალი: „მართლა, ხომ შესაძლებელია, რომ მომავალი იერიშის დროს

ბედმა მიმტყუნოს? მაშინ... ეთერს/რა ეშველება?...“

შუბლი შეიკრა, მხოლოდ ის ვერ დამალა, ეთერისადმი რომ სიბრალული აღძრა, უსიტყვო მოფერებით დაუსვა მხარზე ხელი და ვზა განაგრძო.

ქვაფენილზე მიმავალთ გაჰყენენ. ბოლოს ბაღში ჩაუხვიეს. აქ მათი ყურადღება ახალმა სამარემ მიიქცია. იგი კვირგვინებითა და ყვავილებით იყო შეზღვნილი.

„პეტრე გვალია... ქართველი პარტიზანების მეთაური“. — ამოიკითხეს წარწერა.

— შესანიშნავი ვაჟკაცი ყოფილა, — უთხრა სამსონმა ეთერს. — მისმა ახანაგმა მიაგმო. სულ უკანასკნელად უმტყუნა ბედმა. რამდენ ცეცხლში გამოიარა და ბოლოს, როცა მტრის აღსასრული მოახლოებული იყო, გამოუღალ მდგომარეობაში ჩავარდა... ცოლმე ჰყოლია, პარტიზანი ქალი. თურმე მასთან იბრძოდა, თავისი ხელით გამოუყვანია მომავლადეი პეტრე... ახლა აქ არის, პარტიზანთა შტაბში... სულთ არ დაცემულა... სწორედ ასეთი უნდა იყოს ქალი, სიკვდილმა არ უნდა გატეხოს...“

— კარგი, წავიდეთ... არ მიყვარს სამარესთან დიდხანს ყოფნა. — ჩაილაპარაკა ეთერმა და სამსონის მკლავს მეორე ხელიც მოჰხვია.

დაიღალნენ. ბილიკიდან გადაუხვიეს და ხის ძირას დასხდნენ.

მრავალფერად ციმციმებდნენ აბრისის მხეში ხეხილის ყვავილები, ყოველი მცენარე თავისი საკუთარი ელფერით შეჰხაროდა სიცოცხლის განახლებას.

— ახლა გამოგიტყდები, სამსონ, — თავისდაუნებლიედ წამოიწყა ეთერმა, — ძალიან გულგატეხილი ვიყავი. არ მეგონა, თუ ასე გნახავდი. მო, ისე გნახავდი, რომ შენ ინვალიდათ არ



ჩამთვლიდი. ეს მე დედაშენის წყალობით მიჭირს, მისმა მადლიანმა გულმა და სიყვარულმა გამკურნა... თუმცა... არა, ამას მერე გეტყვი. განა მძიმე ჭრილობა ისე მოუჩრჩება ადამიანს, რომ რაიმე ნაკლი არ დაუტოვოს?.. მაგრამ რა საჭიროა ეხლა ეს? მე ის მინდოდა შეთქვა, სამსონ, შემოგვევლე, თუ რა დიდი ბედნიერება გველის, როცა შინ ჩავალთ დედაშენთან...

სამსონი ხანგრძლივად აცქერდებოდა ეთერს სახეზე, ტკბებოდა მისი გამომეტყველებით, უსახლგროდ უხაროდა, დედას რომ ასეთი სიყვარულით აგონებდა ეთერი; ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქო მარტონი როდი იყვნენ ამ უცხო ქალაქში, დედაც მათთან იყო თავისი აღუვსებელი სიყვარულით.

ჩრდილოეთის ქარმა დაუბერა, შრიბლით შეირხნენ ხეხილის ტოტები; წყდებოდნენ ყვავილები და ძირს ფარფატით ცვივოდნენ. გაახდავდა ხოლმე სამსონი ყვავილების ზღაურს, ფერების კრთომასა და ლივლივს, მერე კვლავ ეთერს მიეაღერებოდა მზერით; იმ წამს მისთვის სამყარო მარტოდენ ყვავილებითა და სიყვარულით იყო აღსავსე.

ერთი თეთრი ყვავილი ეთერს დაეცა შუბლს ზემოდ, თმის კულულებზე; მერე ოდნავ შეირხა ეს ყვავილი, ნულა დაეშვა და ეთერის ზეახრილ წამწამებზე შეჩერდა.

უცნაურის ძალით მიიზიდა სამსონი ამ თეთრმა ყვავილმა, ეთერს თავზე ხელი მოხვია და თვალები დაუკოცა.



აპრილის ბოლო რიცხვებში სევასტოპოლისაკენ დაიძრა ჯერ ნაკრები პოლკი პოდპოლკოვნიკ ქანთარელის მეთაურობით, ხოლო შემდეგ მას მიჰყ...

ვა მთელი შენაერთი. ლაშქრობა ერთობ სწრაფი იყო, დღეღამე ერთმანეთს კილომეტრი გაიარეს. შინაგონი მალაღი მთების კალთებს შორის მოიკლავნება მდინარე ჩორგუნი.

აქ, სევასტოპოლის ამ შორ მისაღვომთან გამაგრდნენ ქართველი მეომრები. ვიწრო ხევში, ლოდებიანი კლდის ძირას გამოთხარეს ორი მიწური, ერთში გენერალი მოთაესდა, მეორეში — შიო ბეროშვილი. მიწური ძელებით იყო გადახურული, შიგ მხოლოდ სამი ნაბიჯის გადადგმა შეიძლებოდა. იქვე ახლო, მალაღ კონცხთან, ურთიერთზე დახურვილ ლოდებში შეკავშირე იმყოფებოდა. პოლკები და ბატალიონები მდინარის ნაპირებსა და გორაკების ფერდობებზე იყვნენ განლაგებულნი.

გერმანელებმა იცოდნენ, თუ რა საფრთხე მოელოდათ მათ ჩორგუნიდან, ამიტომ ყოველი ღონე იხმარეს, რომ იჭაურობა ყუმბარების ცეცხლით გადაეთხარათ. ძეძვებიანი გორაკები მრავალ ადვილს მართლაც გადაიწვა, გვეგონებოდათ, ტყე გაუკაფავთ და შემდეგ ეკლებისათვის ცეცხლი წაუცილებიათ.

სოფელი ჩორგუნი დანგრეული იყო. მდინარის ნაპირებსა და ტაფობში ოხრად ეყარა გერმანელების მიერ მიტოვებული სამხედრო იარაღები, დამსხვრეული მანქანები, მათულების გორგლები... აქა-იქ მოკლული ცხენები იხრწნებოდნენ.

მთები ირყვოდნენ ქვემეხთა ქუხილით, ფეთქდებოდნენ ჭურვები და ხევში ცვივოდა მიწისა და ქვების ნამსხვრევები, მაგრამ შენაერთის ხელმძღვანელები დინჯად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს, გადამწყვეტი იერიშისათვის შეუსვენებლად ემზადებოდნენ. პირველ მისს, დიდი ბრძოლის წინ შენაერთის ნაწილებმა კოლექტიურად

მოისმინეს სტალინის საპირველმაისო ბრძანება.

მაიორ ჯაბაშვილის მესანგრეებმა საპუნ-გორასაკენ მიმავალ საურმე გზის გასწვრივ ევება ნაღმები აღმოაჩინეს; არყის სახდელ ქვაბებსა ჰგავდნენ ეს ნაღმები, შორ მანძილზე იყვნენ ჩაწყობილი მიწაში; ისინი რომ აფეთქებულიყვნენ, ხევში ყველაფერს შემუსრავდნენ.

გერმანელები ყოველმხრივ მოემზადნენ ხანგრძლივი თავდაცვისათვის; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სევასტოპოლს მთელი თვეების განმავლობაში შეინარჩუნებდნენ.

პიტლერმა მაისის პირველ რიცხვებში გადააყენა გენერალი იენეკე და მის ნაცულად დანიშნა გენერალი ალმენდინგერი, რომელმაც რ მაისს ასეთი ბრძანება გამოსცა:

„ჯარისკაცნო! ფიურერმა ბრძანა დაეიცვათ სიმაგრე უკანასკნელ ვაჟნამდის სევასტოპოლი აუცილებელი სასიცოცხლო სივრცეა. ჩვენს წინაშე დგას რუსი ქვეითი ჯარი. რომელიც წინ ვერ დაუდგება გერმანელ გრენადერებს. რუსის ჯარი ვერასოდეს ვერ აიღებს სევასტოპოლს, მას გერმანიის ჯარი იცავს“.

ასე ლაპარაკობდა მედიდური გერმანელი გენერალი, ხოლო მეორე დღეს შვიდ მაისს, საბჭოთა მეომრების ბანაკიდან სევასტოპოლის მისადგომებთან „ომის ღმერთი“ ამეტყველდა.

XCVII

საპუნ-გორა

მოწინავე მესანგრეებმა მთებს შორის გაშლილი ვაკე უკან მოიტოვეს. ალაგ-ალაგ ვენახს მაღალი ბალახი მოჩეოდა და შიგ მიზოხავდნენ. ძეძვებიანი გორის ძირას შეუღვდნენ მუშაობას. გამალეებით თხოიდნენ ქვიშიან მიწას, სანვარსასველეს აკეთებდნენ. თხემისაკენ მიიწევდნენ. მწვერვალზე გუნერ-

ლისა და შიო ბეროშვილები ყველაფერი მიწური გამოთხარეს, ეტმბლ-მცხმამას გან რამდენიმე მეტრის დაშორებით; ეს მიწურები სანვარსასველელის პირად იყვნენ; მუხის ხეები აიტანეს და მიწურებს სახურავად გაუკეთეს.

კარგა ხანია გათენდა. დამაყრუებელი მეხთატეხა ოდნავ შენელდა.

გენერალი პერისკოპით გასცქერის ბრძოლის ველს. მის პირდაპირ, ორი თუ სამი კილომეტრის მანძილზე გაშლილი ტაფობის მიღმა, აღმართულია სევასტოპოლის უდიდესი ისტორიული სიმაგრე საპუნ-გორა, ხოლო ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ—მეკენზის მთა, „სახარნაია ვოლოვკა“, ფედოუხინის მაღლობები და ბალაქლავას მთა-გრეხილი.

საპუნ-გორა ნალივითაა მოხრილი, მის კალთებზე გერმანელებს სამ რიგად ქქონდათ გაკეთებული რკინა-ბეტონის სიმაგრეები, ხოლო მთელი მისასველელი ვაკე დანაღმული და გაუვალი მავთულმობურებით შეკრული იყო. აქ ერთ პატარა წერტილსაც ვერ იპოვნით, რომ იგი მტრის მიერ გამოთოფილი არა ყოფილიყო.

გენერალი ხედავდა, როგორ ედიოდნენ ცეცხლში პოლკოვნიკ ანაგაძისა და პოდპოლკოვნიკ გორგაისძის პოლკები. ხოლო ქანთარელის მოიერიშე რაზმები ჯერ რეზერვში იდგნენ.

კვლავ უფრო მეტის ძალით იგრიადეს ჩვენმა ქვემეხებმა, გვარდიულმა ნაღმსატყორცებმა ცისიერში ცეცხლის ზღვა ააბობოქრეს, ზედიზედ ენარცხებოდნენ შემუსვრელი ტალღები მტრის სიმაგრეებს. არ გასულა ხანი, რომ ჩვენი თვითმფრინავები ცას სავსებით დაეუფლნენ. ქედები ცეცხლის ზევაში მოიცვა.

გენერალი დაკვირვებით ათვალერებდა ბრძოლის ველს.

ტფობს ცეცხლნარევი კვამლი კბურავდა.



მიუვალ სიმაგრეებში ჩამსხდარი გერმანელები განუწყვეტელი ცეცხლით — ქვემეხთა ყუმბარებითა და ნაღმსატყორცნებით ღრღინდნენ მთელ მიდამოს. ჩვენი მეომრები მიიწვივნენ წინ, იღებდნენ ნაღმებს, მთარღვევდნენ მავთულლობურებს, მიზიხავდნენ ვენახებში და გზის პირად ჩაღრმავებულ ადგილებში. აგერ ანაგაძის პოლკის მოწინავენი მავთულლობურებთან, სასტიკი ცეცხლის ქვეშ ჩაწვინენ... მალე გორგაისძის მოივროშე ასეულები ტყვიისა და ნაღმების ნამსხვრევების წვიმაში წამოიშართნენ, დანაღმული არე გადალახეს, მტრის სანგრებზე ეკვეთნენ...

თავგამეტებული სისწრაფით დაიძრნენ რეზერვში მდგარი ბატალიონები ქანთარელისა, მოწინავეებს გვერდით ამოუდგნენ...

უდიდესი ოსტატობით არღვევდნენ ჩვენი არტილერიისტები მტრის თავდაცვას, მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ქვეითელთა ასეულებს და პირდაპირი დამიზნებით აფეთქებდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტებს. მეტად დიდ გამოცდილება ჰქონდათ მათ შეტენილი: ახლა უფრო აუღელვებლად და წინდახედულად შედიოდნენ ბრძოლაში არა მარტო ოფიცრები, რიგითი წითელარმიელებიც საოცარ ოსტატობას იჩენდნენ.

ერთხელ კიდევ ისახელა თავი მაიორ არატიშვილის დივიზიონმა. საარტილერიო მომზადების წინ თორმეტი ქვემეხი ლარჩვით გაბმული იდგა მწვანე ჯაჯილში. დაპკრა ფაშმა და იქაქეს ქვემეხებმა. მერე დასძრეს წინ და ოთხას-ხუთას მეტრიდან, პირდაპირი დამიზნებით სობდნენ გერმანელთა პირველ სიმაგრეებში განლაგებულ საცეცხლე წერტებს...

იოსებ გორგაისძის პოლკმა რომ იერიში გააძლიერა, ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი სიღრმეში გადაიტანა. ცენტრ-

ში მოქმედება შალვა ყიფშიძის ბატალიონს ხელა. გერმანელები მკველულს გადაძლიობი ცეცხლით იცავდნენ. მაგრამ შალვა კარგად იცნობდა თავის მოიერიშეებს, იცოდა, რომ ისინი არ შედრკებოდნენ.

ცეცხლის ღობე პირველად გადალახეს სამსონ ლომთაძისა და კაპიტან გიჯიეშვილის ჯგუფებმა. ამით მთელი ბატალიონი მიჰყვა. თავმუყაყებულად გადაეშენენ მოწინააღმდეგის სანგრებში. აქ ერთი პირველთაგანი იყო სერჯანტი სერგო ჩხაიძე, რომელმაც ხელყუმბართა და ავტომატის ტყვიით მტერს ზარი დასცა.

ირგვლივ გაეარვარებულნი ქაოსი იდგა; სადღა იყო მისის მზიანი დღე, ამწვანებულნი მთები, მობიბინე ჯეჯილი და ახალშეკურტული ვაზები; ცა და დედაშიწა ზანზარებდა, სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

შალვა ყიფშიძის მოიერიშეებს მხარში ამოუდგნენ დანარჩენი ბატალიონებიც... ერთხელ კიდევ ცხაღმყვეს ჩვენმა მეომრებმა, თუ რა ძლევამოსილებით არის აღსავსე ადამიანი, როცა იგი თავისი სიმართლის წმინდა ცეცხლითა ანთებულა...

გრიგალისებურ ცეცხლში მიიწვედა წინ პოლკი. ყუმბარები და ნაღმები ზედი-ზედ თბრიდნენ მიწას. ერთი ნალმი ისე ახლო დაეცა პოდპოლკოვნიკ იოსებ გორგაისძესთან, რომ მას ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი წასქდა. ფეხში დაიპკრა. მეთაურობა კაპიტანმა დაეითულიანმა იყისრა, იგი ჰოსპიტალიდან ახალი დაბრუნებული იყო.

მიიწურა უსასტიკესი ბრძოლის დღე. გენერალმა და შიო ბერაშვილმა გადასწყვიტეს ძალები გადაეჯგუფებინათ და განთიადისას იერიში გაეძლიერებინათ. მართალია ჩვენმა არტილერიამ და ავიაციამ საკუნ-გორას თემი და კალთები მრავალგზის გახვეეს ცეც-

ხლის ზეგეში, მაგრამ გერმანელები ჯერ კიდევ იხსენენ რაკინა-ბეტონის სიმაგრეებში და მოიერიშეებს, როგორც კი შეამჩნევდნენ, ხანჯლისებური ცეცხლით ეგებებოდნენ.

მაისის მთვარიანი ღამე იყო. ხანდახან, როცა მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მებრძოლთ ყურები უბუეუოდ, თითქო აზობოქრებული ზღვისაგან თავი დაეღწიოთ, მაგრამ ფაფარაყრილი ტალღების შრიალი მაინც ესმოდეთ.

ქანთარელმა ღამით ბრძანება მიიღო, რათა დაეძრა პოლკი საპუნ-გორას სამხრეთის ფერდობისაკენ; მან იერიშის დაწყება კაპიტან ძიძავას ბატალიონს მიანდო.

კაპიტანი, რომელიც ერთი შეხედვით მეტად გრძნობიერი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ბრძოლებში გამობრძმედილი ქაბუჯი იყო, სანდომიანი, დინჯი, გულისხმიერი.

ძიძავას ბატალიონის მოიერიშე ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ბიძინა ბოსიტაშვილმა, მიიღო თუ არა კაპიტანისაგან ბრძანება, თავის მეომრებს ჩამოუარა, საითათოდ გაესაუბრა. ერთი ჯგუფი ხევის პირად იყო, კბოდეს ეფარებოდნენ. თავს დაჰყურებდათ ვარსკვლავებიანი ცა, ზოლო მთვარე სამხრეთით აღმართულ მთის პწვერვალს დაკავშაშებდა.

განთიადი მოახლოვდა. ცის თაღს ზღვიდან აორთქლილი ნისლი შეეფინა. ასეული მწყობრად დაიძრა სიბნელეში. პლასტუნურად მიხობაედნენ... გასცილდნენ დანაღმულ ველს... მავთულხლართებს... ელვისებურად გვეთენენ მტერს... ათ წუთს გაგრძელდა ხელჩართული ბრძოლა. მტერი გაყლიტეს... შეუპოვრად გასწიეს წინ. აირბინეს აღმართი, საპუნ-გორას თხემზე აივაკეს. აქ მათ შეეხეჩათ მტრის მრავალრიცხოვანი რაზმი. ბიძინა ბოსიტაშვილის მოიერიშენი არ შედარკენ, უკან არ დაიხიეს,

ხელჩართული ბრძოლა გამართეს, ესენი პირველად ავიდნენ მტერს და მწვერვალზე და ევარდნენ... უკან ვერ დაახვეინებდა. გაფთრებულად იბრძოდნენ. აგერ ბიძინა ბოსიტაშვილმა გარს შემოხვეული ეჭვსი მოსისხლე დასცა ძირს, წინ გაემართა. ამ დროს მოუსწრო მას მტრის ტყვიამფრტვევის გრძელმა ჯერმა... მეთაურობა ვალაქტიონ ვალაქტიონამ იკისრა...

იმ ღამეს მაიორი არატიშვილი ძილიან რთულმა საჭმემ ჩააფიქრა. არასოდეს არ მომხდარა, რომ ბრძანება პირნათლად არ შეესრულებინოს, ახლა კი... ვიდრე გათენდებოდეს, ქვემეხები საპუნ-გორაზე ატანილი უნდა ჰქონდეს. მაგრამ როგორ? კლდოვანი ფერდობია. მაინც შეუდგნენ ღამის 12 საათზე ქვემეხების ხელით აგორებას, თოკები ჩამოუშვეს... მთვარეც ანათებდა და გერმანელებიც მაშხალებს ჰყრიდნენ.

დილა მოახლოვდა. ქვემეხები კი ქვევით რჩებიან.

არის გზა, მაგრამ მარცხენა მთა გერმანელებს უპყრიათ და მისასვლელს ცეცხლის ნიაღვრით ჰკეტავენ. დრო კი არ ითმენს.

მაშინ არატიშვილს შინაგანი დამაბულობისაგან ლაელაჟა სახე გაუფიქრდა, მკვეთრი ხმით უბრძანა შოფერთ, რათა სწორედ იმ გზით გაპრილიყვნენ, რომელიც გერმანელებს ყველაზე მეტად ჰქონდათ გამოთოფილი.

იქნება ეს ალღო იყო, შინაგანი ხმა შეუპოვარი მებრძოლისა...

მართლაც მოწყდნენ ადგილს ქვემეხები და, ვიდრე მტერი გასასვლელს ცეცხლით გადალობავდა, წინა ხაზზე გაჩნდნენ. უმაღვე არტილერიისტებმა სანგრები გასჭრეს, ქვემეხები შეახამეს.



ირიერაფა. არატიშვილმა გასცა ბრძანება და მალეობზე ატანილმა ქვემეხებმა იტყვეს.



ცხრა მაისი გათენდა. საარტილერიო მომზადება გრძელდებოდა. მთებს თითქო შორი ზღვაც ბანს აძლევდა; გამუდმებული ქვეა-ქუხილი და გრგვინვა ცის კიდემდის მიიგრავნებოდა.

შალვა ყიფშიძის ბატალიონს საბჭოთა მეურნეობაში მყოფ გერმანელებზე უნდა მიეტანა იერიში. იცოდნენ, რომ ამ დაქანებულ ხევში მტერი ძალიან გამაგრებული იყო და სასტიკ წინააღმდეგობას გასწევდა. შალვა ხედავდა, რომ ეს უბანი ახალ მსხვერპლს მოითხოვდა.

ავანგარდს ხშირად მეტი დანაკლისი აქვს, მაგრამ აქ, ვიდრე საბუნ-გორას თხემზე ვზას ამოჰკაფადენენ, ყიფშიძის ბატალიონს ძალიან ბევრი მოაკლდა; სამსონის მოიერიშე ასეული კი თითქმის განახევრდა.

შალვამ ამ დღით სამსონს რაღაც უგუნებობა შეამჩნია, არასოდეს არ უნახავს ასე ცივად გამოიშორალი, მის თვალეში თითქო მარტოოდენ სიმკაცრე გამოკრთოდა. ალბათ, ამდენმა დანაკლისმა გულში ერთობ დიდი ბოღმა დაუგროვა.

იერიშის დაწყებამდის სამსონმა გარემოს თვალი მთავლო. ხევს გაღმა გაშლილ ზეგანს, იმ დაღმართამდის, საიდანაც მთელი სევასტოპოლი ხელისგულივით მოჩანდა, კვამლის თეთრი მარამში გადაჰყენოდა, ალაგ-ალაგ ამ მარამშს, მზის სხივებით შეფერადებულს, ღვინისფერი გადაჰკრავდა, ხოლო როცა შიგ ქვემეხის ჭურვი გაივლებდა, იგი უცებ აენთებოდა და მალე მუქლურჯად იფერფლებოდა. მალე კი, ცის ტატნობზე, ნისლის თეთრი ქსოვები აკრებილიყვნენ, ისე ლამაზად გადაჰკდობოდნენ ურთიერთს, თითქო

აყვავებულ ხეხილნარში ახალმოსული მზის სხივი იღვრებოდა. არქონესუმი

ალსასრულის წინაშე მდგარი გერმანელები თავგამეტებით იბრძოდნენ; თვითმავალი ქვემეხებითა და ტანკებით განაახლეს კონტრიერიში. ჩვენმა ჯავშნოსნებმა და არტილერიამ მტერს ვზა ცეცხლის ზეავით გადაუღობეს...

დაიძრნენ დივიზიის მოწინავე რაზმები, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ...

ზედიზედ გასძახა სამსონმა ასეულს; სანგრიდან ფიცხლად ამოხტა და წინ გაუძღვა. იმ უკვე ჩვეულმა აღფრთოვანებამ შეიპყრო, როცა მთელი მისი არსება მარტოოდენ მტრის შემუსვრის სურვილით იყო აღსავსე, სხვა არა აგონდებოდა რა, მხოლოდ ხანდახან გაახელდა თვალს თავის გადარჩენის ინსტიქტი. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ ვითარებაში გამოსავალი ეპოვნა, ხერხისთვის მიემართა და მოწინააღმდეგე დაემარცხებინა.

ახლა ამას ისიც ემატებოდა, რომ იქვე ახლოს იყო სევასტოპოლი, რომელიც ჩვენს მეომრებს დიდების შუქით ეგებებოდა, საესეებით იწმინდებოდა ყირიმის მიწა-წყალი ფაშისტებისაგან. ეს ისეთი მიმზიდველი რამ იყო გმირი ქალაქისაკენ დაქანებულ მებრძოლთათვის, რომ თავის შეკავება მათ ძაღონეს აღემატებოდა.

სამსონის ასეული ხევიდან ასასვლელთან ფარულ ბუნაგში ჩასაფრებულ გერმანელებს წააწყდა. კოლია ბარბაქაძეს მარჯვენა ფრთიდან აყავდა თავისი ათეული. სამსონმა წამსვე მოისაზრა, რომ ახლა ხსნა მხოლოდ სისწრაფეში იყო. რაზმს მისაფარებელი ადგილი არა ჰქონდა; თუ ჩაწყებოდნენ, ფაშისტები თავიანთი საფრიდან ყველას გაეღეტდნენ.

• უცნაური ხმა აღმოხდა სამსონს, მომწოდებელი ხმა, წელში მოიხარა და მალე საკვირველი სისწრაფით აირბი-

ნა; თითქოს ბაღე მოიქნიაო, ისე გაპხვია მტერი ავტომატის გრძელ ჯერში. დისკო რომ დასცალა, რევოლვერი იშიშვლა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც გამოსროლილმა ტყვიამ გვერდი გაუწვია, ნაბოჯი ვერ მოზომა და იძულებული გახდა სანგარში ჩამხტარიყო. ცოცხლად დარჩენილი ფაშისტებიც ისე მოეჩვენა იმ წაშს, თითქოს ყველანი მოკლულნი ან ფარხმალდაყრილნი არიანო; რევოლვერის ტყვიას ზოგავდა, უნდოდა გაეგო, თუ ვინ აპირებდა წინააღმდეგობის გაწევას.

ყოველივე ეს თვალის დახამხამებაში ხდებოდა და სამსონმა ვერ შენიშნა თუ მის ზურგს უკან ფაშისტი იყო მოკრუნჩხული და წაშს ელოდა; იგი უცებ გასწორდა წელში, მუზღვაურის სატყვარი იშიშვლა და მთელის ძალით ჩასცა სამსონს მარცხენა ბეჭის ძირას.

გვიან შეასწრო თვალი დავითმა, სანგარში გადაეშვა, მოსისხლეს თავი კონდახით ვალებზე. ამასობაში სხეებმაც მიუსწრეს...

სამსონი მალა აიყვანეს, კრილობა სწრაფად შეუხვიეს.

სამსონს სახე ზან უფითრდებოდა. ზან ოდნავ წამოუღვივებოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, თითქოს ძილში ცუდ სიზმარს ხედავს და "შფოთავსო. უცებ შეკრთა, თვალს გაახილა, დავითს შეაშტერდა. ამ დროს ბრძოლის გუგუნი ჩაესმა, სევასტოპოლისაქენ დაქანებულ რაზმებს გაჰხედა, მზესავით ამომავალი გამარჯვების შუქი ჩაწვდა სულში, კვლავ დავითს მიაპყრო მზერა, შუბლი შეიკრა, დახშული ხმით უბრძანა:

— წადი... გასწი...!

დავითს მწვავე ერუანტელი მოჰგვარა სამსონის უცნაურად შეცვლილმა ხმამ, მის თვალებშიაც ისეთი სხივი დაიჭირა, თითქო სამუდამოდ ეთხოვებაო საყვარელ მეგობარს, მაგრამ უმაღლე ისიც ვაითვალისწინა, თუ სა-

ითქენ მოუწოდებდა ახლანდელი უმეტაურად დარჩენილ მტრებს, თი უნდა გაძლოლოდა. მოუფიქრებლად ჩაიჩოქა, სამსონს აეოცა, მყისვე წამოიშარათა. სწრაფად მოწყდა ადგილს, კოლია ბარბაქაძის რაზმს დაეწია და მჭექარე ხმით გასძახა:

— ისმინეთ!.. მომყევით!..

ჩვენი მეომრები თავგანწირულად მიიწვიდნენ წინ, ცეცხლიდან ცეცხლში შედიოდნენ, ერთმანეთს წინ უსწრებდნენ, რათა პირველად დამდგარიყვნენ გმირ ქალაქში აღმართულ გამარჯვების დროშის ქვეშ.

ფერშალმა სამსონი სხვა დაკრილვებისაგან ოდნავ მოშორებით დააწვინა. საპუნ-გორას თხემზე იყვნენ, მიფარებულ ადგილას.

„კრილობა უთუოდ გულს სწვდება... სისხლისაგან იცლება... ვერ გადარჩება“. — დაასვენა ფერშალმა, სამსონს თავქვეშ მახარა დაუღო.

სამსონს ტყვილი, დავითის წასვლის შემდეგ რომ ისე მწვავედ შემოენთო, ახლა თანდათან უცხრებოდა, თავს ისე ვრძნობდა, თითქო მეტად ცხელ აბანოდან ამოსულიყოს და გრილ ჰაერზე სულს ითქვამდეს გულმილიცული. იმდენი ძალაც არ შერჩენოდა, რომ ხელი აეწია და თითები გამხმარ ტუჩებზე მოესვა, მხოლოდ ერთ ისევლებდა. სმენა და თვალთახედვა კი არ მოკლებოდა. ესმოდა ბრძოლის გუგუნი და გული წყდებოდა, რომ თვითონ იქ არ იყო. ზანდაზან ქუთუთოები უმძიმდებოდნენ, მაგრამ თავს ძალას ატანდა რამდენჯერმე დაახამხამებდა და ცას ახედავდა. ამ დროს ამჩნევდა, რომ სევასტოპოლის მხრიდან აკრებილი ნისლის ფენები თანდათან ფერს იცვლიდნენ; პირველად ნისლიცა და ცის თალიც აღისფრად ღვივოდა, მერე დაიწყო უცნაური ფერისცვალება და... ბოლოს თოვლივით თეთრი ელფერით შეიმოსა. მხოლოდ ახლა ნისლი როდია იგი, აყ-



ყვებული ხეხილნარია, სწორედ ისეთი, გაზაფხულზე თავის სოფელში რომ უნახავს... მოდა ვისია ეს თვალები, ყვავილნარში რომ გამოკრთის და სამონს დაეტებს?.. დედა... „ველარ მოვალწვე, შე საწყალო, ველარ ვნახავ“, — გაუელვა თავში და ქუთუთოები დაჰხარა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, ტუჩებზე ენა მოისვა. შემდეგ მალლა რომ აიხედა, ხეხილნარს თითქოს ქარმა დაუბერა და ყვავილების ზღვაურში გაეხვია ყველაფერი. ჩანჩქერივით ცვივიან თეთრი ყვავილები, ურთიერთს ეხვევიან, იგრავნიბიან. მაგრამ აგერ გაირღვა ერთი სპეტაკი ნაკადი და ნაცნობმა თვალებმა გამოანათეს... რა ღრმა სევდაა ამ თვალებში და რა უსაზღვრო სიყვარული... ყვავილები კი, თოვლივით თეთრი ყვავილები, განუწყვეტლად ცვივიან და ეთერის წამწამებზე იფრქვევიან, ჯერ თმის კულულებს ედებიან ფიფქვით, მერე ზევალებიან და სანატრელ თვალებს ჰჭარავენ... ცივიმ ნაკადმა დაუარა სამსონს სხეულში. ცას მაინც თვალი არ მოსწყვიტა, უკანასკნელი ძალღონით ცდილობდა გაერღვია თეთრი ჩქერი და ეთერი ეპოვნა... ამ ძიებაში მძიმე რული წამოეპარა, მაგრამ თვალი მაინც ღია დარჩა.

XXVIII

მათი ნათელი

მანქანა ჩრდილოეთის მხრიდან შედიოდა სევასტოპოლში. იენისის მზიანი დღე იყო.

შორიდან ზღვის ყურესა და ფერდობებზე შეფენილ ქალაქს თითქო ძველი სილამაზე შერჩენოდა. მაგრამ რამდენადაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო შემაძრწუნებელი სურათი იშლებოდა მგზავრების თვალწინ.

ჯერ უპირავი ნაალაფვევი, ყველა ჯურის აეტობი, ქვემეხები, ტანკები, დამსხვრეული თვითმფრინავები, მავ-

თულების ზეინები და სხვა მოვალის საშხედრო საკურველი, მერე რუსეთის მახლობლად მატად მალაქაქაქაზე გაყვანილ ლიანდაგზე საშინლად შეროხვილი ვაგონები, ფლატედან ძირს გადაცვენილნი, უცნაურად დაყუდებულნი; ზღვის ყურეში კი — ჩაძირული გემების ნარჩენები, დამსხვრეული ანძები; ხოლო ქალაქი...

ქალაქი... ეს მხოლოდ ნაშთი იყო მშვენიერი სევასტოპოლისა. არც ერთი უბანი არ გადაჩენილიყო დაუღწევი. სახურავჩარღვეული, კედლებდამზარული დიდი სახლები ზუსტლებს დამსგავსებოდნენ; კედლის ქვაც იშვიათად მოიპოვებოდა, რომ ტყეებისა და ქუჩების ნამსხვრევებისაგან არ ყოფილიყო დაკოდილი; ქუჩების განაპირას ხეებს ტანიცა და ტოტებიც დახვრეტილი და დახლეჩილი ჰქონდათ...

მანქანამ ქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აუხვია, ჩორგუნისაკენ გაემართა.

სევასტოპოლი ქედს მიეფარა, ხოლო ირგვლივ გაშლილი ნომარი ველები ჯერ კიდევ უდაბურად გამოიყურებოდნენ.

ამიტომ მგზავრებს ყირიმის ლამაზმა მთებმა მოსტაცეს თვალი, საქართველო მოაგონდათ.

მანქანაში მაიორი ჯაბაშვილი, კაპიტანი ძიძევა და დავით ჯანაია ისხდნენ; მათ ახლდათ ეთერი, ქეთო და მარცხა ნაკაიძე, ჯაბაშვილსა და ძიძევას დივიზიის მეთაურისაგან დავალებული ჰქონდათ დავთალიერებინათ, თუ როგორ მიმდინარეობდა ძმათა საფლავების მოწყობა. ამიტომ ისინი ჯერ ქვემო ჩორგუნში უნდა მისულიყვნენ და დივიზიის მიერ გავლილ გზას გაპყროდნენ საპუნ-გორასაკენ.

შუაღლისას შევიდნენ სოფელში. აქაც ომის ნაალაფვევი იყო მიმოფანტული... ერთ ადგილას მდინარეს ადა-

მიანის თავისქალა გავრცედა და ქაღალები ატივტივებდნენ... სახლები დანგრეული იყვნენ, მაგრამ მცხოვრებლები აქა-იქ მაინც მოჩანდნენ.

მანქანა სოფლის თავში გააჩერეს. აქ, მალღობზე, თემშარის პირად, უკვე გაიწყოთ ქართული მეომრების საფლავი. კბოლიდან მოყოლებული გზამდის დაბალი გალავანი იყო შემოვლებული. შიგ კი, შეზენულეებზე, დაედგათ წაბლისფერი კოშკურები თავიანთი წარწერებით.

ვილაცას ყვავილები მიეტანა და იმ განაპირა საფლავზე დაედო, რომელშიაც ჩვიდმეტი მებრძოლი განისვენებდა.

წასვლის წინ დავითი კარგა ხანს გაკუთრებდა ხეში გაშლილ ლამაზ გარემოს, მალალ ხეებს, ომის ცეცხლისაგან გადარუჯულ გორაკებსა და მწვანით მოსილ მთებს; რაღაც უნდოდა გაეაზრებინა, მაგრამ ამხანაგებმა დაუძახეს, ფიქრი შეაწყვეტინეს. შუბლი შეიკრა დავითმა, შიშველ ავიდა მანქანაზე; ისეთ გუნებაზე იყო, თითქო რაღაცა რჩებოდა იქ, მაგრამ ვერ მოეგონებინა, თუ რა იყო იგი...

ბრძოლით გავილ გზას მიჰყვნენ. ხელმარცხნივ ახალ ქვაბებივით იყვნენ ჩამწყრივებული მიწიდან ამოდებული ნალმები...

ქაღალეს მხედრული სამოსი ეცვათ. ეთერს სახე საესებით გაფითრებოდა, თვალეებში სევდა ჩადგომოდა, ცივად გამოიყურებოდა, ამკარად ეტყობოდა, რომ გარემოს ყურადღებას არ აქცევდა, მთელი ნებისყოფა შემოგვრიბა, რომ თავის არსებაში ჩაკეტილყო, სისუსტე არ გამოემჟღავნებია.

მთის შეფენებაზე ქვისმთლელები მუშაობდნენ. ახლოს რომ მივიდნენ, წამსვე იცვნეს სომეხი მეომრები, რომელნიც ძმათა სასაფლაოს მტკიცე გალავანს ავლებდნენ და ძეგლისათვის ქვებსა სთლიდნენ.

— აქ ქართველების სასაფლაოც უნდა იყოს? — მისალმნებულმა შეეკითხა მათ დავითი.

— როგორ არა, აგერ ზემოდ, სულ ახლოა. — მიუგეს ქვისმთლელებმა.

მალე დაბალი მესრებით შემოლობილ სასაფლაოს მიადგნენ. აქაც ახალ-შეზენულ საფლავებზე წითელი კოშკურები დაედგათ და ზედ წარწერები გაეკეთებინათ.

კაპიტანი ძიძავა ნაღვლიანი თვალეებით მიაცქერდა ბიძინა ბოსიტაშვილის სამარეს. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ საფლავს რომ განშორდნენ. მაშინ ჩაილაპარაკა თავისთვის:

— ეჰ, რა ვაქავიცი იყო საწყალი ბიძინა! მწვერვალზე ყველაზე უწინ ეს ავიდა... კედებოდა და ამხანაგებს მაინც წინ გასწითო, მოუწოდებდა...

მზე ზღვისაკენ იყო გადახრილი, საბუნ-გორას თხემზე რომ ავიდნენ. კვლავ მარცხნივ გადაუხვიეს.

ეთერმა მარცხსა და ქეთოსაგან მკლავები გაითავისუფლა; მტკიცე ნაბიჯით მივიდა სამსონის სამარესთან, ჩაიჩოქა, მიწას ხელი მოუსვა-ოდნავ შეერხა ტუჩები და ცრემლები წასკდა. ხმას არ იღებდა, მხოლოდ მიწას ეფერებოდა ხელით. სხვა დროს ცრემლი რომ დაუღერია, მცირეოდენი შეება მაინც უგრძენია, ახლა კი გული თანდათან უფრო უმძიმდებოდა, მთელი ქვეყნიერება თითქო მხრებზე აწევბოდა და არაჟინ იყო მშველელი; საფლავის მიწა კი ცივი და უტყვი იყო. ერთი წამით მაინც შეიმტვინებოდა, რომ ამ მიწას სული ჩაუდგას, სამსონის სუნთქვა იგრძნოს... უსაზომო ნაღველით აღევსო გული, ლამის ცრემლიც შეაშრეს. მაგრამ ამ დროს თითქო მეტად შორი ხმა მოესმა, ძალა მოიკრიბა და ყური მიაპყრო. შინაგანი ხილვით დაინახა თოხის ტარზე დაყრდნობილი, ჩაფიქრებული სალომე, გარკვევით გაიგონა:



— ვაი შენს დედას, შეილო, ვაი შენს დედას...

მყისვე იწყო ღვინო ღვინოში ყინულივით დაგროვილმა ნაღველმა, ცრემლები ღამა-ღუპით გადმოცვივდა და, როგორც იყო, ზნა ამოიღო:

— სამსონ, შემოგველე, სამსონ...

მარიკა ნაკაიძემ მოთმინება დაჰკარგა, ჩაიჩოქა და მოთქმა დაიწყო. ქეთოს მხრები აუცახცახდა, ეთერს ხელი მოხვია და ჩუმად ატირდა გულამოსკენილი.

ჯაბაშვილი და ძიძვა ოდნავ განზე გადაგნენ და თვალით ის ადგილი მოზომეს, სადაც იმავე წლის ოქტომბერში ღამაში ძეგლი აღმართეს და ზედ შოთა რუსთაველის სიტყვები წააწერეს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძარასა სიკვდილი სახელოვანი“.

დავით ჯანაიამ ცრემლები მოიწურა, განმარტობულად მდგარ, ტოტებდაბელილ მუხას მხარი მიაყრდნო და ცისკიდურს გაჰხედა.

ლურჯ ღრუბლებში შეცურებული მზე ზღვას უახლოვდებოდა; ზაფხულის გამჟვირვალე შექი ეფრქვევოდა მთის კალთებზე შეფენილ სევასტოპოლს. შორს, ზღვაში ნაღმებს აფეთქებდნენ.

მკილოზი

I

საბარგო ავტომობილიდან რომ გადავიდა და საესე ხალთა მოიკიდა, მგზავრებმა თვალი გააყოლეს ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ ომგადახდილს.

1945 წლის სექტემბერი იყო. ხეობა, რკინიგზის გაღმა-გამოღმა, ქედზე გადმომდგარ მზის სხივებში ბრწყინავდა.

ომგადახდილი ხიდზე გავიდა, რიყეზე ჩაუხვია, რამდენჯერმე მოავლო თვალი მდინარის კრიალა ზვირთებს, მერე ნაბიჯი შეანელა, უკან მიიხედა. ბავშვობისას, შინადან რომ აქ ჩამოვი-

დოდა, ეგონა შორი გზა გამოვთარგო, ახლა კი სად არ იყო, რაეჭვოვნად ხელო ეს სოფელი ისევ მსგავსად იდგა ფერდობზე, არაფერი არ შეცვლილა, მხოლოდ უფრო ახლობელი, უფრო საყვარელი ელფერიით დამშვენებულა-

ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა; იმდენად დატვირთული იყო მოზღვავებული გრძნობებით, რომ ჩქარა სიარული არ შეეძლო. არც ის უნდოდა, რომ ვინმე ნაცნობს შეხვედროდა და საუბარში დრო დაეკარგა. მესუთე წელიწადია კოლშვილი არ უნახავს.

აღმართში ასახვევთან მორიდებულად მოავლო თვალი კოლშეურნობის შენობებს, კასრებით საესე მარანს და ეამა, აქაც რომ არაფერს შეხვდა. იცის: დაუწყებენ პატიუს. ერთს მეორე მოჰყვება, ვარს შემოხევევიან. ომგადახდილს კი ახლა საამისოდ არა სცალია.

აჰყვა ორლობეს. აგერ ეს წაბლისფერი მიწა, ეს ცხემლნარი, ეს თეთრი ქვა, ყველაფერი მას უღიმის, თითქო ეუბნება — მშვიდობა შენს მოსვლასო.

წყაროსთან ჩაიმუხლა, პეშვით დალია, მერე სველი ხელი შუბლზე მოისვა. ამ დროს ზემოდან მოხუცმა ქალმა ჩამოუხვია ომგადახდილი მიესალმა. მოხუცმა ვერ იცნო, მიხედა მხოლოდ, რომ იგი ომიდან შინ ბრუნდებოდა და გულწრფელად დალოცა:

— ღმერთმა სიხარული ნუ მოაკლოს, შეილო, შენს ოჯახს.

ზეგანზე ბილიკით ავიდა, თვალწინ სიყრმიდანვე თანშეზრდილი მიდამო გადაეშალა. ეს იყო ზემო იმერეთის ღამაში არე. ქვევით, ღრმა ხევი ანკარა მდინარე მიიკლანებოდა, ხოლო ირგვლივ — ეენახები, სიმინდის ყანები და მაღლობზე წამოდგმული, კრამიტით გადახურული სახლები, ხეხილნარისი ეზოები.

თვალემა გაუფართოვდა ომგადახდილს, თითქოს ოცნებიდან გამოერკვა და ნაოცნებარზე უმშენიერესი სინამ-

დვილუ იხილაო. ხომ მუდამ ახსოვდა თავისი მშობლიური კუთხე, მაგრამ აბა უყურე, რამდენად უფრო წარმტაცნი არიან ახლა ეს ტყიანი მწვერვალები, ზეგანი, ფერდოები, ყანები, ძველი და ახალი ვენახები, კაკლის ხეები...

ხალთა შეიმსუბუქა და ვენახის პირს აპყვა თავის ეზოსაკენ.

ივნება გულმა უგრძნო დედას, ზემოდან მოჰკრა თვალი, კიშკართან მიეგება. ხელებგაშლილი მოფრინავდა მხრებში მოხრილი, გამხდარი, უცნაურად დაპატარავებული დედა, მხოლოდ სიხარულისაგან ანთებულ მის ღიდროს თვალებს არ მოჰკლებოდათ შექი.

— შეილო, კოლია, დედა გენაცვალოს შეილო... ნაბიჯზე გიცანი, შენი ჰირიმი, დედა, — ბუტბუტებდა მოხუცი და შეილისაკენ მიეშურებოდა.

კოლია ბარბაქაძემ დედა გულში ჩაიხუტა, მერე თავი გადაუწია და თვალეში ჩაახედა.

— ნუ გეშინია, შეილო, — დაასწრო პასუხი დედას. — შენს მოსვლამდე რავა მოვეკედებოდი. გავკაედი, შეილო, გავკაედი. აწი, რალი ღმერთმა შენი თავი მშვიდობით მომიყვანა, მიწაშიაც ბედნიერი ვიქნები, შენი ჰირიმი.

სიხარულის ცრემლი გაუბრწყინდა თვალეში მოხუცს; შეილს მხრამდის ძლივს სწვდებოდა, მკლავზე უსვამდა ალერსით ხელს.

კოლია წაბლის ფიცრებით ამენებულ პაპისეულ სახლის აივანზე ავიდა, ხალთა მოიხადა, სახეზე ოფლი მოიწმინდა. მეტად გრძელი და განიერი იყო ქვიტკირზე დაშენებული სახლის აივანი, თანაც მთის მხარიდან გრილი ნიავე უბერავდა, წინ უმშვენიერესი მიდამო იყო გაშლილი, მაგრამ ასეთი გულისჩქროლვა კოლიას ცხარე ბრძოლის ვაჰაიც არ უგრძენია.

— ერთი წყალი მომაწოდე, დედა!

— კი, დედა, შენი ჰირიმი... წყალი რატომ, დედა გენაცვალოს? ღვინო და-

ლიე ვინ იცის, რამდენჯერ მოგზაობებია, მოგიკედეს დედა... ნია, ყველაფერი ბევრი გვაქვს. შენ რომ პატარა ჰქური დატიე, თუ ვახსოვს, საგანგებოდ გქონდა ყურძენი შერჩეული, ის ჰქური ახლაც მოუხდელი გვაქვს. შენი ცოლი, ანიკო თვალისჩინივით უფრთხილდებოდა...

სკოლიდან ბავშვებმა მოირბინეს. ვილაცას თვალი მოეკრა კოლიასთვის და სოფელს უკვე მოსდებოდა მისი ჩამოსვლის ამბავი. პირველად აივანზე უმცროსმა აირბინა, ქერათმიანმა ცისფერთვალემა გოგონამ. მამა ცოტათი ეუცხოვა, მეგრამ მერე უცებ გაშალა ხელები და დახრილ კოლიას ყელზე მოხვია.

ბიჭი უკვე თორმეტი წლისა იყო; საოცრად შეცვლილიყო, სოფელს არა ჰგავდა, კიდევ უფრო დამსგავსებოდა დედას; ისეთივე შავგვრემანი, მოგრძო სახე, მაღალი ცხვირი და ჰკვიანი თვალეები.

კოლიამ შეილები წინ დაიყენა, ერთხელ კიდევ შეათვალა იხინი და ნათლად წარმოიდგინა, თუ რა დიდი დრო გასულიყო მისი წასვლის შემდეგ, როგორ გაზრდილიყვნენ და შეცვლილიყვნენ ამ ხნის განმავლობაში ბავშვები!

— ანიკო, შეილო! — მიამახა დედას ეზოში შემოსულ რძალს: — მოვესწარით, დედა, კოლიეს მოსვლას, მოვესწარით...

ანიკო სამუშაოდან გამოქცეულიყო, საშინაო კაბა ეცვა; აივანზე რომ აღიოდა, მოუფიქრებლად მოიხადა თავსაფარი და სახეზე მოისვა.

კოლიამ პირველი შეხედვისთანავე იგრძნო, თუ რა დიდი ჯაფა გამოეველო მის მეუღლეს ომის წლების განმავლობაში. მაინცდამაინც გამხდარი არ იყო, მაგრამ მის ენერგიულ სახეს, მთელ მის აღნაგობას შრომაში გამობრძმედილობა ემჩნეოდა.

ანიკო ქმარს მორიდებულად მოეხვია, შერე სახეზე მიაცქერდა, თმაში გარეული ჰაღარა შეამჩნია; ამ თეთრმა თმამ, აქა-იქ რომ უბრწყვიალებდა კოლიას ქერა თმაში, ანიკოს პირთამდე სიყვარულით სავსე გულში რაღაც ნაზტკილი სიბრაღულიც აღუძრა; შერცხვა, ცრემლები რომ ვერ შეიკავა, სახეზე ხელი მიიფარა და სკამზე ჩაჯდა ბედნიერებისაგან თავბრუდახვეული.

— რა გატირებს, ჩემო რძალო? — ალერსიანი ხმით უთხრა ანიკოს დედამ. — ხედავ, რა ვაქაცო მოგვივიდა? თუ რამე არსებობს ქვეყანაზე, ახლა ასეთი შეილის შემსჯეღვარე ამბერკი ბარბაქაძის სულიც გახარებული იქნება! აბა, რაეა გგონია შენ?..

ამასობაში იწყეს მოსვლა ნათესავებმა, მეზობლებმა. ვრცელი დარბაზი სიხარულს ვერ იტევდა...

ბოლოს, ვიდრე სუფრას ვააწყობდნენ, კოლიამ მცირე ხნით თავი გაიმართოვა, ვენახში გადავიდა. ჯერ ირგვლივ მიმოატარა თვალი, ვაზებს ისე გაუღიმა, თითქოს ისინი ცოცხალი არსებანი ყოფილიყვნენ. შერე მზემოკიდებულ ქარვისფერ მტევნებს შეახო ხელი და მაშინ მიხვდა, რომ ნიადაგი, რომელზედაც ფეხი ედგა, უბრალო მიწა როდი იყო, მარადი სიცოცხლე იყო.

II

რვა თვე გავიდა, სანამ კოლია ბარბაქაძე თავის დიდიხნის ნატვრას შეისრულებდა. ამ დროისათვის დივიზია უკვე საქართველოში იყო ჩამოსული. სტუმრებს კოლია რკინიგზის სადგურზე ჩაეგება.

შუა დღე ახლოვდებოდა, როცა მათ ზეგანზე აუძღვა.

მაისის ბრწყინვალეებით მოზიბლული შალვა ყიფშიძე ერთ წამს შედგა და აყვავებულ გარემოს თვალი მოავლო; თავისთვის ჩაილაპარაკა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...“

შინ რომ ავიდნენ, იქ რამდენიმე სტუმარი, მათ შორის დედის ძანაბა, მარიკა ნაკაიძე და ლევანოვიც შეუკვე მისული დახვდათ. დავითი სამეგრელოდან ამოსულიყო, ხოლო მარიკა და ლევანი — გურიიდან.

ცაცხვის ძირში დასხდნენ, ზოგი მღვლოზე წამოწვა.

ქეთოსა და მარიკას მხედრული სამოსი არ ეცვათ. ქეთოს ძალიან უხდებოდა ცისფერი კრებ-ღე-შინის კაბა; ხოლო სადაღ მორთულ მარიკაზე ყველა იტყოდა — ჰაღარა აღრე გარევიათ. ტკილად საუბრობდნენ მეგობრები, განვილილს იგონებდნენ, ოხუნჯობდნენ, გულიანად იცინოდნენ.

მეზობლის ქალიშვილმა, რომელსაც მხარზე პირსახოცი ჰქოდა გადაკიდებული, სტუმრებს ჩამოუარა და ხელი დააბანინა.

გრძელი სუფრა ლამაზად იყო გაწყობილი. კოლიას ყველაფერა წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა. ეს მისთვის უბრალო წვეულება როდი იყო, ეს გამარჯვების დიდი დღესასწაული იყო. რამდენი ხანია ნატვობდა ამ დღეს, რამდენ ქარცეცხლში გამოიარა და ახლა...

— გენაცვალე სულში, — იმეორებდა თავისებური ალტაცებით და ხან ერთს ეხვევოდა, ხან მეორეს.

დარბაზში ჯერ შიო ბეროშვილს შეუძღვა, საპატიო ადგილას დასვა.

იოსებ გორგაძისძეს ჰკრილობა ისე მორჩენოდა, რომ არა კოკლობდა; თოვლივით თეთრი თმა ხანდაზმულობის ჩრდილს ვერა ჰფენდა მის შავგვრემან, ფრიად მიმზიდველ სახეს.

ამათ გვერდით მიუსვა კოლიამ შალვა, სახე-ნათელი მიხელი ოდიშელი, შერე — ტანმორჩილი, მკვირცხლი და მუდამ მგზნებარე კლიმენტი გალანია.

შალვა ყიფშიძის მოზღვნილი ტანადობას კიდევ უფრო ამშვენებდა ოდიცრის სამოსი; ოღონდ შესამჩნევ ჰკაობრას თითქო დაეჩრდილა მისი არწივისებური გამოხედვა.

ქეთოს ქალური სინარნარე ამკობდა; ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ მან იმდენი წამება გამოიარა. ერთი ჩვეულება დასჩემებოდა: თავს ასწევდა და შალვას ხანგრძლივად მიაშტერდებოდა ხოლმე, თითქო არა სჯერავსო თავისი ბედნიერება.

მარიკა ნაკაიქე და ლევან ალაგიძე ისე ჰგავდნენ ურთიერთს, რომ გგონებოდათ, დიდი ხნის ცოლ-ქმარი არიანო.

ირაკლი ყარაშვილი თავის სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აერჩიათ. საგაზაფხულო სამუშაო ჯერ მთლიანად დამთავრებული არა ჰქონდა, მაგრამ კოლიასაგან მესამე ბაითი მიეღო და უარი ევლარ ეთქვა.

დავით ჯანაია კოლიამ მაგიდის თავში დასვა. ომამდელი კოსტიუმი ეცვა დავითს, მხედარს სრულიად არა ჰგავდა; ვისაც იგი ომში არ უნახავს, ვერ იფიქრებდა, თუ რა სისხლიანი გზა ჰქონდა გამოვლილი ამ დარბაისელ ინტელიგენტს.

უახლოეს თანამებრძოლთაგან ყველაზე მეტად თვალში ეთერი აკლდათ, მაგრამ იგი ავად იყო და ეგნატეს ზღვისპირად წაეყვანა სამკურნალოდ.

ამდენ ორდენოსან სტუმრებთან ერთად კოლიას რაიონის ხელმძღვანელობიდანაც მიეწვია ამხანაგები. იყვნენ აგრეთვე ნათესავები, მეზობლები.

მაგიდას რამდენიმე კაცი ემსახურებოდა.

საკმელს მიჰყევს ხელი. სიჩუმე ჩამოვარდა.

ამ დროს წამოდგა კოლია. მორცხვ ყმაწვილს რომ საზე შეეფაკლება ხოლმე, ისე უღვივოდა ლაწევები. ჭიქას დააყრდნო ხელი და სთქვა:

— საყვარელო სტუმრებო, რაღაი იმ ბედნიერებას მოვესწარი, რომ თქვენ ჩემს ოჯახში მობრძანებულს გზედაეთ...

ხმა შეუთრთოლდა კოლიას, წერწყვი გადაყლაპა. მერე მოკტრტრტუნდა — მო-და მოგეხსენებათ, ისე ფიქს ხელმძღვანელი უნდა... ვთხოვოთ ჩვენს დავითს.

— დავითს გაუმარჯოს!

— დავითს სიცოცხლე!

ასწიეს ჭიქები.

დავითმა მადლობა გადაიხადა. ჭამას თავი გაანება. ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა, თვალები გაუშტერდა. ჯერ ბაქსანის ხეობა წარმოესახა, მერე თერგის ნაპირები, კალაბატკა, ანაპა, გირლიანის მთა. ქერჩი, საბუნ-გორა... თავი შეარხია. სასმისი ურთიერთს მიადგა, დილის პირველი შუქისფერი ღვინით აავსო, ნელა წამოდგა, როგორც ეს ფიქრში გართულ კაცსა სჩვევია.

— მეგობრებო, — დაიწყო მღელვარე ხმით: — შიშვე გზა გამოვიარეთ... ხანდასან ბეწვის ხილზედაც კი ვიდექით, მაგრამ გამარჯვების რწმენა არასოდეს არ დაგვიკარგავს, რადგან წინ ჩვენი ღვიძლი სტალინი მიგვიღვებოდა (ყველანი ფეხზე აღდგნენ). სტალინი ხალხის უმადლეს მისწრაფებათა განსახიერებაა, სტალინი კაცობრიობის მზიური მოძაღვის შემოქმედი, სტალინი ქართველი ერის სამარადისო სიამაყეა. დიდება და სიცოცხლე ჩვენს მთავარსარდალს, ჩვენს მამას, ჩვენი გამარჯვების წმინდა დროშას!

ხელი მეორე სასმისს შეახო და განაგრძო:

— ყველას გვახსოვს, თუ რა დღეში ვიყავით ათას ცხრაას ორმოცდა ორი წლის ზაფხულის მიწურულში. მტერი კავკასიონის კარების შემონგრევას ლაშობდა... დღეს კი გაჰხედეთ, ძმებო, ამ ჩვენს აყვავებულ სამშობლოს. დიდება და სიცოცხლე მას, ვინც იმ საბედისწერო ეპოს დაგვრახმა, სული ჩავვიდგა და კარზე მომდგარი მტერი გაგვანადგურებინა, დიდება და სი-

ცოცხლე ჩვენი სტალინის მარჯვენა ხელს, ჩვენს ლაფოენტი ბერიას!

— ამ შესაძე კიკით, — განაგრძო დავითმა, — ჩვენს გამარჯვებულ არმიას გაუმარჯოს ამ ძლევამოსილ არმიასი ეწრთო ჩვენი სული და ჩვენ ვიცით, თუ რა წმინდა მიზნებს ემსახურება იგი. ჩვენი არმია ერთა ძმობისა და თავისუფლების არმიასა და ქვეყნიერებაზე არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც მისი დამარცხება შეეძლოს... ამასთან, ძმებო, მოდით და გავხედოთ ჩვენ მიერ გავლილ გზას, გავხედოთ ძმათა საფლავებს. მოვიფიქროთ ჩვენი სამსონ ლომთაძე, პოლკოვნიკი სელიხოვი და მათორი ივანე ფროლოვი, ლადიმე გიორგაძე, მიხო ყარაშვილი, აკაკი კაჭარავა, ნატალია გრიგორენა, ავთანდილ კვარაცხელია, ბიძინა ბოსიტაშვილი, ნესტორ ირემაძე... ყველას ვერ ჩამოვთვლით, ისინი ბევრნი არიან... ალბათ, თქვენც გამოგიცდიათ ეს... შალღობზე რომ აეაღ, — აი, ისე, დღეს რომ ზეგანზე ამოვედით და აქაური მშვენიერება ვიხილეთ, — ასე მგონია, მათი თვალებით გადავწყურებ გარემოს და მიხარია, რომ არასდროს არ ჩაჰქრება მათი არსებობის განსახიერება — ჩვენი მშობლიური ქვეყნის წმინდა ნათელი... შე

ბევრჯერ მითქვამს, არა დავის საბუგეშებლად, არამედ სრულ რწმენით, რომ ამ ომში სიკვდილიც და ჩვენი ხელს უდრის-მეთქი. ზოგჯერ ეს ძნელი გასაგები იყო, მაგრამ აბა ახლა გახედეთ ამ მაისის მხეში აყვავებულ შამულს... ჩვენც წავალთ, ძმებო, ამ ქვეყნიდან, მაგრამ განა ოდესმე წაიშლება ის ცეცხლოვანი, ის რწმენით სავსე სახე, რომელიც ჩვენ სამშობლოს გულში აღებვქმდეთ? არასოდეს! მამ სამარადისო დიდება ჩვენს დაღუპულ ძმებს, რომლებიც თავიანთი საქმით მუდამ ჩვენთან არიან... ასე... ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს, ძმებო!

დაამთავრა სადღეგრძელო დავით ჯანაიამ.

— გენაცვალე სულში, დავით! მასახელე და ეს არის! — წამოიძაბა აღტაცებულმა კოლიამ, მერე ირაკლი ყარაშვილს თვალი გადაჰკრა და კახური მრავალგამიერი დაიწყო.

ჯერ შორეული ზარის რეკასავით ავუგუნდნენ ხმები, მერე თანდათან გაძლიერდნენ; წლებმა წლებს გასძახეს, საუკუნეებმა — საუკუნეებს, და დარბაზი იმ სასიცოცხლო გზებით აივსო, რომელიც ქართველ ერს ღისაბამიდან მოჰყვება.

1944 — 1947 წ.

დასასრული

გიორგი ქაჩიანი

გამოუქვეყნებელი ლექსები

ახალწლის ღამე
თენდება თეთრად,
ფიქრი ფრონტისკენ
მიჰქრის პირველად,
მტერს მარცხი მარცხზე
მიეზლო მკვეთრად,
მის დასასჯელად
აღძრულა ყველა.
ახ, ნეტავ ახლა
მაქცია მხედრად,

რომ ჩემს ქვეყანას
შეც ვედგე მცველად!
სალამი თქვენდა,
სწორ-მეგობრებო,
ჩვენო შეილებო,
ჩვენო გმირებო,
დე, საახალწლო
გრიალი თქვენი
შიშის ფრუანტელს
ჰგვრიდეს ბნელ ბერლინს!

1943 წ.

★

დაპირილ მებრძოლებს

დაპირილხართ,
მაინც არ გესვენებათ,
გსურთ კვლავ იქ გაჩნდეთ,
სად ომი გრგვინავს;
სამშობლოს დროშის
თქვენ ხართ მშვენიება,
თქვენი ხსენება
მტერთა გულს ჰვმირავს!

კვლავ აგზდომოდეთ
წადილი წმინდა,
კვლავ ესმას ლაშქარს
თქვენი ყიფინა;
ავარდეს ალი
მტრის ბუნაგიდან,
გამარჯვებულნი
მოქპროდეთ შინა!

1943 წ.



კვლავ მოგვიწოდებს

კვლავ მოგვიწოდებს
 დედა-სამშობლო,
 ბევრჯერ ნაოხრი,
 ბევრჯერ ნაბუგი:
 „ჰეი, შეიღებო!
 არ დამაობლოთ!
 აიშალებით!
 დაჰკარით ბუკი!

დაე, გაშლილ
 დროშების შუქით
 შეკრბეს სალაშქროდ
 ყველა ჰაბუკი,
 შური იძიოს
 ჩვენს მწამებლებზე,
 სდიოს და ზურგზე
 ადინოს ბუქი!“

1941 წ.



მურომელ ხალხს

შენ ძალთა ქმედი
 წყარო ხარ,
 ანკარა,
 დაუშრობელი;
 ილინე,
 ალორძინე:
 ქალაქი,
 დაბა,
 სოფელი!

ილინე! —
 აღდგეს,
 აშენდეს
 ქვეყანა ნაპარტახალი:
 რაც იყო,
 მასზე ბრწყინვალე,
 მყინვარზე უფრო მაღალი!



ქარი თბილისში

როდესაც ქარი აქ ეინს იოკებს,
 მყის სანაპიროს გადაიწივლებს —
 ქორული ქროლვით დააწიოკებს
 ფრიალვითელ ფოთლებს —
 ოქროს წიწილებს.
 შემდეგ ეწევა რუსთაველის გამზირს —
 მას ერთ აღვილას არ უყვარს დგომა —
 ააქრიალებს ჰადრებს
 ცადაქრილთ,
 რომ ყველას ამცნოს ბუნების კედლომა,
 და ისევ იმ ხმით,
 ისევ იმავე გზით
 წაეა,
 გაჰყვება მკენარ შემოდგომას.



★

შვარლის თვალმაცვალას

ბუღბუღივით როდი ვახლდი
 დინჯ ალაზნის
 ლამაზ ქალებს,
 შენს ეზო-კარს ჩავესახლდი
 და ვდარაჯობ
 შენს შავ თვალებს,
 თვალებს,
 რომლის ტბაშიც ვხედავ
 ცის ვარსკვლავებს,
 ცის მწვერვალებს.
 და ამ თვალებს,
 მაყელის თვალებს,
 სულის სარკეს,

ტაძრის კარებს,
 არავის არ დაეანებებ,
 ნიავსაც არ მივაკარებ.
 წამწამთ ჩრდილში ჩავსახლდები,
 იქვე ვბოვებ
 მშვიდ სამარეს,
 ნისლის ზეწრით
 ტბა შემსუღრავს,
 ტბა—თვალები მგლოვიარე,
 ლერწმები კი —
 წამწამები
 დამაფრქვევენ ციურ ცვარებს.

★

მძინარე ქალწულს

ექსპროზად

ციურო,
 ცისფერთვალება,
 რა გეზმანება
 ძილშია?

ზოზობი დაიმალება
 მაგ შენს
 წამწამთა ჩრდილშია!

1939 წ.

★

იუზილარი

გთხოვთ მობრძანდეთ!
 დღეს კარ-ღია
 მაქვს გულიც და სახლიც!
 მზეც სტუმრად მყავს,
 მზეც მეწვია,
 პეკით პერს ქელს ვახლი!

პოეზიით და მუსიკით
 აპირთაედა სახლი!
 შერცხვებს,
 ძმებო,
 ჩვენს ღიდ დროში
 ვინც იმღეროს ნაღელით!

★
უცაბელი სტრიქონები



— დაბერებულა —
ვიცი, ვინც მიცნობს
ჩამივლის გვერდს
და წაიღუდუნებს.
სდებთან
ასი წლისაც რომ ვიყო,

რა მომახუცებს,
რა მომადუნებს?
გული—
ჩანგით სიმთა მღერია,
ისევ კაბუჯურ
რიხით გუგუნებს!

ისე არასდროს არ მიგრძენია მე სიჭაბუკე,
როგორადაც დღეს,
ჩემს ნახევარ საუკუნეზე.

მეუბნებიან:

— „გემატება შენ სიყმაწვილე,
მოდით ეგ შენი სიჭაბუკე გაგვინაწილე!“
რა ვუბასუხო? —

მათ უწინაც ვცნობდი მოხუცად...
და თუმცა თავზე აღარ შემრჩა არცერთი ღერი,
ჩემს ახლადშობას ვზეიმობ
და ხმამაღლა ვმღერი,
ვიწვევ ნადიმზე
ახალგაზრდა ძვირფას პოეტებს!

თქვენ შორისა ხართ,
მაგრამ, ძმებო,
ხართ ჩვენს გულთან ახლოს,
თქვენი ბრძოლის გამარჯვება
მსურს მეც შემოვებათ!

როგორც ბრძენი მინდია,
ზეებს ვესაუბრები!
რა მშვიდი ამინდია...
სად გამქარაღან ღრუბლები?

რა სიხარულით,
რა სიყვარულით
ვარ დათოვლილი
პირველი თოვლით!

ბავშვად გარდვიქმენ
განებით,
გულით,
აღსავეს სრული
სიკეთით ყოვლით.

უმჯობესია მოკვდე უეცრივ,
ვიდრე დაგიქრეს, პოეტო, ცეცხლი!

შპანასკნელი თქმა

მიჰქრიან,
რბიან
ღამენი,
ღღენი,
ვმორღებთ,
ვტოვებთ
ჩვენს კაბუჯობას,
ხოლო სიბერე
კარს ყავარჯენით
გვიყაყუნებს და
გვიწამლავს გრძნობას.

სვანეთში

თავს ღამყვიან სეავები,
მივალ და მივეჩქარებთ.
უფსკრულში ჩადგენ ქარები.
მზით დაფერილი ღრუბლები
დგანან, ვით ოქროს ვერძები.
მხარეო თავისუფლების,
ვიმზერ და მაინც ვერ ვძლები!

აქ გახლჩილი ბროწეულივით
ღვივის,

ღადღადებს ტყბილი ბუხარი.
ხალდაც სქდებიან ჩვენი ნალმები,
მთებიდან მთებში გადამქუხარი.
კედელზე ვხედავ ბელადის სურათს, —
და მუსაიფი მოვყევით ძმურად.
ხიამით ვუმზერ ბუხარს საამურს,
ბტალინის ღიმილს —
თბილსა და მამურს!

მისწყდა სიერცეში ყივიღრს
ეც დავასრულე სიმღერა ჩემი.
როგორც სიყვდილის მოაზლოვება —
მესმის ფრთხილი შავფრთიან ბედის.

1946 წ.

ვინც სიცოცხლეში
მადღეგრძელებდა,
როგორც პოეტს
თუ სუფრის მეგობარს,
მწამს:

მკვდარსაც ტყბილად მომიხსენებს და
თავს რომ წაუქცევს
ჩემს შესანდობარს,
ღასძენს:
ბიჭებო!

ფეხზე აღგომით
ვახსენოთ იგიც,
დაცვალოთ ჭიქა!
სძაგდა ცხონებულს ქლესა,
ქვემძრომი,
და ყველა უღირსს ჰგომობა სასტიკად!..

1946 წ.

პირის ჩხიმი

ნამოსახლარზე

★

ვარვარა მზე, მთელი დღე რომ შე-
უბრალებლად აცხუნებდა, უეცრად ჩა-
ესვენა გომბორის გადაღმა. დამდებო-
და. საქონლის დაბინაების, ქათმების
დაბუდების, ვახშმის სამზადისში გარ-
თულ სოფელს და ალაზნის ველს საესე
მთვარემ ჰკრა შუქის წვერები.

ლევან შილდელმა ნასამხრევს პირვე-
ლად ასწია თავი და მთვარეს გახედა.
მნათობს ცისათვის ცეცხლი შეეკიდე-
ბინა.

ხევსურის ფარის ოდენა იყო, აბრე-
შუმის პარკივით ყვირელი, თითბრის
იერისა.

ლევანმა შვებით ამოისუნთქა. ნამდ-
ვილად შეატყო: ამნაირად მბრწყინავი
მთვარეს კირნახელისათვის ხელსაყრე-
ლი ამინდი მოსდევდა, შეცვლამდე-
თობი მიაყულდა. შინისაკენ გასწია. არ
შევიდა კი ეზოში. კიშკარს გვერდი
აუქცია. დერეფანში მოფუსფუსე
ცოლს, ქეთევანს ანიშნა: ახლავე დაეზ-
რუნდებით და მოჩქარებული ნაბიჯით
გასწია ქვემოთ, კაკლის ხეებით ჩამწყ-
რივებული ორლობებისაკენ. ქეთევანი
შარაზე გადავიდა. ქმარს სიტყვა დაა-
წია.

— კაცო, იმ შიგულას რას ეუბნები
გადაწყვეტილს?

ლევანი შეჩერდა, კისერი მოიქექა
და შორიდანვე დაუძახა ცოლს:

— ქეთევან, ჩემმა ორმა თვალმა
ალარ ნახოს იმ შიგულას ლანდი ჩემს

სახლში. არ ვაძლევ, მორჩა და გათიფ-
და ნეტავი თავი არ შემომაკლას და
სხეას ვინდა ჩივის!

ქეთევანი ცივად გაბრუნდა. ლევანმა
გზა განაგრძო. ხევი გადასკრა, ბექობი
აიარა და ვენახში გადავიდა. კოლმეურ-
ნობას ეს ნაკვეთი ლევანზე ჰქონდა
განპიროვნებული, რაც ათიოდე დღის
წინათ შეწამლა, წაქცეული ჰიოვებიც
შეუცვალა ვაზს ფოთლის შეუძრვე-
ლად. დაყვავილებული იყო იმ დღეს
ვაზი. ვარაუდით ახლა მარცვლები უნ-
და გამოჩენილიყვნენ კიდევაც. ვენახის
თავში, რუს კალაპოტში ჩაკეცილი
ქეები და ბელტები ამოჰყარა. ბავშვე-
ბისაგან დამტყრეული, ძირს დაყრილი
ბლის ტოტებიც აქცრება, შეჰკონა, ღო-
ბეს მიაყარა საძროშში.

მერე ისევ ვაზს მიუბრუნდა. კვალში
ჩაცუქქდა, ნელად გადაუშალა ფოთო-
ლი, მარცვლის ნასახიანი მტევანი ხე-
ლისგულზე დაიდო და დააქცერდა. სი-
მით გადაისვა თავზე მარცხენა ხელი.
ისე კარგო პირი უჩნდა ნაყოფს, რომ
უკეთესის ნატვრაც არ შეიძლებოდა.
თანაბარი ქინძის თესლის სიმსხო მარც-
ვლები მკაფიოდ მოჩანდნენ.

მთავარ სახიფათო ყავლს გაეელო.
ახლა ჰკრაქი და სიცივე ველარაფერს
დააკლებდა დაისრიმებაში შესულ მო-
სავალს.

— რახან აქნამდე უნებლად გადა-
ჩა, ამას იქით თუ გაფუქდა, ეს კაცის



დაუდევრობის ბრალი იქნება. ამაში ჩემი თავის იმედი მაქვს. არას გავუჭირებ, ბოლომდე არ მოვაკლებ ხელს. ოღონდ სეტყვა არ გადამეკიდოს, ამცდეს. თუ ღმერთმაც ინება, მოსავალი ისეთი იქნება, რომ მოვლას ვეღარ აუვალთ,—ეტყოდა იგი ვისმე, გვერდით რომ ჰყოლოდა სასაუბროდ. თანაც თადარიგობდა:—იმ შარს იქით ყურძნად ჩავაბარებთ, იმ შარს იქით სახილედ გავყიდით, იმ შარს იქით რქაწითელს დაეწურათ, ჩაეასხამთ. ამ ფესვნაეურთხმა ცეცხლივით ფიცხი ღვინო იცის. ერთი ჩარქვა დევს გადააბრუნებს.

ღიახ, ასე მოიტყვევს ლევანი. ოჯახია. ხუმრობა ხომ არ არის, კაცს ცოლ-შვილი ჰყავდეს. კახელი ერქვას? ძველ-თაგანვე სტუმარი მოსდევს. მეგობარი და ნაცნობი ჰყავს მთასა და ბარში. ვაგიც საქორწინოა. იმ დღეს აბა, რა დღეში ჩაყარდებოდა, ღვინო რომ არ სდგომოდა ქვევრში ლევანს?!

• შუამავალი შემოვიდა სახლში. ამბავი მოიტანა. პურუქმელს, ღვინოდაუღვევლს ხომ ვერ გაისტუმრებდა? დასხდნენ. თითო ჭიქა რომ გადაჰკრეს, მეზობელი მასწავლებელი შემოემატათ. მერე ფერშალი და ბეთალოც მოვიდნენ ერთად. სწორედ ის ბეთალო, ზამთარში რომ ზაქი გადაურჩინა. ერთიც ვნახოთ, ღვინო აღარ ჰქონოდა ლევანს? ღმერთმა ყოველი კაცი დაიფაროს ეგეთი სირცხვილისაგან,—გაივლო გულში ლევანმა.

უეტრად ღობის ჭრიალი შემოესმა და სალაშიც გაიგონა.

— გამარჯობა, ლევან!

კოლმეურნეობის თაემჯდომარე ბაგო ბოკორაშვილი ღობეზე შედგა და ენახსხი ვადაბტა.

— რაღა ენახსხი მოხველ, განა შინ ვერ მნახაედი?

— შინ განგებ არ მოვედი, ლევანო! შენი ამბავი რომ ვიცე, ხელადას ეცემოდი მაშინვე.

— მერე რა, შე კაი კაცო, არ მოგეცდებოდა თითო ჩარქვა ღვინოც და მოგეცდებოდა თუ?.. უშრომელია ჩხეიძე ვართ. პურიც გუშინ ჩავაკარიოთ თონეში, ახალი ნიორიც ბლომად არის.

— მაგას რომ ვაძვევ, კაცო, სად წავა?! ღვინო ჩვენს სოფელში არ დაილევა. შენ ის მკითხე, რად ჩამოვიარე? — მითხარი!

— დღეს წისქვილში საფქვევი წავიღე, დავარიგებინე კიდეცაც მეწისქვილესა და შევამჩნიე: ძალზე დალეულან დოლაბები. დადგება წისქვილი. უნდა გვიშველო, ლევან! მამაჩემსა ეკითხე და იცი რა მიპასუხა? საიდანაც მოგეჭონდა წისქვილის ქვები, ლევანმა იცისო, მეც ავდექ და შენ მოგაშურე.

— ან თქვენ რას მოიგებთ. რომ ეს ზაფხულის დღეები მომიცდეს, ან მე რას ვისარგებლებ იმოდენს, რომ... წისქვილის ქვა შორს არის. ვიცი, როგორ არ ვიცი! ეგ არის, ზამთრის საქმეა ეგ დავალება.

— ჰო და მეც იმიტომ გნახე. დაყოვნება არ არგებს საქმეს. აბა გითხარი, ახლა შენ იცი. აქედანვე დაიპირე ვარაუდი. შენ თითონ შეარჩიე წასასვლელი დრო. იქნება დაახლოებით მაინც მითხრა როდის?

— შევინახოთ მოსავალი, იქნება ბიჭიც დაეაქორჩინო, მერე, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. თოვლს რომ ჩამოყრის.

— აგრე, ლევან, კარგი სიტყვაა გიშველა ღმერთმა! მეტი მოგონება აღარ დაგვირდეს. თუ ჩვენ დაგვაიწყდეს, შენ თითონ აღარ მოგვისვენო, ეს საქმე გასაკეთებელიათჟო. ახალ წლამდე კი დოლაბები საიდანაც არ უნდა იყოს, უნდა მოვიტანოთ. ერთიც კიდე: შიგულას რას ეუბნები? დაუთმე, კაცო, ის ქოხი. შენი ახალი სახლ-კარის პატრონს ქოხი გენანება?

— კიდე შიგულა!—აენფო ლევანი.—არა მეტქი განა ასჯერ უნდა

ესთქვა! ესეო და კოლმეურნეობის საერთო ქონება არისო, აღარ გახსოვს კამეჩები რა დღეში ჩაპყარა? ძლივს გამოვებარუნე საბრალოები, ძვალად და ტყავად გადაქცეული პირუტყვები. როცა კაცი შრომასა და გარჯაში მხარსა და ხელს არიდებს ამხანაგებს, როცა კოლმეურნე მუშა საქონელს საქონლურად მოექცევა იგეთი კაცის გამარჯვებაც არ მესიაშოვნება. აქ კი ქოზი დაუთმოეო, ზემოდან ქვემოდ გადმოსახლება უნდაო. ესეც არ იყოს, სხვა მიზეზიცა მაქვს.

— ჰო, ჰო, შიგულა დიდად არც მე მიზის თვალში. აღარ მომეშვა, მომაგზავნა. მეც, მეზობლებში გულძვირობა არ ჩამოვარდეს მეთქი, მხოლოდ სიტყვა მოვიტანე.—დაამშვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევანი და ლობეს მიაშურა. გადასასვლელთან მცირე ხნით შეჩერდა. იკითხა:

— ხორბალის ბოლოს ყანების საქმე როგორღა? ყველსა და მატყლს როდისღა გამოიტანო?

ლევანმა ცას გახედა.

— ამინდიც კარგია და დილით გავწვეთ.

— აბა ლევან, აუცილებლად გასწვით, აღარ გადადოთ. მართალია, კარგი მეზობელი და ჩემი ყმაწვილკაცობის ამხანაგი ხარ, მაგრამ საქმეში ვერ მოგერიდები. ადგილზე გაგსინჯავ.

— შენი ნებაა.—მიუგო ლევანმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლობეს გადააბიჯა და წავიდა.

მართალია, ლევანმა ცოლს დაუბარა სულ ჩქარა მოვალეო, მაგრამ საკმოდ გვიან დაბრუნდა. ეზოში წყნარად, ჭიშკრის გაუჭრიალებლად შევიდა. აივანზე ნაბაღი მოძებნა, წამოაგო ძირს და ტანთვაუხბლად წამოწვა. ეზოში სიჩუმე იყო. ნავაზ ფარეხას კამეჩების მახლობლად შეასწრო თვალი. ძალღი ხანდახან წაიბუღლივით დაჭრილ ყურებს აცქვეტდა. თითქოს ანგარიშობს:

ღირს თუ არა, სოფლის ბოლოს აყენებულ ძაღლებს აქედან ბეჭეცხეო! მასუთის ავაზანებიცხეო! მათეცხეო! და მოუხეშავი, კუპრივით შავი კამეჩები იწენენ, ზანტად იცოხნებოდნენ და მათ გარშემო მონაეარდე ფარეხას ალერსიანად უბღვრიალებდნენ თვლებს.

ნაბაღზე მოწოლილ ლევანს ძილმა წაართვა თავი. ის იყო თვლელმა იწყო, რომ თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, სწრაფად წამოდგა, გაახსენდა: დილით აღრე კამეჩები უნდა შეაბას. თივა კი არ დაუყარა. რას ეყოფოდათ დღით მოძოვნილი ბალახი! ზეაღეს იქით კი ვერ გადასდგენს ხორბალის ბოლოზე სიმინდის გათოხნას და ყველის გამოსატანად ალევანში შეილის ურმით გავზავნას. სახლის გვერდით შემორაგულში ჩავიდა. შემკნარ ბალახს ხელები დახვია და კამეჩებისკენ გაეშურა. თივისა და პატრონის დანახვებზე კამეჩები ძალუმი ზენეშით წამოდგნენ. კულები მიიქნ-მოიქნიეს. გამოიტენეს ლაშები სურნელოვანი საკვებით.

პატრონმა ქედზე, ზურგსა და გავებზე გადატსვა ხელი პირუტყვებს. ფლოქვებიც აუწია. პრილა ნალებს დახედა.

ფარეხა წკმუტუნით გაექანა ჭიშკრისაკენ. ბტუნება-ბტუნევით ვილაცა გამოაცილა ეზოს სიღრმეში.

ლევანმა ფეხის ხმაზე იცნო შეილი. კმაყოფილებით ჩაახველა და მზრუნველი საყვედურიც აღარ დააყოვნა.

— შეილო, რად დაიგვიანე? ძილი დაგაკლდება და ჯანი. სოფლად მაცხოვრებელი კაცი, თუნდაც ძალიან ნასწავლი იყოს, თუ ბართან, გუთანთან და ცელთან საქმე აქვს, კიდევ დღით, მზის ჩასულს უნდა დაწვეს და მოისვენოს. სამაგიეროდ, დილით ცისკარს დაასწრებს ადგომას. მაშინ მთავარ, საძნელო სამუშაოს, მზის ამოსვლამდე მოერევა და დაიგდებს ძირს.

ლევანმა თვითონვე იხანა თავის ნათქვამი.

— აბა, რა გააჩერებდა შვილს, მოღერებულ ვაჟაკს, მზის ჩასვლის უმალ დაწოლილს? აბა რა დააბამდა შინ? აგერ მგზუთე თვე გადიოდა, შვილი სამხედრო ვალდებულება მოხდილი ქალაქიდან დაბრუნდა. შინ იყო და ჯერაც ვერ დაქორწინებულყო. ლევანი ფეხს აჭერდა. ადვილად არ აძლევდა შვილს დასტურს შემოძლეულ საცოლეს შერთვაზე.

განა გასათხოვარი ქალის მეტი რა იყო ახლო-მახლო სოფლებსა და მოკეთებებში, მაგრამ მამა ისეთ სარძლოს ეძებდა, რომელიც თვალადაც არავინე ნაკლები არ იქნებოდა, და როგორც სოფელში გლეხი იტყვის, არც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ჩაუშვარებს დედამთილ-მამამთილს.

— მამა, აქი შენაც არ გძინავს,—გამოელაპარაკა შვილი.

— ჰო, არ ძინავს. მაშ ვილამ იფხზლოს? მე რა, მოვხუცდი, მცირედ თავს მივდებ. ნახევრად მოვხუცებ თვალს და მზადა ვარ.

არ დაუთმო ლევანმა.

— ლაპარაკს შევეყვით და დამავიანდა, მამო!—იმართლა შვილმა თავი და ორივემ საწოლებს მიაშურეს.

დილით კი, როცა შვილი კვლავ ეზოში გამოვიდა, ესეო და მამას კამეჩები შებმული დავახედროო, ლევანს ტერითის საზიდი საბარო ურემში შებმული კამეჩები გამზადებული ედგა შუა ეზოში. ახლა კათხაში საპნის გასახსნელად ჟინვლილის ფუნჯს ურევდა. დაინახა თუ არა შვილი, ურემს მიაშურა და უთხრა:

— ვუჩქაროთ, ვუჩქაროთ!—თან ცას შეხედა ისეთის მოუსვენრობით, თითქოს მტრედისფერ უსაზღვრო გუმბათიდან საცაა ქვები ჩამოცვივია.

„ნეტაც რად მაფრთხილებს მამა?“—გაუელვა თავში შვილს. სახრე ჩამოი-

ლო და იქნეულად ცის დაივლებს გახედ-გამოხედა.

— ვუჩქაროთ, ჰო, ვუჩქაროთ!—ნაგრძობდა ლევანი.—აგერ ილტონსა და პანკისის ხეობებიდან როგორმა ცივმა ჰაერმა ჩამოუქროლა სოფელს? უთუოდ სადღაც მაგრად დაჰკრა მთაში. გავასწროთ მდინარეში. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა.

მამა-შვილი ურემზე დასხდნენ, ლევანმა კამეჩებს სახრე გადაჰკრა. პირუტყვეები მიმედ დაიძრნენ. სპილოებივით გააბოტეს ჭიშკარში. ურმის თვალი ჭიშკრის სვეტის გასამაგრებლად სამანივით ჩასობილ წოწოლა ქვას მოსდეს. ურემი აყირავდა. მერე ისე მაგრად ჩაჰკრა ზეწარმა, რომ ლევანს ცოტა დააქლდა—ყირამალა არ გადმოვარდა მიწაზე.

— ეჰ, სატიალე, ვერა იქნა, იმოდენა ვერ მოვიცალე, ის ქვა ამომელო, იქიდან შორს გადამეგდო. წყეულიმც იყოს. ცუდადა მაქვს დაცდილი იმ ოხერს რომ ურმის თვალი წამოვდებდა. წუხელ კიდევ ის ფრთაძალი მივიტოცი დამგმინავდა თავს კაკლის წვეროდან,—აბუზღუნდა ლევანი.

— შენ აქ უკან არ დამიბრუნდე!—სიცილით უთხრა მამას შვილმა და კოფოზე მოხერხებულად მოეწყო. გაკვერილი გზა იყო. საამურად მისრიალებდა ურემი.

— ასეთი მოძალებული სამუშაო არა მქონდეს—მართლაც დავბრუნდებოდი. აღარ ითმენს ის დალოცვილი სიმინდი, ხელი დარია შალაფამ.

კამეჩებმა გაიარეს სოფლის შარა. ყანების გზაზე გაიტანეს ურემი, იქ მდინარის სუნი იკრეს და შემობრუნდნენ. გზაც იქით ჰქონდათ, პატარა დაღმართზე ჩაირახრახეს, წისქვილს გვერდი აუქციეს, რიყე გაიარეს და ფონს მიადგნენ, სადაც ერთი მხრით ალაზანს ილტო ერთვის, ხოლო მეორე მხრით, ვაღნით თეთრ კლდეზე ბახტარიონის

ტიხე-კოშკი და ხუთიოდე მცირე საყ-
დარი წამოჭიმულა.

— წყალი სუფთაა. დაგიჯერო და-
მით მთაში წვიმა არსად იყო! მამ რას
ნიშნავდა ნაშუალამეგს მთიდან ჩამოჭ-
როლილი ცივი ჰაერის ქველი? დაგიჯე-
რო მოვტყუედი?!—ამბობდა ლევანი,
რადგან გარკვევით ამჩნევდა კოფოლან
ჭრელი-ჭრულა კენჭებს მდინარის
ფსკერზე. თან ლაპარაკს არ სწყევტ-
და.—როგორც გინდა და მე დღეს ხი-
ფათს ვერ ავცდები. იმნაირ ფეხზე
ჩაეწეე და წამოვდექე, ტანიც იგრე მი-
ზარის, რომ არ ვციო, არ ვციო... რა და-
მეშარებდა დღესა და რა მომივა.

— მამა, რას დაგიჩინია! აი გვედით
კიდევაც გაღმა.—დაამეღდა შეიღმა
ლევანი. პირზე ხელი მიიფარა. ძლივს
იკავებდა თავს, რომ ხარხარი არ ატე-
ხოდა.

ურემი კი გაღმით, გზატკეცილის
დასაწყისს შესდგომოდა, იქედან გზა
პირდაპირ აღევანს მიდიოდა.

— ნეტავ აგრე იყოს, მართლაც და-
ეინება გამოდგეს. მე კი არა მგონია.—
არ მშვიდდებოდა მამა. ურმიდან თოხი-
ანად ძირს გადმოვიდა.—სამხრობისას
თვალი გზისაკენ მექნება! — მიაძახა
კარგად მოშორებულ შვილს, რომელიც
ქმუნვის მომხერავი ურმულის სიმღე-
რით მიერეკებოდა კამეჩებს.

ახმეტელ კოლმეურნეებს ორიოდე
ჰექტარი სიმინდი ეთესათ ილტოსა და
ალაზნის შესართავის გაღმით, ხორბა-
ლოს ქედის და სოფლის ბოლოს სარ-
წყაებში.

ალვანელ მწყემსებს ორასიოდე სუ-
ლი ცხვარი ებარათ ახმეტელებისა.
კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევა-
ნი და მისი შვილი იმ სიმინდის გათო-
ხენასა და ალვანში გამგზავრებაზე გაა-
პიროვნა იმ დღეებში. ამ დავალების
შესასრულებლად მიდიოდნენ მამა და
შვილი. სამუშაო ლევანმა გაანაწილა.
თითონ სათოხარში დარჩა. შვილი ურ-

მით ალვანს გაგზავნა, რომ ნაწველ-
ნაპარსი ჩამოეტანა ახმეტის კოლმეურ-
ნეობაში.

„აგერ დაცოლშვილდება, მერეც ეყო-
ფა თოხითა და ბარით ომიო“ — გუ-
შინვე გადასწყვიტა გუნებაში მამამ. სა-
იოლო და სალალობო საქმე შვილს მიპ-
კერძა, იქ, თუშებში წაიქეიფებო. შვი-
ლი წავიდა კიდევაც. აღარა სჩანს. ურე-
ში ფლატოს გასცდა, ბუნჩებს მიეფარა
და ბლარც ურმული ისმის.

2.

ლევანმა გახედ-გამოხედა სიმინდს.
თავი გადააქნია. მეტად ძნელი სამუ-
შაო შეერჩია მამა-შვილისათვის კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარეს. მაგრამ
რაკი შვილი ალვანს გაგზავნა, მარტო
დარჩენა ირჩია, ამოიჭრა გულში: ორი
კაციის ოდენას გავთოხნო.

აბგის თვალიდან ამოშვერილ შო-
თის წვერს ხელი წაატანა. მოტეხა, ჩაქ-
ბიჩა და ხელადით წამოღებულ დვი-
ნოც მოსევა სამჯერ.

ძარღვები აუთამაშდა. თვალები
აუციოდდა. „ეპო“—შესძახა და შალაფა
მორეულ სიმინდში დატრიალდა მტრის
გუნდში ხმლით შეჭრილ მეომარეით.

ცოლი შინ მარტო დარჩა. ერთადერ-
თი შვილი გზად იყო. თვითონ აქ, ხორ-
ბალოს ბოლოზე ალაზან გაღმა, მარ-
ტოდმარტო მუშაობდა. სხვას გული
გაუტყუებოდა, ველარაფერს გააკეთებ-
და. ლევანი კი ასეთი არ იყო, იმ მიზ-
ნით გამხნეებულს რომ ცოლისა, შვი-
ლისა და ახმეტაში თავის მტერ-მოყვა-
რეთა შორის ოჯახისშვილობის სახე-
ლის დასაცავად მუშაობდა, ერთხელაც
არ მოკონებია არავინ. თავის თავიც
კი აღარ გახსენებია. ვერც კი შენიშნა,
როგორ ამოვიდა მზე. არც მარტოობას
გრძნობდა. გულდადებით თოხნიდა სი-
მინდს. ბევრი იყო სამუშაო და საშ-
რომი. სამაგიეროდ მიწაც ავსებდა იმე-
დით.

მხოლოდ შეადლისას ჩამოჯდა პანტის ძირას ლევანი, ისიც სულ მცირე ხნით. ღორით, ყველით და პურით დანაყრდა. ღვინოც დალია. ორლიტრიან ხელადაში მუშაობის ამეგებისათვის რამდენიმეჯერ ყლუპი შემოინახა.

ქვას მოღებულ ურმის თვალი, მგბინავი მიკიოტი აღარ გახსენებია და მოპგონებია. გაუცრუვდა ნაცადი ნიშნები. მზეც დაიწურა, ჩასახლეულად მოეშხა და და მდინარეები არ მოდიდებულეყენენ. გარკვევით მოჩანდნენ რძესავით თეთრი ილტო და მინასავით გამჰქვირვალე აღაზანი.

საღამო რომ მოახლოვდა, დროდადრო ფონისაკენ გახედვა დაიწყო, იქნება აღვანიდან მომავალი შეილი დავინახო და ჩავეგებოო. შეილი კი არა ჩანდა. მაინც არას ნაღვლობდა ლევანი. კარგი ოჯახის პატრონია ჯააძე, აბა პურტუქველს, ღვინოდაღვლეველს როგორ გამოისტუმრებდსო და თავი აღარ აუღია მზის ძალზე დაწურვამდე.

უკვე ამეგების დრო იყო, რომ თოხი გაფხვია. მდინარეებს და განათოხნს თვალი მოავლო. მოეწონა. თუ ხვალ მამა-შვილი ერთად წამოვლენ, დილიდან საღამომდე ერთად, მხარდამხარ იმუშაებენ და საქმე წინ წავა, აგერ იმ კბოღემდე მიღწევენ... ვაზიც თუ გადაურჩა დასეტყვას... აღენის თავიდან, შარაზე ურემი გამოჩნდა, შეილი ბრუნდებოდა. ლევანმა მხარზე ლიტრა და აბჯა გადაიკიდა. მდინარი-საკენ ვასწია შეილის. შესახვედრად. ფონთან მისწრო. ხელ-პირი ამოიბანა. გაგრილდა. ურმის ჰრიალიც შეესმა. სანამ მოხედვას მოასწრებდა, კამეჩებმა ურემი რიყეზე შემოაგორეს და შედგნენ. შეღვინიანებული, ნამხიარულევი იყო შეილი. ეს მამამ უმაღლე შეატყა, ახლად აკორებულ ქერა უღვაშებს ქვემოთ სადაფევით მოკიაფე თეთრ კბილებსა და ღომილზე. კარგ ვუნებაზედაც იყო. კმაყოფილი, ხალისიანი.

— ეისთან ისადილე? — კითხვა ლე-
ვანმა. საქობა
საქონე
საქონე

— ჯააძინთა.

— აკი შინ არ არისო ჯააძე, ცხვარ-
შიაო?

— დუისს გაუცილებიათ ფარები.
სულ მთაში ასვლამდე ერთი კვირით
შინ მოსულა ოჯახის სანახავად.

— როგორა ჰყავთ ცხვარი?

— აქებენ, დოლსაც კარგად ჩაუე-
ლია. ნაპარსსაც არა უშავს რა. ყველი
ბარე სამი ურემი გვაქვს გამოსატანი
კოდვე. ოღონდ ვაცადოთ, მარილსა და
გულაში გამავრდეს. ერთი კვირაც
და... — სთქვა შეილმა კოფოდან გადმო-
უხტომლად და სახრე მოიქნია. ლევა-
ნიც დაუჯდა ურემს მაღლა, ყველით
სავსე გუდების თავზე.

— წმინდა წყალია დღესა, ეს და-
ლოცვილი. გინდა მთვარეზე ჩამოურბი-
ნოთ, ბოღე გადავაფაროთ იმ ჩქერებს.
რა სწრაფი კალმახი იცის ილტომ!
მორევში იქნება ორავულსაც მოვატა-
ნოთ, — ელაპარაკებოდა მამა შეილს,
რომელსაც ღვინითა და მზით გახურე-
ბულს, გულისპირი გაეხსნა. ხარბად
ისუნთქავდა მდინარის გრილ სიოს და
კამეჩების ფლოქვების თქაფუნით ასხ-
ლეტილი ცივი მზეფებისაგან შეფრყო-
ლებული წამდაუწუმ თვალებს ხუჭავ-
და.

— ჰო, მამა, ჩამოურბინოთ, გადავა-
ფაროთ, — უპასუხა შეილმა კოფო-
დან, — ხვალ იქნება დეიდაჩემის ქმა-
რიც გამოვიდეს სტუმრად ქისტაური-
დან. აგრე დამპირდა ამასწინათ. სადი-
ლად თევზი გვექნება.

ამ სიტყვების გამოვინე ლევანმა სუ-
ლი გატვრინა. გულის ნადებს მიუხვდა
შეილს. ცოლისდის ქმარი, ქისტაურუ-
ლი ქვისლი, შუამავლად იყო ჩამდგარი.
მხოლოდ ამის გამო აბარებდა შეილს
ამალამინდელი თევზაობა და ხვალინდე-
ლო მზის ამოსვლაც.

რა კი და ასე იყო, — ლევანი რადის
მამა იყო; იქვე დაედსტურა თავის

გულში: აგრე იყოს, შეგისრულდეს, შეილო, გულის წადილი. თუ გულში ჩაგვარდნია, დაე, ის ქისტაურელი ქალი შეირათე. მე ჩემებურად ქორწილს გადაგიხდი. ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.

კამეჩებმა მდინარე პირდაპირ გადასვრეს. წყალმა ქალებს და გულებს შემოჰკრა, პირუტყვეებს გავებზე გადაუარა, კოფოც კი დაასველა.

მეორე ნაპირს უახლოვდებოდნენ, რომ მდინარის იმ მხრიდან, საიდანაც შეილი ურმით წყალში შემოვიდა, ორი ადამიანი მოადგა ნაპირს. ლევანმა ზემოდან ნათლად დაინახა ისინი. პირველი ჭრელაქრულაში ჩაცმული და წითელმანდილიანი ქალი იყო, მეორე კი მამაკაცი.

— ურმისთვის მაინც მოესწროთ, — ერთი კი შენიშნა ლევანმა და კამეჩებიც შშრალზე გაეიდნენ. სველი ურემი და ტვირთი გაკვერილ გზაზე გაიტანეს და დადგნენ.

აქ შეილიც წამოდგა კოფოზე. უკან დარჩენილ, გაღმოლახულ ფონს გააყოლა თვალი მეორე ნაპირამდე. დაბოლოს თავისი მოსაზრებაც გამოსთქვა ვალდანიდან მომაველზე.

— ჩვენსავით ღრმას ხომ არ მიაშურებენ. ტოტებით არჩევენ ფონს. აგე მდინარე როგორ არის დაფანტული. ყველგან თხელია, კოჭამდე არ შესწვდებათ წყალი.

— მოიცა, მოიცა, ერთი ვუცქიროთ მაინც, როგორ გამოვლენ, — მოატანა შეილს სიტყვა ლევანმა და, დაძრული ურემი ისევ შეაჩერებინა. მომავლები წყლის პირას გაჩერდნენ. კაცმა ქალს რაღაც ტვირთი გამოართვა. ხელებით მკერდზე მიხუტებული წამოიღო და ქალს მდინარეში შემოუფლვა. ოდნავ ცერად, ზემოდ აიღეს გეზი. იქით მდინარე გაშლილი იყო ტოტებად ფართო რიყზე. მართალი იყო შეილი, ბავშვიც გაუჭირებლად გამოტოპავდა. აგერ, გაღმოლახეს კიდევაც პირველი ტოტი. გაღმოლახეს მეორეც და კუნ-

ძლიევით დარჩენილ შშრალ რიყზე გააღწიეს. კიდევ საბი ტყეშიც წამოვიდა მდინარეზე იქნებოდნენ, მდინარეშიც წამოვიდა ველზე შემზარავად გაისმა ლევანის ბოხი, გულმკერდიდან აღმოშდარი ღმუთლი, თუ რაღაც სხვა, სასოწარკვეთილი ხმა.

— ვაი შენ, ჩემო თავო! კაცის ცოდო!

შეილმა თვალები მიამტერა მდინარეს. საშოში ვერა შეამჩნია რა. მგზავრები მშვიდობიანად უახლოვდებოდნენ მესამე ტოტს.

ლევანი კი ყველიან გულებზე ფეხებით შემდგარიყო. ჩოხა აღარ ეცვა. თუმური ქუდი კეფაზე წამოეგდო. თვალები საშინლად ანთებოდა. გრძელი და თეთრი უღვაშები ეშვებოდათ სცემდა ფართო ნიკაბზე. კორძიან მუხის მსგავსი ტანით, შუახანს გადაცილებული, თითქმის მოხუცებაში შესული კაცი, ბზრიალასავით ტრიალებდა. ყველით სავსე გულებს მსუბუქად იღებდა, მძლეონობის ოსტატოვით ტყაპ-ტყუპით ისროდა ურმიდან ძირს გზას იქით, მდელოზე.

— მამა, რას სჩადი, ვატიალდება ყველი! — გაბრაზდა შეილი და ისიც შეახტა ურემზე, ჯერ კარგად ვერ მოესაზრებინა რისთვის, გაჩეხებული მამის შესაკაებლად, დასაშოშმინებლად. თუ მისაშველებლად.

— ვატიალდეს, ოხრაღაც დარჩენილა! ადამიანები იღუბებიან! მერე, იმ ცოდვის შეილებსა, მგონია, ბაღლიც თანა ჰყავთ.

შეილმა ახლა ხელმეორედ გახედა ბაღლიდან მდინარეს. „მამ“ ჩაიკვნესა. გულებს სწვდა. მამაზე ხელმარდად დაიწყო ტვირთის სროლა ძირს.

— აკი დილითვე ვამბობდი. დღეს ხიფათი არ ამცდებამეთქი. ბარაქალა. აუ მეხუთე ტოტთან მაინც მივასწარი, — ღმუთოდა ლევანი და ცდილობდა ურემი მდინარისაკენ მიეზრუნებინა. შინისაკენ პირქმნილი კამეჩები კი ფეხს

არა სძრავდნენ ადგილიდან. პატრონმა სახრის გამეტებული თხლაძუნით აიძულა ისინი კედლების აპრებით გაფრენილიყვნენ ილტო-ალაზნის შესართავისაკენ.

ორივე მდინარე უცერად მოვარდნილიყო. შესართავში ერთმანეთს სიკვდილ-სიცოცხლისათვის წაქედბულეზივით ებრძოდნენ. მეწყერივით მოხუცებულ ტალღებს მოაქანებდნენ. ზათქით ეჯახებოდნენ ბახტრიონის თეთრი კლდის კბოდეს. ჩხირებივით მოათამაშებდნენ მთიდან დახვეტილ და წამოღებულ წიფლის მორებს. ლევანმა ერთი წამით კიდეე შეაჩერა ურემი ნაპირთან. ღერძისა და ზესადგრის დამაკავშირებელ მსხვილ მათულის ხლართსა და გვერგვს გახედა, წყალმა ურემს გოგრები არ დააცილოსო. შალვარი, ქალამნები გაიძრო და რიყეზე დაჰყარა, ამ დროს შვილმა ისეე ჩხელთა დრო და შეეხვეწა მამას:

— მამა, ჩემო, მე მივეშველები!

— გასწი აქედან, გამეცა! — გადაიარა ლევანი, — მე ვიცი რასაც ვიქმ! შენ ამ მეწყერში შეგაგდო, მე რალა დამრჩეს სააქაოში, ყველის გულები?! — შეუტია ლევანმა და კამეჩებს, რომლებსაც მღვრიე ტალღები უკვე ზურგზე გადადიოდათ, გეზი იმ ტოტისაკენ მისცა. სადაც მგზავრები ფონს გადმოდიოდნენ და ჯერაც ვერ შეენიშათ, ვერ ვგრძნოთ ან ვერ დაენახათ ფეხდაფეხ მოწყული ხიფათი.

აღვართქაფებული, გადარეული მდინარეების შეერთებულ ტალღებს ლევანი თავქვე მისდევდა. ერთი მიზანი ჰქონდა მხოლოდ: როგორმე მიეტანა ურემი იმ უბედურებთან. მისწვდენოდა, ზედ მიეყენებინა. მათ უკვე შეენიშნათ მდინარის მოდიდება. წყლის კალაპოტში ჩახერგილი ხის ტოტებს ჩაკიდებოდნენ. გაოგნებული უცდიდნენ განაჩენს.

— ალბათ, ლიყები არიან, დიდოელები. — გაიფიქრა ლევანმა, თუმცა

ამისი დრო სულაც არ იყო. მეტი რამის მოსაზრება კი ველარ შესარქვე შესარქვე მის ყურს განწირულთან წყლისილი შეესმა.

— გვიშველეთ!

ამ ხმაურზე ლევანმა უნებურად მოიხედა უკან. შიშით თავზე თმა აებურძგნა. წყალს წიფლის მორი მოჰქონდა. ჩქერში გადააყირავა ხე. რიკივით ააგდო მაღლა, ტალღის ჯავარზე გაიღო და ჩახერგილი ხის ტოტებს, რაზედაც უცხოებს ხელები ეკიდათ, მაქოსავით დაუშვიზნა.

ლევანი არ დაიბნა.

მკვირცხლად გადაიხარა კოფოდან. ურმის ნაფენს ფიცარი ააგლიჯა. მოახლოებულ დასაჯახებლად გამიზნულ მორს ორთაყვირივით მიაგვბა. მორმა ოდნავ გაჰყრა ურმის თვალს, ჩახერგილ ტოტებს გვერდი აუქცია და ტალღებში შთაინთქა.

ყველაზე ძნელი ახლა ურმის ჩახერგილ ხესთან ახლოს შეჩერება იყო. წყალი მოგლეჯილი მთასავით აწებებოდა უენიდან ურემს. ჩახერგილ ხის ტოტებთანაც ძლიერ ახლოს მისვლაც საშიში იყო, რადგან წყალი ურემს იმ ხეს დააჯახებდა. მაშინ ყველანი დაიღუპებოდნენ. აქ კამეჩები წამოეშველნენ პატრონს. წინ, ხის ტოტებს ჩაკიდებული აღამიანები რომ დაინახეს, გაკვირვებულმა ცხოველებმა — ჩვენს გარდა, ახლა იქ, მოდიდებულ წყალში ყოფნას კიდეე ვინ ბედავსო — სუნთქვა ამოუშვეს. ქებებზე, მდინარის ფსკერზე, ფლოქვები დაუწიეს, დადგნენ და ტყვიის კუნძებივით უძრავად გამაგრდნენ.

— დაილოცეთ, ოქროები, ოქროები! — აღმოხდა ლევანს. ქალს მხარში ხელი სტაცა. მოკლიჯა ტოტს, ურემზე შემოიგდო. მერე კაცსაც მიეშველა, რომელიც ამოდ ცდილობდა ურმისათვის ხელი ჩაეკიდებინა და ზედ ამოსულიყო.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო კამეჩენზე. წყალი მატულობდა. მორებიც გახშირდა. ლევანმა პირველი გამოისახა. მაგრად დადგა კოფოზე. კამეჩებს რქებსა და რქებს შუა, კვინიხებში, მძლავრად ჩასცხო შეახვევად ტეხილი, დამოკიდებული სახრე. იმათ ქარიშხალივით შეისუნთქეს. თითქოს ამ შემთხვევისათვის სათადარიგოდ, ფაშვებში დაკეცილად შენახული ტიკები გაჰხერხეს. ღრმა ჩქერებისაყენ გაიწიეს. ტიკტიკით იწყეს ცურვა. აღარაფერს ეპუებოდნენ. ხანდახან მხოლოდ თავიანთი დიდრონი თვალებით პატრონს შეხედავდნენ. შენც ხომ ჩვენთან ხარ მესაქედო, და კუბრით შეღებილ-შეპოხილი ბორნის ნაგებივით მიამობდნენ გახელებულ სტიქიას.

3.

ნაპირიდან მოშორალმა შეიღმა წყალწალბელთა გადარჩენის იმედი დაკარგა. დარბოდა მოზღვავებული მდინარის პირად. თავში ხელებს იცემდა. ღონიერმა და გონიერმა პირუტყვებმა კი თავისი გაიტანეს. ღრმაში მიცურავენ, მხარი შინისაკენ ეჭირათ. კოფოდან პატრონიც უწყობდათ ხელს.

— აჰა, თრფე, მამო, ეგრე ახლა გეგრდით, იქით, ლომებო, თხელია. აგრე, თქვენი ჭირიმეთ, აბა, ახლა გასწით და გააგდეთ ურემი მშრალზე!

ესმოდათ მისი ომახიანი ხმა კამეჩებს და, როგორც იქნა ძალიან შორს, ურემი ნაპირზე გაიტანეს.

— კაცო, ვინა ხართ? — მიმართა კაცს უკვე სამშვიდობოზე გასულმა ლევანმა.

— ქართველები ვართ! — კბილების რაკუნით სთქვა შიშისა და ნასეტყვი წყლით შეიკვებულმა კაცმა.

— ბილწად დაწყველიხართ ვიოცას, ვინცა ხართ! შე კაი კაცო, შენ ხომ ილუბებოდი, ამ ცოლშვილის ცოდოში კი რალად დგებოდი. შენს ღმერთს

რას ეუბნებოდი, ილტოსა და კლანჯანს ასე უგუნურად როგორ უმცინებოდა? — უსაყვეტელმა კაცმა და ახლა ქალს მიუახლოვდა. ცოცხალ-მკვდარი ქალი ფეხზე ძლივს იდგა. ჩითის ტანსაცმელს იწურავდა, თან შენახვევს მყარდნე იკრავდა. ძაგ-ძაგებდა. ლევანმა შენახვევს ზემოდან მჩვარი ააცალა, დახედა. მერე ერთბაშად უკან დაიხია და გულახუებულად სთქვა:

— აკი შორიდანვე გამოვიცანი. თოთო ბაღლი, თოთო ბაღლი! თქვე საბრლოებო, დასხდით ურემზე. რაკი ბედმა ასე შეგვახვედრა ერთმანეთს, ამაღამ შინ მივიყვანო, ზვალ კი ქვეყანას ათასი შარა აქვს და მშველობის გზა მოგვით. ამ სიტყვებზე მან ფიცარი მუხლებზე გადაიმტვრია. დაამოკლა. ქალების საკოჭზე სკამივით გახირა, ზედ გადარჩენილობი დასვა და ქალს გზადაგზა რამდენიმე კითხვა მისცა.

— ვაჟა თუ ქალი?.. თუმცა რაღა ვკითხულობ. ყველა იდამიანის შეილია. სადაურები ხართ? საიდან მოდიხართ?

უცნობებს კრიჭა შეკროდათ, ლაპარაკი უჭირდათ. მაგრამ ლევანი იმ რამდენიმე სიტყვით, რაც მათ ძლივს ამოსთქვეს, მიხვდა, რომ გადარჩენილები აქაურები არ იყვნენ. თუმცა სჩანდა, ქართული მათი ერთადერთი სალაპარაკო ენა იყო.

არც ხნიერები იყვნენ. ქალი უფრო ახალგაზრდა გამოიყურებოდა ვიდრე კაცი. ხშირი, წაბლისფერი თმა ჰქონდა. მზისაგან დამწვარი, ტალღიანი კანი ქალადივით გადაჰკროდა გამხდარი სახის ძელებზე. კაცი მაღალი და ისიც წაბლისფერქოჩრიანი იყო. ნაყავილარ სახეზე სიმწარეაწვნივის იერი გადაჰკრავდა. ამ შთაბეჭდილებას აღრმავებდნენ გამომეტყველებას მოკლებულნი თავლა თვალებიც. რომლებიც არავითარ გარკვეულ გრძნობას არ ამჟღავნებდნენ, არც სიხარულს, თუ იმათი

პატრონი სიცოცხლის მოტრფიალე იყო, არც სიძულვილს, ან უკაცყოფილებას, თუ იმათი პატრონის გულში სიცოცხლის სიძულვილის მორიელი დაბობდავდა.

— ვაჟია, შორეულები ვართ, — წარმოსთქვა ქალმა და დადუმდა.

კამეჩები მინდვრით, ზემოთ, ილტოსა და ალაზნის შესართავისაკენ წავიდნენ. წუხანდელივით ვარსკვლავებით თხლად მოქედილ ცაზე ბადრი მთვარე ამოვიდა.

შვილს ლევანი ველებში შეხვდა. ურემი ისევ დატვირთეს ყველიანი გუდებით. შინისაკენ გასწიეს.

— ეპ, რამდენი კაცის ცოდო ამქვეს ამ შესართავს. აქ ამიტომაც ყოველთვის ეს არის ჩემი სალაპარაკო რაიკომის მდივანთან და აღმასკომის თავმჯდომარესთან. ეუმტკიცებ, აქ უხილოდ არ ვარგვიართ მეთქი. ამ ხუთწლედში მაინც მოაქციეთ მეთქი ასაშენებლად — ებაასებოდა შვილს ლევანი მადლითა და ზიფათს გადარჩენით გულმოცემული, დამებული და ძალზე დაღლილი. — აღარ ვახსოვს, ამ გაზაფხულზე არ იყო, ლომონანათ დედამერი დაახრო, შარშანაც ორი თუში ერთად მოიტაცა და ვინ მოსთვლას კიდევ ყველას, რაც ამ ადგილას მდინარეს ცოდო და უტრიალებია.

— პასუხად რას გეუბნებიან?

— გაეკეთებოთ, შევიტანეთ გეგმაში. მე კი მაშინ დაგიჯერებ, როცა კამეჩებით ბურჯის ცემენტს მომატანიებენ.

— ხვალ მდინარეში რითლა გავიდეთ?

— ხვალამდე აგრე უეცრად მოვარდნილი მდინარე ისევე დაიკლებს, თუ არა და, მაგის ზნი კარგად ვიცი. ორაგულივით ე მაგ წყალში ვარ გახედნილი.

ამ დროს უეცრად ურემი ბეჭობზე შეიღო. ჩაბტა, ჩაიჯახონა, ლევანს წარბებზე ღამურა მიფერტხა, გაბრქყალა,

თვალეები დაუბნელა, სახრე ხელოდან გაუვარდა.

— თფუ... აი, წყეული, ^{კამეჩები} ~~როცა~~ ^{შეხვედნენ} ~~შეხვედნენ~~ წორა, თფუუუ! — გაჯაგრადა ლევანი, — აქი გეუბნებოდი ცუდ ფეხზე ავდექიმეთქი! ეს ამბავი, ეს შემთხვევა, ღმერთმანი ასე უბრალოდ არ დაბოლოვდება... სადღაც გამოჰყოფს ფეხს კუსავით. კიდევ ბევრს მაქვენებს.

ურემმა მოუხეია, ბოგირზე გადაიგრუნუნა. ჩქარა ჰიშკარს მიადგენ, ეზოში შევიდნენ და ალტაცებაში მოიყვანეს ნაგაზი ფარეხა. ძალი ბტოდა, ყირაზე გადადიოდა, წკმუტუნებდა, კამეჩებს ფეხებში უძებრებოდა, — ლევანს გულ-შეკრულზე შეატოტა, ნიკაპზე ენა გაულამჟუნა.

— ნა... გა... გა... გა... შე სამგლე! რა კისერს იტებს! — გამოეხმაურა პატრონი ატაცებულ ცხოველს. უცხოები დერეფანში შეიყვანა. იქ ცოლს, ქეთევანს ჩააბარა: — აბა მიხედ, წყალში ირჩობოდნენ, ეუშველე, გადავარჩინე, კინალამ მეც თან გადაეყე. ახლა შენ იცი და შენმა ქალობამ, ამაღამ ჩვენი სტუმრები იქნებიანო.

ქეთევანმა უცხოები შეიბატოცა. მამა-შვილმა ურემი დაცალეს საწყობში. კამეჩები თავის ადგილას დააბეს, ტივაც დაუყარეს ბლომად. საბრალო პირუტყვებმა საყვებს ზედაც არ შეხედეს. იქვე ჩაიკეცენ და ჩაწენენ. პატრონებზე უარესად დაღლილიყვნენ. არც გასაკვირი იყო. მთავარი ჯაფა მათ გადაიტანეს.

ალაზნიდან სახლამდე არც თუ მცირე მანძილი იყო, ურემი ნელა მიდიოდა შეღმართში. ზაფხულის ცხელი ღლის დაისის მშრალი ნიავი ჰქროდა. შინ მიიღამდე ტანსაცმელი ყველას ზედ შესრობოდა.

ცოლი განჯინასთან ფუსფუსებდა, კერძს აცხებებდა. კიღობნიდან ბურები ამოალაგა. ლევანმა ნათურას მოუკიდა. საცხოვრებელი ბინის გვირგვინზე მიდგმულ მარანში შევიდა. ქვევრს პი-

ტალო პრტყელი ქვა ააცილა, კუპრიე-
ლის ბაღიში ააგლიჯა და ღვინო ხელ-
დებში ამოიღო. დირეზე ჩამოკიდებულ
ნიერის გალოს ერთი წყვილი მოსწყვი-
ტა და შინ შემოიტანა.

სუფრა გაშლილი დაუხვდა.

ყველი, პურა, ტარხუნა, ოხრახუნა,
ჭორფა ხახვი ამშვენებდნენ სუფრას.
მასპინძლისა და ოჯახის პატრონის კე-
თილი გული კი ნათლად დასდგომოდა
სერობას.

უცხოები, აბიკა ჩანგარაული თავისი
ცოლით ძიძილოთი და მასპინძლებიც
ერთ ხანს მდუმარედ შეეჭკეოდნენ.
მარტო ლევანი არღვევდა სიჩუმეს, რო-
ცა ხელში ჭიქას აიღებდა, ვინმეს აღ-
ღვარებულს.

ღროდაღრო ბავშვიც წამოიტირებდა.
მამინ დედა ძუძუს უნაცვლებდა ჩვილს.
ყველას შიოდა მაღიანად ილუქმებო-
დნენ, თან ხარბად შეეჭკეოდნენ ღვი-
ნოს. ჩქარა შეხურდნენ, წამოწითლ-
დნენ. მაგრამ ქეთევანმა აიჩქარა. წა-
მოდგა. სუფრას შოთები მიუმატა და
თითონ დალილ-დაქანცულებსათვის
საწოლების მოწყობას შეუდგა. ცოტა
ხნის შემდეგ ქეთევანს შეიღმაც მიჰ-
ბაძა. საჩქაროდ ჭიქა გამოსცალა, წამო-
დგა, კარი გაიარა. ვენახისაკენ გასწია
ზაჩის მოსაყვანად. სუფრას აბიკა ჩან-
გარაული, მისი ცოლი ძიძილო და ლე-
ვანაღა შერჩნენ.

— ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ,
საიდან მოდიხარ? — ჰკითხა მას-
პინძელმა სტუმარს.

კითხვებზე აბიკა ჩანგარაულს ლუკმა
ყელში გაეხირა. საესე ჭიქა ხელში შე-
აცივდა. ლევანმა კი გაუმეორა:

— საიდან მოდიხარ, სად მიდი-
ხარ?

— ეჰ! — აღმოხდა ჩანგარაულს.

— აქეთ ნათესავი გყავთ? — არ მო-
ეშვა ლევანი.

— ნათესავი კი არა!..

— ჩაინტა? გემი ზღვაში მიცურავს
და იმანაც კი იცის თავისი გასაჩერე-

ბელი ადგილი. შენა, შე კი კაცი, რა
მოგივიდა? და მე რე ისე, ვეღარ შეგეღო-
ნად აყრილა ჰგევხარ. უნდა მოვიტყუო
— მართლაც აყრილ ვარ. რა გითხ-
რა, რა გიპასუხო! ბარის გზას დაეადექ,
გავსდევ და გავყვიო.

— სადაურები ხართ?

ჩვენ სოფელს ჩანგარაული ჰქვია.
აქედან შორს მაღლა მთებში მდებარე-
ობს, — მთუგო აბიკამ.

— ჰეი, ჩანგარაული! ვიცო, იქ, ახ-
ლოს მეორე სოფელიც უნდა იყოს ხე-
ვის პირას — სიპისკარი. იმ სოფლიდან
აქ წისქვილის ქვა მომიტანია ჩემს
ყმაწვილებს.

— სიპისკარიდან მაღლა, ქარაფის
წვერზე თუ მოსახლეობა შეგიმჩნევია.
სწორედ ის არის ჩანგარაული. წისქვი-
ლის ქვას მართლაც ტეხენ იქა, —
დაადასტურა აბიკა ჩანგარაულმა და
ჯიბიდან ქაღალდები ამოიღო, მაგი-
დაზე დააწყო. ლევანმა საბუთები ხელ-
ში აიღო. ლამპის მკრთალ შუქზე ჩა-
თვალა. წაიკითხა. ისევ პატრონს
დაუბრუნა. უფრო გაბედულად განა-
გრძო საუბარი.

— ჩანგარაული, სოფელი არაფრად
ვარგა. მართალი გითხრა, მე ის ქვეყანა,
სადაც გუთანი მიწას არ მოეცილება, ხა-
რი თამამად ვერ მობრუნდება, ქვეყ-
ნად არ მიმაჩნია. მე იქ, იგეთ ქვეყანა-
ში ვერ ვიცხოვრებდი. ევ არის მთიე-
ლები დიდი გამრჯე ხალხია, — თო-
კით მობმულნი თისავენ კლდესა და
ფერდობზე. ჩემს მზესა ვეფიცავ, იმ მი-
წაზე იგეთი შრომით მოყვანილი სარჩო
ცოლოთი პირში არ ჩაიშვება.

— დიახ, მართალი ბრძანება! თუმ-
ცა ჩემი იქიდან ბარად ჩამოსვლის მი-
ზეზი ევ არ ყოფილა. — დაემოწმა აბიკა
ჩანგარაული ლევანს და ძიძილოს ავი
თვალით გადახედა. — რაღად დააგვი-
ცო, ამ დიაცის ბრალი იყო. გულში ჩა-
მივარდა. შევირთო კიდევაც, აქეთ ჩე-
მი, იქით მისი მშობლების უნებურად.
ამა ვისლა შევებუებოდი, როცა ქალ-

საც მე ვუნდოდი. გავიპარენით. სხვაზე კი ჰყოლოდათ მის მშობლებს ქალი დანიშნული. თქვენს მიმიხედვებით რა დღეშიდაც ჩავევარდებოდი. მოსისხლე გავიჩინე. შინიდან გარეთ გამოსვლა გამაპირდა. ორჯერ მესროლა კიდევაც მოსისხლემ. მადლობა ღმერთს გადაეურჩი. ერთ დღეს კი, როცა კრილობა მომიშუშდა, დაეფიქრდი და გადაეწყვიტე: ბარად ამოდენა ხალხი ცხოვრობს, მადლიანია ბარი, იქ ადამიანები ერთი მეორის მხარის მიცემით ცხოვრობენ კოლმეურნეობაშიდ. წავალ, თავს შევაფარებ, ვიშრომებ და მეც ვიცხოვრებ მეთქი. ერთ ქარბუქიან ლამეს, ჩემი ცოლით და შვილით გზას თავი მივეც ბარისაკენ. ბევრი მთა და ზეგ გადმოვლახეთ. მართლაც დაილოცა აქაურობა, მოვალწიეთ და შვეებით ამოვისუნთქეთ.

— მერე? მოუთმენლად იკითხა ლევანმა.

— მერე, რაღა ვთქვა. თქვენც შეგხედით.

— ახლა?

— ახლა, რა კი ლა ბარის გზას დავდგომივართ, აქ ვცდით ბედსა. შრომისა კი მე და ჩემს დიაცსა არ გვეშინია. ბარის შრომა ჩვენებურთან შედარებით აბა რა არის? არაფერი!

— ეგ, რა ვნახე ესა ჩვენს დროშია. ჰაი, ჰაი მერე ამ ჩვენს ქვეყანაში ვინ არ ცხოვრობს კეთილად. შენ კი ეს რა დავმართნია! — და უეცრად მიახალა — ბიჭო, ჩანგარაულო, ჩვენებურად, ბარელებში ნათქვამია: მკაზე გარიგებას ზნაზე პირობის დადება ჯობიაო; მითხარი, ნუ დამიფიცავ. თუ ეგ კოლმეილი ბეწვისოდენად მაინც გიყვარს, კაცისმკვლელი ხომ არა ხარ? თქვენში ასეთი დანაშაული საკვირველი არაა. მე ისე გკითხავ, თორემ მაგასაც შემოველება. აქედან, აღრე, წინდაწინ მინდა ვიყოლე ყველაფერი.

მასპინძელი გამომცდელად დააკეჭრდა სტუმარს. თან ფიქრობდა: რა კი ლა

გადაეარჩინე, მოდი ესინჯავ, ბოლომდე მადლის გზას მივეყვები. ყველაფერი მკვლელი, ბაცაცა, წამკვლელები არაა, არა უშავს რა, მოვეხმარებო.

ეს გადაწყვეტილება მაგრად ჩასჯდომოდა გულში ლევან შილდელს.

აბიკა ჩანგარაულის შიშისაგან გამომეტყველებას მოკლებული ის თვალეზი, რომლებმაც ლევანი შეაერთეს კიდევაც მდინარის ნაპირს გამოსვლის წუთს, ახლა ღვინისაგან გამოცოცხლებულნი — დასველებულიყვნენ, შიგ ცბიერებისა რამ ნასახიც არ გამოსკვიოდა. ახლა ეს თვალეზი მთიელის სიძარულით აესილი სარკეები იყვნენ, რომლებიც ამბობდნენ, ამტკიცებდნენ, რაცა სთქვა პირმა გონების დასტურით მართალი და სინამდვილეო.

— ჰა, რას იტყვი? — კიდევ ჰკითხა ლევან შილდელმა.

— ადამიანის ცოდო არ მაძეგს, არც მოკვლით, არც თემისა და ამხანაგების ლალატით, არც სხვარიგად. ჩემი უბედურება ის არის, რაც ვითხარით, — მშვიდად. წრფელი გულით ამოსთქვან აბიკა ჩანგარაულმა. თანაც მიხვდა, განსკვრიტა, სიკვდილს გადარჩენასთან ერთად. იმ დღეს, რაღაც სხვაგვარი მომავალი დაესახა. არც თუ უარესი განვილღზე, უკეთესი თუ არა.

შუალამე გადავიდა. ყველამ დაწოლისთანავე წაიძინა. მარტო ლევანს არ ეკარებოდა თვალზე რული. ასე ემართებოდა, როცა უცნაურ შემთხვევას ან ადამიანის გასაპირს გადააწყვდებოდა. ძილი გაუფრთხებოდა. დაღლილი სხეული სწიწნიდა. ფიქრი და აზრი კი არ უცხრებოდა. ამ ღამითაც ასე დაემართა. სხეულს დასვენება სწყუროდა. გონება კი არ უსვენებდა. სჯიდა, ანგარიშობდა ლევანი. დასკვნები გამოჰყავდა ნაფიქრ-განაზრებებისათვის. იტყოდა: ახლა კი ყველაფერი აწონილდაწონილიაო. თვალს ზუკავდა, ძილი მაინც არსად იყო. ისევ თავიდან მოჰ-

ყვებოდა იმ დღის შემთხვევის ყველა წერილმანს და მსხვილმანის გარჩევას.

— ღმერთო და კაცო, რა ეშველებათ იმ გაქირებულებს? — ლაპარაკობდა თავისთვის ჩუმად. — კაცი კაცით არისო. ასეა მამათა და პაპათაგან თქმული და ანდერძად დაგდებული. აი, დამიდგაცხოვრება და შემთხვევა წინ შიშვლად. შეკითხება და მოუსვენრად მოელის პასუხს: აბა, ლევან შილდელო, ჩემო გაჩენილო კაცო, ტყუილად ხომ არ შეგამე შებლითა და ქედით, რა შეგიძლია იმ კაცისათვის?

ამ ფიქრთა და აზრთა ქიდილში გაატარა ლამე. თეთრად გაათენა. მაინც ცისკარს დაასწრო წამოდგომა, თივა დაუყარა კამჩებს. სალაფაფე მოუმზადა ფარეხსაც. ქისკრის სვეტის ძირად ის კვიპატი, თარსი ქვა მოთხარა. მის მაგივრად იქ სხვა ქვა ჩააგდო. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ გააკეთა. წისქვილშიც მოასწრო საფქვევის ჩატანა, კოლმეურნეობის კანტორაშიც შეიარა და ქეთევანს ჯერის შეშაც მოუმზადა.

შინ რომ დაბრუნდა, მზე მალდა იყო. აბიკა ჩანგარაული ცოლშვილიანად, ნასაუზმევი, ეზოში, ალუბლის ჩრდილში იდგა. წასასვლელად გამზადებულიყვენენ.

— ჰა, საით?

შეეხმურა მათ ლევანი. აბიკამ პასუხი არ გასცა. ვერა მოახერხა რა სათქმელად. თვალეზი უაზროდ ააფახულა.

ამ დროს ბავშვმა საშინელი ტირილი ასტეხა. დედა ამოოდ ცდილობდა დაემშვიდებია ჩვილი. ძუძუს უნაცვლებდა, ეფერებოდა. ბავშვი კი მაინც არ ცხრებოდა, თითქოს მუცლის სერვა აუვარდაო.

— ჰა, საით-მეთქი? — გაუმეორა ლევან შილდელმა. აბიკა ჩანგარაულმა მხრები აიჩინა. ძიძილო ცხარე ცრემლს აფრქვევდა ძუძუზე მიკრულ ბავშვს. ლევანმა ვედარ გაუძლო ამ სანახაობას. მუხლები შეუსუსტდა. ძლივს მოასწრო

ეზოში დაგდებულ ხის დასაბობ თავსადებ კუნძამდე და ჩაიკეცა. აბიკამ და ძიძილომ ფეხი გადასდგნენ კიბეებზე.

— მოიცათ, — წამოიძახა ლევანმა. — ყური მივდეთ, აი რა გირჩიოთ: ჩემმა მზემ, მამის სულის განათლებამ, მეც ბევრი არა მაქვს რა, გარდა მოსავლამდე თავის გასატანი ქირნახულისა, ამ ჩემი მარჯვენისა, გლუხკაცის თავისა, ძარღვისა, კოლმეურნეობის იმედისა და ზურგისა. ესაა მხოლოდ ჩემი ავლადიდება. ქირშია კაცი კაცისათვის, თორემ ლხინში ყველა კაცი კაცადა სჩანს. იმას, რაცა მაქვს გინაწილებთ, გაგიყოფთ, ვითომ ჩემები ხართ, აგერ იმ ჩემი ერთადერთი შვილის დედის ძუძუ ნაწოვი. აგერ იქით, სოფლის ნაპირას, რიყეზე, ერთი ძველი ნახევრად გომური მოვლია. სანამ ამ სახლს დავიდგამდი, მე თითონ ვცხოვრობდი შვგ ცოლშვილით. აღექ და თავი შეაფარე, სანამ სხვა რამე საშუალება გამოგიჩნდებოდეს. სინჯე იქნება ფეხი მაგრად დაადგა მიწას. სადაც კაცი მარჯვენას მონდომებული გულით მოიქნევ. თუ ზედ გონებასაც დაატან, იქ ხელი წაღმა შემოგატრიალდება. მერე კიდევ ვნახოთ. იქნება სამოსახლოც იშოვნო და კარგადაც მოეწყო. ვინცა ხარ, რაცა ხარ, წელს შენთვის არაფერს დაგზოგავ, გაგიმართავ ხელს. სამემრისოდ, შემდეგისა კი შენ იცი. ადვილს, ხომ თითონაც ხედავ, რაც არის.

აბიკა ჩანგარაული უძრავად იდგა. გამტერებული მისჩერებოდა ხევის პირად ბორცვაკებზე გაშენებულ სოფელს და მის ქვემოდ თვალუწვდენად ჩაწოლილ ველთა ვაკეებს. ყურში პანკვიით უხიჩინებდნენ ლევანის სიტყვები.

— აბიკავ! — ჩაერია საუბარში ძიძილო. — რას გვიპირობ, კაცო, უკან მთაში, ნათესაებში აღარ მიგვესვლება, წავიდეთ და სადამდე-ღა უნდა ვიბროთ?! მე ამას იქით ფეხს არსად გო-

დაედგამ. მოვედღე—აქა, ვიცოცხლო—
აქა!

თმაგაშლით სთქვა ძიძილამ და მი-
წახე მოიფრთხნა. აბიკამაც, თითქო
ცოლის ამ გადაწყვეტილებას უცდი-
დაო, რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა.
თავის ცოლშვილის გვერდით დაჯდა
მიწახე ტყვედ დანებებული ჯარისკა-
ცივით. ლევანი წამოდგა. ეზოში რამ-
დენჯერმე გაიარ-გამოიარა. ვადაავლო
თვალი სახლკარს, ქისკრის იქით შარას,
ბაღებს და უეცრად შემოტრიალდა.
შვილს გახედა წარბებ ქვემოდან მოქუ-
ტული თვალებით და საქათმესთან მო-
ფუსფუსე ქეთევანს შეეხმურა.

— ქალო, ქეთევან, შენ სიცოცხლეს,
ერთი შინ შევიდეთ, — უთხრა და ნე-
ლი ნაბიჯით დერეფანს მიაშურა.

— განა შორსა ვარ, მანდღდან მით-
ხარი, გათვონებ! — გათკვირვა ქეთე-
ვანმა.

— ქალო, მარტო მინდა ორიოდ
სიტყვა ვითხრა. — შეეხეწა ლევანი
ცოლს.

ქეთევანმა მაშინვე სახლს მიაშურა.
მიუხედა ქმარს, რაღაც დიდი ჩანაფიქ-
რის განდობა — გამხელისათვის უხ-
მობდა. მისი, ქეთევანის თანხმობა და
გაახრებაში წამოხმარება ესაჭიროე-
ბოდა. ამიტომ აღარ დააყოვნა. ქმარს
კართან მიუღწერა. შინ შევიდნენ. მე-
რე კარი შიგნიდან მიჰკეტეს. კარგა
ხანს აღარ გამოჩენილან.

რაზე ილაპარაკეს იქ, ლევან და
ქეთევან შილდელებმა, რა გადასწყვი-
ტეს, რაზე შეთანხმდნენ იმ საიდუმლო
თათბირზე, არავინ იცის.

გარეთ მარტო ლევანი გამოვიდა.
აბიკასა და ძიძილოსთან მივიდა ახლოს.
შვილსაც ანიშნა აქ. ჩვენთან, ახლოს
მოდით. ერთად რომ შეგროვდნენ,
„წაიღეთო“, სთქვა და ქისკრისაკენ
გაემართა. ეზო გაცალიერდა. ჩქარა
ყველამ პარტაა, ამომშრალი ხევი გა-
დალახეს. მეორე მხარეს აღმოჩნდნენ.
გამოჩნდა ნამოსახლარი და რაღაც შე-

ნობა. ნახევრადგომურის ეზო ბაღებ-
თა და ბარდებით იყო გაღრმავებული.
გომურის პატრონები, ეტყვიანად
ვითად დაიარებოდნენ, რადგან ნაღე-
რეფნალშიც კი ჯიჯილაყა და ნაცარ-
ქათამა ამოსულიყო. შენობისათვის
ქარს აქაიქ სახურავი ვადაეხადნა. დამ-
ტკრეული კრამიტის წითელი ნატეხე-
ბით იყო მოფენილი ლაფაროები და
ეზო.

კართან შეჩერდნენ ყველანი. ლე-
ვანმა ფიჩხი, ხმელი ჩალა, მკნარი ეკ-
ლის ტოტები და ფუტურო ნუტრები
შეაგროვა ეზოში. რაზას გამოსწია, სა-
კეტი რგოლი მარყუფიდან ამოვარდა
და გაიჩხარუნა. მერე კარი მუხლის
კერით შეაღო, ჩანგარაულებს შინ შე-
უძღვა და შეიყვანა. დანესტიანებულ
ბუხარში კერა შეასწორა. თან შეტანი-
ლი ფიჩხი და ნუტრები შიგ შეჰყარა.
ახლა ასანთს ვაჰკრა. შეუქიდა. ალმა
ბუხრის მქვერტლიანი ღრუ გაანათა.
გომურში ნაშწის სუნი დადგა. სახუ-
რავს ზემოთ აშვერილ მილიდან ამო-
სულმა კვამლმა კიდევ ერთი კომლი
შეჰმატა სოფელს.

— აგერ ბინა. შეაფარე თავი და
ღმერთმა ხელი მოგიმართოს, იხეირე.
შენს მდგომარეობაში ჩანგარაულო რა
კი და სხვა გერა არა ვაბადია რა, ესეც
სასახლეა. — უთხრა ლევანმა აბიკას
გამომშვიდობების წინ. შინისაკენ წასა-
სვლელად მობრუნდა, რომ აქეთ მო-
მავალი ქეთევანი შენიშნა.

— ქალო, შენ რაღად მოდიოდი! —
მოაძახა მას ლევანმა.

— გული აღარ დამიდგა შინ. — მი-
უღო ქეთევანმა პასუხად. ეზოში შე-
მოვიდა. ერთ იდგილას შეჩერდა. სვე-
ტივით უძრავად აღიმართა. ქარსაფარ
გადმონგრეულ ბუხრის მილს მიაჩერდა
დაეინებით, საიდანაც ახლა კვამლი
ამოდითოდა. კარგა ხანს იდგა ასე. უეც-
რად კი დაიძრა და ნაღერეფნალში ოდ-
ნავ წაბორძიკებით შინაც შევიდა.



უბიდან ერთი შულო ბაბბის და აბრეშუმის ძაფი ამოიღო, კაბის ნაგვირისტევიდან ნემსი ამოიძრო. ერთად შეხვია და ძიძილოს მიაწოდა. დაუბარა კოდევაც: თუ რამე დაგვირდეს, არ მოშერიდო, თამამად მთხოვეო და ეზოში გავიდა ისევე.

ჩასახლებულები ნახევრადგომურში დარჩნენ. ლევან შილდელმა კი თავისი ცოლშვილით შინისკენ გასწია.

— დაგიფასებს კი? — გამოვბაასა გზად ქეთევანი ლევანს.

— დამიფასებს რა სიტყვას! ვანა მავისთვის მოვიქეცი აგრე! მე, ქეთევან, სხვა აზრი მაქვს, სხვა რამ მინდა. ქართველი კაცია, ჩემი, შენი, ჩვენი მამისა, პაპისა და ჩვენი შვილის ენით მოლაპარაკე — მოუბარო. დატრიალდება მიწაზე. აცა, მოიმაგრებენ წელს. ხედავ, რა ახალგაზრდები არიან! საიდან მოსული არ ესახლება აქა, ვანა მავისთვის უპრიანი არაა თავის მიწაზე იხვიროს? აი ჩემი ვაშაზრევი, ქეთევან. ჩემს ქვეყანას, რომ თვისტომი კაცი, სანაშენო ოჯახი, სათვალავში ეყოლება? ვანა ამას რა ფასი სჯობია?

მიუგო ლევანმა ცოლს, ცოტაც არ იყოს კითხვით ნაწყენმა.

— ღმერთმა კეთილი ინებოს, — ჩაილაპარაკა ამაზე ქეთევანმა, ფეხს აღჩქარა, დაწინაურდა, მეტი აღარა წამოცდეს რაო, ქმარს გულო არ ვატყინოვო.

მიდიოდა ქეთევანი, მანძილი სახლამდე გაგრძელებული მოჩვენა. გულის ძვრაც იგრძნო. მერე მიხვდა, რაღაც აუვარდა გულის ძვრა. დაენანა ნამოსახლარი. იქ, იმ ნახევრად გომურში შევიდა პირველად ქმრის სახლში, ძიძილოსავით ოც წელს მიფლწველი და აბიკასავით პირტიტველა ლევანთან. გომური კი არა, ქეთევანისათვის სასახლე იყო. იქ გაშაროა შვილი, იმ ნახევრად მიწურში დასწერა ლევანმა კოლმეურნეობაში შესვლის სურვილის განცხადება და მერე ქაღალდი მას მი-

აწოდა. ქეთევანმაც მიაწერა ზედ სკოლი.

ლევანმაც აუჩქარა დგომურში ბოლოს სიმიანდები გაახუნდა. განთიადზე იქ უნდა ყოფილიყო. აქ კი შუადღე წამოსდგომოდა თავს. სამუშაოდ ჯერაც ვერ წასულიყო. ასე დაგვიანებისათვის იგი სხვას სძრახავდა. რა მუშაა, მზემ სამუშაოზე გასვლას მოასწროვო. უცერად ისევ შეტრიალდა. თითქოს რაღაც დარჩაო, უკანვე გაბრუნდა. ახალი მოსახლეს ეზოში გადავიდა. აბიკა ჩანგარაულს თოხი მხარზე გაადებინა, თან წამოიყვანა. შინ შეუხვევლად, შარიდანვე, ერთად ზორბალოს ბოლოს სიმიანდებისაკენ წავიდნენ.

წუხელის უცერად მოვარდნილ მტნარებებს ისევ დაეკლოთ. ლევანმა ახალი ფონი მოძებნა. ვატოპეს ვაღმით. მამამ და შვილმა აბიკა შუაში ჩაიყენეს. მოუსვენს მიწას თოხები. გაივდეს სერელო.

— ნახევარი დღე დაეკარგეთ, ერთორად გავასწოროთ მონაცდენი, — ბრძანა ლევანმა და დაბინდებამდე თავი აღარ აუწვევიათ.

მარჯვედ ცემდა თოხს აბიკა ჩანგარაული ბარის მიწას. ხელად მიუხვდა გამოხშირვას. ეხერხებოდა საქმე და ემარჯვებოდა ხელი. ერთხელ მამა და შვილმა სიმღერა წამოიწყეს. აბიკაც აპყვა. როცა ძალზე დაღლილები სერელს თავში მოექცეოდნენ, ჩაიქოქინებდნენ. ლევანი ეტყოდა ხოლმე ყმაწვილებს: — აბა, ერთი კიდევ შემოვეტოთ სიმიანდს ბოლოდან! ზამთარში ხელების მუცელზე მოქერას, ახლა თავს მტვერის ყრა გვერჩიოს. და თუ, აბიკა, ეგეთი მუშა ხარ, არა ვიქირს რა!

ერთ საღამოს კი, როცა საბოლოოდ დარწმუნდა ლევანი, რომ მის გომურში ჩასახლებული აბიკა ციციხლი-მუშა კაცია, მზრუნველად არივებდა: — აგრე!

ვაისარჯე და იცი... ამ ჩენი დალოც-
ვილა მიწის ზედაპირი ცალიერა კონია,
ქვეყნელი ოქრო, ნამი კი ძაცოცხლებე-
ლი წამალი.

4.

იმ ღამით, ნაშუადღევს, კოკისპირე-
ლი წვიმა მოვიდა. ქვექუხილი ზეთქე-
და სიბნელეს. შარებსა და ეზოებში,
ყანებსა და ბაღ-მინდვრებში გუბებდად
ჩადგა ნაწვიმარი წყალი. დღითაც აი
გადაღო წვიმამ, ტყეისავეით მძიმე
ღრუბლები აწეა მთებს. ბარად ნისლი
ჩამოწოლილიყო. სამუშაოდ გასვლა,
მცირედად ნიადაგის შესრობამდე არ
შეიძლებოდა. კვირა დღეც იყო. ამნაირ
ამინდსა და დღეს იხელთებს ხოლმე
კოლმეურნე დროს. გამოდარებამდე
ინახულებს კოლმეურნეობის კანტორას,
შეივლის სოფლის საბჭოში, ცოტახანს
გაჩერდება კოოპერატივის დახლთან,
იკითხავს მანანდას. ლევან შილდელიც
ასე მოიქცა. მზარზე ჩოხა მოიგდო.
ცოლსა და შვილს დაუბარა, თუ ჩემი
ქვისლი გამოვიდეს ქისტაურიდან, სოფ-
ლის საბჭოში, კანტორაში ან კოოპერა-
ტივში მომნახეთო და აბიკა ჩანგარაულს
გაუარა. მასპინძელი გომურის სახე-
რავზე ასული დაუხვდა. იმ თქეშა წვი-
მაში. აბიკას ბუხრის ქარსაფარი გაეს-
წორებინა. ახლა სახურავს ზელავდა.
ძიძილოც გარეთ იყო. ქალი ქვემოდან
კრამიტსა და ქვებს აწვდიდა მალლა
ასულ ქმარს.

— გამარჯობათ თქვენი! რალა ასეთ
ამინდში შესულხარ სახურავზე? —
სიტყვა მისულმა.

— გაგიმარჯოს შენაც! — კარგ
ამინდში იქნება დროც ვერ ვიშოვო
ასეთ საქმისათვის. — გამოესაუბრა ზე-
მოდან აბიკა და ზელად ძირს ჩამოვი-
და.

— წავიდეთ კოლმეურნეობის კან-
ტორაში. სოფლის საბჭოც იქ არის. —
უთხრა ლევანმა. აბიკას შინაც აღარ შე-

უხვდავს. ვაჟყენენ ხევისსადირარ-
ლაპოტს, სადაც ახლა, გულში მსჯელობს
ამომშრალი იყო, ნაწვიმარს წყლის
ქვრის ღვარი მაქარივით მოჩქითანებ-
და. ჩოხებშემოკაპიწებულნი ქვებიდან
ქვებზე ზტოდნენ. ასე გააღწიეს ატა-
ლახებულ შარავზე. აქ ლევანი პირდაპირ
დაუდგა აბიკას და უთხრა:

— აი ახლა მე, შენ კოლმეურნეობის
კანტორაში მიგიყვან. სოფლის საბჭოც
იქვეა. ორივეგან ჩენივე მეზობლები
არიან თემჯგდომარეებდად. კოლმეურ-
ნეობაში — ბავო ბოცორაშვილი, საბ-
ჭოში — ოთია სოზაშვილი. მე კი მე ვარ,
მაგრამ ხალხმა თავისი იცის. სოფელს
თავისი ხმა და წესი აქვს.

არიგებდა ლევანი აბიკა ჩანგარაულს
ისეთის კილოთი, რომ აქედანვე ეფიჭრ-
ნა ხეცსურს: სოფელი, კოლმეურნეო-
ბა, სასოფლო საბჭო არიან დღეიდან
იმისი პატრონები, რომ თუ მას ბარში
დარჩენა და დასახლება გადაუწყვეტ-
ნია, უამთოდ ვერაფერს ვახვდება. ამ
დარიგებამ გასჭრა. კოლმეურნეობის
ეზოში შესვლისთანავე შეაჩნლა ნაბი-
ჯი აბიკამ. როცა ლევანი კანტორაში
შევიდა, აბიკა კიბის პირველ საფეხურ-
თან გაჩერდა. ფეხების საწმენდ ძელ-
თან, წვიმაში, ქუდმოხდილი, როგორც
სალოცავის კართან.

იქ უხერხულად გაჩერებულმა მთი-
ელმა ნათლად გაიგონა:

— მობრძანდი, ლევან!

კოლმეურნეობის კანტორაში ლევანს
ბავო ბოცორაშვილი და კარგად თმა-
შეჭრელებული სოფლის საბჭოს თე-
მჯგდომარე ოთია სოზაშვილი დაუხვ-
დნენ. ორიოდე სხეაც იყო. ლევანმა თა-
მამად მისცა სალაში იმით და გრძელ
სკამზე, ბავო ბოცორაშვილის მახლობ-
ლად, ჩამოჯდა. მიხედ-მოიხედა. აბი-
კა ვერსაო შენიშნა. ამიტომ ისევ, გა-
რეთ აივანზე გავიდა. გულიანაო ვაიცო-
ნა. ქუდმოხდილი აბიკა წვიმაში იდგა
გადანაბღლ ხესაგით აყოლიებული. ზე-
ლის დაქნევით ანიშნა, შეპოლიო. მთი-

ელი ბორძიკით აყევა საფეხურებს. შინაც შეყევა ლევანს. მაგრამ აქაც წითელ საფეხ გადაფარებულ მაგიდასთან და თავმჯდომარეებთან ახლოს მისვლა გაუჭირდა, კარის პირდაპირ, ფართო მხარბეკ-გაშლილი, უხერხულად გაეზიარა ოთახის შუაგულში. სინათლეს ჩამოეფარა და ჩამოაბნედა.

— შთიულია?! — იკითხა ბაგო ბოცორაშვილმა უცხო სანახვის უმაღლესი ლეკი თუ ქისტი?

— შთიულია! ხეცურეთიდან, — მიუვო ლევანმა. — სისხლს დაპირიდებია.

— სადაური ხარ, ბიჭო? — ჰკითხა ახლა ბაგო ბოცორაშვილმა უცხო, თან ცდილობდა კარგად გაერჩია მისი სახე სიბნელეში.

— ჩანგარაულელი! — ამყად მიუვო აბიკამ.

— ჩანგარაულელი?! — გაიოცა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

— დიახ!

— სიბისკარის ზემოთ ქარაფზე რომ სოფელი მოსჩანს? — განაგრძო ოთიამ კითხვა. მერე წამოდგა, თითქოს რაღაც მწველი რამ გაახსენდაო, მუშტი დაკრა მაგიდას. — ჩანგარაულელი! მაშ შენ, ძერყორა ჩანგარაული გეცოდინება.

— დიახაც, ვიცი!

— ნათესაეი ხომ არ იყო შენი?

— მამა!

— მამა! — გაიმეორა ოთია სოზაშვილმა, — მოდი ახლოს, ჩამოგეკ. ძერყორას ვაეი ხარ? კარგი და პატიოსანი, ესეც შემთხვევა, ჰაი დედასა რა კაცია! შენა, ბიჭო, მამინ დაბადებულ იც არ იქნებოდო, ჩრდილო კავკასიაში თეთრებს ვეზროდით. ერთ ზამთარს ძერყორამ შეგვიფარა. როგორაა ძერყორა, ხომ არ მოხუცდა?

— მახუცდა, თქვენი ქირი წაიღო. — მიუვო აბიკამ. ოთიამ თავი ჩააკიდა, დადუმდა. მერე ხენეშით განაგრძო.

— ეხ, ძერყორავ, ადრე დაგწვებია ღუშმანი.

ახლა ლევანი ჩაერია სულბარში.

— ჰა, ბაგო, ოთია, თავის შეფარებას ვეთხოვს ეგ კაცი, რე გეგნავს, ცელი და ბაღლიც თანა ჰყავს. სისხლს დარიდებია და საღლა უნდა წავიდეს ამას იქით, არ ვიცი, ჩემმა მზემ.

ბაგომ ოთიას გადახედა.

— ჩანგარაულელი ძერყორას ვაეი?! — შედაღადა ოთიამ, — თქმაც არ უნდა, ისიც სისხლს დარიდებულო, თუნდაც სხვა იყოს, — მერე აბიკას მიმართა პირდაპირ. — მაშ, აქ დარჩენას აპირებ?

— დიახ!

— მერე რასა პფიქრობ?

— კოლმეურნეობაში მინდა. იქ მთაში მიწა არ გეყოფნ. გაეძრავლდით ძიელ. სისხლიც მმართებს.

ყველანი დაჩუმდა. სუნთქვა ისმოდა. ბოლოს ბაგო ბოცორაშვილი წამოდგა. დიდ განჯინასთან მივიდა. ვალო. ზონარგაყრილი ვეებერთელა, წითელი და ოქროსფერასოებთან წიგნი გადმოიღო, დაჯდა და გადაშალა. ხან ერთ გვერდს უკირკიტა, ხან მეორეს. კარგა ხნის შემდეგ ამოსთქვა:

— ბინისა რა მოგახსენოთ, ბიჭო. თორემ სამოსახლო, ჯერ აუთვისებულო ფონდი, თუნდაც მთელი ჩანგარაული სათვის გეეყოფა.

აქ ლევანი წამოეშველა ბაგოს.

— ბინა არის, მე შევიფარე ჩემს ძველ გომურში. აგერ იმაში, შიგულა რომ იხვეწებოდა, მე მომეო.

— კარგი საქმე გიქნია, ლევან! — ერთად სთქვეს თავმჯდომარეებმა. ბაგო ბოცორაშვილმა კი პირდაპირ დააეღა ლევანს:

— რა კი და აერეა, შენთან ახლოსაც არის, შენს რგოლში აიყვანე, შენ იცოდე და შენმა კაცობამ!

— კარგი! — დაემოწმა ლევანი. აიშალნენ. აივანზე გავიდნენ, შინისაკენ გასწიეს. წვიმას გადაეღო. სოფელში ხმა გაერცელდა: ქვეუბნელ ლევან შილდელს და მის ბიჭს ალაზანში ეი-

დაც მთიელები გადაურჩენიათ, შინ წაიხუტყვანიათ, თავიანთ მიტოვებულ გომურში ჩაუსახლებიათო. გავრცელდა ეს ხმა. სთქვეს. შიგულას ყურამდეც მიიღწია და ყველამაც დაიჯერა.

ვინ არ იცნობდა სოფელში ლევან შილდელის უცნაურ ხასიათს და კეთილ გულს.

სამუშაოზე ან გზად მიმავალი კოლმეურნეები განგებ იბრუდებდნენ გზას. ჩაუვლიდნენ გვერდით ლევანის ნაცხოვრებ გომურს, დადგებოდნენ, უთვალთვალდებდნენ. ბუხრიდან კვამლი ამოდიოდა. დერეფანში აკვანი იდგა, დედაკაცი ეზოში ტრიალებდა. მართლა ჩაუსახლებიაო—რწმუნდებოდნენ ცნობისმოყვარენი და მიეშურებოდნენ თავისი გზით. მერე, თუ კი შემთხვევა მიეცემოდათ, არც თითონ იშურებდნენ ძალსა და ღონეს, ხელს უწყობდნენ ახალ მოსახლეს, რითაც და როგორც შეეძლოთ.

— ჰე, როგორია ეს ლევანი, ვინა და საიდან მოიყვანა?! — ამბობდნენ მეზობლები და ნაცნობები.

— ნეტავ რად დასჭირდა?! — კითხულობდნენ ვილაციები.

— გამოსულელებულა, საქმე შემოლევია, — იტყოდნენ აქაიქ.

— გამოსულელებულა კი არა! — შეგებობდნენ მძრახველს.

— თუ ივარგა, ეგ მაშინ სთქვი! — ეკობდნენ მეათენი და მეოცენი.

— ივარგებს, მაშ! აბა რა იქნება! ხელის განძრევა თუ არ ეზარება, ე მიწა ისეთია აქა, რომ დაუზარელ კაცს ამაგს არ დაუკარგავს, დაარჩენს და ააღორჩინებს, — დაასკენდნენ გამოცდილნი და მცოდნენი.

ლევანი ძველებურად, დაუზარელად, წუთის მოუცდენლად ტრიალებდა, შინ და გარეთ, ოჯახსა და კოლმეურნეობაში.

სხვებთან, ადგილობრივებთან ერთად მოუცილებლად ჰყავდა, რგოლში აბიჯა და ძიძილო ჩანგარაულები. გამოჰქნა

ისინი სამუშაოში. ორივე მარჯვენა ხელები გამოდგნენ. აბიჯამ უკანაგონი ინინა. ტრაქტორისტი გულმოდგინედ ზე ყოველთვის აბიჯას მოითხოვდა. «კარგად უწყობს ხელს გუთნებს, ხელში ლარივით სწორი და ღრმა კვლები გამოჰყავსო». მთაში ნალოების ჩამოსათრეველ წასვლა ხომ აბიჯას კარგ ქვიფს ერჩია.

ლევანისთვის რომ გვეთხათ, აბიჯას ძიძილო სჯობდა. იმდენი შრომა, ჩვენმა, ბარში განებეიერებულმა ქალებმა რომ შესძლონ, სათითაოდ, ოჯახს მეტი მრჩენელი არც კი დასჭირდებოდა.

— ერთი გაიარეთ ძიძილოს გომორის წინ და შეხედეთ, მალა, გარე დირეზე ჩამოკიდებულს მის ნიერისა და ხახვის გალოებს! მიდით ნახეთ, რას ჰგავს მისი თოხი. ნამგალი, ცელი და ფოცხი. ქალი კი არა ბაჯალო ოქროა. ნეტავი ეგეთი გამრჯე ჩემი შეილისათვის შემხედებოდეს. ჩაიხედეთ იმის შრომის წიგნაქში?! მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ორი დღე გამოჰყავს.

გადიოდნენ დღეები. ჩანგარაულები მოშინაურდნენ. ვინ რას არ ლაპარაკობდა იმათზე. ზოგი — კარგს, ზოგი — ივს. ლევანი კი ძრახვას თუ ძაგებს, ქებასა თუ კილვას, ერთი ყურით მოსმენილს, მეორით გზას აძლევდა უსაზღვრო სივრცეში.

ეგ იყო. ყველაფრის ყურის არიდება მაინც შეუძლებელი გახდა. ეს ამბავი შემოდგომამდე მოხდა. შრომადღეებზე პურიც უკვე განაწილებული იყო. ღვინოც, ყველიც და ფულიც რაიონიდან კარგად ცნობილი მეურნალო ექიმი ჩამოვიდა სოფელში ავადმყოფის სანახავად. კოლმეურნეობის დამავდომარეს აზრად ჰქონდა საბავშვო ბავადაეარსებია სოფლად. ამისთვის კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებაც კი არსებობდა. ბავამ ექიმის ჩამოსვლა გამოიყენა მიზეზად. დაავალა მოხსენების გაკეთება. გაიგეს თუ არა კოლმეურნეებმა ცნობილი და გამოცდილი

ექიმი მოხსენებას აკეთებდა, უკლებ-
ლივ მოვიდინენ კოლმეურნეობის კან-
ტონში. მიძილოც იქ იყო. დიდი ხანი
გაგრძელდა ექიმის საუბარი. არავის
მოსწყევნია და ბოლოს მოიწონეს ბავის
დაარსების ვადები, ადგილი და შერჩე-
ული ხელმძღვანელები. მხიარულად
დაიშალა კრება. ეზოს მოედენენ ჯგუფ-
ჯგუფად შეიკრიბნენ და კიდევ განა-
გრძობდნენ მსჯელობას. წყნარი, გრი-
ლი შემოდგომის დღე იყო.

მეზობლები ვინ იცის რაზე არ ლა-
პარაკობდნენ. გამორჩევა, რომ ლენინის
დაწმენის დროსათვის სოფელს ათამ-
დე ქორწილი ჰქონდა გადასახდელი.

— თქვენ როდის-ღა აპირებთ სარ-
ძლოს მოყვანას. — ჰკითხა ქეთევან
შილდელს ბავო ბოცორაშვილის ცოლ-
მა.

— ეპ, რა ვიცი, რა ვიცი, ასე კი და-
მაგვიანდა და... — ნაღვლიანად ჩაილა-
პარაკა ქეთევანმა.

— რძალი გომურში ჰყავს ქეთე-
ვანს, — ჩაერია ვიღაც გვერდიდან მან-
დილოსნების ლაპარაკში. გარშემო
ჰყოფებმა ჯერ ამ სიტყვების მიქმელს,
შიგულას შეხედეს გაკვირებით, მერე
ერთბამად პირი ძიძილოსაკენ მიიბრუ-
ნეს. ქალი მიხვდა გადაკრულს, გა-
წითლდა, მაგრამ არ დაიბნა. როგორც
მთიელ ქალებს ჩვევიათ, ვაყვაცურის
აუღელვებლობით რამდენიმე ნაბიჯი
წინ წაიოსდგა, ქეთევანს გვერდით და-
უდგა და თვალი გაუსწორა ჭორიკანას.

— ეგრე იყოს ნეტავ. ჩემზე კარგ ქა-
ლის ღირს არს ის ბედნიერ ვაჟი, და-
ენაცელოს მას ძიძილო. ჩემი აბიკას
შემე რაი გინდა! — შეუტია ძიძილომ
და თითქოს ძე აფთარი, მსხვერპლის
გასაღლეჯად მოემზადაო შიგულასაკენ
დაიძრა.

შიგულამაც აჰო და ამ მთიელმა
ქალმა ხალხში სირცხვილი არ მაქამო-
სო, მოკურცხლა.

— ვაყვაც, ვაყვაც! — მიიძახა გაქ-
ცულს ძიძილომ და გადაიკისკისა.

სოფლის საბჭოს კრება ბოლოს
შესდგა. ოთხი სოხაშვილი დასწრე-
რობობდა. ჯერ ბავის დასწრეობა
ხი გადასტრეს. მეორედ, სასოფლო გზის
ერთი მხრიდან მეორე მხრით დადების
საკითხსაც მორჩნენ. უკანასკნელ სა-
კითხად აბიკა ჩანგარაულის კომლად
დამტკიცება იყო.

— დამტკიცდეს! — შემოიტანა წი-
ნადადება საბჭოს ერთმა დეპუტატმა.

— დამტკიცდეს! — ერთხმად გაიმე-
ორეს ყველამ.

— რად დამტკიცდეს, ხალხო! —
სიტყვის აუღებლად წამოიძახა შიგუ-
ლამ, რომელიც საბჭოს დეპუტატი არ
იყო და ესწრებოდა კრებას. — გომუ-
რი ლევანმა მიჰყიდა ჩანგარაულს!

დეპუტატებმა ღრმად დაიხვნეშეს
ყველა ამჟამად ამჩნევდა ცილისწამე-
ბას.

— ჩემმა მზემ არც მომგონებია არა-
ვითარი სასყიდელი. და თუნდაც გამე-
ყიდნა, განა გომური ჩემი არ იყო! —
გამოედგა ლევანი.

— თუ შენ მართალი კაცი ხარ, მე
რალა დავაშავე, ლევან, უფრო აზლო-
ბელი არ ვიყავი? იმ ვიღაც მოსულში
რად გამტყუე! რამდენი გეხვეწე, ვინ
არ მოგვიხანე.

— „უფრო აზლობელი“, „გეხვე-
წე!“ — გააჯერა ლევანმა. — შენ იქ,
ზეუბანში არ ვარგხარ მუშად, ჩემს
მეზობლად გადმოსვლაში მოგიწყობდი
ხელსა! — მიიხალა ლევანმა.

ხამალალი ხარხარი მოჰყვა ლევანის
სიტყვებს.

— მართალია, სწორია, აი, გაიხარე
ლევან, პირდაპირ პირში რომ ეუბნები!
წამოეშველნენ ლევანს დეპუტატები
და დასწრეები. საკითხის გადაწყვეტა
გართულდა. შიგულა ლანძღვაზე გად-
ვიდა. ლევანი წამოხტა, გაიწია, ცოტა
აყლდა საკინძეში არ სწედა შიგულას,
მაგრამ შუაში ჩაღვინენ. ძლიერ დაამოშ-
მინეს წაქიღებულები.



აბიკა ჩანგარაული დაამტკიცეს კომ-
ლად. მდივანმა ოქმი იქვე გადაათეთ-
რა, მოაწერინა ხელი თავმჯდომარეს
და ჩანგარაული მეკომურთა სიაში ჩა-
რიცხა.

ეს დადგენილება კოლმეურნეობას
აძლევდა საბაბს, ახალი მეკომურისა-
თვის, საფონდო მიწებიდან სამოსახლო
და საკარმიდამო გამოეყო.

გახარებული დაბრუნდა შინ აბიკა.
ახლა იგი ბარის მაცხოვრებელი იყო.
სოფლისაგან მიღებული ძმად, ამხა-
ნაგად და შეზობლად. თანასწორთა შო-
რის თანასწორობის გრძნობა აესებდა
იმის სულსა და გულს აქამომდე განუ-
ცდელი და შეუცნობი სიამით — ბედ-
ნიერებით.

— ძიძილაე! ჩამწერეს სოფლის სია-
ში, — მიახარა მან ცოლს, მძინარე
ჩვილს ხელი დაავლო, აიტაცა, მკერდ-
ში მიიკრა და ეზოში გამოვიდა, რათა
მთვარის შუქზე კიდევ ერთხელ შეე-
ხედნა იმ მაღლიანი ქვეყნისათვის, რო-
მელმაც იგი შეივრდომა, იძმო და ლუკ-
მა გაუყო.

გავიდა ის შემოდგომა. მას ზამთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და
კიდევ ზამთარი მოჰყენენ. ოთხი მოსა-
ვალი მოიწიეს და აიღეს ჩანგარაუ-
ლებმა.

დამავრდნენ ბარის მიწაზე. დაეფუძ-
ნენ სოფელში.

— კმარა ჩემგან, — ეუბნებოდა ლე-
ვანი ქეთევანს, — მეტი მე რაღა შემო-
ძლია! გამოეჭენ სამუშაოში, აქაური
მწიხის, ადამიანის, ამინდის, წყლისა და
მცენარის ყადრი ვასწავლე. მეტი აბა
კაცს კაცისთვის რაღა მოეთხოვება! აწი
თვით ეცადნონ, იცხოვრონ, ხეირი ნა-
ხონ.

და თუ სოფლის შარაზე ან კოლმე-
ურნეობის კანტორაში პირდაპირ არ შე-
ეჩხებოდა აბიკას, აქაო და ამაგის და-
მადლოება არ გამოიმივიდესო, ვზას უქ-
ცევდა.

ისევ ჩანგარაულები დუ მიაკით-
ხადნენ ლევანს და ქეთევანს.

— რაღა ჩემი პატრონიმისი მსმუქ-
ბათ. ნეტავ მე თითონ არ გამიზღეს საქ-
მე საპატრონოდ, — იტყოდა ხოლმე
ლევანი. მდგომარეობა შეიცვალა. ყვე-
ლაფერი ისე შემოტრიალდა, როგორც
ლევანი არ მოელოდა. მას შემდეგ, რაც
ჩანგარაულები დარჩობას გადაარჩინა,
დაასახლა, შრომაში და ბარის ცხოვ-
რების პირობებში გამოჰქნა, ხანმა გა-
იარა. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი
გრიგალი ამოვიარდა და ჩადგა. მოტყდა
ლევანი. მოხუცება და წლები მოერივ-
ნენ. შეილის დაქორწინება დაუგვიან-
და. კარგი სარძლოს არჩევანსა და ძებ-
ნაში, ომი მოადგა ქვეყანასა და რო-
გორც მთელ სოფელს ის ლევანის კარ-
საც დაეტყა. სოფლის ახალგაზრდო-
ბასთან ერთად მისი შეილიც წავიდა
ფრონტზე. პირველ დღიდანვე ბრძოლა-
ში ჩაება. ჯარში აბიკაც გაიწვიეს, მაგ-
რამ ქალაქიდან შინ გამოაბრუნეს. ექი-
მებს დაეწუნებოდა იგი, როგორც კი
მისი, მოსისხლეისაგან ნასროლი ტყვიით,
მთლად დაღეწილი ნეკნები ენახათ და
გაესინჯათ.

წუხდა ლევანი. სამუშაოზე, თუ შა-
რაზე მიშავალს, დარდით გაოგნებულს,
ალარაფერი ესმოდა, თითქოს ყურთა
სმენა მოჰკლებოდა. „ეს რა მომივიდა,
დამეჭორწინებია მინც ერთადერთი
შეილი. დაე, მახინჯი ყოფილიყო,
ოღონდ რძალი შინ შემომეყვანა, შეი-
ლისშვილები გამიჩინებოდნენ, გულს
იმათზე გადავყოლებდი, დარდს გავი-
ქარებდი“. — ელაპარაკებოდა თავის
თავს მოხუცი. ლევანს ისიც სწევდა.
რომ მტერი სულ წინ მოიწვიდა. კავ-
კავამდე მოატანა წყევლმა. ერთხელ
გომბორის მთაზე იყო ლევანი. მოწმენ-
დილი, წყნარი, უნიაყო, მთვარიანი და-
მე იყო. უეცრად ქუხილი შეესმა.
შეძრწუნებით შეხედა ცას. მიხვდა. ეს
ქუხილი ღრუბლისა და წმინდა ელისის
არ იყო. მიხვდა, დიახ მიხვდა ლევანი.

მთას გადაღმა კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე ზარბაზნებს ისროდნენ. გულშეკეპშული დაბრუნდა მთიდან. ქეთევანს კი არა გაუმხილა რა. მერე მთაში აღარ წასულა. მინდვრისა და ბაღ-ვენახების სამუშაოზე ერთგულობდა ძველებურად. მიწისა და მცენარის მოვლით გართულს თავისი დარდი დროებით ავიწყდებოდა. მისი ტანჯვა უსაქმობა იყო. ამიტომ უთქმელად გასწევდა იქით, საითაც ხელს მიუშვებდნენ. ოღონდ საქმე კი ყოფილიყო გასაკეთებელი. აღიონიდან დაბინდებამდე არ შორდებოდა ალაზნის ქალებს ყანებსა და სიმინდებს, ვენახებს, რუს, წისქვილს, ტყესა და მინდორს. ღამით კი ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ძილ-გამკრთალი ძილგამკრთალ ქეთევანს:

— ჰა, ქალო, სად არის ახლა ჩვენი შვილი? ბრძოლაშია, ჰა? გაიმარჯვებენ ჩვენები? ჰო, გაიმარჯვებენ. განა ასე არ არის ქალო? მე მწამს გავიმარჯვებთ, ქეთევან, მე და შენ გაგიჩნდა ის ბიჭი და მე და შენ გავზარდეთ. ჩვენ მართალი ხალხი ვართ, ქეთევან. აკი ბელადსაც ასე უთქვამს, ჩვენი საქმე მართალია, ჩვენ გავიმარჯვებთ.

— ჰე, ლევან, კაცო, გაჩერდი, ნუღარ მაგონებ, ერთი იმის დანახვას მამასწრო კიდევა და... თუნდაც იმ დღეს მოგველე.

— მოვესწრებით ქეთევან, მოვესწრებით. გამარჯვებაც მჯერა და იმის დაბრუნებაც. იმ დღესვე შევერთოთ ქალი. ჰა, დედაკაცო, ის ათკოკიანი ქვევრი იმის სახელზე იყოს. რა საათსაც თვალს, მოვკრავ, იმ საათს მოვხდი და ვასმევ, ვინაც კი ამ შარაზე თვალში მომხედება და გაივლის. ქალო, გაიგე დღეს გახეთში რა ეწერა? არა, შენ არ გაგიგია და მე გეტყვი. მე თითონ წაგიკითხე. დაურევნიათ ხელი ჩვენებს მტრისათვის, სტალინგრადთან დაუთრგუნ-დაუთმარცხებიან, კავკაიდანაც გაურკენიათ.

— საიდანაა?!

— კავკაის მხარედან ქეთევან, გახსოვს მთას იქით ცხვარდობა? იქვე უნდა ხოლმე ზამთრის საძოვარზე? იმ მინდვრების მახლობლად არის ეგ მხარე. ამა ჩემი შვილი ვის დაინებებდა თავისას?! დიახ, გაჩვეეს შემოსეული ღუშმანი და თავისი დაიბრუნეს.

ერთ დღით ლევანის ცაზე ცისკარიც გაჩნდა. მეზობლის ბიჭი შეიჭრა ეზოში.

— ამა, თქვენი წერილი მოგიტანეთ, — დაიძახა კიბის ძირიდან.

ლევანმა კონვერტი გამოართვა ბიჭს. დახედა. წაბარბაცდა. იცნო შვილის ხელთნაწერი. ძლივს გადახია თავი კონვერტს და გაშალა ქაღალდი.

— ქეთევან, ამა მოუსმინე, რასა გეწერს? დაჭრილი ვიყავი, პოლშის ქუეყანაში ვართ, გერმანიას უახლოვდებით, ნუ გეშინიათ, მარჯვეთ იყავითო მაშ, ქეთევან, დაგვიბრუნდება ჩვენი შვილი, აი, ცოცხალია და წერილსაც გეწერს. მოიტა ჩურჩხელები! ამა, აგრე ქეთევან. ეს შენა, ბიჭო კარგი ამბის მოტანისათვის. ერთხელ კიდევ ისიც მახარე, რომ ჩემი შვილი ამ შარაზე მოდის და მაშინ იცის ლევანმა, როგორ დაგასაჩუქრებს.

ამ დღიდან ლევანს თვალი ვზისაყენ ჰქონდა. მოულოდნელ, ან უცხო ფეხის ხმაზე კრთოდა. გულის ფრიალი დასჩემდა. რაღა ლევანს, ომი სოფელსაც დასტყობოდა. შინ მოხუცებილა იყვნენ. მინდვრად მომუშავე ბრიგადებში ჰრეული კაბები მეტობდა. ყველგან ქალები იყვნენ.

თითო-ორილა შინ შემორჩენილი მიმაკაცი ცხვარსა და ტყეს ვერ აღდიოდა. ოთხი თუ ხუთი ურმის მაგივრად იმ წელს ლევანმა, ძლივს ორი ურემი ყველი ჩამოუტანა მთიდან კოლმეურნეობას.

გზად და შარად მიმავალი ლევანს დამფრთხალივით იხედებოდა აქეთ-იქით, ყანებსა და ვენახებში. დაინახავდა თუ არა ცუდად დამუშაებულ ნაქ-

ვეთს, ან ცალიერ, მომცდარ მიწას, მაშინვე ბრიგადირთან და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბავო ბოცორაშვილთან გარბოდა. განგაშს სტუხდა, თითქოს სოფელს მტერი დასხმია და ღარბევას, აკლებას უპირებდა.

— კაცო, ეს რა დავემართნია, ჩველქით ბაღღების საცოდაობაში, მიწა ვაგვიცდენია, წაგვიხდენია სოფელი!

დაუყოვნებლივ მიჰყავდა ყველა მოცდენილი ნაკვეთის სანახავად, მიზეზის გამოსარკვევად, მომცდენის და წამხდენის აღმოსაჩენად. დიდი ხნით აგვიანებდა შინ დაბრუნებას. ან კოლმეურნეობის კანტორაში იჯდა ბავოსთან, ან თითა სოხაშვილს ედავებოდა სოფლის საბჭოში.

აბიკა ჩანგარაული ახლა უკვე ბრიგადირი იყო. იგი ვასულ ზამთარში აირჩიეს ამ თანამდებობაზე. დაუზარელი და მუხლმჭავარი კაცი გამოდგა. აი შის აბიკა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან კანტორაში. ხელში სახრე უჭირავს. ყანიდან აქ მოსულა პირდაპირ. პურის საქმელადაც ვერ შეუხვევინა შინ. სულ ეჩქარება. იქ დახანა, აქ ჩაფარცხა, თოვა ჩამოხიდა, ნალოები ჩამოათრია ტყიდან. მუშა ხელი აკლია. ჯარში წასულან, იბრძვიან ფრონტზე სოფლის მარჩენალი ბიჭები, თორემ ერთი ათად მეტს გააკეთებდა, უფრო მოკლე დროსა და ვადებში. სწუხს, საყვედურობს, რაღა ამ ომის დროს მომიწია ამ თანამდებობამ, როცა ნამდვილი, ჯანიანი ბიჭები ჯარში და ბრძოლაში არიან.

— აბა მომეცით სოფლის სულადობის სია! — მოითხოვს ლევანი და ათვალერებს. კითხულობს შინდარჩენილთა გეარსა და საბელებს, მუშა ხელი? მუშა ხელს სოფლად რა გამოლევს. ოღონდაც კაცმა მიხედვ, როგორ გამოსტებნო, აღმოაჩინო, ყველას თავისი ადგილი მიუჩინო.

— აბა შენ იცი, ლევანი — ეხვეწება ბავო ბოცორაშვილი. — ამასვე მეტი

კოლმეურნეობას აბა რა საქმე დაადგება. მოგვეხმარე, შენებურად მოვალეობა ტრიალი.

— ეგრე, ეგრე, შენ სიტყვასა და სათარს აქ ვეოავინ წაუვა. — ეხვეწება ლევანს ბრიგადირი აბიკა ჩანგარაულიც.

— ექი აბა რა ვქნა! — ამბობს ლევანიც და ჩოხის კალთას იკაპიწებს. მიდის სოფელში. აბა რისი კოლმეურნეა ლევანი, თუ თავმჯდომარესა და ბრიგადირს არ მოეხმარება ხენაში და თესვანი, ნამგალსა და ცელზე.

არავისი თხოვნა და მუდარა არა სჭირდება. თუნდაც არა დაავალონ რა, ლევანი ისედაც გააკეთებს გასაკეთებელს. მიდის ლევანი, გზადაგზა თავმჯდომარესა და ბრიგადირს უმარტავს თავისებურად.

— ლუქაანთ დედაბერი? — აბა იმისი ნამუშევარი ვის რად უნდა. ეგ არის საქმე მოითხოვს — მოგვეხმაროს, უფრო თავის თავსა, ვიდრე ჩვენა. ენახავ, დაველაპარაკებო, სიტყვას სად წაუვა?! იბოვნის ღონეს; სულ არ გვინდა იმისი აწეულ-დაწეული, გამოვიდეს სუფთა პერზე და ის არის, ამას საქმეც მოკვება.

აბა, შუამავლად მიდის გიორგის გოგოსთანა?! ნახეთ როგორ დააპყეტს თვალებს. მომიკლ და ძნად შეკრულ პურს ვერ დააბჯევენებს? გაითბულს ფიცხს ვერ მოლესვამს და ვერ დააბუღულებს? სიმინდსა და ეენახში თოხით ბალახს ვერ მოსჭრის?! აბა იმან რაღა ჰქნას ეინაც გახურებულ ბრძმელთან დგას და რკინას აღნობს! თინიკაანთ დავითას ბიჭს რაღა დაუშლის გუთნის კვალში მიყოლას?! ვერ მოახერგებსო? ეინა სიტყვა! ვაგიგონიათ იმოდენა ბიჭმა გუთნის კვალში მიყოლა ვერ მოახერგოს! მაშინ პურსაც ნუ სჭამს. მოახერგებს კი არა, მეტიცა. ერთი გაჩვენათ კაკლის ხის ძირში რა ამბავს ათევს, ვაყვაციობს. ჭივოს კონებივით აწვენს

ბიჭებს მწვანე მოღზე. გუთანს კი მაგოდენა ძალაც არ სჭირდება.

— აბა, რადგან აგრეა, ლევან, ბარემ შენ მიხედვე საქმეს! ვიცით, არ გეხება. მაგრამ მაინც შენ გავივლე. სახათრო კაცი და ოჯახისწვილი ხარ. ერთევი — დაგიკრებენ. გამოვლენ. შეუტრნიე კიდევაც, ვის და რამდენიც შეუძლია. — სთხოვეს კიდევ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— შენი იმედით ვტოვებ ბრიგადას, ერთი დღითა და ღამით, — გეხვეწება აბიკაცი, — ნაშუადღევს მთაში მივდივარ. ღორის საქმეა ცუდად. ის ოჯახქორი შიგულა, შგონია, თავს ვერ აღდის საქმეს. ამბავი ჩამოვიდა, გოჭი და ბურჯაი კარგად ვერ არისო. ღორს დათვი შეჩოსჩევევიაო. სულადობა რადაც უნდა დაგვიკრებს, უნდა შევეინარჩუნოთ რკოსა და წიფლის ჩამოცვენამდე. შვინდისა და პანტის დამწიფებამდე.

შესახებლეს ლევანი. მორჩა და გათავდა. თავს როგორ დაიზოგავს სოფლისა, ბიძაშვილებისა და კოლმეურნე ამხანაგებისათვის. გათენებამდე დადის სოფელში. ძაღლები ფეხის ხმაზე სცნობენ. ყფით აღარ იწუხებენ თავს.

ხან ლეკას კარზეა, ხან თორღვას ეკლისას, ხან თინიკანთ დავითას ბიჭთან. ხან ვიორგის გოგოსთან.

— აბა, ჯველებო და ბებრებო, საცოდეებო და გასათხოვრებო, ვისაც მკლავში ძალა გაქვთ, შევესიოთ საშრომს. დეატრიალოთ სოფელში ბარაქა. ავავსოთ ქვევრი და ბელელი. და ისევ თქვენ გაიხარებთ, როცა სუფრაზე შოთი უხვად დაიყრება და მერიქიფე საფერავით სასამისს პირზე ღვინოს ვადმოაღენს.

— კარგი, ძია ლევან! ახლავე გავალ, ამ წუთსავე გავსწევ! სადა? ვენახში საბარავად, თუ ყანაში საფარცხავად? — ამბობენ ვიორგი და რევანი, თამრიკო და თინიკო, ერეკლე და სარდო.

გათენებისას ყველა მინდორშია, ყველას იაიალი უჭირავს ხელებით.

— ეჰ, ომი... ომი... გზა უჭირავს ქვეყნის გამაწარებელი. მომცა ის ფაშისტი ხელში, მე ვიციადი, ამ უბედურების ატეხვისათვის, ფეხით უკვლევადი და გავთელავდი ნაბადივითა — ფეკრობდა ლევანი და თან ერთი წუთით არ ავიწყდებოდა ბრძოლაში მყოფი შვილი და მეზობლები. — სულ ახლოს იყო ის ვერანი მტერი. აგერ, იქით, მთას გადაღმა იბრძოდნენ ქართველი ბიჭები. დაილოცა იმათი მარჯვენა. დარიეს კი ხელი. დაიფრინეს, საღვალად ძლიერ შორს გადარეკეს, მისდიეს თოფითა და ზარბაზნით, ტანკითა და ავტომობილით. შერეკეს მტერი თავის უწმინდურ ბუნაგში.

ლევანის დღეის სიცოცხლის ერთადერთი მიზანია, ყველას, წასულს, შინ დაბრუნებულს და სოფელში, ვინც უნდა იყოს, პური და ღვინო ჰქონდეს, სახლი და საყოლიებელი ჰყავდეს. თუ ბევრი არა, ცოტა მაინც. მერე კაცი და ქვეყანა, როცა ქვეყნის მოგნა — საზღვარზე სიმშვიდეა, მტერი ხათრიანად არის — ღონიერია. ისევ დატრიალდება ბარაქა და დოვლათი.

ლევანსაც მეტი არა უნდა რა. სოფლის კაცია უბრალო, თავის მარჯვენის შემეყრე, იმთავითვე, დაბადებიდან მიწის მეტროლი, ვაზის მამა, ცხერის, ღორის, კამეჩის და ხარის გამომზრდელი. გამამრავლებელი და გამომწენელი. თუ კი მისგან, ლევანისაგან ქვეყნას ეს სჭირდება და ამის მეტს არას მოითხოვს, რაღა კაცია ლევანი. თუ ამ ქვეყნისათვის, თავის სამშობლოსათვის, ზნიერ მკლავის ძალას დაიუქმებს, თვალის სინათლეს დაიბრმავებს, გონიერ შუბლის ფიქრში მოხელოლ მალამოს მარტო თავის თავსა და კეკს წასცხებს.

ქართველია ლევანი, ქართველობით კი ბევრს უამაყნია ქვეყანაზე და ვანა იკიც იმათი ნაშვიერი და ჩამომავალი არ არის? დიახაც რომ არის! ამიტომაც

ბაბა-პაპათა სახელს ძირიდან არ გამო-
ვცლება.

სანამ პირში სული ედგმება, განაგრ-
ძობს სიარულს მათ ალალ კვალსა და
გზაზე. მერე მოჰკვდება. სამარეში
ჩაეა და წყევლიც იყოს, ვინაც
ქართველის სახელი დასცეს. ლევანი კი
თავისას იზამს, არ დაისვენებს, არ და-
იძინებს, შეურაცხველად მიიტანს თავს
სამარეში.

5.

იმ წელიწადს, იანვარში, ბაგო ბო-
ცორაშვილმა კოლმეურნეების პირვე-
ლი საერთო კრება მოიწვია. ახალი
წლის დღესასწაულის მომდევნო დღე
იყო. ნაქვიდარი კოლმეურნეები მხიარ-
ული საუბრით მიდიოდნენ შარებში.
თოვლს კანტორის კიბესა და ღერე-
ფანში იბერტყავდნენ. კარგი ამინდიც
იღვა. თეთრად შეფუმფლულ კავკასი-
ონს და გომბორს სხივკრიალა ზამთრის
მზე ანათებდა.

შეყინულ გზებსა და შუკებში, მინ-
დრებსა და ტყეებში სიწყნარე იყო.
ნიადაც კი არ ჰქროდა. ამინდის და
ნადღესასწაულების ეშხით ქალებსაც
დაენებებოდათ თავი კერასთვის. ქმრებს
თუ ოჯახის სხვა წევრებს კანტორაში
წამოჰყოლოდნენ. ამ კრებას ყველა
დიდ მნიშვნელოვნად სთვლიდა. კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარეს ეს გარე-
მოება კარგად ესმოდა. ეს ის კრება
იყო, როცა ძველი წელი მთლად გას-
ტუმრებულა. საანგარიშო წიგნაკები
დახურულია და ახალი იწყება.

რალა თქმა უნდა, ჩანგარაულებიცი
იქ იყვნენ.

ყველაზე საინტერესო ამბავი თით-
ქმის კრების დასასრულს გაიგეს კოლ-
მეურნეებმა.

— საგზაფხულო ნათესს ოცი ჰექ-
ტარით ეადიდებთ, — განაცხადა ბა-
გომ და ჰკითხა შეკრებულთ: — თქვენ
რას იტყვი. ამხანაგებო?

გერ სიტყვაც არ დაემთავრებინა ბა-
გოს, რომ შიგულამ წამოიძახა:

— რაც შარშან ფართობი გვეთესა,
იმას კი მოვერევი?

უეცარი დღმილი ჩამოვარდა. კრების
მონაწილეებმა ერთმანეთს გადახედეს.
შიგულას სიტყვით ცოტაც არ იყოს
შეფუტხუნებულმა ბაგომ, აქაო და
დაწყებული საქმე არ დამენავსოს,
ახრი განავითარა.

— მოხენასა და დაფარცხვას სამან-
ქანო სადგური გვიპირდება. ერთი სიტ-
ყვით ამის დაბრკოლება არ გვექნება.

— მეტი რომ არა სჭირდებოდეს რა,
ადვილი იქნებოდა, — კიდევ წამოიძახა
შიგულამ. ბაგო ამ სიტყვებმა გააცეცხ-
ლეს. კრებაზე აქა-იქ გაიცინეს. უეც-
რად კი დადუმდნენ. ბაგომ დრო იხელ-
თა. წამოდგა, თვალი გადაავლო შეკ-
რებილთ. ყველას წარბი შეეკრა, თა-
ვები ოდნავ დაეხარათ, იატაკს მისჩე-
რებოდნენ. ეს კარგ ნიშნად ეჩვენა ბა-
გოს. კოლმეურნეები ფიქრობდნენ. ზო-
გიერთნი, უსათუოდ, შემოსავალს და
გამოსარჩენს ვარაუდობდნენ.

— შეეძლებთ! — დაარღვია სიჩუმე
ლევან შილდელმა. წამოდგა კიდევაც
და აბიჯა ჩანგარაულს გადახედა, აბა
მხარი მომეო.

— მარჯვენა ზედა გვაქვს, შეეძ-
ლებთ! — გაისმა ქალის ხმა. ყველამ
იქით გაიხედა, საიდანაც ეს გამოიწვევი
სიტყვები მოფრინდნენ. აბიკამაც. ქა-
ლი ძიძილო იყო, რომელმაც ქმრის,
მისკენ მიჰყრობილი თვალები, რომ
დაინახა, შეატყო, სათქმელი კიდევ
მაქვსო. აღარც დააყოვნა.

— რაც ჩვენ, ქვეუბნელების ბრი-
გადას შეხედება, იმ ჰექტრების მოვ-
ლა-ადება ჩემს კისერზე იყოს.

— მათქმევივინეთ! — წაართვა ცოლს
სიტყვა აბიკამ, — ძველებურად, გასუ-
ლი სამეურნეო წლისებურად მუშაო-
ბით იქნება შარშანდელ ფართობსაც
გერ მოვერეოთ.



— გამოდის, გასულ წელიწადს ცუდად გვიმუშავნია. ეინ გვასწავლის ქუესა! — გახელდა შიგულა.

ვილაცამ ხმა მალა გაიცინა, ვილაცამ ამოიხვნეშა. ბავომ ზარი მოიშველია.

სიტყვის განგრძობა მოსთხოვა აბიკა ჩანგარაულს, რომელმაც ჯერ ავი თვალით გადახედა შიგულას, მერმე კი მაგრადაც შეუტია.

— ეგეთ სიტყვას რად კადრულობ, შიგულა! გასულ წელს ცუდად ვიმუშავეთო, მე ეგ არ მითქვამს. მაგრამ უკეთ და უფრო თავგზიანად მუშაობა, რომ შეგვეძლო, განა სწორი არაა?

— სწორია! სწორია! — დაემოწმენ ვილაცები აბიკას.

— თუ სწორია, მეც მანდა ვარ. მამ მომავალ სამეურნეო წელიწადს რად ვერ უნდა შევძლოთ ის, რაც გასულ წელიწადში შეგვეძლო და ხელიდან გავუშვით?! ვის ბედელს მოაკლდა? ჩემსას, შენსას და ყველასას! ამას ჩვენ აღარ გავიმეორებთ. ოცი ჰექტარიდან, მარტო ჩემს ბრიგადას ათი ჰექტარი შეხვდება.

— ნუ გეშინია, აბიკავ! — წამოეშველა ქმარს ძიძილო, — თუ კი ემტეესი მაჰხნავს, დაფარცხავს, არაფერიც არ ვაგვიჭირდება. ესთქვი და ვიმეორებ, ნათესის მოვლა-აღება ჩემს კისერზე იყოს. მომეციოთ თუ არა და მე თითონ შევყარი ქალების ახალ რგოლს. აბა ნახეთ თუ არა!

— მაიცა, დიაცო! — გაჯავრდა აბიკა. — აბა რაის მეშინია. საქმეს თავიდანვე დახვედრა რგებს. — კრებას და თავმჯდომარეს მიმართა. — თუ ისე მომაწყობინებთ დამუშავენას, როგორც ბრიგადაში მუშაობის გამოცდილებამ დამაკვლიანა და გასულ წელს გამოუტყდელიობის გამო, აინუნშიც არ ვიყავ, ოც ჰექტარს მარტო ჩემი ბრიგადა იკისრებს.

ტაშმა ივრიალა.

— მართალს ამბობ, აბიკავ! — დააწია დასტური ძიძილომე ქმარს.

— დიახაც ვიცი, ბიჭუნა! — ბობბობ! — გამოიყენა დასაყრდენად ცოლის სიტყვები აბიკამ. თუმცა გულში ამბობდა, ნეტაი, ძიძილო, ლაპარაკში არ ერეოდესო. — ოცი ჰექტარი, დაე, მარტო მე მომეციო, ესე იგი, მე კი არა, ჩვენს ბრიგადას. ოღონდაც სამზადისი დღეიდანვე გამაშლევინეთ. რგოლებიც ისე მომაწყობინეთ, როგორც ვიცი, როგორც გამოცდილებამ მასწავლა. ვადებიც.

— ხარისხი?! — მოაკონა ლევანმა.

— ხარისხი — შარშანდელზე უკეთესი! — დაუდასტურა აბიკამ.

ისევე ივრიალა ტაშმა. მხიარული გადალაპარაკება გაღვივდა. მამაკაცების ბოზ ხმებს ქალების კისკისი ერთვოდა. ბავო ზეიმობდა. სიამით აღსავსე წარამარა ისწორებდა ულოსავით ულვაშებს.

— აბიკავ, — მიმართა ბავომ ჩანგარაულს — ოცი ჰექტარი თუ მარტო შენს ბრიგადას მიაქვს დასამუშავენლად, გამოდის... გამოდის ოცდაათი ჰექტარით ვადიდებთ საგაზაფხულო ნათესის ფართობს.

— შერე რა?! განა ქალაში თავისუფალი ჰექტრების მეტი რა არის! ოცი მე მიმაქვს, ახლა სხვამ თავისი იცის!

განაცხადა აბიკამ. ბოცორაშვილს სახე გაუბადრდა.

— ესე იგი, აბიკა, მავითი რა ვინდა სთქვა?

— ისა, რომ შეჯიბრებაში ვიწვევ სხვა ბრიგადებს, — მიუგო აბიკამ და თავის ბრიგადელებს გადახედა. ისინი ყველანი ფეხზე იღვანენ. ამან ოღნავ შეაერთო ჩანგარაული. რა მოხდაო, იკითხა.

— კარგია, კარგი! — ერთხმად წამოიძახეს აბიკას ბრიგადელებმა და მერგოლურებმა.

აიშალნენ. აბიკამ თავისი ხალხი მე-

ორე ოთახში გაიყვანა ცალკე მოსალაპარაკებლად.

იმ საღამოს ჩანგარაულისათვის გასაფხული დადგა. ბრივადის სამუშაოების ოცი ჰექტრით გადიდება სახუმროს საქმე არ იყო. ღამით ჩამოიყვანა რაიონიდან აგრონომი აბიკამ. შინ გაითენეს. დილით ცხენებს მოევლნენ. ვაჭქუსლეს მოყინულ გათოშილ, თოვლით გადაფარულ მინდორში. შემოუარეს მიჯნა საზღვრებს. საღამოს დაბრუნდნენ შინ. სამუშაო გეგმა დასახეს და რგოლის შეკრებაზე გაიტანეს.

იანვრის მიწურულში ოცი ახალი ჰექტარი შემოფარგლული იყო. მერე ძეძვ-ბუჩქნარისაგან გასწმინდეს. ქარიანში მოსწვეს ნაკაფ-ნახოსრი. თებერვალის პირველ დღეებში, ცოტა რიმ დათბა, ტყაპუბებში ჩაფუთენილმა, ხელთათმანეებიანმა ტრაქტორისტმა ვუთნები მოსდო გამხვალ მიწას და ღრმა კვალები გასჭიმა.

— ჰა, აბიკავ, დაგპირდი და აეასრულებ. მკაში, ლეწვასა და მარგელაზე, მე ვიცოდე და ჩემმა ქალობამ! — ეუბნებოდა ძიძილო ქმარს, როცა ერთხელ მუშებს ცივ მინდორში თბილი შოთები, ცხელი კერძი და ორნაბადი არაყი მიუტანა ჯერზე.

— აბა შენ იცი, იმარჯვე, ძიძილო! — ბღლებსაც მიხედე, — უთხრა გახარებულმა აბიკამ ცოლს და შინისკენ გამოისტუმრა.

— გამოდგა! — ამბობდნენ კოლმეურნეები და მოწიწებით ულოცავდნენ აბიკა ჩანგარაულს გამარჯვებას.

— გამოდგა რა, ვანა თავის ნაშრომს თქვენ მოგცემს! — ბოროტად ჩაურთავდა აბიკას თავგზიანობით და გამარჯვლობით — აღტაცებულ კოლმეურნეების საუბარში შიგულა.

— იმის ნაშრომი ჩვენ რად გვინდა! — შეუტევდნენ შიგულას მეზობლები. მაგან საქმეს უმეთაურის — ჩვენ მოგების მეტი იქიდან რა მოგველის?

— ეჰ, თქვენ რა იცით მე გულს რა მწევს! — არა სთმობდნენ მწევს!

— თუ არ დააშლი, უგუნველნი ვხვდევთ ეგ გული. რას ერჩი ე მაგ მშრომელ კაცსა! — ეტყოდნენ გაბედულნი შიგულას.

— ენახოთ, ენახოთ! — იმუქრებოდა შიგულა. სოფლად კი ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. აბიკამ ახალი ფართობის პირველი ხენა იანვრის ბოლოს მოითავა. ახლა სხვა ნაჭრებს და ფართობებს დაუტრიალდა.

აბიკა ჩანგარაულს თავისი ოჯახის საქმეც ბევრი აქვს. სულ ხომ ლევანის ძველ ვომურში ეწრ დაჩნება.

ახალი სამოსახლო, კოლმეურნეობამ რომ გამოუყო, აგრონომს დააგვემინა. აბიკას ძიძილოც გვერდით უდგას. ცოლი და ქმარი მხრითა და ზურგით ეხიდებიან ზევში, სამოსახლოდან აკრფილ ქვასა და რიყეს.

ქარბუქში, როცა კაცი ძალსაც არ ვაიმეტებს გარეთ გამოსადგებად, აბიკამ და ძიძილომ შემორაგვეს ახალი სამოსახლო. ციხესიმაგრედ აქციეს უკაცრიელი ადგილი. რუც შიგნით შემოიგდეს.

დაბერებულნი, დაფუტურობებულნი ხეხილი ამოჰყარეს. მათ ადგილას ახალშენი ნამყენები ჩაამწყრივეს.

ნაყოფის ნიშანი გამვლელის და გამოვლელის გულს ახარებს. ეზოს შუაგულში, პატარა ხელოვნურ გუბეში ბატი და იხვი დაცურავს. სისხლივით წითელბიბილიანი მამალი ჩრდილში დაბრძანდება, ბელტებივით დამძიმებულ, ფეხებდაყვითლებულ დედლებს დაუძღვის. ხანდახან გამოედევნება, დაითრებს. ხენახვალებს, ყივის და ბუყბუყებს.

გაზრდილა ლევანის მიერ მდინარეში დარჩობას გადარჩენილი ვაჟიც.

ძიძილოს სხვა შეილიც შესძენია. ეისოა ახსოვს ის დღე, აბიკა რომ ლევანმა მდინარეში გაააარჩინა? ვისაც ჰირდება, იმას დაავიწყდეს. აბიკას

და ძიძილოს ის დღე ათას წელიწადს ეხსოვებათ. სულ, მუდამ, მთელ თავიანთ სიცოცხლეში შეილსაც და შეილიწილსაც დაუბარებენ ანდერძად. ახსოვთ და ამიტომაც საგვირგვინზე ყოველ კაცს იმტერებენ ჩანგარულნი.

მიწას ღლის აბიკას ქუსლის ცემა და ცას შეწყვეტება. მარჯვობს ძუძუთა ბავშვიანი ძიძილოც. სამ საქმეს ერთად გაუღის. აკვანი ფეხზე გამოუბაშს, არწევს, ხელებით კი ხან პურს ზელავს, ხან აბრეშუმის ქიას თუთის ფოთოლს უყრის.

არავენ იცის, როდის ახერხებს ქალი თჯახის საქმის თავიდან მოცილებას, მილაგ-მოლაგებას და მინდორში მთელი დღე მუშაობას.

ისეთი ბარდი არაა, მას არ გაეწიოს და არ გაეწყვიტოს.

დაღისტურნი, მიხაქისფერი შალის ჩოხა წამოუგდია მხარზე აბიკას. მარცხნივ გადახრილად ახურავს პანკისური კოკორა თუშური ქული. დავრეხილი, წაბლა გრძელი უღვაშები ლევანივით ძირს, ნიკაპისაკენ დაუშვია. ის რომ საქმეს ეკეთება, ღომი გეგონებათ, ის რომ მთაში გასწევს თითბრისტარიანი ლასტა ხანჯლით შეიარაღებული და მაგარი, ხამი ტყავის ღვედით წელსეკრული, სანახავად ღირს.

ძიძილოსაც დასტყობია მარჯვენის სიკეთე, ბარის მადლი და ძალი. მის სახეზე, ხელებსა და მხრებზე ძვლებს ველარ დაითვლით. გავსებია სხეული, მოკეთებულა ფერზეც. სანდომიანად უკიაფობს თვალები. კანჭევს პარბი სისხლი ჩასდგომია, გაცივიწული წარბწაწაში ვახშირებია. შეკრივით დასდგომია მათი აღმუხნები ჩრდილები ყერიმალესა და ლოყებს.

— დაელოცოს, აცხოვროს შენი პირველად ბარის დამცირელი! — ამბობს ძიძილო, დედაკაცებში, როცა შრომით დაღლილი შეისვენებს და თვალს მო-

აელებს ალაზნის ტაფობს, გომორისა და კაეკასიონის ქედებს. ერკენულში

— ძმებო, აი იცოცხლებლნივეთვეთ გავიშართე წელში. თქვესით მიღვია სული. მამ მოჰკედეს, არაფერ სიკეთეს მოესწროს აბიკა, თუ თქვენი ხელის გამართვის ფასს ვერ მიხედეს. — ეუბნება აბიკა ხანდახან კოლმეურნე მეზობლებს. ერთი სახლიც დაიდგას აბიკა ჩანგარულმა. აბა სათქმელი მაშინ ექნება. საბლს კი უსათუოდ დაიდგას. საკარმიდამო შემოღობილი აქვს. ჯერი მასალის მომზადებაზე მიღვა, დაიწყობს მზითებივით ეზოში ყველაფერს. მშენებლობასაც ერთბაშად შეუდგება.

ღამით, კოლმეურნეობის სამუშაოს მოუცდენლად, ეზიდება ქვის სამტეხლოდან — ქვას, ტყიდან — ხის მასალას, ქარხნიდან კირსა და აგურს.

— ჰე... ჰეი... აბიკა! ყოჩაღ ბიჭო! — უხარია ლევანს — დაადგა კაცმა მიწას ფეხი გაბედვით, მძლავრად. შუბლის მადლი ხელის ძალას ჯაქვივით ჩაასკენა, წამოღვა, გაიმართა, აღორძინდა, გული მოიკა. კაცობაც ეს არის, სწორედ ასე უნდა, ალალი იყოს, შეარგოს, მოჰმარდეს დედის ნაწილს ძუძუსავით თავისი ნაშრომი, ნაშოენი და ნაპოენი.

ლევანს კი ცოტა ხელი მოეცარა. ათასი საქმე აქვს სოფელსა, კოლმეურნეობასა და რგოლში, ხნოვანებამ კი სარმა გამოსდო ფეხებში. ომმაც ჰკრა მჯილი, მაგარ ფლატოს დააჯახა. ჯარშია შეილი ისევ, შინ დაბრუნებას იგვიანებს. დაჯავრიანებულ ქეთევანს თვალთ დააკლდა. ნემსში ძაფს ველარ უყრის, ბოსტანში ბალახს მწვანოლისაგან ველარ არჩევს.

პური და ღვინო კი არ აკლია. თუ დააკლდა, მეზობლობაში წდობა აქვს, კოლმეურნეობასაც მოეპოება წვერისათვის ხელის გასამართავი მარაგი. არც საკლავს გამოილევს. კაცს რა არ მოუვა, რა არ გადაეკიდება. განა ხელები უნდა დაიკრიბოს გულზე ესეო და სიძნელე შემხვდათ! რაც უჭირს, ეს მხოლოდ

თითონ და ქეთევანმა იციან. სხვისი საქმე არაა. ლევანს თავი არასოდეს არ შეურაცხენია, არც მოსავლის აღებაში, არც ხენა-თესვაში.

წინასდებურად კალოზას საქმე ურემი დატვირთული მიაქვს შინ. წელს მეტსაც მოელის ლევანი. იმ ოცი ჰექტარიდან ზამთარში, რომ აბიკას ბრიგადამ ვალდებულებად აიღო, ლევანის რგოლმა სამი ჰექტარი დაამუშავა. მტკაველი თავთავი აქვს პურს. ეგ არის ღორი, როგორღაც ვერ ხეირობს მთაში, ვაზაფხულზე გოჭი გაწყდა, შემოდგომაზე დათვი შეუჩნდაო. კიდევ რაღაც სხვა მიზეზებითაც იმართლა თავი ზეუნებლმა შიგულამ, მელორემ. აბა რა სთქვა?! ჰო, რყო, შეინდი, წიფლის ნაყოფი არ ვარგოდაო, დათვმა გაგვანადგურაო, ისე შემოდის ღორის ბინაში, როგორც თავის საკუთარ ბუნავშიო.

— შენ კიდევ, შიგულავ, ძმაკაცურად ზედები იმ დათვსა! — წამოსცდა ლევანს. მელორე შიგულა გაიბღინა და გაბრაზდა.

— თუ არა გჯერა, აგერა ღორი, აგერა მთა, შენ თითონ მოუარე! — მიიხალა მან ლევანს და მეტი ლაპარაკი აღარც იკადრა. ენა დაიდუმა ლევანმა. საღდა შეუძლია ამოდენა, რომ ღორსაც მან სდიოს მთასა და ბარში. ნეტავი მისი რგოლი ზენასა და თესვის აუვიდეს. ნეტავი ვენახის ბარვა, შესარვა, შეყვლევა და შეწავლევა დროით და ვადაზე შესარულოს, მაგრამ აცადონ ცოტა ლევანს. საყოველთაო მშვიდობა ჩამოგარდეს. დაბრუნდეს შვილი, მოიყენოს გვერდში. ორიენი ერთად დილაადრიან გავიდნენ ხოლმე სამუშაოდ? ქართულად, ლევანურად ნაზარდი ჰყავს ის ერთადერთი დამმარბეელი და სულის მომხსენებელი. ერთ წელიწადში აინაზღაურებს, რაც ომის დროს ოჯახს მოაკლდა. აბა მამინ გაპბედოს შიგულამ, თუ არა გჯერა, წადი, შენა სდიე ღორს მთაშიო.

— მე კი არა, ღორი შენ ვაბარა, შიგულა და შენ გეყითხება! — მარტოხილად ეუბნება ლევანი.

— ბრედადირმა აბიკა ჩანგარაულმა სახლი აიგოს, მე ღორს ტყესა და ქალაში ვდიო! აგანგალა განგალა! — აუწია ხმას შიგულამ.

— სახლი შენაც დაიდგი. ღორულად ნუ მოუვლი ღორსა და კაცურად გამოხვალ! — წაუსვა პილპილმოყრილზე ლევანმა ძირმწარე.

— აბა, გამგებობის წევრი რას მეუბნები! — აყვირდა შიგულა. აბიკას იცავ, მერე ისიც ვინა? შენა, ლევანი! იმან სახლი დაიდგას, მე რას მაძლევს!

— აბა, კაცო და ხალხო, განსაჯეთ და შეაგნებით ამ კაცსა, — დაჰკარგა მოთმინება ლევანმა, — დაიდგას სახლი, მაშ, აბა სულ მიწურში ხომ ვერ იცხოვრებს. მე კიდევაც მივეშველები. ჯერ მარჯვენაც მერჩის, თვალიც მიქრის. იქნება კაცს რა აკლია. მეზობელი ვარ. შევაბამ კამჩებს, გაესწევ, მოვეტან. კაცია აბიკა ჩანგარაული, შენ კი არა გგავს, ღორი მოგაბარეს, ვერ მოგიგლია. ზელს წახმარებას გულზე დაიქდევს, სამაგიეროსაც გადაიხდის. ასე ყოფილა სოფელი და ასეც იქნება. ეს ანგარიშია ადამიანებს შორის, ვინაც კაცია, ვისაც ქუდი მხურავს, ვისაც არა და რა ველაპარაკო. აბიკაც კაცია და მეზობელი. ღმერთმა ზელი მოუმართოს, ააშენოს.

— ვის მოუმართოს ზელი და ვინ ააშენოს? — ვაციოფდა შიგულა.

— ვისა და ყოველ გამრჯე, მშრომელ, ამხანაგ-მეზობლის მხარის მიმცემ ერთგულ კაცსა.

— ესე იგი, გარკვევით სთქვი, ლევანო! — ჩააცივდა შიგულა.

— თუნდაც იმ აბიკა ჩანგარაულსა! — რიხიანად სთქვა ლევანმა.

— აბიკა ჩანგარაულსა! — გააჯავრა ლევანს შიგულამ, — საიდან მოსულა. მიგიზღვი, რაღაც იცავ! მე ვიცი, ენაც ბრძანდება ის აბიკა... ბრიგადირი

პა... ალბათ... — აღარ გაათავა სათქმელი შიგულამ.

— ალბათ რა? სთქვი, რაღას განერდი. მაგრამ რას იტყვი, როცა სათქმელი არა გაქვს რა. რაეი და ასეა, აბა, მე გეტყვი მართლს. ტყუილად ჩასციებიხარ იმ კაცს. ვილაყას თვალს უბამ, ან საკეთიარ თავს, ან ჩვენ ყველას.

— მე გამოვიყვან აბიკას სააშკარაოზე. მაშინ ნახათ თუ ტყუილად ჩაცვივებივარ, — დაემუქრა ლევანს შიგულა.

— კაცო სახლს იღვამს, ფუძნდება, ქვეყანაში გამოდის, კარზე სამთხოვროთ არავის ადგია, განა ამიტომ გვესება გული შურითა და ბოღმით? პა, დაადგი თვალი, ამოკმა გადასწყვიტე! — დაუღრიალა ლევანმა შიგულას და შინისკენ გასწია.

ამ შელაპარაკებამ მოსვენება მოუშალა ლევანს. დაჯდა — ვერ დამაგრდა სკამზე, წამოწვა — თვალი ვერ მოხუჭა. ეჭვი მატლებით ჩაუძვრა გონებაში. «აბა ლევანზე მეტი რა იცის შიგულამ აბიკა ჩანგარულისა?! როცა აბიკა იქ დაესახლა, რომ იტყვიან თავის დასახრობი თოკი არა ჰქონდაო, სწორედ ისე იყო. მერე რა? მუშა კაცო გამოდგა. ახლა ბრივადირია. ყანა კარგი აქვს, ვაზი ნანატრი, არც არავის გარჯაში ჩამორჩენია. მოსავალი იმის ბრივადას, თუ სხვა ბრივადაზე უფრო უკეთესი არა, ნაკლები არა ჰქონია. კარგადაც ნაწილდებოდა და ნაწილდება ჰირნახელი. აბა სხვა რა იცის შიგულამ? არა, არაფერიც არ იცის. მტრობით ავსებია გული, სიხარბით დაბნობია გონება და თვალებიც დაბრმავებია. თუმცა, ვინ იცის, იქნება, მართლაც რამე უბედურება აწევს ცოლოდ აბიკას წარსულში, სანამ აქ გამოჩნდებოდა.

გადარჩენის დღეს, მართალია, ჰკითხა აბიკას ლევანმა: კაცისმკვლელო, შენე ხომ არა ხარო. ის კი ველარ მოიფიქრა, რომ აბიკას შეეძლო დაეფიცნა თავისი წარსული. იქნება შიგულამ მართლა

იცის რამე და დრომდე გულში იტყუას? ხედავ კი, აი ის კოლმეურნეობის მკაცრები, იქ რომ წვანან გრძელი მკაცრები აღრიანად უნდა შეაბას უღელში, აბიკას სახლის მასალა ჩამოიტანოს. და ვის უნდა გაუწიოს ლევანმა ეს მეზობლური სამსახური? კოლმეურნეობაში და სოფელში შემოპარულ ორგულს ხომ არა?

ამ ფიქრებით, მწველი ეჭვებით დაშანთულმა ლევანმა კარგა ხანს იბორიალა ეზოში. თვალეზი აცა-ბაცა მიუბრუნდა. სწორა ველარაფერს ხედავდა. ურმის თვალს წამოედო, მეორედ მძინარე ფარეხას დაადგა ფეხი თათზე, სვეტსაც მიახალა თავი. ვერა გადასწყვიტა რა. ბოლოს კამეჩებთან მივიდა. წამოაყენა პირუტყვები, თითქოს მათ რამე რჩევის მოცემა შესძლებოდათ. ამ დროს, იღბლად. ცოლი, ქეთევანი გამოვიდა გარედ ნათურით ხელში.

— ქეთევან, აქეთ მოდი, დედაკაცო!

— რა დავამართია, კაცო, რა მოგივიდა — ჰკითხა ხმაგატეხილ ქმარს ცოლმა.

— მითხარი, შენ სიცოცხლეს, რასა ჰფიქრობ აბიკასა და ძიძილოზე?

— მეც იმას ვფიქრობ, რასაც ყველა ჰხედავს. სახლს იღვამენ. გამორჯელო, ოჯახისა და ამხანაგისათვის თავდადებული ადამიანები არიან. უბრალოდაც არაფერს გადააყრიან.

— მაშ რად მეუბნება ზეუბნელი შიგულა, მე ვიცი, ის აბიკა ვინცა ბრძანდებო?

— თითონ ის შიგულა ვინ ბრძანდება?! — შეუბრუნა კოხტვა ქეთევანმა. — ზეუბნელებმა თავის თავს მოუძებნონ თვალეზში ღირეები. მოსავალი ვის არ უფარვა ნიღაგ? — ზეუბნელების ბრივადას. აკი, რაც ის შიგულა მელორედ ბრძანდება, მას აქეთ აღარც მუხა ისხამს რკოს, აღარც წიფლის მოსავალია. — დაბოლოვან თავისი აზრი ქეთევანმა.

ლევანს გულს მოეშვა.

— პა, შენც აგრე, ქეთევანი! გაგი-
ნათლდეს მშობლის სული. ბარაქალა,
დედაკაციო! — ჩაილაპარაკა ლევანმა
და საწოლს მიაშურა. დილით კი აღრე
წამოდგა, თაროში ერთი საღვინე ჭიქა
არაყი გადაჰკრა და გზას გაუდგა.

ზომიერი, გლახური ნაბიჯით გასცდა
სოფელს. თავჩაღუნული მიდიოდა,
თვალს არ აცილებდა შავ მიწას, ვენა-
ხებს, რუსა და ბუნჩებს. აღაზნის პი-
რას შეჩერდა. ვახნა ვაღმა, ხორბა-
ლოს ბოლოს ყანებს. იმ წელიწადს ის
მიწები ზეუბნელების ბრიგადას ჰქონ-
და დასამუშაებლად გაპიროვნებული.
შევ სიმინდი ეთესათ.

წყლის პირას ვილაც უცხოებს მოჰ-
კრა თვალი ლევანმა. ხელში საზომი
ლარები ეჭირათ, რიყეს გეგმავენენ,
ორმოებს თხრიდნენ.

— დილამშვიდობისა, ვინა ხართ, აქ
რას აკეთებთ? — იკითხა ლევანმა.

— ხიდის ასაგებ ადგილს ვეძებთ.—
განუმარტა უფროსმა.

— ხიდის ასაგებ ადგილს არჩევთ!—
გაიმეორა ლევანმა.— გაიგონია, თუმ-
ცა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ხიდს
კლდანი ადგილი შეჰყერის ასაგებად!

— სწორია, ჩვენც აგეთ ადგილს ვე-
ძებთ!

— თუ აგრეა, აგერ იმ ბექობისაკენ
გადაინაცვლეთ, — უჩია ლევანმა. —
ხიდის აგება იქ აჯობებს. იმ ადგილს
მდინარის კალაოტი ვიწროა, საამშენ-
ებლო მასალა ცოტა დაიხარჯება, თა-
ნაც ხუთიოდე მტკაველის ქვემოდ,
ფსკერზე, მდინარეს სიბი კლდე უძებეს
ძირად.

— ნამდვილად? — იკითხა ვახარე-
ბულმა ხელმძღვანელ-უფროსმა.

— ნამდვილად! — დაუდასტურა ლე-
ვანმა. — შეახზობას დიდი ხანია გადა-
ვამოჯე. ვიცნობ ამ ადგილებს. მაღლა
თვალის მისაწვდენ ცამდე, ძირს—ქვეს-
კნელამდე.

— გამაღობთ! — სთქვა უფროსმა.

— ნუ სწუხდებით. მაღლობა ის იქ-
ნება, თუ საქმეს დააჩქარებთ, მაღლიან
გეჭირდება აქ ხიდი. საფუძველს ჩაუყრიეთ?

— როგორც კი დავადგენთ და გან-
საზღვრავთ ბურჯების დასაყრდენ ნი-
ადავს.

— აბა, დაგიწყიათ მშენებლობა და
ის არის. ახლავე გიჩვენებთ ეგეთ ნია-
დავს, — უთხრა ლევანმა. ჩოხა გაიძ-
რო, ფეხსაცმელი გაიხადა, წყალში
შეტოპა. მუხლამდე მდინარეში შე-
სულმა მიამახა ნაპირზე დარჩენილთ.—
მომადვენეთ თვალი, დაინიშნეთ სადაც
გავივლი და ფეხს დავადგამ, იქ სანიშ-
ნო რამ ჩასვით. იქ არის ამ ნაპირიდან
იმ ნაპირამდე უწყვეტი, კლდოვანი
ფსკერი და ნიადაგიო.

6.

შუა შემოდგომა იყო. ღამით გრილი
ნიაფი უბერავდა სოფელს. სიმინდი და-
ბაზებულყო. ვენახები მკრეფავეებს
მოელოდნენ. აქა-იქ კაკლები დაბერ-
ტყეს. კოლმეურნეები თივასა და შე-
შას იშხადებდნენ. მეცხვარეებმა ფა-
რები ბარში ჩარეკეს საძოვრად. ნე-
ტაფი არ გასულიყო ლევანი ხორბალოს
სიმინდებში, არ ენახა საქმეზე გულაც-
რუებული ადამიანის ნაცოდვილარი.

ნათესს მზრუნველი, გამრჯელი მო-
ამაგის ხალი და გული არ ეტყობოდა.

ბალახში ჩავუდულ სიმინდს უნიათო,
კვიქირა ტარო ესხა. ხარობდა შალაფა.
მატყლივით ხშირად გაცმულ-გადაბა-
რულიყო, დაეჩაგრა სიმინდი, დაჩრდი-
ლა ნათესი. მოსავალი მიწაში ჩაბნეულ
სათესლე მარცვალსაც ვერ გაასწორებ-
და.

— ზარალი, ზარალი! შალაფა, შე
ძირამოსავდებო, დაგვილუბე განა სი-
მინდიო! — ბრაზობდა ლევანი, — ავი
თურმე შინე გაიჭრიალებია საწისქვი-
ლოს ყანებზე. აქ შალაფა ხარ, იქ ბო-
ლოკა ბალახი. წყეულებიც იყავი, სადაც

რას სახელი გქვია, მიგიხედი, გამატი-
ლებლო ბალახო, სადაც გაქვს ძირი
გადგმული და რაც გახარებს. სიზარმა-
ცე და სიზარბე ჰქვია მაგ ნიადაგს, აგ-
რე თავის ნებაზე რომ მიუშვიხარ და
ქეიფობ. შენ არა შრომობ, მანქიერობ,
იოლად გინდა გააღწიო ფონს, საკუთარ
ბოროტების დასაფარავად და დასა-
მალავად, მშრომელს და გამარჯვებს
უღებ სარმას. შეუბრალებლად ჰგლეჯ
ხორცს. არ მოხდება ეგა. ლევანი სანამ
ცოცხალია, ვერ გიტვირთებს კოლმე-
ურნეობაში.

ხორბალოს ბოლოს სიმინდებიდან
ლევანი ისევე გამოღმით გამოვიდა. მდი-
ნარის ნაპირს დაჰყვა. ქვემოდ, ჰაობის
მახლობლად ღორი ეგულვებოდა მთა-
ში გასარეკად გამზადილი. შეინდმა და
პანტამ იწყო ცვენა.

— შალაფა, შალაფა, ეს რა დაგე-
მართე! — ესმოდათ ლევანისაგან მე-
ლორეებს და ვერ მიმხვდარიყვნენ. თუ
რად აეკვიტებია მოხუცს ეს სიტყვა.—
ჩჩეული ტახები დათემა შესჰამა, რკოს
მოსავალი არ იყო, შეინდი ყვაელიში
მოწვა სიცივემ, წიფელა აღარ ისხამს,
დათვი... დათვი... ერთი დამანახეა ის
დათვი, რამოდენი ფეხი აქვს, ორი თუ
ოთხი.

ფრინველის დაბუღების ჟამს დაბ-
რუნდა შინ. პირში ლეკმა არ ჩაუღვია.
ტანთსაცმელი გამოიცვალა. ხურჯინში
ყველი, ღორი, ათიოდე ცალი შოთი
და ერთი ბოთლი არაყი ჩაიდო. წისქვი-
ლის ქვების შესაძენად და შესაკეთად
მივიღივარო, დაუგდო ცოლს სიტყვა და
ფშაე-ხევსურეთისაკენ გასწია.

ერთი კვირა არ გამოჩენილა.

იმ დღიდან, რაც კოლმეურნეობის
თავმჯდომარემ ლევანს ქვების შესაკე-
თად წასვლა დაავალა დიდ ღროს გა-
ველო. ვის-და ახსოვდა წისქვილის უბ-
რალო ქვები. მტერი აღვა ქვეყანას
კარს, ხალხი განსაცდელში იყო. ახსოვ-
და ლევანს და აბა რა დაავიწყებს, ერთ-

ხელ, ღამით, გომბორის ქედზე დასუტს,
როგორ ესმოდა ზარბაზნების გრუბუ-
ნი. ეს მთები ციხესავით გამოიქმნა მუ-
შინ ქართველებმა. ყოველი კლდის
ძირი საფარი იყო და ყოველი მიღლო-
ბი სათვალთვალო კოშკი. და რაც უფ-
რო ღრმად შედიოდა ვიწრო ხეობაში და
რამდენ ქედსა და ქიუხს გადაუვლიდა
იმდენჯერ იტყორდა თავისთვის „დი-
ლოცეთ ქართველი ხალხის საფარი და
იმედოვო“. ბევრი ზარალი კი ნახა ქვე-
ყანამ. ბევრმა ვაყაყაშა შესწირა თავი,
აგერ ლევანის შეილიც ჯერ არ დაბრუ-
ნებულა შინ, თუმცა ორმა წელიწადმაც
კი გაიარა ომის დამთავრების შემდეგ.
მაგრამ ლევანი არა სწუხს, რადგან ხალ-
ხი ამოწყვეტას გადაურჩა და ქვეყანა
ნგრევა-განადგურებას.

ერთისა რცხენოდა მხოლოდ. ეს რამ-
დენი დამიგვიანებიაო, მაგრამ ამ ბრა-
ლის გასამართლებელი საბუთიც ჰქონ-
და. ძველი ქვეები კიდევ ორ წელიწად-
საც იმუშავებენ, ბაგო ბოცორაშვილი
შორეული წლებისათვის თადარიგობ-
დაო. ეს საბუთები თავისთვის დასაი-
მედებლად გამოგონილნი ართობდა კი-
დევაც. აბა მარტო აბიკა ჩანგარაულის
საქმისათვის, ამ სიმორეზე, რა წამთმი-
ყვანდაო. მუხლმავრად გადადიოდა ხე-
ვებსა და მთებს. მიეჩქარებოდა სიბის-
კარსა და ჩანგარაულში. დოლაბების
შეკვეთა, შეძენა ერთი საქმე იყო. მე-
ორე საქმეა ის დოლაბები, რომლებიც
ლევანს გულში უწყვიდა და გრუბუნით
ბრუნავენ. არა, ლევანი არავის მოუთ-
მენს, რომ მართალ კაცს, თავგამეტებით
მშრომელს, ეინმემ ტყუილ-უბრალოდ
ხორცი მოჰკლიჯოს. მართალი, მშრო-
მელი კაცის სიყვარული და დანდობა
ლევანს მამათა და პაპათაგან მოჰყვა
კოლმეურნეობაში ისევე, როგორც გუ-
ლადობა, პურადობა და ხიფათში ჩა-
ვარდნილი ადამიანისათვის საშველად
ხელის გაწვედენა.

სიბისკარში ლევანმა შეკვეთის გარე-
გება დასდო.

სარგებლიანი და სახათრო ბარელი
მუშტარი ჩანგარაულელებმა შინ მიიპა-
ტიყეს.

— ბარელია, გულნაკლულს როგორ
გაეისტუმრებთ! — სთქვეს მასპინძლე-
ბა. მთიელებმა საკლავი დაჰკლეს. გა-
შალეს სუფრა, ცივი ლუდით საესე
ძველი სასმისები ხელიდან ხელში გადა-
დიოდა.

— ახშეტა?! — ვიცით, თქვენ ბარე-
ლები ხართ, მთაში ძვირი სტუმარი, თო-
რემ რომელი მთიელი იქნება, ერთხელ
მინც წელიწადში არ ნახოს საყვარელი
ბარი, — ამბობდნენ მასპინძლები და
აქებდნენ იქაურ ბალებს, სახნავ ვე-
ლებს, ვენახებს, ტყესა და მდინარეს.

— ერთი თქვენებური ჩემს მახლობ-
ლად დაესახლა! — გაუტყდა ლევანი.

— რა ჰქვია, რა გვარისაა?! სტკევი-
ტეს ყური მთიელებმა.

* — აბიკა ჩანგარაული!

— აბიკა, ძერყორას შეილა! — წა-
შოიძახეს მამაკაცებმა.

— ძიძილო! — სთქვეს ქალებმა და
იკითხეს. — როგორ არიან?

— რა უქირთ, გლხეკაცის პირობაზე
კარგად ცხოვრობენ. არა უშავთ რა.
აბიკა, ცეცხლია გარჯაში. გაეხარდე-
ხათ მისი სახლკარის ნახვა, მასთან საქ-
შეში შექიდება. დედაკაციც იგეთი
ჰყავს, როგორც იტყვიან — ფერი ფერ-
საო.

— აქაც კარგი ვაგი იყო! — ჩაურ-
თეს მასპინძლებმა.

— იგეთი რა დაემართა, ახლობლებს,
გვარსა და ტომს მოგწყდათ და თქვენც
ალარა კითხულობთ. რად გადასახლდა
ბარში? სხვაგან?

— ყოველი ჩვენგანის აზრი და ფიქ-
რი ბარში დასახლებაა, — მიუგო ლე-
ვანს გვარის უხუცესმა. — მთა ველარ
გვარჩენს, გახრიოკდა, გაემრავლდით
ვიდევაც. ძერყორას ბიჭის მთიდან წა-
სვლის მიზეზი კი სხვა იყო.

— რა? — მოუთმენლად იკითხა ლე-
ვანმა.

— თავი შაგწირა გვერდისკენ
გამაუხნდა. ესროლა, დასწრა. ვერ მა-
კლა. წესია, აბიკას სამაგიერო უნდა
გადაეხანდა. არ გადაუხანდა. მახვია ხე-
ლი ცოლსა და შვილსა და ბარს მიაშუ-
რა. თავის თავიც იხსნა სისხლისაგან და
გვარიცა.

— მაშ, მარტო ეგ მიზეზი იყო აბი-
კას აქედან აყრისა და ბარად გადასახ-
ლებისა? — იკითხა გახარებულმა ლე-
ვანმა.

— ეგა და სხვა არაფერი! — დაიფი-
ცეს სალოცავი მასპინძლებმა.

— ისე, მაგენ რამ ზომ არ იყო?

— ჩვენი ძერყორას აბიკაი და ძიძი-
ლო?

— ჰო!

— იქისა ჩვენ არ ვიცით რა, აქ კი
სხვა რამ ცოდო არა ჰქონია. — სთქვეს
და ისეგ ახსენეს, დაიმოწმეს თავიანთი
სალოცავი მთიელებმა.

— იქისა ჩვენ ვიცით. იმისმა მეზობ-
ლებმა, — დაამედა მასპინძლები ლე-
ვანმა. — აქაურმა კაცმა რომ უყეთე-
სად საცხოვრებელი მიწაწყალი მოძებ-
ნოს, ამაში კი არა არის რა ცუდი და
საზარი.

ლევან შილდეღმა დიდი სასმისი
აიღო ხელში მშვიდობით დარჩენა უს-
ურვა მასპინძლებს. ბარში თუ ჩამოხ-
ვალთ, თქვენთვის კარი ღია გვაქვს,
პური და ღვინო ჩვენც გვეშოვებოა, და
დაბრუნდა შინ.

კი არ მიდიოდა თავის ახშეტაში ლე-
ვან შილდეღი — მიფრინავდა. აქამდეც
უყვარდა მას თავისი მშობელი სოფე-
ლი. დიახ, უყვარდა. იქნებამ სიკოცხოე-
საც ერჩივნა. ამ დღის, ამ მგზავრობის
შემდეგ კი კიდევ უფრო შეუყვარდა ის
მიწა, სადაც დაიბადა, თვალი აახილა,
ფეხი აიღვა, დაეკაცდა. გაქალარდა.
გული ბოდეში აღარ უჩირღებოდა. უნ-
დოდა ჩაქარა ენახა ის მეზობლები, ბი-
ძაშვილები და კოლმეურნეები, რომ-

ლებთანაც ერთად, იმ საყვარელ მშობელ მიწაზე, გლეხის მძიმე ჭაბანს სწევდა მთელი თავისი წუთისოფელი.

თიანთშიც ვეღარ მოითმინა ღამის გასათევად. უმთვარო ღამეში გაჰყვა მოქვიშულ შარას. ალიონზე შეაბიჯა თავისი სოფლის ორღობეში. შეაბიჯა და გული აეგისო ბოდმით. კიდევ კარგი შიგულა გზად არსად შემოეყარა, თორემ რაც მოხვდებოდა ხელში დაუნდობლად დაჰკრავდა ხარბს, ცილისმწამებელს, ყანების მომცდენს.

— ჰმ... შალაფა, შე ძირამოსავდებო! — წაიბუზღუნა ლევანმა შინ, კარის შეღების უმაღ.

— რის შალაფა, კაცო, რა დაიჩინე?! სად იყავი?! — გაუჯავრდა ლევანს ქეთევანი.

— დღესეე გაგავებინებთ, სადაც ვიყავი და რადაც დაეიჩინე. — მკაცრად მიუგო ლევანმა ცოლს და ჩოხა გაიძრო. პირზე წყალი შეისხა. მერე შევილის შინ დატოვებული ხაისფერი ხალათი ჩაიცვა, კალთები შარვლის სათავეში ჩაიტანა. ხონჯარი მაგრად გაიჭირა. თუშური ქული კეფაზე მოიგდო, უღვაშები გადაიგრინა და ისევე ეზოში გავიდა.

საძოვრად გასარეკი კამეჩები ურემში შეაბა. — მთაში მივალ, აბიკა ჩანგარაულს ვახმარებარ დღეს სახლის მასალის მოსაზიდად. — დაიძახა, ეზოში და გასცილდა იჭაურობას. აბიკას სა-მოსახლოს ჭისკართან შეჩერდა.

— გამარჯობა, აბიკა! — დაუძახა პატრონს შორიდან.

— გაგიმარჯოს, ლევან! — იყო პასუხი.

— მთისაკენ მივალ, იქიდან შენს მასალას დაუღებ ურემზე, ჩამოგიტან! — დაუძახა ლევანმა.

— დღევრძელობა ნუ მოგაკლოს, ლევან! — მოკრძალებით უთხრა აბიკამ და შინ შეიპატიჟა.

— ამინდს ვეშურვი! დაბრუნებულს თუ კარგ ეახშამს დამახვედრებ, უარს

არ გეტყვი. მეკუთვნის, შემერგება/კიდევაც. ახლა კი გამიშვებ რქვეშაში.

— რა გაეწყობა, შენძნუნა!

აბიკამ მეტი ვერა მოახერხა რა სათქმელად. ლევანმა ზეუბნისაკენ აიღო გეზი. მოიქნია სახრე და გარეკა კამეჩები. ურემი შიგულას სახლის მახლობლად ნაკალოვარზე შეაჩერა, ჩამოხტა, ფეხებით მოსინჯა მიწა, რბილი თუ არბო. ათიოდე ცალი რიყის ქვა შორს ისროლა. ყველაფერი რომ მოამზადა, შიგულას ეზოსაკენ გაიხედა. შიგულა ამ დროს ეზოში თუთის ქვეშ იდგა და უქმად ჯოხს ხელში აცოდელიებდა.

— შალაფა ერთი აქეთ გადმოდი! — დაუძახა — ლევანმა ნაკალოვრიდან.

— მობრძანდი, ლევან! — გამოეხმაურა შიგულა.

— შენ მობრძანდები და მობრძანდები, თორემ მე თავის რჩენისათვის ომში ზურგზე ბოლი ამდის!

— ჰე, ლევან, აგრე დილით აღრე გული ვინ მოგაყვანინა?!

— აქ გადმოდი ნაკალოვარზე და გეტყვი.

შიგულამ საბიჯი გადმოილახა და ლევანს მიუახლოვდა.

— კაცო, ასეთ სახეზე მე შენ ჯერ არ მინახებარ. — შემკრთალად ჩაილოპარაკა შიგულამ და მიუახლოვდა. ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ.

— აბა, ახლა მნახე, — მკვახეთ მიუგო ლევანმა და ვანაგრძო. — აბა სთქვი, დაფქვი, რა იცი აბიკა ჩანგარაულზე და რასა სწამებ?

— ეგ შენი საქმე არ არის, გალრეკით სთქვა შიგულამ.

— ჩემი საქმეა, დაახ. მეც მინდა ვიციოდე. ახლა კი ამაზე მიგე პასუხი, სხვას რომ ცილსა სწამებ, თქვენ, ზეუბნელებს რადა გაქვთ საქმე დაყენებული ცუდად? რად გადაუღვია შალაფას ზორბალოს ბოლოს სიმინდები? მთაში ღორს რა ემართება? რაღა საუკეთესო, სახორცე ტახები ამოიჩინა დათემა და ჯავრიანად, წმინდად შესჭამა?

— ეხა... გამომიჩნდა პასუხის მომ-
თხოვნის. ხალხო, ხედავთ, გაიგონეთ, ეს
ხომ ჰქუაზე არ შესცდა, — აყვირდა ში-
გულა ხმაურობაზე, აქ მოსული ოცი-
ოდე კაცის გასაგონად.

— დიხ, მომე პასუხი, როგორ ჰქუ-
ანხედაც ვარ, მე ვიცი და შენაც გავა-
გებინებ კოლმეურნეების კრებაზე.

— ვითომ რას გამაგებინებ! — გაუ-
ჭილიკეთა შიგულამ და დოინჯი შე-
მოიყარა.

— იმას, რომ შალაფა ხარ, შენ
შიგულა ვინ დავარქვა, რა ამის ღირსი
ხარ! შალაფა, მართლა შალაფა!

შელაპარაკებულებს ვერც გაეგოთ,
რომ მათ გარშემო მთელი ზეუბანი და
გამვლულგამომვლული შეგროვილიყ-
ვნენ.

— რა ამბავია, ხალხო?! — იკითხა
ვიღაცამ და ხალხიც ნაპირებზე მიდგა-
მოდგა.

ლევანმა მოიხედა. ბაგო ბოცორაშვი-
ლე დაინახა.

— წყალმა წაიღოს ეგ გულცივი ხარ-
ბი, უქნარა და ცილისმწამებელნი. რა
გასაჩენი იყვნენ, არ ვიცი ღმერთმანი.
ბაგო, მოიწვიე კრება და მე გამოვიყვან
სააშკარაოზე, მაგ ხელის მომცარავს,
გასულ სამეურნეო წელიწადს და მუ-
შაობას კრიტიკას გაუუკეთებ, რომ მო-
მაეაღში მაინც წინ აღარა გვიდგეს რა.
ორი წელიწადია გათავდა ომი, ფაშისტს
გაუსწორდით და ე შალაფათ თუ რაღაც
შიგულა, რა გახდა, რომ ვერ ავამუშაოთ
და კაცად ვერ ვაქციოთ!

— კვირას დილით გვაქვს საერთო
კრება! — აღწომა ბაგომ.

— ესე იგი ზეგა, ხედავთ? — იკით-
ხა ლევანმა, — დაუზოგავად გამოვალ,
რომ შალაფამ ჩენი სოფლის ყანებსა
და სიმინდებში კვლავ ველარ გაიხაროს.

— შიგულა! რა აწყენიე ავითი ამ
მამის ტოლს კაცს, — დაიწყო ბაგომ და
მოიხედ-მოიხედა, რომ შიგულასათვის
პირდაპირ მიემარფნა. მაგრამ შიგულა
აღარსად იყო. გაპარულიყო.

— შალაფა, შალაფა, შალაფა, — გა-
დასცემდნენ ერთმანეთს იქ დამსწრენი
სიცილით. ლევან შილდელი კი ურემს
შეუხტა კოფოზე, გარკეა კამეჩები.

— ლევანი! — მიიძახა ბაგო ბოცო-
რაშვილმა, — მოაბრუნე ეგ კამეჩები, ქე-
თევანს მიხედე შინ!

— ქეთევანს რა მიხედვა უნდა! —
გაფითრდა ლევანი.

— ამ დილით თელავიდან მოვდიოდი
მანქანით. ვხედავ ბაზრის ბოლოს შენი
შვილი მოაბიჯებს, ჩავისვი მანქანაში
და შინ მოგიყვანე. ფეხად კი გამოგეს-
წრო.

— მართლა, კაცო? — თითქმის დაიყ-
ვირა ლევანმა.

— მართლა და სახლს მიხედე. ჩვენც
იქ მოვალთ, ოღონდაც ხიდის ასაგებ
ადგილას მოტანილ ცემენტისათვის აგე-
ბულ ფარდულებს დავათვალეირებთ.

ეს სიტყვები ლევანს აღარ გაუგონია,
აღარც ის გაუგია, ვინ მიუბრუნა ში-
ნისაკენ კამეჩები.

მალა ფორჩხიძე

წვიმაში სამგორის ველზე

★

ეს ქარი მღერის მწყემსის სტვირივით,
თუ ლერწმის ლერწმი ეს ლექსი წვივის!
ვღებვარ ჯეჯილში და როგორც ტირიფს
თავზე მესხმება შხეფები წვიმის.

აშრიალებენ ფოთლებს ლერწმები
და პურის ლერწმიც უსტვენს ეს ქარი.
ხეს ჩახვეული სუროს ლერწმები
თითქოს ამ წვიმის ძაფები არი.

წვიმაში თითქოს მღერის ეს მიწაც,
ეს მთები მწყვანით ჩამოძევილი.
ქოჩორს მისველებს შხაპუნა წვიმა
და მე ვფოფინებ როგორც ჯეჯილი.

გახედავ ველებს, შხეფები წვიმის
რომ ესხურება პურის ნათესებს.
პურის ლერწმიც ეს ლექსი წვივის
და ჯეჯილივით წვიმა მასველებს.

წვიმა და ლექსი ყოფილან ძმები,
ხან მოვარდება, ხან გადიკარებს.
ხან თავს გესხმება გრილი წვეთები
და ლექსის პწკარში მზე მოწანწკარებს.

ვხედავ, ქალივით ნისლი წვეს მთაზე
და წვიმა, ძირს რომ ჩამოდის ცერად,
ნეტავ მეც დიდხანს მაწვიმდეს თავზე,
არ გადიკაროს ჩემმა სიმღერამ.

ჩემი ხმაც წვიმის შხაპუნა არც
და ეს არავციც, რომ მოქუხს წმინდა,
მწყვანე ჯეჯილში ნაოცნებარი
რათა მოვევარდე მეც როგორც წვიმა!



გადავესხურო სამგორის ველებს,
დავექმობილდე ზრამის კაშხალებს,
და გაჩაღებულ რუსთავის ბრძმედებს
ვუთხრა, ეს გული რასაც მავალებს.

ვუთხრა, ვით მღერის შხეფები წვიმის
და მთები მწვანით ჩამოქექილი,
პურის ღეროში რომ ლექსი წივის,
ესეც რომ ხმაა ნორჩი ჯეჯილის.

ხან თუ მე წვიმა მესხმება თავზე
და ქარი მღერის ფშანებში ნანას,
ხან მიცინიან ვარსკვლავნი ცაზე,
შხესუშხირების ბღღვრიალა ყანა.

და ვღგვეარ ფიქრით შუბლშებურვილი,
ეხედავ თავთუხი დაუსხამს მიწას,
რაა — ამიხდეს ერთი სურვილი,
რაა — მოვეარდე სამგორში წვიმად.

გადავესხურო ახალ ნარგავებს
და ტოტებნაყარ ვენახის ფესვებს,
რომ სიტყვაც წვიმის მოვარდნას გავდეს
და მიწის გემო გამოჰყვეს ლექსებს.

ხან ქარი მღერის მწყემსის სტვირივით,
ხან პურის ღერში ეს ფიქრი წივის.
ვღგვეარ ჯეჯილში და როგორც ტირიფს
თავზე მესხმება შხეფები წვიმის.

ზაქარია შარვაშიანი

შეგირაბი

★

ცხრამთასიქითა შორეთი — და მაინც ჩვენი ურალი,
უზარმაზარი ქარხანა, მარჯვენა — გარჯის მწყურველი;
შრომის სამეფო ქალაქი — გადატიხრული უბნებად,
საყვირის — როგორც მოზვერის — სტეპებთან გასაუბრება;
სახელგანთქმული საამქრო, სახელგანთქმული ამქრები,
— გიყვარდეს შენი ხელობა — უკვალოდ აღარ გაქრები!

დროებით დავთმეთ მშობელი — მზისა და ვაზის ქვეყანა,
ფოლადთან ძმობის სურვილმა რუს ოსტატებთან შეგვეყარა;
— ოცი ქართველი კაბუჯი ერთად ვეწვიეთ ქარხანას,
ურალის მიწამ ბირველად ოცივე შეგირდს გვახამა,
— გვახამა, — ისევე მოგვეთლით გავზნით ფოლადის მრანდაენი,
— ოსტატნი — საქართველოში ხალიბთა ნაცვლად ამდგარნი.

კომკავშირელთა ხელებში აღბათ ლითონიც ვახელდა, —
წყრთიან-წყრთიანი თასები შემოიწყვიტეს ჩარხებმა.
ოცნი ვიყავით, ოცივე ერთი საქმისთვის ესუნთქავდით,
ერთად ვისწავლეთ ხელობა, ერთად მოვედით რუსთაფში.
ლითონის ენა გავიგეთ — გავეფიცენით ძმობილად, —
ფოლადის ლაღი წკრიალი თურმე სიმღერა ყოფილა.

— შოვისმენთ, აველრიალდებით, ძარღვებში ცეცხლი დაგვირბენს,
ჩვენ ეს სიმღერა საფლაფშიც უნდა ვასმინოთ ხალიბებს,
რომ ცივი ძელები გავუთბოთ ქართველთა ამაყ წინაპრებს,
ხმლებს რომ ქედადენენ და ხმალთან თავსაც სამშობლოს წირავდენენ;
ეგება მათაც იხარონ — იმ შორეულმა მამებმა, —
ჩვენთვის რომ აღარ დასცალდათ ფოლადის წრთობის სწავლება.

ივანე მაჩაბლის თარგმანები



ნახევარი საუკუნე გავიდა ივანე მაჩაბლის გარდაცვალებიდან, მაგრამ დღემდე არავის უცდია შეესწავლა მეცხრამეტე საუკუნის ამ დიდი მწერლის შემოქმედება. ქართულად არ მოგვეპოვება პატარა წერილიც კი, რომელიც საერთო წარმოდგენას მოგვცემდა ივანე მაჩაბლის შემოქმედებაზე, გაგვაცნობდა მის თარგმნით პრინციპებსა და ხერხებს.

გიორგი ლეონიძისა და იოსებ გრიშაშვილის უთუოდ საინტერესო წერილებში ვეცნობით მაჩაბლის ცხოვრებასა და მის დიდ ღვაწლს ქართული თეატრის განვითარების საქმეში. მის თარგმანებზე კი, რამდენიმე ზოგადი ფრაზის გარდა, არავის არაფერი დაუწერია. არავის არ გაუკეთებია ამ თარგმანების ასეთი ისე მნიშვნელოვანი ანალიზი. მხოლოდ ზემოთაღნიშნულთაგან გვაჩვენებთ აზრს, რომ მაჩაბელი შესანიშნავი მთარგმნელია, რომ მისი თარგმანები ზოგჯერ ორიგინალსაც კი ჯობს (თუმცა ეს შეუძლებელია).

ამ ბოლო დროს მეორე, საწინააღმდეგო აზრიც გავრცელდა: თითქოს მაჩაბლის თარგმანები იყოს მშრალი, სქემატური, ყალბი პათოსით ამალღებული და გაბერილი, ხშირად ორიგინალს დასორებულნი. საბედნიეროდ, ამ მეორე აზრმა ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობასა და ინტელიგენციასი და მხოლოდ ზოგიერთ სკეპტიკოსს შერჩა ენაზე.

ზოგი იმასაც ამტკიცებს, თითქოს მაჩაბელს არ სცოდნოდეს ინგლისური ენა და შექსპირის ტრაგედიები გერმანული ენიდან ეთარგმნოს. ყველაფერი ეს ზეპირი და ზერეულე განცხადებაა. დროა, უფრო ღრმად გავეცნოთ ივანე მაჩაბლის თარგმანებს, ანალიზი გავუკეთოთ მას და ჩამოვაყალიბოთ ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობს მაჩაბელი თარგმნის დროს. ეს, ერთი მხრივ წარმოდგენას მოგვცემს ჩვენი დიდი მწერლის შემოქმედებაზე, რომლის სახელსაც ტრადიციულად ილია ჭავჭავაძესთან ერთად ახსენებენ ხოლმე, მეორეს მხრივ კი, დახმარებას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდა მთარგმნელებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან ქართულად თარგმნონ მსოფლიო ლიტერატურის შედეგები.

შექსპირის თარგმნა ყველა ქვეყანაში მთელი ლიტერატურული მოვლენა იყო. შექსპირის ცნობილი გერმანელი მთარგმნელები შლეგელი და ტიკი წლების განმავლობაში იმტერევენენ თავს, რომ შესაფერი ფორმა მოენახათ, თარგმანში გადაეტანათ ორიგინალის განწყობილება.

რუსეთის დიდ თარგმნითს ლიტერატურაში შექსპირის თითოეული პიესის ათამდე თარგმანი მოიპოვება, შესრულებული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ.

როგორი მემკვიდრეობა მიიღო ივანე მაჩაბელმა შექსპირის თარგმნის საქმეში? ამ კითხვას მშვენიერად უპასუხებს იოსებ გრიშაშვილის წიგნი „საქმე თეატრში“. ივანე მაჩაბელს დახედა რამდენიმე ტრაგედიისა და კომედიის თარგმანი, მაგრამ არცერთი მათგანი არ იღვა შესაფერ სიმაღლეზე, მაჩაბელს არცერთი არ უადვილებდა გზას შემდეგი მუშაობისათვის. საეპარისი იქნება ორიოდ მაგალითი მოვიტანოთ: ანტონ ფურცელაძის თარგმანით საშობლოში დაბრუნებული ლაერტი ასე მიმართავს მეფეს: „კოროლო, მერსავეეო, დამიბრუნე მამაჩემი“. არდაზიანის თარგმანით ჰამლეტი ამბობს: „არ გაუცვეთია ბაშმაკები, რომლითაც მისდევდა ქმრისა კუბოსა“ და სხვა. ამასთან, თარგმნიდნენ ხან პროზით, ხან ლექსით, როგორც მოეპოიანებოდათ. ორიგინალთან სიახლოვეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ისინი თარგმნიდნენ უმთავრესად რუსულიდან, ან უხეირო ფრანგული თარგმანებიდან.

ივანე მაჩაბელმა პირველმა მოგვცა შექსპირის ნამდვილი, მაღალმატერული თარგმანები, საპატიო სიმაღლეზე აიყვანა ქართული თარგმნითი ლიტერატურა და გზა გაუკაფა როგორც შექსპირის შემდეგს მთარგმნელებს, ასევე საერთოდ მხატვრული ლიტერატურის ყველა მთარგმნელს. გადაუქარებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე მაჩაბლის თარგმანები არ ჩამოუვარდებდა არცერთს, მსოფლიოში განთქმულ შექსპირის თარგმანს.

თარგმნიდა თუ არა მაჩაბელი უშუალოდ ორიგინალიდან? თარგმნილი ტრაგედიების ანალიზი ადასტურებს, რომ მაჩაბელს შექსპირის პიესები თარგმნილი აქვს უშუალოდ ინგლისურიდან. ამასთან, საქ. ლიტ. მუზეუმში დაცულია მაჩაბლისეული წიგნები შექსპირისა ინგლისურ ენაზე. გვერდები იმ პიესებისა, რომლებიც მაჩაბელმა თარგმნა, საესეა შენიშვნებითა და სხვადასხვა სიტყვების სინონიმებით, მინაწერი მაჩაბლის ხელით. სხვაგვარად არც შეიძლება: საჭიროა საბოლოოდ დაკანონდეს, რომ თუკი საშუალება გვაქვს, მხატვრული ნაწარმოები უნდა ითარგმნოს უშუალოდ ორიგინალიდან. თარგმანის თარგმანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ადეკვატური და ორიგინალის განწყობილების გადმოცემა.

შექსპირის თარგმნა მრავალგვარ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შექსპირს თავის პიესებში გამოყენებული აქვს 20.000-მდე სიტყვა, ამასთან მისი ენა უაღრესად ხალხურია, ანდაზებით, კალამბურებით, ქარაგმებითა და იდიომებით სავსე. ხშირად კითხულობთ ერთს, გჯერათ, რომ ეს აზრი სწორედ ასე უნდა იყოს, როგორც პირველი წაკითხვით გაიგეთ, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა გამოდის.

შექსპირი აღორძინების ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მან ცოცხალი ფერებით დაგვიხატა თავისი დროის უაღრესად რთული მოვლენებით მდიდარი ცხოვრება. შექსპირმა სახეთა ოკეანე შექმნა. კოლორიტი მას „ათასსულიან შექსპირს“ უწოდებს. მისი ტრაგედიებისა და კომედიების ყველა გმირი თავისი ენით მეტყველებს და მთარგმნელმა უსათუოდ უნდა დაიცვას ეს ნიუანსი. სულ სხვაგვარია გაქნილი კარისკაცის პოლონიუსის ლექსიკა და მეტყველების მანერა, სხვაგვარად მეტყველებს მელანქოლიით შეპყრობილი ჰამლეტი, ხოლო ბრძენი მესაფლავე ამათგან სავსებით განსხვავებულია. ასეა შექსპირის ყველა ტრაგედიასა და კომედიაში.

ამათუიმ განწყობილების შესაქმნელად შექსპირი ძალიან ხშირად მიმართავს სიტყვათა თამაშს, ერთგვარ კალამბურს, რომლის თარგმნა, სხვა, არამონათესავე ენაზე უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს.

შექსპირის ენა არის მსუბუქი, სასაუბრო, საოცრად ცოცხალი დიალოგით გამართული. ხშირად ერთ პიესაში ქარაგმით არის რაიმე სახე ან მხატვრული ნახსენები, და მხოლოდ სხვა ნაწარმოებით შეიძლება მისი ახსნა. მაგალითად გულისსმევი აზრის ასახსნელად საჭირო ხდება ძველი ინგლისური ფოლკლორის მოშველიება, რადგანაც შექსპირის პიესებში ხშირად ვხვდებით ბალადებიდან და სიმღერებიდან ამოღებულ ფრაზებს, რომლებიც ტექსტში, ეპიგრაფების მსგავსად, იმ ბალადებისა და სიმღერების განწყობილებას ქმნიან. ამიტომ მთარგმნელისათვის საჭიროა შექსპირის შემოქმედების ღრმა ცოდნა, ისტორიისა და ინგლისური ლიტერატურის ღრმა ცოდნა.

ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საერთო პოეტური ნაწარმოების, კერძოდ კი შექსპირის პიესების მთარგმნელმა.

მთარგმნელის გამარჯვება მაშინ იქნება გარანტირებული, თუ მოახერხებს იგი გადმოიტანოს ორიგინალის მთავარი არსი — ნაწარმოების საერთო განწყობილება, ნაწარმოების ლეიტმოტივი. ამ ამოცანის შესრულებას უნდა ემსახურებოდეს მთარგმნელის მთელი მუშაობა.

შესაძლებელია რომელიმე პოეტური ნაწარმოების თარგმანში მტკიცედ იყოს დაცული სტრიქონების რაოდენობა, მეტრი, რითმების განლაგება, მუსიკალობა, მაგრამ თარგმანი მაინც არ გამოხატავდეს ორიგინალის განწყობილებას, ავტორის იდეას, მის გააზრებას. ასეთი თარგმანი შეიძლება შევადაროთ კარგად შეკერილ ტიკინას, რომელსაც ყველა ნაწილი თავის ადგილზე აქვს მიკერებული, მაგრამ სული არ უდგას.

ეს, რა თქმა უნდა, ანბანური ჭეშმარიტებაა მთარგმნელისათვის. მაგრამ ზოგიერთ მთარგმნელს შეეცდომა მოსდის, როცა იგი ცდილობს ორიგინალის განწყობილება გადმოიტანოს მხოლოდ სტრიქონებისა და სიტყვების მტკიცე თანამიმდევრობით, სიტყვებისა და წინადადებების ზუსტი თარგმანით, ხშირად ორიგინალის სინტაქსის გადმოტანითაც. ამასთან იგიწყებს მთავარს — ნაწარმოების საერთო იდეასა და განწყობილებას.

ასეთ თარგმანს პირობით შეიძლება ვუწოდოთ ფორმალისტური, და იგა რამდენადაც მოჩვენებით ახლოს დგას ორიგინალთან, სწორედ იმდენად არის დაშორებული ავტორის განწყობილებასა და ნაწარმოების ძირითად იდეას.

შექსპირის თითოეული ნაწარმოები შეკრულია ერთი ძარღვით, და ყველა პიესა თავისი განწყობილებით ძირითადად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ შემცდარი აზრი იქნება თუ ვიტყვით (სამწუხაროდ ამ აზრს ზოგიერთი იმეორებს), რომ, რაკი წარმატებით ითარგმნა შექსპირის ერთი ნაწარმოები, მორჩა, გზა გაიკაფა და ახლა მხოლოდ მთარგმნელის ტექნიკური მუშაობაა საჭირო. რომ ეს გზა გაკაფა ილია ჭავჭავაძემ „მეფე ლირის“ თარგმანით და ამის შემდეგ მაჩაბელი, ძალიანაც რომ სდომოდა, თითქოს, სხვაგვარად ვერ თარგმნიდა „ჰამლეტსა“ და „ოტელოს“.

ილიას დამსახურება ამ საქმეშიაც განუზომელია: მან ახალგაზრდა ივანე მაჩაბელთან ერთად დააკანონა შექსპირის თეორი ლექსისათვის ქართული 14-მარცვლოვანი ლექსი. ეს იყო ბედნიერი აღმოჩენა და ამ ლექსს ბევრი სხვა მთარგმნელიც იყენებს სხვა მწერლების თარგმნის დროსაც, რაც, სხვათა შორის, ხშირად სადავოა. მაგრამ ერთი პიესის მარჯვედ თარგმნა ისე როდი

აადვილებს საქმეს, რომ შემდეგ შექსპირის მთარგმნელის როლი უბრალო შექსპირულად აღმოჩნდეს დაიყვანოს.

შექსპირის ყველა პიესა თავისი განწყობილებით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი გამოჩენილი შექსპიროლოგი ანალიზს უკეთებს „მაკბეტს“ და ამტკიცებს: ეს ტრაგედია ისეა გამსჭვალული ერთი განწყობილებით, რომ უთუოდ ერთ ღამეშია დაწერილი (იგივე მკვლევარი ამავე აზრს გამოთქვამს ზოგიერთ სხვა ტრაგედიაზედაც). ჩვენ შეიძლება ვერ დავეთანხმოთ ამ მეცნიერს, მაგრამ თავისთავად ეს მოსაზრება საინტერესოა. შექსპირის ყოველი პიესა, მართლაც, საოცრად არის შეკრული ერთი განწყობილებით, და სხვათაშორის, ეს არის შექსპირის თარგმნის ერთი დიდი სიძნელე.

მაჩაბლის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შესძლო მონება ყველა ნაწარმოების გასაღები, ჩასწვდომოდა ორიგინალის სიღრმესა და დედააზრს. რვა ტრაგედია თარგმნა მაჩაბელმა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შესძლო ყველგან გადმოეტანა ნაწარმოების მთავარი განწყობილება. მაგრამ მის თარგმანებს მაშინვე შეატყობ, რომ სტრიქონების თვლითა და სიტყვების ზომით არ უპოვნია მაჩაბელს ეს გასაღები.

მაჩაბელი გარედან არ უყურებს ნაწარმოების გმირებს, იგი ამ გმირებიდან გამოდის. იგი ნაწარმოების საერთო განწყობილებას ქმნის არა ცალკე სიტყვებისა და ფრაზების ზუსტი ლექსიკონური თარგმანით, არამედ ცალკეული გმირის ხასიათის გახსნით, ცალკეული სიტუაციის ღრმა, პოეტური ანალიზით.

მაჩაბელს კარგად ესმის, რომ ხშირად სიზუსტის დაცვით, სიტყვების პირდაპირი თარგმნით, ნაწარმოების შინაარსისა და ქართული ენის ბუნების გათვალისწინებლად, არასასურველ შედეგს მივიღებთ. ასეთი თარგმანი პირიქით დაშორდება ორიგინალს. ამიტომაც იგი ბრძამდ არ თარგმნის ცალკეულ ფრაზას, არამედ საოცარი ინტუიციით წვდება ყველა ნიუანსს და შესაფერი ფორმით გადმოაქვს ქართულად.

მოვიტან ერთ პატარა მაგალითს:

ჰორაციოს მეგობრები ეტყვიან, რომ ღამით, ციხე-სიმაგრის წინ გამოჩნდება ხოლმე გარდაცვლილი მეფის აჩრდილი და მხედრული ნაბიჯით ჩაივლის. ჰორაციო განსწავლულია, ახალი დროის ახალგაზრდა, რენესანსის პირიშო. მან იცის რომ „ბევრი რამ ზღბდა ცათა და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ არც კი დასიზმრებიათ“, ცხოვრებას იგი აგდებულად უყურებს. ახლაც ხუმრობის გუნებაზეა, რადგან აჩრდილის სანახავად მიდის. ჰორაციო გაჰყვება ამხანაგებს. ღამეა, ბნელა. გუშაგი კარგად ვერ გააჩივს სიბნელეში მას და ჰკითხავს:

„What, is Haratio there?“ — „A, piece of him“.

უპასუხებს ჰორაციო (პირდაპირი თარგმანი: „ჰორაციო ხარ?“ — „მისი ნაჭერი.“) ინგლისურად „A piece of him“ თავისებურადაა ელერს. იგი მაშინვე გვაგრძნობინებს სცენაზე პირველად გამოჩენილი გმირის განწყობილებას. ეს რომ პირდაპირ ეთარგმნა მაჩაბელს, რათქმუნდა ვერ გადმოსცემდა ამ განწყობილებას, როგორც ვერ გადმოცემს მას ფრანხილემში მოთავსებული პირდაპირი თარგმანი. მაჩაბელს ეს ფრაზა ასე აქვს თარგმნილი: გუშაგი ჰკითხავს:



„პორაციო, მგონი შენა ხარ?“

„მგონი ისა ვარ“. უპასუხებს პორაციო.

თარგმანში ზედმიწევნით არის გადმოტანილი დედანის აზრი. იმავე სურათში სცენაზე შემოდის რამდენიმე ჯარისკაცი. გუშაგი მათ შესძახებს:

— Stand, hol! Who is there?

— Friends to this ground. — უპასუხებს შემოსული.

პირდაპირი თარგმანი:

— შეჩერდიო ვინა ხართ?

— მეგობრები ამ ნიადაგის.

მაჩაბელს ეს ასე აქვს თარგმნილი:

— აი, მგონია მათი ხმაა, აქ ვინ მოდიხართ?

— მოყვარენი ვართ.

მაჩაბლის ყველაზე უფრო დიდი ღირსება ისაა, რომ იგი ახერხებს მოუნახოს შექსპირის მდიდარ ლექსიკას ნამდვილი ქართული ადექვატი. მისთვის სიტყვა განყენებულად არ არსებობს. სიტყვით იგი გამოხატავს აზრს, ქმნის სახეს, მოვლენას თავის სახელს არქმევს. ამასთან ნაგულისხმევი არაფერი რჩება—შკითხველს ნათლად წარმოუდგება ამ სიტყვით გამოხატული მოვლენა ან სახე. ამიტომაცაა, რომ როდესაც მაჩაბლის თარგმანს ვკითხულობთ, სიტყვები პირდაპირ აღბეჭდავენ ჩვენს ცნობიერებაში სახეებს. შკითხველს თვითონ არ სჭირდება სიტყვის გასაცოცხლებლად შესაფერი სახის ძებნა. სიტყვას იგი თარგმნის არა ლექსიკონურად, არამედ აზრობრივად. მაჩაბელი დიდის ოსტატობით ქსოვს სიტყვების მომზიბლავ ქსოვილს და ქართულად ძლიერად აედერებს შექსპირის უკედავ სიმფონიებს. ხანდახან პირდაპირ გზიბლავს გაბედული გამოთქმები, პირველად მის მიერ გამოყენებული ქართულ ენაში.

ივანე მაჩაბელმა შესანიშნავად იცის ქართული ენა ყველა თავისი ნიუანსით. იგი აღზრდილია ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე, ამავე დროს კარვად იცის ხალხური ენა და უხვად იყენებს თარგმანებში ხალხურ გამოთქმებსაც. სწორედ ეს ორი მდიდარი წყარო ასაზრდოებს მაჩაბლის ენას. შედეგი ბრწყინვალეა: მაჩაბლის ფრაზა ყოველთვის მსუბუქია, მოქნილი, მოზდენილი, ნათელი, ცოცხალი. მაჩაბელს ყველგან ჰყოფნის სიტყვა შექსპირის სიბრძნის გადმოსაცემად. ვერსად ვერ ნახავთ ხელოვნურ გამოთქმებს, არაბუნებრივ ფრაზებს. ეს იგრძნობა ყოველ სტრიქონში. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

იმისდამიხედვით, თუ რა კონტექსტში ხმარობს მაჩაბელი სიტყვას, აი, როგორ იცვლება ერთიდაიგივე ინგლისური სიტყვის ქართული მნიშვნელობა: „ambitious“ — ნიშნავს პატივმოყვარეს. როცა ჯარისკაცი სიამაყით იხსენებს დამარცხებულ მტერს, ნორვეგთა მეფეს, მას უწოდებს „თავგასულს!“

When he th'ambitious Norway combated.

როს დამარცხა თავგასული ნორვეგიელი (მამლეთი).



სხვა აღვილას:

Stand still ambition's debt is paid.

ერქენული

დამწვიდლით ღირსად დისაჯა თავემოყვარეობა (იულიუს კეისარი)

But as he was ambitious I slew him.

მაგრამ შედიდური იყო და ამისათვის მოვკალ იგი. (იულიოს კეისარი)—ამბობს ბრუტოსი, რომელსაც გულთ უყვარდა კეისარი და არ შეიძლება მასზე ეთქვა ან „თავგასული“, ან „პატიემოყვარე“.

I am very... ambitious—შე შეტისმეტად... პატიემოყვარე ვარ. (ამლეტი).

სხვა პიესებში იგივე სიტყვა მაჩაბელს შინაარსის მიხედვით, თარგმნილი აქვს გულზე და „ქედმაღლურად“.

კიდევ ერთი მაგალითი: „proud“ „ამაყსა“ ნიშნავს.

Till your proud heart break.—

ვიღრე ვე ზევაი გული შუა არ გაიხსლება (იულიოს კეისარი)

He is grown too proud to be valiant.

მა ვაჯაყობამ შეტისმეტად წაათამაშა. (კოროლინოსი)

I am very proud.

ამპარტაყანი ვარ. (ამლეტი).

ვხედებით მეორე სახის ცვლილებებსაც, როცა სხვადასხვა ინგლისური სიტყვას ერთი ქართული შესატყვისი აქვს:

Since Cassius first whet me against Caesar,

I have not slept.

Whet ნიშნავს გაღიზიანებას, აღძვრას, წარმართვას. ეს სტრიქონები ასე აქვს თარგმნილი მაჩაბელს:

რაც კასიუსმა კეისარზე მე წამაქეზა,

თვალთ ძილი აღარ შეკარება (იულიოს კეისარი).

No, not an oath; if not the face of men,

The sufferance of our souls, the time's abuse,

If these be motives weak.

ფიცო რად გვინდა! თუ სირცხვილი კაცთა წინაშე,

ამდენ სულთ ტანჯვა, სიბედმავე ჩვენი ვოფისა

წასაქეზებლად არა კმარა... (იქვე).

(თუ ეს არ კმარა მიზეზად).

ტექსტშია:

Tempt me no further.—ნელარ მაქეზებ.

—so, after Pyrrhus' pause,

Aroused vengeance sets him new a-work.

... ისე პიროსი

განშეორებით წააქეზა შერისძიებამ. (ამლეტი).

აზლა სხვა სახის მაგალითებიც, როდესაც ინგლისური სიტყვისათვის, ან გამოთქმისათვის შესანიშნავ, გაბედულ შესატყვისს პოულობს მაჩაბელი. ბევრი სიტყვა, ალბათ, თვითონვე შემოიტანა ენაში:

Urge me no more, I shall forget myself.

დამეჭუნე ბრუტოს, ღამის გონება დამეფანტოს (იულიოს კეისარი).

The jealous o'erworn widow and herself...

ეს და ის ქერიე, ეკვიანი, დროგაცვეთილი

შარტოდ-შარტონი აქ მეფ-შენ ნათლიდედობენ (რიჩარდ მესამე).

„O'erworn“ — ზედმიწევნით ამასვე ნიშნავს, ე. ი. უკვე დაღლილი, ხანდაზმული ან, სიტყვისიტყვით, გადაცვეთილი კმეტაგორიკოსი გლოსტერი ავღებულად ლაბარაკობს დედოფალზე, ქართულად ძალიან კარგად გამოდის აზრი. ვერცერთი სხვა სიტყვით ვერ გადმოსცემდი ამ აზრს.

იმავე პიესაში ასეთ ფრაზას ვხვდებით:

My Lord of Buckingham, if my weak oratory
Can from his mother win the Duke of York...

Weak oratory — ნიშნავს სუსტ მკვერამეტყველებას. იგულისხმება, რომ კარდინალს (რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს) არა აქვს იმედი, და-იყოლიოს იორკის მთავარი. ქართულად ეს შესანიშნავადაა თარგმნილი:

ზილორ ბუკინგამ, თუკი ჩემი მწირმეტყველება,
დათხოვნენს თავის დედას იორკის მთავარს.

ომიდან დაბრუნებული, გამარჯვებული მაკბეტი მიმართავს კუდიანებს:

Stay you imperfect speakers, tell me more... (ქართულად იქნება: შეიცადეთ თქვენ, ვინც არ იცით სათქმელის დასრულება და მათუწყეთ) მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

„აქ შეიცადეთ, სიტყვაძვირნი, აველ მათუწყეთ“...

იმავე პიესაში:

Be not a niggard of your speech...

niggard ძუნწს ნიშნავს. ეს ფრაზა ასეა თარგმნილი:

აველა მოთხარ, ნუ სიტყვაძვირობ.

„იულის კეისარი“ ასე იწყება: მარულოსი ცდილობს ქუჩაში შეყრილი მოქალაქეების გაფანტვას. იგი თითოეულ მათგანს ეკითხება, რა ხელობისა ხარო. მოქალაქენი ენამახვილობენ. განსაკუთრებით ერთი მათგანი, მეჯღანე უბასუხებს ქარაგმებით. მოთმინებიდან გამოსული მარულოსი დაუყვირებს:

— What trade thou knave? thou naughty knave, what trade?

— Nay, I beseech you, sir, be not out with me: yet if you be out, sir, I can mend you.

(რა ხელობისა ხარ მაინც საზიზღარო არამზადავ, თქვი რა არის შენი ხელობა?)

გთხოვთ, მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ და თუ მაინც გამოხველით, მე შემიძლია თქვენი დაკერება).

თარგმანში:

მარულოსი — მერე რა ჰქვიან შენს ხელობას, აღარ იტყვი, შე არამზადა?

მე-2 მოქალაქე — ნუ გაცხარდები, მოთმინებას ნუ შემოიცვეთ, თორემ ისევ მე გამოხვები დასაკერებელი

(ამით იგი აგრძნობინებს კიდევ, წალების მკერავი ვარო).

მაჩაბელს ემარჯვება სიტყვის ლაღად მოქნევა, აზრისათვის ნამდვილი ქართული იერის მიცემა და ამიტომაცაა, რომ შექსპირის მაჩაბლისეული პიესები თარგმანის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. ისინი ორიგინალური ნაწარმოებებივით ეღერენ. მაჩაბელი უხვად იყენებს ქართულ იდიომატიკას, ინგ-

მლისურ იდიომებსა და ანდაზებს მოხდენილად ცვლის ქართული შესატყვისე-
ბით.

შესატყვისე-
არქივის
გენერალ-დიპლ.

„მაგრამ მან ისე მაწყენინა ცხრაჯერ თუ ათჯერ,
რომ ცოტას ვაწყდა, არ ჩაერტყე ფერდში მპვილი“.
„ძალით ციერნი, შეუსმინეთ... ველარ ვახერხებ
გამოვთქვა ჩემი ნეტარება... ხმა აღარ მომდევს“...
„ენა ამიხსნა უღვევლმა ბედნიერებამ“.
„ქვეყანას კითხვით შევაჯერებ“.
„მე მთხოვენ ხელის გამოღებას და სიტყვის თქმას“
„და სიკედლის არის მიწვეული თითონ კასიოტ“.
„და არის კასია, წილ ჩადებულ ზვენს საქმეში“.
„We might have met them dareful beard to beard,
And beat them backward home“.

პირდაპირი თარგმანი: (ჩვენები რომ არ დახმარებოდნენ) გაბედულად შეეხვებოდით პირისპირ და ცემით დავირეკდით სახლებში. თარგმანში:

რომ ჩვენიანებს
იმათთვის მხარი არ მიეცათ, მაშინ ხმაღ და ხმაღ
შეეებრძოდით და სულ კუდით ქვას ვასროლინებდით.

მაჩაბელი ცდილობს აზრი ყველგან თავისუფლად იშლებოდეს, ყოველი გამოთქმა ბუნებრივი იყოს ქართული ენისათვის. ამიტომაც იგი ძალიან ხშირად ინგლისურ ანდაზებს ქართულით ცვლის ხოლმე. ეს ასეც უნდა მოხდეს. ზოგიერთი ანდაზა მოარულია და ის, რა თქმა უნდა, პირდაპირ ითარგმნება (მაგ. „აზალი ცოცხი კარგად გვის“... „ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“ და სხვ.). სხვა შემთხვევაში კი სათარგმნი ანდაზა უნდა შეიცვალოს იმავე აზრისა და განწყობილების გამომხატველი საკუთარი ანდაზით. ვერ გამოვიყენებთ მხოლოდ ისეთ ანდაზებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ ან ისტორიულ სახელებთან.

„პამლეტში“ ასეთ გამოთქმას ვხვდებით:

I do not set my life at a pin's fee. (ქინძისთავის საფასურსაც არ მივცემ სიცოცხლეში). თარგმნილია ასე:

„ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმაჩნია“.

იქვე: While the grass grows“... (და წყდება სათქმელი). ეს არის ცნობილი ინგლისური ანდაზის პირველი ფრაზა: (ვიდრე ბალახი გაიზრდებოდეს — რაში შემშლილთ მოკვდება) თარგმნილია ასე: „პავლე სტყავს გააძრობენ, სანამ...“

კიდევ ერთი მაგალითი: აქაც ინგლისური გამოთქმა შეცვლილია ქართულით:

But yet I run before my horse to market.
Clarence still breathes; Edward still lives and reigns.
When they are gone, than must I count my gains.
მაგრამ რას ვჭმავ, ურემს ხარებს უკან რად ვუბამი
კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც ცოცხალი არის,
როს გავისტუმრებ, მონაგები მაშინ აენუხო (რჩიარდ მესამე)

შექსპირისათვის მეტად დამახასიათებელია წინადადების ლაკონურობა და სხარტულობა. მისი ფრაზა ყოველთვის მოქნილი და ფრთიანია. ამავე დროს მსუბუქი და უბრალო, არა პათეტური (მცირე გამონაკლისს გარდა). მაჩაბელი ოსტატურად ძლევს ამ სიმწელესაც, ხშირად აღფრთოვანებაში მოდიხართ,

როცა მაჩაბლის რომელიმე ფრაზას დედანს ადარებთ; თარგმნილ ფრაზებში იგრძნობა სიცოცხლე, დინამიურობა, უაღრესი ლაკონურობა.
ლომა.

„Sir, praise me not,
My work hath yet not warm'd me“.

„ტყუილად მაქვს

ჯერ რივიანად ომის ცეცხლი არ მომღებია“ (კორიოლანოსი).

„The bow is bent and drawn, make from the shaft“.

„მოზიდულია, მშვილდი, კენტო, უფრობილდი ისარს“ („ლირი“).

„So, let high-sighted tyranny range on

Till each man drop by lottery“.

„დეე, გეზნეკავდეს მტარვალობა ქედს წამომჯდარი,

„ვიდრე სიცოცხლეს თითო-თითოდ არ მოვკლდებით“ (თელიოს კეისარი).

„Grim-visaged war haht smoothed his wrinkled front“.

„აჲ, თითო ომმა, შეკუმუხვნილმა, გაიხსნა შუბლი“ (რიჩარდ მესამე).

„Take up the sword again, or take up me“.

„აიღე ხმალი, ან შე მეკედრეთით ზე-აღმდგინე“ (იქვე).

„Our fatherless distress was left unmournd“.

„ჩვენ ობლად დაგრჩით და არავინ არ გვესამძირა“ (მაკბეტი).

„Players in your housewifery, and housewives in your beds“.

„ცუდად ლაუბობთ მასპინძლობის დროს

და მასპინძლობა კარგი იცით მხოლოდ ლოგინში“ (ოტელიო).

First, if all obstacles were cut away,

And that my path were even to the crown--

ჯერ ყოველივე დაბრკოლებაც რომ ამაცილოს

და გამივადკეს გვირგვინამდე მისასული გზა... (რიჩარდ მესამე)

მაჩაბლის თარგმანების უდიდეს ღირსებად უნდა ჩაითვლოს აზრის სინათლე. წაიკითხავთ ხანდახან ორგვერდიან მონოლოგს და ერთხელაც არ დაგვირდებათ დაფიქრება, შეჩერება, ახალი სტრიქონის აზრის გასაგებად უკვე წაითხული ფრაზების ძებნა. მის თარგმანებში ვერსად ვერ შეხვდებით ბუნდოვან, დახლართულ, ბნელ და გაუგებარ სტრიქონებს. სამწუხაროდ ბევრი მთარგმნელი ნაკლებად აქცევს ყურადღებას ამ პირველხარისხოვან საკითხს. საპირთა ბევრი რამ ვისწავლოთ მაჩაბლისაგან, და უპირველეს ყოვლისა, ეს შესანიშნავი თვისება. მისი ენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სინტაქსის ბუნებრივობა და სილაღე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საკითხი: მაჩაბელი ცდილობს აზრი სტრიქონის ბოლოში დაამთავროს და არ გადაიტანოს იგი მომდევნო სტრიქონის პირველ მუხლში. ეს თავის მხრივ ხელს უწყობს აზრის სინათლესა და სილაღეს.

მაჩაბლის ენა და აზროვნება იმდენად რეალისტურია, რომ იგი ხშირად ორიგინალის ბუნდოვან ადგილებსაც ნათელსა ჰქვენს. მაჩაბელი ცდილობს აუხსნელი არ დატოვოს ორიგინალის შეკვეცილი აზრი. ხშირად შექსპირის ფრაზა მკვლევართა დაუსრულებელ დავას იწვევს. მაჩაბელი ცდილობს ყველგან გახსნას ფრჩხილი და უნდა აღინიშნოს, რომ იგი იჩენს გენიალურ მიხედვარლობასა და ინტუიციას. დავასახელებ რამდენიმე მაგალითს:

„This avarice

Sticks deeper; grows with more pernicious root

Than summer-seeming lust (მაკბეტი)

ქართულად: სიძუნწე უფრო. ღრმად მიდის და მავნებელ ფესვს უფრო ღრმად იღვამს, ვიდრე ზაფხულის მსგავსი ვნება.

მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, რითი ჰგავს ვნება ზაფხულს. შექსპირის კომენტატორებს დიდი დავა ჰქონდათ, მაგრამ გარკვეული დარწმუნებით გამოიტანეს. ზოგი მიუთითებს ზაფხულის მცხუნვარებას და ამფუქსვეფუქს ვნებას. ეს ადგილი ყველა თარგმანში ასევე ბუნდოვნადაა, როგორც ორიგინალში. მაჩაბელი ასე თარგმნის:

„სიძუნწე უფრო ღრმად სჭრის კვალსა და მვენებელ ფეხს
უფრო ღრმად იდგამს, ვიდრე ვნება ზაფხულებარ მოკლე“.

როგორც ვხედავთ მთარგმნელმა გახსნა ფრჩხილი და ნაგულისხმევი აზრი დაამთავრა.

რომ მაჩაბლის ინტუიცია არ შემცდარა და რომ შექსპირი ნამდვილად ამით ამსგავსებს ვნებას ზაფხულს, ამას ამტკიცებს შექსპირის ერთი ლექსიც აქნერა და აღონისიდან“:

Love comforteth like sunshine after rain,
But Lust's effect is tempest after sun;
Love's gentle spring doth always fresh remain
Lust's winter comes ere summer half be done.

ამ ლექსში დაპირისპირებულია წმიდა სიყვარული და ვნება. თარგმანი ასეთი იქნება: სიყვარული წვიმის შემდეგ მზის გამოჩენასავით ტკბილია. ვნება ქარიშხალსა ჰგავს, მზიანი დარის შემდეგ ატეხილს; სიყვარულის ვიზაფხული მარად ახალი და ნორჩია, ვნების ზაფხული (კი მოკლეა) შუაზე მისვლასაც არ აცლის, უმაღვე მოსპობს ზამთარი.

მეორე მაგალითი:

... Thy royal father
Was a most sainted king: the queen that bore thee,
Ofteener upon her knees, than on her feet
Died every day she lived.

აქაც არ არის აზრი დამთავრებული და კომენტატორები ამ ადგილს სხვადასხვანაირად ხსნიან. მაჩაბელი ამთავრებს აზრს და დასრულებულ ფრაზას გვაძლევს:

სხვა მეფეთ შორის, უწმინდესი მამა გაყავდა შენ
და დედოფალი. დედაშენი, მუხლის თავებზე
ლოცვით და მარხვით ლედა მშვილად ცხოვრების დღეებს.

ზაზვასპული სიტყვები მაჩაბლის ჩამატებულია, ორიგინალში ნახსენები სულაც არ არის.

ზოგან ორიგინალის ტექსტი ნათელია და მკითხველისათვის გასაგები. მაჩაბელი მაინც ულის აზრს, მოქმედების სიცხოველისათვის უმატებს სიტყვას და ხშირად ძალიან მარჯვედაც:

Iago— Yet be content.
Othello— O, blood, blood, blood.
იაკო— ვთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.
ოტელიო— სისხლი, სისხლი, სისხლი მწყურია.

ორიგინალში ოტელიო ამბობს: სისხლი, სისხლი, სისხლი. „მწყურია“ — მაჩაბლის ჩამატებულია.

იმისათვის, რომ აზრის სინათლე დაიცვას და მკითხველთან შეაფიოდ მიი-
9. „მნათობი“ № 2

ტანოს ავტორის გააზრება, მაჩაბელი ზმირად ცვლის ორიგინალის სიტყვებს.
ჰამლეტში ასეთ ადგილს ვხვდებით:

Polonius—Will you walk out of the air, my lord?

Hamlet—Into my grave?

Polonius—Indeed, that is out o'th'air.

პოლონიუსი ვერ მოუგებს ჰამლეტს ენამახვილობაში და, ბოლოს, რომ როგორმე თავიდან მოიშოროს იგი, მიმართავს, ხომ არ გაივლითო.

აქ ეს გამოხატულია გამოთქმით „out of the air“—რომელიც სიტყვა სიტყვით რომ ვთარგმნით იქნება: ამ ჰაერიდან, ამ ოთახიდან ხომ არ წახვალთო. — საფლავში?—კეთხავს ჰამლეტი.—მართლაც, რომ ეგვეც საფლავში წასვლა იქნებოდა.—უპასუხებს პოლონიუსი. ასეთი თარგმანი უაზრო იქნებოდა. მაჩაბელს ასე აქვს გადმოტანილი:

პოლონიუსი—ქვევით ზაბრძანებას ხომ არ ინებებთ, ბატონო ჩემო?
(ისინი ამ დროს სისახლის დარბაზში არიან).

ჰამლეტი—საფლავში?

პოლონიუსი—მართლა რომ ეგვეც ქვევით ზაბრძანება იქნება.

შემდეგ:

„This blows my heart

If swift thought break it not, a swifter mean
Shall outstrike thought“

„ვასკდა ეს გული თუკი ელდა მთლად არ მომიღნობს;

სხვა გამოიწდება ღონე თვითონ ელდაზე სწრაფი“ („ანტონიუსი და კლეოპატრა“).

„Swift thought“ ნიშნავს სწრაფ ფიქრს, ფიქრის გა-
ვლევას. მაჩაბელმა მშვენიერად გადმოიტანა, ელდა იხმარა.

„ანტონიოს და კლეოპატრაში“ ანტონიოსი მიმართავს სკაროსს სისხლი გდი-
სო. იგი უპასუხებს:

„I had a wound here, that was like a t

But now it is made an H“.

ე. ი. კრილობა მქონდა პატარა t მსგავსი ახლა კი H ოდენა ვახდაო. თარგ-
მანში:

„ჰო, აქ კრილობა მქონდა ქერის მარცვლის ოდენი.

და აჲ პირი ჰნა“...

თუ რამდენად ნათელია თარგმანის სტრიქონები, როგორი ბუნებრივი და
ჭარბული ენისათვის დამახასიათებელი ნიუანსებით აგებს მაჩაბელი სინტაქსს,
რა თავისუფალი და ლაღია მისი თხრობა—ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც
კი გადაიკითხავს შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებს. მოვიტან რამდენიმე
მაგალითს:

I. ანტონიოსის მონოლოგი „იულიოს კეისარიდან“.

ანტონიოსი—„რომელებო, ჩემო თანამემამულენო
და მეგობრებო, მომისმინეთ. მე აქ კეისრის
დასაქრძალავად მოვხლვარ და არა საქებრად!
ელამიანის ავი საქმე მის შემდეგ ცოცხლობს,
კეთილი ზმირად იმარბება იმის ქვლებთანვე, —
ეს იყო ხვედრი კეისრისაც. კეთილშობილმა

ბრეტოსმა ვითხრათ, მედიდური იყო იგი, მედიდურება საშინელი ნაკლა და თუ ასეთი იყო, საშინლადე იგი დასაჯეს.
 ექ ბრეტოსის და მის მეგობართ ნებადართეთთა, — პატიოსანი არის ბრეტოს, ეს კარგად იცით, აგრეთვე სხევიც, სხევიც ყველა, რაღა თქმა უნდა, — მე მსურს კეისრის დამარბვის წინ სიტყვით მოვმართოთ. ის იყო ჩემი მეგობარი სწორი, ერთგული, თემეა ბრეტოსი აბრალებს მას მედიდურებას, და ბრეტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი. კეისარს რომში მრავალი ტყვე მოუყვანია, ეს სახელმწიფო ვაგსილა მათ შესასყიდ ფულით და იქნება ეს ამტყუებდეს მედიდურებას! როს გაქირვებულს განიცილება, ცრემლით ტიროდა, ცრემლი მედიდურ ბუნების კაცს ვგონებ, არ ჰყრობს, მაგრამ ბრეტოსი ამბობს — იყო მედიდური, და ბრეტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი. ლუპერვალის დღეობაში, თქვენ ნახეთ, სამჯერ შეფის გვირგვინი შივაწოდე და მან სამჯერვე უარი მითხრა; ნიშნავს ეს მის მედიდურებას? მაგრამ ბრეტოსი ამბობს — იყო მედიდური, და ბრეტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი. ბრეტოსის ნათქვამს არც ვამტყუნებ, მას ვამბობ მხოლოდ, რაც თვით მე ვიცი. კეისარი გიყვარდათ ერთ დროს, ალბათ, მიზეზიც გქონდათ მისთვის. აჲ, რაღა ვიშლით, რომ ცრემლი მაინც დაყაროთ? ოჲ, კაცის კკუავე, შენი სამყოფი გაგიშვია და გადასულხარ ნაღირ-მხეცეში. — პატარა ხანს, ვთხოვთ, დამაცადოთ, გული და გრძნობა გამეპარა კეისრის გეშთან, უნდა ველოდო, ვიდრე უკან დამიბრუნდება”.

II. ოტელოს რამდენიმე მონოლოგი „ოტელოდან“

„სიღარბასლით, სიძლიერით სახელგანთქმულნი, კეთილშობილნი და სულდინო უფალნი ჩემნი! მართალი არის, მე მოგტაცე ამ მოხუცს ქალი; ისიც სწორია, რომ მე იგი ცოლად შევიტოვე, — ეს არის ჩემი შეცოდების თავი და ბოლო. სიტყვა-პასუხი შევახე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს, მშვიდობიანის დროს შესაფერს, მოკლებული ვარ, რადგან მასაქვით, შეიდი წლისა რაც-კი შევიქვენ, დღევანდელ დღემდე, გარდა ამ ცხრის თუ ათი თვისა, — რაც-კი ამ მკლავთა ღონე იგრძნეს, მათთვის სანუგეარ საქმედ შექმნიით ვარჯიშობა სიომარ ველზე. არა ვიცი-რა ამ დიდებულ ქვეყნის ბრუნვისა, რაც-კი ბრძოლას და ვაეკაცობას არ შეეხება და, ვგონებ, ჩემს თავს დამცველად ვერ გამოვადგები; მაგრამ თუ კი თქვენ მოთმინებას და ნებას დამართავთ, მე სიყვარულის ზრდას მოვითხოვთ თავით ბოლომდე უზარალო ვნით და სიტყვების შეუხამებლად. მოვითხოვთ, რაკი მაპარალებენ, თუ რა წამლებით, როგორის გრძნებით, რა თილისმით ან ჯადოსნობით შეეძელ მე მაგის ქალიშვილის გულის მოკება“.

„თუნდა მთელ ხანას, ყოველ ჯარისკაცს თუნდ ცალცალკე ვეგმნა იგი,



იმის ტებლ სხეტლს შეხებოდა, — მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა-რა. აწ-კი მშვიდობით საუკუნოდ, სულის სიმშვიდევ, მშვიდობით, ჩემი მზიარულო კმაყოფილებაჲ?! მშვიდობით, სპანო ჯიღოსანნო, დიდნო პიძოლანო, თავმოყვარების სათნოებად ვარდამქცევლნო! მშვიდობით ჩემი თავმოქონე ცხენის ჭიბენო, გულის აღმქერელო დაფდაფებო, ბუკის მკეთრო ხმაჲ, ყურთა გამგმირო სალაძერო, სამეფო დროშაჲ, დაუდგრომლობაჲ, მლელარებაჲ დიდებულ ომთა, პიძოლის შევენებაჲ, სიამაყეჲ თვალის მიმტაცო!! ოჰ, თქვენც მშვიდობით, მანჭანანო სიყვდილის მზადნო, რომელთ ველიდან გამოქქეს ხმა სმენად საშიში, როგორც უყვადვის იუპიტრის საზარო გრგვინვა!! ოტელის ჩარხი ბედუჯულმა გადატრიალდა!!..”

„ჯერ შეიცადეთ;

ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა: მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის გამიწვევია სამსახური, — თითონ იციან; მაგრამ ამაზე არას ვაზნობ, მე ვთხოვთ მას მხოლოდ, თქვენს წერილებში რომ აღწევთ ამ ბედშეჲ ამავეს, მიწოდეთ იგი რაცა ვარ მე; ნურც რას მოუკლებთ და ნურცარაფერს მოუმატებთ გაბოროტებით. სთქვათ, იყოდა-თქო სიყვარული მან ჰემპარიტი, თუმც არაბრძნელი; ვერ სძლევდა-თქო ეჭვი ადვილად. მაგრამ რაკი გულს აუესებდნენ ეჭვიანობით, — მიალწევდა-თქო უკიდურეს მრისხანებამდე. სთქვათ მსგავსადა-თქო უგუნურის ინდიელისა შორს გადასტყორცნა მარგალიტი უძვირფასესი მთელს იმის თემზე; იმის თვალთა დამონებულთა, ტირილს არჩვეულთ, უხვად ცრემლი გადმოსდიოდათ, როგორც ფისი-თქო სამკურნალო არაბეთის ხეთ... ეს ყველაფერი აცნობეთ მათ და დიდმატეთ, რომ რიცა ერთბელ ალეპოში ოსმალი ვინმე, თავს რიდდემული, სიამაყით გულზე მოსული ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვარის სიტყვით აგინებდა, — მიესწვდი მე ველში იმ ქოტყას ძალსა, წინდაცვეთილს და დავკალ ასე“.

III. „პ ა მ ლ ე ტ ი დ ა ნ“.

„მძინვარე პიროსს, აღტურვილსა შავის ფარხმალთ, მსგავსით მის შავის განზრახვისა და შავის ღამის, რის იგი იწვა შავბედითის ხის ცხენის გვამში, — ზხლა თავისი სატურველი შიშის აღმქვრელი უფრო საზარელ სამაჯულზე გადაუცვლია. წითელი სისხლით შეღებილია თავით ფეხამდე, მამთა სისხლით, დღათ სისხლით, სისხლით ჭალ-ვაფთა, გამოწრთობილა ფოლადივით ქუჩების ცეცხლში, რომელთ წილად ხელთ მამზილებლის წვეულის შეჭით გზის განათება თავიანთის მეფის მკვლელისა. პიროს, მძინვარე ჯოჯუ-ზეთის ცეცხლით და რისხვით, თვალთ ნაპერწყლების გამომცემი, სისხლით შესერილი, ეტებს მოხეტის მამამთავრის პრიაშის კვალსა.

აგერ, მაგნო მოხუცს პრიამს. იგი ამჟამად უღონოდ კმნილი ბერძენთა გმირს ველარას აკლებს და იმის შკლავსა აღარ ერჩის ბებერი ხმალი. აგერ პიროსი მიწედა კიდევ გაყოფილი უძღურსა პრიამს, მოექნია ხმალი ძლიერად და მარტო ხმალის მიმოქნევის ქარმა, ზეილმა ღონემიხდილსა მოხუცებულს მუხლი მოჰკვეთა. ეს იგარნო თითქო ილიონმა მიყუჩებულმა, ცეცხლი მოედო მის შენობებს საძირკვლებამდე და ნგრევის ქვეამ წუთსვე პიროსს სმენა მოჰადა. აგერ მის ხმალი, რომლის დაკერას ლამობდა იგი მოხუცებულის პრიამისა ქალაჩა თავსა, თითქოს ჰაერში დაეკიდოთ. თითონ პიროსი უძრავადა დგას დახატულის მტარავლის მსგავსად, თითქო მოესპოთ მისთვის ნებაც და ძლიერებაც. მაგრამ ვით ხშირად წვიმა-აედრის და ქუხილის წინ ცასა და მიწას შეუღროება მოეფინება, ჩადგება ქარი და ღრუბელნიც დაწვნარდებიან. და ვით უეცრად საზარელი ქვეაქუხილი გააპობს ხოლმე დედამიწას, — ისე პიროსი განშურებით წააქეზა შურისძიებამ მისის საშინელ განზრახვისა ასასრულებლად. ცაქლოს ჩაქუჩი არ დაუკრავს ისე გულგრილად. როდესაც იგი მარსს უწედა მტკიცე საქურველს, ვით პრიამს ხმალი სისხლიანი დასცა პიროსმა. პოი, შენ, ბედო უნამუსო! თუ, ზეცის ძალნო, ერთად შეკრბენით და წაართვით მას ძლიერება, მიღუწ-მოღუწეთ მისის ჩარხის სოლი და ფერსო და მორგვი ზეცით დაუგორეთ, თუნდ ქვესკნელამდე".

აქვე განვიხილოთ მეორე მწვევე საკითხი. იცავს თუ არა მარაბელი ზედ-მიწევნით ორიგინალის სტრიქონების რაოდენობას ცალკეულ მონოლოგებსა და დიალოგებში? აზრის სინათლესა და დინამიურობას ხომ არ ეწირება სტრიქონთა რაოდენობის დაცვა? ან, არის თუ არა საჭირო მტკიცედ დავიცვათ სტრიქონთა რაოდენობა?

ფორმით წინასწარ განსაზღვრულ ნაწარმოებში, რათქმაუნდა, აუცილებელია სტრიქონთა რაოდენობის დაცვა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ ნაწარმოებებში ჩვენს მიერ ნახსენებ საერთო განწყობილებების შექმნას ესეც უწყობს ხელს. რათქმაუნდა, არ შეიძლება გაიზარდოს სტრიქონთა რიცხვი პუშკინის „ვეკენი ონგინში“, ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდში“ ან „ღონ-ელანში“, შექსპირის სონეტებში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“. და ყველა იმ პოეტურ კმნილებაში, სადაც მტკიცედ არის განსაზღვრული ფორმა. ამიტომ ასეთი ნაწარმოებების თარგმანებში ხშირად ცალკეული სიტყვები და ფრაზები იკარგება ხოლმე.

ყოვლად შეუძლებელია ვინმემ მოახერხოს და „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმნილ სტროფში ჩასტიოს ორიგინალის ყოველი ფრაზა, ეპიტეტი, შედარება, აზრი, სახე. ამ დროს ის მთარგმნელი იქნება გამარჯვებული, ვინც მოახერხებს და უფრო მეტს გადმოიტანს ორიგინალის ნიუანსს, ისე რომ აზრი არ დააბნელოს და მკითხველმა ყოველწუთში არ იბორძიოს.

შექსპირის პიესების, პუშკინისა და ბაირონის ღრამატიული პოემების და ზოგიერთი სხვა ნაწარმოების თარგმნისას თვითმიზნად არ უნდა გავი-

ხალათ სტრიქონების მტკიცედ დაცვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სტრიქონების რაოდენობის დაცვა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ. ვინაიდან მოების თარგმნის დროს, რომლის ავტორსაც თვითონვე არ ჰქონია განზრახული თავიდან რამდენი სტრიქონი უნდა ყოფილიყო მისი პიესის მონოლოგი, ან მისი პოემის რომელიმე თავი. მაშინ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიგინალთან დაახლოების ნაცვლად დავშორდებით ორიგინალს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სავსებით შეუზღუდველი ვიყოთ და ორიგინალის 4 სტრიქონის ნაცვლად, თარგმანში 8 სტრიქონი გაჩნდეს, როგორც ამას სწავლის ზოგიერთი მთარგმნელი და რასაც, სხვათაშორის, ძალიან ხშირად ვხვდებით „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანშიაც. ასე არც მოხდება. მხედველობაში გვაქვს ცალკეულ მონოლოგებსა და დიალოგებში სტრიქონების სიზუსტე. თუკი თარგმანი კარგი და მაღალმხატვრულია საერთო ჯამში დაახლოებით თანაბარი რაოდენობისა გამოვა სტრიქონები. საქმე ისაა, რომ ენათა თავისებურების გამო, ამასთან აზრის სინათლისათვის ზოგჯერ საჭირო ხდება სტრიქონთა რაოდენობის მცირედ გაზრდა. ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც იმავე თავისებურების გამო ორიგინალის ზოგიერთი ადგილი თარგმანში უფრო სხარტულად გამოდის სტრიქონთა შემცირების ხარჯზე და საბოლოო ჯამში თითქმის სტრიქონების თანაბარ რაოდენობას მივიღებთ. ამიტომაც, მაჩაბელი არჩევს აზრი გადმოიტანოს სრულიად ნათლად, თუნდა ამას შეეწიროს სტრიქონების რაოდენობის ზუსტად დაცვა. ავიღოთ ერთი მაგალითი „ოტელოდან“:

Emilia — A halter pardon him! and hell gnaw his bones!
 Why should he call her whore? who keeps her company?
 What place? what time? what form? what likelihood?
 The Moor's abused by some most villainous knave,
 Some base notorious knave, some scurvy fellow: —
 O heaven, that such companions thou'ldst unfold,
 And put in every honest hand a whip
 To lash the rascals naked through the world
 Even from the east to the west“.

ემილია — დეე, შეუწიოს საბრძოლველ და ჯოჯობეთმა
 დაუღრღნას ძვალნი! უნამესო რისთვის უწოდა?
 ამასთან, აბა, ვინ უნახავთ? სად, როდის, როგორ?
 ან უნამესოს რა მიუგავს?! მჯერს უეჭველად
 ატყუებს ვინმე საზიზღარი, ურცხვი არსება,
 სიყვარულითა გათხუნილი! პოი, ზეცაო,
 ახადე ფარდა ამ ავაზაკთ და მათ სასჯელად
 მიეც მართალ კაცთ სათითაოდ ზელში მითრახი,
 რომ დააშინელონ იგი ბილწნი არამზადანი,
 აღმოაჩულებთთ დაირეკონ დასავლეთამდე
 და ტყავი აჩრინ გაცხარებულ მითრახის ცემით.

აზრის სინათლესა და შინაარსის მთლიანად გადმოიტანას მაჩაბელმა აქ ანაცვალა სტრიქონების მომატება. ორიგინალის 9 სტრიქონის ნაცვლად თარგმანში, როგორც ვხედავთ, 11 სტრიქონია. ეტყობა სხვაგვარად, ვერ მოახერხა. ეს ბუნებრივია: „h e l l“ — ერთმარცვლოვანი სიტყვაა, მისი ქართული აღმკვეთი „ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი“ კი ოთხმარცვლოვანია; „halter“ — ორმარცვლოვანია, მისი ქართული შესატყვისი „სახარბიელა“ კი — ოთხ-



მარცვლოვანი და ა. შ. რომ წინასწარ შეეზღუდა მანაბელს თავი სტრიქონთა რაოდენობის დაცვით, მივიღებდით ბუნდოვან სტრიქონებს, გაუქმდებოდნენ ტექსტი, ანდა სრულიად დამახინჯდებოდა აზრი, ამოეარდებოდა სიტყვების მთლიანობა.

სამაგიეროდ ახლა ვნახით მეორე ადგილი ამავე ტრაგედიიდან:

„Like to the Pontic sea,
Whose icy current and compulsive course
Ne'er feels retiring ebb, but keeps due on
To the Propontic and the Hellespont—
Even so my bloody thoughts, with violent pace,
Shall ne'er look back, ne'er ebb to humble love,
Till that a capable and wide revenge
Shallow them up.—Now, by yond marble heaven,
In the due reverence of a sacred vow
I here engage my words“.

ო ტ ე ლ — როგორც პონტოს ზღვის ცივნი ზვირთნი, ვატაცებულნი, მისდევენ ერთ ზღას პროპონტიტს და ჰელესპონტიტსკენ, არ შეიშინებენ თავისდღეში კლება-მცირებას, — ისე მელგარნი, მოსისხლენი ზრახვანი ჩემნი უკან ვერ წავლენ, სიყვარულს არ შეუდრკებანი და შთანთქამს იმთ შურისგება ყოვლად ძლიერი! ამ მარმარილოს მსგავსად გაშლილ ცის ქვეშ ფიცს ვდებ. ვდებ წმინდა ფიცსა, შევასრულო ეს აღთქმა ჩემი“.

როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში ორიგინალის 10 სტრიქონის ნაცვლად ქართულად 8 სტრიქონი გვაქვს, ისე რომ აზრი არც გამოტოვებულია და არც ბუნდოვანი.

კიდევ ერთი მაგალითი „მაკბეტიდან“:

Macbeth—Avault! And quit my sight! Let the earth hide thee!
Thy bones are marrowless, thy blood is cold;
Thou hast no speculation in those eyes
Which thou dost glare with.

მაკბეტი — იქით! თვალთვან მიმეფარე! მიწამ ჩაგმალოს!
შენს ძვლებში ტვინი აღარ არის, სისხლი ცივი ვაქვს
და მხედველობაც აკლია შენს ბრკვევილა თვალს.

ორიგინალის 4 სტრიქონის ნაცვლად თარგმანში 3 სტრიქონია. აქაც არაფერია გამოტოვებული და შეკვეცილი.

სტრიქონთა თანაფარდობის მიხედვით ქვემოდასახელებულ ოთხ ტრაგედი-აში ასეთი სურათი გვაქვს:

ო ტ ე ლ — ორიგინალში 2670 სტრიქონია, თარგმანში — 2746, ე. ი. 76 სტრიქონით მეტი.
ი უ ლ ი ო ს კ ე ი ს ა რ ი: ორიგინალში 2222 სტრიქონია, თარგმანში — 2122, ე. ი. 100 სტრიქონით ნაკლები.

მაკბეტი: ორიგინალში 1928 სტრიქონია, თარგმანში — 2015, ე. ი. 87 სტრიქონით მეტი.

ჰამლეტი: ორიგინალში 2630 სტრიქონია, თარგმანში — 2668, ე. ი. 18 სტრიქონით მეტი.

(ყველგან ნაანგარიშეგია მხოლოდ ლექსის სტრიქონები, პროზაული ტექსტების გამოკლებით).

მხოლოდ „მეფე ლირია“ გამოწაკლისი. ამ ტრაგედიაში მონოლოგები ხშირად ერთიორადაა გაზრდილი და ეს ტექსტზეც ახდენს გავლენას. თარგმან-

ში ზშირად ჩამატებულია ეპიტეტები და ფრაზებიც კი. ეს უთუოფრეფრეფრე და აიხსნას, რომ „მეფე ლირი“ ილიასა და მანტანის პირველ... შესრულებული ახალგაზრდობის დროს.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მანტანელი იოლი გზით მიდიოდეს და არავითარ ანგარიშს არ უწევდეს სტრიქონთა რაოდენობის დაცვასა და ფრაზების ზუსტი თარგმანით ვადმოტანას. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობს მტკიცედ დაიყვას ორიგინალის სტრიქონთა რაოდენობა, მოგვეცეს სიტყვის პირდაპირი, ლექსიკონური თარგმანი. მაგრამ თუ ამით ოდნავადაც კი ბნელდება აზრი, ან იკარგება რაიმე სახე, ან შედარება, იგი უყოყმანოდ არჩევს სტრიქონების გაზრდას, სიტყვის ან ფრაზის თავისუფალ თარგმანს. იმის დასასაბუთებლად, რომ მანტანელი უდიდეს ანგარიშს უწევს ფორმას, საკმარისი იქნება მოვიტანოთ მაგალითი „ანტონიოს და კლეოპატრადან“:

„To hold you in perpetual amity,
To make you brothers, and to knit your hearts
With an unslipping knot, take Antony
Octavia to his wife“.

ხაზგასმული სიტყვები ფონეტიკურად ერთმანეთს ჰკავს. მანტანელს ასე აქვს თარგმნილი:

... რომ საუკუნოდ
დამყარდეს მშობა, მეგობრობა თქვენ ორთა შორის
და შეკიდრ კავშირით და კავშირდეთ, — ანტონიოსმა
კოლად შეირთოს ოქტავია.

როგორც ვხედავთ მთარგმნელი ცდილობს ნაწარმოებს შეუწარმუნოს ფორმალური, ამ შემთხვევაში ტექსტისათვის სრულიად უმნიშვნელო, სილამაზეც კი.

შექსპირის პიესების ერთერთი შესანიშნავი თვისება არის აგრეთვე დიალოგის საოცარი სიცხოველე და დინამიურობა. კითხულობთ მის ტრაგედიებსა და კომედიებს და არსად არ იგრძნობთ რაიმე შეფერხებას, ყველა სიტყვა, ყოველი ფრაზა გადახლართულია ერთმანეთში, მჭიდროდ ნაქსოვი, არსად არ წყდება საუბრის ძაფი. მთარგმნელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოექცეს ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს.

მანტანელი, ამ შემთხვევაშიაც შექსპირის კონგენიალია. იგი ღრმად გრძნობს სიტყვას და დიალოგის მდინარებას. მისი თარგმანებიც შეუფერხებლად იკითხება, არც აქ წყდება საუბრის ძაფი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. „რიჩარდი III“.

მარგარიტა — ... შენ დედაშენის ორსულობის ცილისწამება.
მამაშენისა სამარცხვინო შთამომავლო,
პატიოსნების დაღუკილო, ნაგლეჯ-ნაფლეთო,
ყოვლად საზიზლო...

გლოსტერი — მარგარიტა!

მარგარიტა — რიჩარდი!

გლოსტერი — რა გინდა?

მარგარიტა — მე შენ არ გიბნობ!

გლოსტერი — უკაცრავად ასე მეგონა.

რომ მაგ უწმინდურ სახელებით მე მიწოდებდი.



მარგარიტა—შენ გიწოდებდი, მერამ პასუხს როდი ველოდი.

აღარ დამაციდი მოვადევნო ამ წყევლას ბოლო?

გლოსტერი—აჲ მე ბოლო მოვადევნე, ეთქვი „მარგარიტა“.

მარგარიტა—მამ შენი წყევლა ისევ შენვე დაგიბრუნდება.

აჲ საინტერესოა ის მოვლენა, რომ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონი, ე. ი. ყველაზე დაძაბული ადგილი დიალოგში—ერთ სტრიქონს, 14 მარცვალს შეადგენს. ასე რომ არ იყოს, უსათუოდ შენეღლებოდა დიალოგის დინამიურობა და სიტხოველე.

II. „ქამლეტო“:

პორაციო—(მიმართავს აჩრდილს) მოიხარი რამე, დიღვე, დადე! მოიხარი რამე!

არსად ვაუწყა ვე, მარცელუს!

(აჩრდილი გაბზის)

მარცელუს—

მახელი დავკარა?

პორაციო—თუ არ ვაჩერდეს, დაკარა!

ბერნარდო—

აკერ!

პორაციო—

აკერ, აჲ არის!

III. „ოტელო“:

ოტელო—... მხოლოდ ამას კი მოწიწებით ეთხოვ მე თქვენგან,

რომ ჩემს შეუღლეს მისცეთ საჩუი საცხოვრებელი

ისე, ვით ჰფერობს მაგის მაღალ შთამომავლობას.

მთავარი—გსურთ თავის შამის სახლში იყოს?

ბრაბანციო—

ვგ მე არა მსურს!

ოტელო—არც მე მსურს!

დეზდემონა—

არც მე. შამიჩემის სახლში ვერ წავალ.

ეს პატარა ნაწყვეტი შეიძლება ჩაითვალოს დიალოგის ბრწყინვალე ნიმუშად, მარტო ამითაც შეიძლება დავერწმუნდეთ, რომ მაჩაბელს საოცრად ფიქიზი სმენა აქვს, რომ მისი ენა მდიდარია არა მარტო ლექსიკურად, არამედ უფრო ღრმა, მუსიკალური შეგრძნებითაც. ეს პატარა ნაწყვეტი მოგვაგონებს დიდის გემოვნებით შესრულებულ ეოკალურ კვარტეტს.

IV. მეორე ადგილი იმავე ტრაგედიიდან:

ოტელო—კასიო იყო რომ ვაგიდა ახლა აქედან?

დეზდემონა—ღიბს, ის იყო სევდიანი და გულმოკლელი

ისე, რომ თვისი მწუხარება მეც მიზიარა

და მასთან ერთად ეიტანჯებო. უბნე ახლავე.

ოტელო—ახლა ნუ, ჩემო სასურველო, საკვლავ დარჩეს.

დეზდემონა—შალე იქნება?

ოტელო—რაჲ შენ გსურს, მეც დავაჩქარებ.

დეზდემონა—ამაღამ ვახშვად შეიძლება?

ოტელო—

ამაღამ ვერა.

დეზდემონა—მამ ზეალ სადილო?

ოტელო—

ზეალ სადილად შინ არ იქნება

ჯარისკაცებთან ციხეში ვარ მე მოწვეული.

დეზდემონა—მამ ზეალ საღამოს, ან სამშაბათ დილაზე იყოს,

ან შეადღისას, ანუ ღამე... ოთხშაბათ დღით...

მაჩაბელი ზოგჯერ არ ერიდება და თარგმნაში თავის ფრაზასაც უმატებს, რომ დიალოგი ლაღად, შეუფერხებლად მიმდინარეობდეს:



თარგმანი
გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

Portia—

... Dwell I but in the suburbs
Of your good pleasure? If it be no more,
Portia is Brutus' harlot, not his wife

Brutus—

You are my true and honourable wife
As dear to me as are the ruddy drops
That visit my sad heart.

პორცია—

... ვინდა მამყოფო
არა შენს გულთან, არამედ ვარს, კარმიღამოში
ეს თუა, ბრუტოსს მამ პორცია ხასად ჰყოლია,
არა შეუღლედ.

ბრუტოსი—

ოჰ, რას ამბობ, შენა ზარ ჩემი
ტყბილი მეუღლე, გაჩენილი ჩემ საამაყოდ... (დიულის კეისარი).

აქ, ზანგასმული ფრაზა „ოჰ, რას ამბობ“, ჩამატებულია და საე-
სებით სამართლიანადაც. რა თქმა უნდა, დიალოგის დინამიურობა და სი-
ცოცხლე დაიკარგებოდა, ასე რომ ეთარგმნა მაჩაბელს:

პორცია—

ეს თუა, ბრუტოსს მამ პორცია ხასად ჰყოლია
არა შეუღლედ.

ბრუტოსი—

შენ ზარ ჩემი ტყბილი მეუღლე--

ვფიქრობთ, რომ ფრაზის ჩამატებით თარგმანმა მოიგო. რათქმუნდა, ყველ-
გან საცა კი მოგვებრიანება არ შეიძლება დავეშვათ ჩვენი სიტყვები. აქ ჩა-
მატებული ფრაზა თავისთავად იგულისხმება ბრუტოსის კილოში, ხმაში. და
რაც იგულისხმება, ის ჩაუმატა მთარგმნელმა.

მაჩაბელის თარგმანებში საინტერესოა ერთი მოვლენა. როგორც ცნობილია
შექსპირის პიესებში ხშირად გვხვდება უწყალო სიტყვები, მეტისმეტად
ტლანქი ფრაზები, ორაზროვანი და გადაკრული გამოთქმები. მაჩაბელი ასეთ
აღვილებს ზოგან ოდნავ არბილებს და ალამაზებს. სხვაგვარად არც შეიძლება.
თვით ორიგინალშიაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი სიტყვები ორაზრო-
ვანია, ე. ი. მას აქვს ორი მნიშვნელობა: ტლანქი და არა ტლანქი; უწყა-
ლო და არა უწყალო. ძნელია ქართულად ყოველთვის მოუნახო ასეთივე
ორაზროვანი და გადაკრული შესატყვისები. ავიღოთ მაგალითად „ჰამლეტი“:
ჰამლეტი ოფელიას მიმართავს: „Shall I lie in your lap?“ „lap“ ნიშ-
ნავს „კალთას“ და „მუხლს“. ჰამლეტის სიტყვა ორაზროვანია: სინამდვილეში
ის ეკითხება: „ნებას მომცემ მოვთავსდე შენს მუხლებში?“ „არა“, უპასუ-
ხებს შეშფოთებული ოფელია... „მე ის მინდოდა მეთქვა, — ეუბნება ჰამლე-
ტი, — შენს კალთაზე დავედ მეთქი თავს“ და ა. შ. მაჩაბელს ეს ასე აქვს გაღ-
მობიანილი:

ჰამლეტი—ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ქვეშ ამოვეფარო?

ოფელია—ვერა, ზელმუფის შვალთ.

ჰამლეტი—მე ვამბობ, თვე თქვენს კალთაზე დავედო მეთქი.

ოფელია—ეგ კი თქვენი ნებაა.

ვფიქრობთ ეს კარგად აქვს მაჩაბელს თარგმნილი. არ უნდა დავეციყოთ, რომ
„I a p-ს“ ორი მნიშვნელობა აქვს ინგლისურში. და მაჩაბელს რომ ეთარგმნა
თქვენს მუხლებში მოთავსდებიო, აზრის დამახინჯება იქნებოდა. ასე სხვა
შემთხვევებშიაც. მაგრამ ამჟამად ეგ არ გვაინტერესებს.



შექსპირის სხვა სახის უხერხულობანიც აქვს პიესებში და მაჩაბელი ყოველთვის ცდილობს მათ შერბილებას.

მაგალითად „კორიოლანოსში“ დედამთილი მიმართავს რძალს: *მეზღინიძე*

„If my son were my husband, I should freelier
rejoice in that absence wherein he won honour
than in the embracements of his bed where he
would show more love“.

ე. ი. ჩემი შვილი რომ ქმარი ყოფილიყო ჩემი
მაშინ სარეცელში მასთან ტრფიალსა და ხვევნა აღერსს მის საგმიროდ გას-
ტუმრებას ვარჩევდი.

მაჩაბელი თარგმნის:

„მარციოს რომ ჩემი ქმარი ყოფილიყო, საქორწინო ქვეშევრდებში მასთან
ტრფიალებით ხვევნა-აღერსს საგმიროდ გასტუმრებას ვარჩევდი“

როგორც ვხედავთ მთარგმნელმა ცვლილება შეიტანა და „შვილის“
ნაცვლად სახელი—„მარციოსი“—ახსენა. ამით, ვფიქრობთ, შეარბილა
ორიგინალის სიტლანქე. ფრაზა—„ჩემი შვილი რომ ქმარი ყო-
ფილიყო ჩემი“—უფრო ტლანქია ვიდრე —„მარციოსი რომ
ჩემი ქმარი ყოფილიყო“, მიუხედავად იმისა, რომ მარციოსი
მანაც შეილია მისი. ყოველ შემთხვევაში მკითხველსა და მაყურებელს ეს
ისე ტლანქად აღარ ხვდება ყურში.

„იულიოს კეისარში“ ანტონიოსი ამბობს:

„Blood and destruction shall be so in use,
And dreadful objects so familiar,
That mothers shall but smile when they behold
Their infants quarter'd with the hands of war“.

ე. ი. ისე შეეჩვიეთ სისხლს, ხოცვა-გლეტასა და საშინელებას, რომ დე-
დებიც კი ოთხად გაპობილი შვილების დანახვა-
ზე გაიღიმებენ.

მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

„ჩვენ შეეჩვიეთ სისხლს და ხოცვას, საშინარ ამბებს,
ისე, რომ თვითონ დედებიც კი არ შეეკრთებიან,
როს დანახვენ მათთა ნაშობთ ოთხად გაპობილთ“.

მთარგმნელმა „გაღიმება“ (smile) შესცვალა გამოთქმით—„არ
შეეკრთებიან“ და შეარბილა ორიგინალის აშკარა სიტლანქე და უხერ-
ხულობა. ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ ბევრისა შეიძლება.

„პამლეტში“ ასეთ ადგილს ვხვდებით:

„This heavy-headed revel east and west
Makes us traduced and taxt of other nations:
They clepe us drunkards, and with swinish phrase
Soil our addition“.

თარგმანში:

„შედამ მეჯლიში, სიშფერალე და დროს გატარება
უცხო ხალხთ თვალში თავსა გვერის და სახელსაც ვკრტებს.
ჩვენ გვეძახიან ლოთებს ღმ სხვას კიდევ უარესს.“

ორიგინალში პირდაპირ წერია: ლოთებს და ღორებს გვეძახიანო.

რამდენად სწორად მოიქცა მთარგმნელი ზემოთმოტანილ ორ შემთხვევაში? ეს კიდევ სადავო საკითხია. რატომღონდა მთარგმნელს არ ევალეზა მისი მშობლის და შეალამაზოს ორიგინალი, მაგრამ მაჩაბელმა, ეტყობა, ანტიკური მკვლევარების მკითხველ საზოგადოებას, ყოველშემთხვევაში, მას მოხდენილად აქვს შერბილებული ორიგინალის სიტლანქე. შესამე მაგალითში კი, ვფიქრობთ, ზედმეტი სიფრთხილე გამოუჩენია მთარგმნელს. აქ, ჯობდა პირდაპირ ეთარგმნა ფრაზა.

ზემოთ გაკვირით აღვნიშნეთ ის დიდი სიძნელე, რომელსაც შექსპირის მთარგმნელები სიტყვათა თამაშის დროს ზედებიან. შექსპირის გერმანელი და ფრანგი მთარგმნელებისათვის უფრო გაადვილებულია ეს სიძნელე, რადგანაც სიტყვათა თამაში უმთავრესად აგებულია სიტყვათა ფონეტიკურ მიმსგავსებაზე, ხოლო ეს ენები ერთმანეთის მონათესავენი არიან. მიუხედავად ამისა ყველა კალამბურის გადატანას ვერც გერმანელი და ფრანგი მთარგმნელები ახერხებენ.

სიტყვათა თამაშის მიზანი ისაა, რომ ჯერ ერთი დაჯობული და მძიმე მოქმედების შემდეგ შეასვენოს მკითხველი და მსაყურებელი. ამასთან, შექსპის გარკვეული განწყობილება, წარმოდგენა მოგვეცეს გმირის ხასიათზე და მის დამოკიდებულებაზე გარემოსთან. ამიტომ სიტყვათა თამაშის გადმოტანა სასურველია და საჭირო. ამას ღრმად გრძნობს მაჩაბელი და თუმცა ყველგან ვერა, ბევრგან ახერხებს გადმოიტანოს ქართულად კალამბურები და ზმები. თუ რა სიფრთხილით ექცევა იგი ამ საკითხს, ქვემოთმოტანილი მაგალითებით დაერწმუნდებით:

I. „იულის კეისარი“.

Antonius—Pardon me Julius! Here wast thou bay'd, brave hart...

O, world thou wast the forest to this hart:
And this indeed, o world, the heart of thee.

აქ სიტყვის თამაში აგებულია სიტყვების „hart“ და „heart“ (ერთნაირად გამოითქმის) მსგავსებაზე. hart ნიშნავს ირემს, heart—გულს. ანტონიოსი მიმართავს კეისარის გეჰს: მომიტევე იულისს, აქ მოგესიენენ მშვენიერ ირემს (hart). ქვეყანა შენ მისთვის ტყე იყავი, ის კი გული (heart) იყო შენი.

მაჩაბელმა ასე თარგმნა:

ანტონიოსი — ო, მამატიე, იულოს, აქ მოგესიენენ,

ო, აქ დაჯცეს, შემოგერტყენ, ვთ მშვენიერ შველს...

ქვენიერებაჲ ამ შველისთვის შენ ტყელ გარდიჭეტ.

ვერ მიხვდი, რომ ის იყო შენი მშველიც და მხსნელიც.

II. „რიჩარდ მესამე“.

Gloster—A greater gift than that I'll give my cousin.

York—A greater gift O, that is the sword to it.

Gloster—Ay, gentle cousin,—were it light enough.

York—O, then, I see you will part with but light gifts:

In weightier things you'll say a beggar nay.

Gloster—It is too heavy for your Grace to wear.

York—I weigh it lightly, were it heavier.



Gloster—What, would you have my weapon, little Lord?

York—I would, that I might thank you as you call me.

Gloster—How?

York—Little.

Prince—My Lord of York will still be cross in talk:—

Uncle, Your Grace knows how to bear with him.

York—You mean, to bear me, not to bear with me—

Because that I am little, like an ape,

He thinks that you should bear me on your shoulder.

გლოსტერი—მე კიდევ უფრო დიდ საჩუქარს მივეცემ ჩემს ძმისწულს.

იორკი—კიდევ უფრო დიდს? ეგ უთუოდ ხმალი იქნება.

გლოსტერი—უფრო მსუბუქი ყოფილიყო, ხმალსაც მოგცემდი.

იორკი—მსუბუქ საჩუქარს, როგორც ვატყობ, იმეტებ მხოლოდ

და ვეუბნები ცივს უარსა ძვირფასის მოთხოვნელს.

გლოსტერი—ხმალი ძალიან მძიმე არის და ვერა ზიდავ.

იორკი—ადვილად ვზიდავ უფრო მძიმეც რომ იყოს ეგე.

გლოსტერი—გამაგებინე მართლა მთხოვ ხმალს, ჩემო პაწიაა?

იორკი—დიაღ, რომ ისე დაგამადლო, როგორც მიწოდებ.

გლოსტერი—რაო, არ მესმის.

იორკი— რომ პაწიაა შენაა ვითხრა.

პრინცი—ჩემს ძმას ბაასში კინკლაობა ჩვეულებად სჭირს.

უნდა სულგრძელად აიტანო ეგ, ბიძაჩემო.

იორკი—ამიტანოს თუ ამიყვანოს? ძია, ჩემი ძმა

ორთავ დაგვცინის, შენცა და მეც. მაიმუნეებით

რომ პატარა ვარ, ვეუბნება, მხრითა ზიდელეო.

III. „ჰამლეტი“. ჰამლეტი მიმართავს პოლონიუსს:

Hamlet—My lord, you played once in the university, you say?—

And what did you enact?

Polonius—I did enact Caesar; I was killed in the Capitol.

Brutus killed me.

Hamlet—It was a brute part of him to kill so

a capital calf there.

ე. ი. მე ვთამაშობდი კეისარს და კაპიტოლში ბრუტოსმა მომკლა,—ამბობს პოლონიუსი. — მამ მართლაც ბრუტალობაა (პირუტყვობა) მისი მხრივ, რომ ასეთი კაპიტალური (დიდი) ხზო მოუტლავს...—უპასუხებს ჰამლეტი.

მაჩაბელი ასე თარგმნის:

ჰამლეტი—შენ შვანია მოთხარი, რომ უნივერსიტეტში ყოფნის

დროს სცენაზე ვითამაშნია... რასა თამაშობდი?

პოლონიუსი—მე ვთამაშობდი იულიუს კეისარს და კაპიტოლში

მომკლეს, ბრუტოსმა მომკლა.

ჰამლეტი—მამ ის ბრუტოსი სწორედ ბრუტიანი ყოფილა, რომ

მაგისთანა ჩინებელი ხზო დასაკლავად გამოუშენტნია.

„ჰამლეტის“ ეს პატარა ნაწყვეტი შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე ნიმუშად. სიტყვათა თამაშის გადმოტანის დროს ლაპარაკიც ზედმეტია ზედმიწევნით თარგმნაზე. ეს არც საეაღდებულოა. შექსპირისათვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი ბრუტოსი ბრუტალურად მოიქცა თუ ბრუტიანი იყო. მთავარი ისაა, რომ ამ ადგილას საჭიროა უსათუოდ რაიმე კალამბური, და სწორედ ისეთი, რომელიც შესაფერისი იქნება ენის ბუნებისათვის. ამ შემთხვევაში

ქართული ტექსტი ლოგიკურად უფრო გამართულია: ჰამლეტი მიმართავს პოლონიუსს: ბრუტოსი ბრუტიანი ყოფილა, რომ (ვერ დაგინახა ემწმკანქლ რამ) ასეთი დიდი ხბო მოგვლა.

ბრუტოსი

IV. ასეთივე ბრწყინვალე ადგილი იმავე „ჰამლეტიდან“ სცენა სასაფლაოზე:

I Clown—There is no ancient gentlemen but gardeners,
ditchers, and grave-makers: they hold up
Adam's profession.

II Clown—Was he a gentleman?

I Clown—A' was the first that ever bore arms.

II Clown—Why, he had none.

I Clown—What, art a heathen? How dost thou understand
the Scripture? The Scripture says, Adam digg'd: could
he dig without arms?..

სიტყვა arm-ს ორი მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს მკლავს და იარაღს, საქურველს. სიტყვის თამამიც სწორედ ამხეა აგებული. I შესაფლავე ამბობს: ადამი თავადი იყო იარაღ-საქურველი (arm) ჰქონდაო. II შესაფლავეს გაუკვირდება; მაშინ I შესაფლავე განმარტავს: ხომ გახსოვს ბიბლიაში წერია, ადამი მიწას თხრიდაო, მკლავი (arm) რომ არ ჰქონოდა, როგორღა დაამუშავებდა მიწას?!

I შესაფლავე—...ველაზე დიდი თავადები მებაღეები, მიწისმთხრელები და მესაფლავენი არიან, მათ ადამის ხელობა უჭირათ.

II შესაფლავე—მერე, ადამი თავადი იყო?

I შესაფლავე—თვდაპირველად ის გაჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც იმას ვეძრა ხელში და ბარიცა.

II შესაფლავე—სტყუი...

I შესაფლავე—ურჯულო ხომ არა ხარ, საღმრთო წერილი არ იცო? იქა სწერია ადამი მიწასა თხრიდაო. რითი გასთხრიდა თუ ბარი ხელში არა სჭეროდა.

შექსპირის პროზისათვის დამახასიათებელია უღარესი ლაკონურობა, სიმკიდრე და სხარტულობა. სხვათაშორის ინგლისურში, ენის გრამატიკული თავისებურების გამო ეს უფრო ადვილია. იქ საქმეს შველის ენებითი ფორმა, ზმნისდარი, და სხვა ზოგიერთი თავისებურებანი, რაც მომხიბლავად გამოდის ინგლისურ სასაუბრო ენაში, მაგრამ ქართული სასაუბრო ენისათვის არ არის დამახასიათებელი და ხშირად უხერხულიცაა. ივანე მაჩაბელი ახერხებს შეუნაურჩუნოს თარგმანს ორიგინალის ლაკონურობა და სხარტულობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ჰამლეტი“. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი სწორედ ამ ტრაგედიიდან:

— მონასტერში წადი, მონასტერში. რად გინდა ქვეყანაზედ ცოდვიანები გამპრავლო? იო, თუნდ მეც, არა მგონია უპატიოსნო კაცი ვიყო, მაგრამ იმდენი ნაკულევიანება მაქვს, რომ ემჯობინებოდა დედაჩემის მუცლიდან არა ეშობილიყავ. მტის-მეტად ამპარტაენი ვარ, ჯავრისგადამხდელი, პატავმოყვარე; გულში იმდენი ავი განზახვა მიტრიალებს, რომ გონებაში აღარ შეტევა, თვალით ვერ წარმომიდგენია და დროც არა მყოფნის მათ შესასრულებლად. რისთვის დაჭრებთან ჩემითანა სულღველები ცხა და დედამიწის შუა? ჩვენ ყველანი ნამღვილი მატყუარები ვართ. ნურც ერთს ნურას დავეჯერებ. წადი მონასტერში... თუ ქმარს შეირთავ, ეს სიმწარე მხოთვად გამოიჩატ-

ნებია: ყინულსაერთ რომ უმანყო იყო და თოვლსაერთ წმინდა, მაინც ცილისწამეთ არ ატყდება. გუბნები, მონასტერში წადი. მშვიდობით, თუ მაინცა და მაინცა შეიქმნება, თავ, სულელი შეირთე, თორემ ჰკვიანებს კარგად ესმით, რა სასწინელუბანს ეძიებოდა. მონასტერში წადი, წადი ჩქარა. მშვიდობით!"...

„ამ თავს ერთხელ პირში ენა, სდებია და სამღერაც შესძლება. როგორ ისერის ეს ბრიყვი მიწაზედ, თითქო პირველ კაცის-მკვლელის კაცის თავი იყოთო. ვინ იცის, იქნება ეს თავი პოლიტიკოსის თავი იყო და ეს ვარი კი როგორ უმართებულოდ ეყარობა! იქნება თავის დროზედ იგი დღეობითაინც გაბჭობას არ ერიდებოდა. არა, პირაციო?.. ანუ ერთ-ერთ კარისკაცისა, რომელიც ყოველ დღე ამბობდა: „დილა-მშვიდობისა, ხელ-მწიფეო ჩემო!“ „როგორა ბრძანდებით, ბატონო ჩემო?“ იქნება ესა და ეს დიდებული იყო და ამა და ამ დიდებულის ცხენს აჭებდა, როცა სურავი მიატოვებდა — საჩუქრად მიეღო. ესეც ხომ შესაძლებელია, პირაციო?.. და ეხლა კი ბატონ მატლებს უღუფდა, კანქმშმარო, მესაფლავეს ნიბნის სასაროლ-საადგებელი. იი, ამას ჰქვიან გარდაცულა, რომ თავლი ვტიპრიდეს და დანახვა შეგვეძლოს. ვანა ამ ძვლების პატრონი თავის ძვლებს იმისათვის უვლიდა, რომ ამ უმსგავსებს კოჭებივით ეთამაშებინათ! მე თითონ ძვლები მტკიცია, ამას რომ ვფიქრობ... აი კიდევ... იქნება ეს თავი რომელიმე ვეჟლის თავი იყო. სად არის ეხლა ამის კილოს-ვაგობა, სიტყვების რაბარუბი, ამის შევამათება, სამარ-თაღზედ ლაპარაკი და ათასი სხვა ეშმაკობა? რით აძლევს ამ წუწეს ნებას, რომ მის კანონებით სავსე თავს ტალახინი ნიჩბით ისერის და მოქმედებით შეურაცხებისათვის დავას არ აუტეხს? ან იქნება ეს ვეზბატონი თავის დროში მამულებს ჰყიდულობდა და მისდევდა კანონის მუხლებს, ვალდებულობის ქალაღებს, გარდასახადებს, თავდებებს, წამოდავებებს... მაშ ეს არის იმის გარდასახადების გარდასახადი, რომ ამისი კან-გარდახდილი თავი ეხლა მიწითა და მტკრით არის საეცე! მაშ ამის თავდებები სხვა ნახაიდობაში არ უთავდებებენ, თუ არ ამ ერთ მტკაველ მიწაში? ამას ხომ სურამ-სივანეზედ ორი ნასყიდობის წერილი კარგად დამფარავს; მთელი ამისი ეტრატები ამოღენა ყუთში ძლივს ჩაეტეოდა და თვით მფლობელსაც შეტე ადგილი არ უნდა ეკვიროს!“

— „საბრალო იორიკ! მე მახსოვს იგი, პირაციო. საყვრველი ზემარა და მშენიერი ამბების მომგონი იყო. თისჯერ მეტად უტარებდევარ თავის მზარზედ და ეხლა როგორ მუხზილება იმისი ნახვა. ლამის გული ყელში მომბეჭინოხ. იი, აქ ჰქონდა ის ტუნები, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიაკონია. სად არის ეხლა შენი შვიარულეა, შენი სიცილეკე? შენი სამღერა? ნაბერწყლები, შენის ობუნჯობისა, რაც ყველა შინაღიმეთ ავირება, ახარხარება? რატომ ეს მაინც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების კრეკა აიგდო? სად არის შენი საეცე, მოციანარი ლოყები? წადი ეხლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერ-უმარული წაითხუნოს, იმის ბოლო მაინც ეს არის. უთხარ ეს ამბავი და გაიციერ“.

მაჩაბლის მიერ თარგმნილ „შექსპირის 8 ტრაგედიიდან დგას თუ არა ყველა ერთ მხატვრულ სიმაღლეზე? ყველა ნაწარმოებს ერთნაირად თუ გააჩნია მაჩაბლისეული თარგმანის სრულყოფილება და მომზიბლავობა? ამ კითხვებს ასე შეგვიძლია ვუბასუხოთ: ყველა თარგმანი კარგია და სრულყოფილი, ყველა გადმოსცემს ორიგინალის არსს, ყველა გვაგარძნობინებს შექსპირის სიდიადეს, მაგრამ ერთნაირ მხატვრულ სიმაღლეზე არა სდგას ყველა თარგმანი.

„ოტელო“ და „ჰამლეტი“, შეიძლება ითქვას, სწორუპოვარი თარგმანებია, ამ ტრაგედიებში მთარგმნელი აღწევს ავტორის კონგენიალობას. ორივე თარგმანი ქანდაკივით ჩამოსხმულია და წინასწარ კრიტიკულად განწყობილი მკითხველიც კი ვერ აღმოაჩენს მათში მნიშვნელოვან ზადს. ზაზს ვესვამთ სიტყვა მნიშვნელოვანს, რადგანაც ამ ტრაგედიების თარგმანებშიაც შეიძლება შეგვეხედეს მცირე რამ შეუსაბამო, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არღვევს საერთო ჰარმონიას და არ შეაქვს დისონანსი მტკიცედ შექრულ სიმფონიაში.

„შემდეგ მოდის „მაკბეტი“ და „იულიოს კეისარი“, „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „რიჩარდ III“ და „კორიოლანოსი“.

„მეფე ლირი“ ცალკე დგას. იგი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მჩაბლის პირველი თარგმანია, ახალგაზრდობის დროის პირველი ცდა. ამ თარგმანიაში უსათუოდ იგრძნობა მთარგმნელთა დიდი პოეტური ნიჭი და ემოცია, მშვენიერი ენა, დიალოგის ბუნებრივობა, მაგრამ ცალკეულ შეუსაბამობას ამ თარგმანში შეაქვს დისონანსი, ირღვევა საერთო კარმონიულობა.

ჯერ ერთი, თარგმანში მეტისმეტად არის გაზრდილი სტრიქონების რიცხვი, რაც იწვევს მთარგმნელების მიერ ზედმეტი ფრაზების ჩამატებასა და ტაქტოლოგიას.

აზრი ზშირად არ არის სწორად გაგებული. მაგალითად, პირველ მოქმედებაში კორდელიაზე განრისხებული ლირი ამბობს: I loved her best, and thought to set my rest on her kind nursery— ე. ი.— მე იგი ყველაზე უფრო მიყვარდა, და ვფიქრობდი სიბერის დღენი მისი მზრუნველობისათვის, (მოვლისათვის) მიმენდო. თარგმანში კი ასე ვკითხულობთ: „მე ვე მიყვარდა ყველაზე მეტად, მსურდა ჩემი ნაშთენი დღენი შავის შვილისა აკვანხედე მე დამელია“. აქ აზრის უბრალო დამახინჯება როდია: ჩამატებული ფრაზა საესებით ცვლის ლირის ხასიათს. მეფე ლირი არაერთაარ შემთხვევაში არ იოცნებებდა თავისი შვილიშვილის აკვანი დაერწია.

ასეთ ადგილებს ბევრს ვხვდებით „ლირში“. პირველ სურათში გლოსტერი, იმის ნაცვლად რომ ორიგინალის მიხედვით თქვას,—ქალი დამსხვილდა, ამბობს: ისე დამსხვილდა, რომ წელზე ჩვეულებრივი სარტყელი ველარ წვდებოდა. (ზაზგასმული ფრაზა ჩამატებულია). ორიგინალში ედგარი ამბობს: თავი მოვიგიჟიანეო. თარგმანში — „მოვიგიჟემაჟე თავი ჩემი“. ჯერ ერთი, „მოვიგიჟემაჟე“ არ არის „მოვიგიჟიანეს“ სინონიმი. მეორეც სრულიად ზედმეტია სიტყვა ჩემი. ე. ი.— თავი მოვიგიჟიანე. ორიგინალში უბრალოდ, ძალღიწერია, თარგმანში ეპიტეტი გაუჩნდა: „ოთხფეხი ძალი“. ცალკეულ შეცდომებს რომ თავი დაეანებოთ, საერთოდ, ნაწარმოებს სიმძიმე ეტყობა და მჩაბლის სხვა თარგმანებიდან უსათუოდ განსხვავებულია. ამას გარდა აქაიქ ვხვდებით კუთხურ გამოთქმებსაც. მაგ. „მეორე შვილი რეგანაი“. ამბობს ლირი და სხვა.

პირველ მოქმედებაში კენტი მეტად სხარტულად და მძაფრად ამბობს:

„Be kent unmanfully, when Lear is mad“

თარგმანში ვკითხულობთ:

„კადნიერდები, მაგრამ ეგე შე მომეტევოს,—
იქ საცა მეფეს გზას ულობავს უგუნურება“.

პირველ სტრიქონში ზაზგასმული ფრაზა ჩამატებულია და მეორე სტრიქონიც ძალიან შორდება ორიგინალს. სინამდვილეში ასე უნდა იყოს:

„ლირი გაიფედა, და შამ კენტიც გაკადნიერეს“



ენტის მოზოდისება და განმარტება ზედმეტია, ეს არ არის ორიგინალში/და არც შეფერება მოქმედების სიტუაციას.

ღირი ამბობს:

--- While we
Unburden'd crawl toward death"

თარგმანში ვკითხულობთ:

„ჩვენ კი, მოზუნია, ტვირთისნისი, ნელ ნელა ვოვით ვაელოთ, ვიდრემდე ქვეყნის ფაშო ცვლა სიყდილს შეაყვრიდეს“.

ხაზგასმული სიტყვები ჩამატებულია მთარგმნელთა მიერ და საერთოდ სტრიქონები უფრო მოშვეებულია.

ასეთი მგაღლითების მოტანა აღნიშნული ტრაგედიდან დაუსრულებლად შეიძლება. მაგრამ, ვიმეორებო, ამ პიესის ქართულ თარგმანს შინც აქვს დიდი ემოციური ძალა, უსათუოდ მოჩანს მთარგმნელთა უდიდესი პოეტური ნიჭი და გაქანება. თარგმანის მრავალ დიალოგსა და მონოლოგს აღფრთოვანებაში მოჰყავს მკითხველი. მოვიტან ერთ პატარა მგაღლითს, სადაც მოხდენილადაა გადმოცემული ორიგინალის სილამაზე და სხარტულობა. ვანრისხებული ღირი მიმართავს კორდელიას: რამე თქვიო. კორდელია უპასუხებს:

„Unhappy that I am, I cannot heave
My heart into my mouth“.

პირდაპირი თარგმანი:

„რა უბედური ვარ, არ შემიძლია
გული პირში ამოვიტანო“.

თარგმანში ვკითხულობთ:

ღირი — სოქვი რამე მეთქი!

კორდელია — ვამე ბედურესი რა ვთქვა? არ ძალეძო
ბავთა ჩემთა გული ჩემი ზე-აღმობეჯლონ.

ან ცნობილი ადგილი:

Fortune, that arrant whore,
Ne'er turns the key to the poor-

ბედი სწორეჯ უნამესო ქალია,
ღარიბი სხავს, მდიდრის ეშხით მთვრალია.

საერთოდ „მეფე ღირის“ ქართულ თარგმანს შემდეგი გამოცემისათვის უფრო მეტი გულმოდგინებით სჭირდება რედაქცია. სასურველი იქნებოდა სპეციალური კომისიის გამოყოფაც „მეფე ღირის“ რედაქციის ვასაყეთებლად. მცირე დახვეწის შემდეგ თარგმანის ტექსტი ისეთივე მომხიბლავი იქნება, როგორც „ოტელოს“ თარგმანია. სტრიქონთა თანაფარლობა „მეფე ღირში“ ასეთია: ორიგინალში გვაქვს 2355 სტრიქონი, თარგმანში — 2818 სტრიქონი, ე. ი. 463 სტრიქონით მეტი. რა თქმა უნდა, ეს აშკარად არანორმალური მოვლენაა.

სხვა ტრაგედიებშიაც გვხვდება არასწორად გაგებული ფრაზები, ბლავგი გამოთქმები, ხანდახან ენობრივი შეცდომებიც, მაგრამ იმდენად მცირე და უმნიშვნელო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოების საერთო ჰარმონიულობას არ არღვევს.

მაგ. If thy revengeful heart cannot forgive-

თუ შენს შურიანს გულს შენდობა არ შეუძლია („რიჩარდ III“).

revengeful ნიშნავს შურისმგებელს, შურისგებით გჯავრისამომყრელს, როგორც თვითონ მაჩაბელი თარგმნის ამავე სიტყვას „ჰამლეტი“). და არა შურიანს. რათქმუნდა, აზრი იცვლება.

„ოტელოში“ ასეთ ადგილს ვხვდებით:

Emilia—I've laid those sheets you bade me on the bed.

Desdemona—All's one. Good faith, how foolish are our minds!

If I die before thee, prithee, shroud me

In one of those same sheets.

დღეღმონამ ემილიას უბრძანა ქორწინების ღამის ზეწრები გაეფინა ლოვინზე. ემილიამ შეასრულა ბრძანება და თავის ქალბატონს მოახსენა. დღეღმონას მწარედ გაეცინება და ეტყვის:—სულერთია. რა სულელები ვართ! თუ შენზე ადრე მოკვდები, იმ ზეწრებში გამხვიე.

მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

ემილია—ტანისამოსი რომ მიბრძანეთ, თქვენს ქვეშაგებზე დაწვეთ კიდევ.

დღეღმონა—მესმის, კარგი. ო, ღმერთო ჩემო,

რა უშეცარი გონება გვაქვს! გობოვ, თუ რომ შენზე

უწინ მოკვდები, ეს სამოსი ჩამაცვა მკვდარსა.

როგორც დავინახეთ თარგმანაში „ზეწრები“ „ტანისამოსით“ შეიცვალა. შეცდომა მით უფრო დიდია, თუ გავითვალისწინებთ ერთ ამბავს: მაშინ ინგლისში გავრცელებული იყო ცრურწმენა, თითქოს საქორწინო ზეწრის ლოვინზე გაფენა ქმრისაგან მიტოვებულ ცოლს ქმრის სიყვარულს დაუბრუნებდა.

ვხვდებით ასეთ არასწორ გამოთქმებსაც:

„დიდათ ვწუხვარ, რომ მოეტყუები მე ოტელოში“ („ოტელო“).

„იმ დედაკაცს სიცოცხლესთან ხელი აღარ უნდა ჰქონდეს“.

(უ. ი. ის დედაკაცო უნდა მოკვდეს—she shall not live).

„მასხარებად გაგვაკეთა შტემა ლოთობამ“ („იულიუს კეისარი“).

„არ მეგონა, რომ შენ როდესმე გავღებულს ვნახავ“

(„ანტონიოსი და კლეოპატრა“).

„ანუ დავიხსნათ, ან ჩვენც მათთან დაედოთ თავები“ („კორიოლანოსი“).

„თავებს ვეჩვენებენ“ (იქვე).

„ვეთლ კაცთა სიცოცხლე ჰქნება იმ ყვავილს ადრე,

რომელიც მით ჰქვდები ურკვიათ“ („შაკებტი“).

„ლაპარაკის დროს აქეთ-იქით თვალს ვაცეკვ;

ვიმზირებ უკან, ავთრთოდები ჩალის ფაჩუნზედ“ („რიჩარდ III“).

„ნუ, ნუ ასწავლი მაგ შენს ტუჩებს ზიზღით ყურებას“ (იქვე).

მაჩაბელი ხშირად გამოსტოვებს ან სხვა სიტყვით შეცვლის ზოლზე მიმართული სიტყვებს: Sir, lady, why და სხვა. ზოგი ამისთვის უსაყვედურებს, თითქოს ეს იყოს მომავედინებელი შეცდომა, თითქო ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს „ეპოქის სულის“ და „მატერიალური კულ-

ტურის“ გასახსნელად და სხვა. ეს არ არის სწორი. ეს სიტყვები შექმნილი არის უბრალო მიმართვის სიტყვები საუბრის დროს. საცა საჭირო არის მათი ხმარება, მაჩაბელს გამოტოვებული აქვს, ხან კი შეცვლილია მისი აზრისა და ტექსტის მიხედვით სიტყვებით: ძმად, ძმობილო და სხვა. სწორად ზოგან თუ მართლაც აქვს ამ სიტყვებს რაიმე მნიშვნელობა არა „ეპოქის სულისა“ და „მატერიალური კულტურის“ ასახსნელად, არამედ უბრალოდ, გმირების ურთიერთ დამოკიდებულების გასარკვევად, მაშინ მაჩაბელი მათ ასევე ტოვებს.

ამრიგად, ივანე მაჩაბლის უდიდესი დამსახურება თარგმნის საქმეში ისაა, რომ იგი ღრმად წვდება ორიგინალის მთავარ იდეასა და განწყობლებას. ეს განწყობილება გადმოაქვს ქართულად არა მხოლოდ სიტყვების პირდაპირი თარგმნით, არამედ შინაარსის ღრმა ანალიზით, ენის თავისებურების გათვალისწინებით.

იგი ყოველთვის ცდილობს მტკიცედ დაიცვას ორიგინალის სტრუქტურა რაოდენობა, მოძებნოს სიტყვათა პირდაპირი შესატყვისი. მაგრამ მაჩაბელმა იცის, რომ ხშირად ცალკეული ფრაზის ზუსტი თარგმანი იწვევს აზრისა და განწყობილების დამახინჯებას, ამიტომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს აზრისა და განწყობილების გადმოტანას, აზრის თარგმნას.

მაჩაბელი ახერხებს შექსპირის გმირთა და სახეთა მდიდარ გალერეას შეუნარჩუნოს ორიგინალის დამაჯერებლობა და მომხიბლავობა, აამეტყველოს გმირები თავისი ენით, დაიცვას თითოეულის მეტყველების სტილი და მანერა.

მაჩაბელი რეალისტია. მისი თარგმანებისათვის დამახასიათებელია აზრის სინათლე და მკაფიობა. იგი ყოველთვის ცდილობს ორიგინალის ბუნდოვანი ფრაზაცია თარგმანში ნათელი გახადოს. ამას ხელს უწყობს ორივე ენის (ქართულისა და ინგლისურის) ღრმა ცოდნა, საოცარი ალღო და ნიუანსების შეგრძნების უნარი. ამიტომაცაა, რომ მისი თარგმნილი პიესები არ ტოვებენ თარგმანის შთაბეჭდილებას. თავისუფალი ელერადობისა და მდინარების წყალობით ისინი ორიგინალურ ნაწარმოებებს მოგვაგონებენ. მაჩაბლის დიდი როლი არის უაღრესად ცოცხალი და დინამიური; პროზაული ადგილები — ლაქონური.

მაჩაბელი ბევრგან ძალიან მარჯვედ და მოხდენილად ახერხებს ე. წ. სიტყვათა თამაშის გადმოტანას. საერთოდ ცდილობს თარგმანს შეუნარჩუნოს ორიგინალის ყოველგვარი თავისებურება, მაგრამ როდესაც ვერ ხერხდება ეს და ორში ერთი უნდა გაიწიროს: აზრი ან ფორმა, იგი უფრო ადვილად მეორეს ამტეტებს მაჩაბელი ბრძანდ არ მისდევს ორიგინალს — ის არის ნამდვილი შემოქმედი, ავტორის მეტოქე და ხანდახან კონგენიალიც.

მით უფრო დიდია მაჩაბლის დამსახურება თუ გავითვალისწინებთ, რომ შექსპირის „კილოს გამოჩახვა“ გაუქვირდათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მწერლებს. და, ეიმეორებთ, მაჩაბლის თარგმანები არ ჩამოუვარდებიან შექსპირის ყველაზე ცნობილ თარგმანებსაც კი.

მაჩაბლის ენის შესანიშნავი თავისებურება არის ხალხური და სალიტერატურო ენის ოსტატური შერწყმა. ამას იგი ახერხებს დიდის ვირტუოზობით და ისე ოსტატურადაა ნაქსოვი ამ ორი მთავარი ძაფის ქსოვილი, რომ შეუძლებელია გაატარო მათ შორის ზღვარი. ამ მხრივ ჩვენ იგი შეგვიძლია შევაღაპროთ მეორე დიდ ქართველ ოსტატს ხალხურისა და კლასიკურის შერწყმისას — ზაქარია ფალიაშვილს.

მაჩაბლის თარგმანებში გვხვდება ზოგიერთი უხერხულობა, შესაბამისად გმოთქმა, დედანის არასწორი გაგება, მაგრამ ეს ოდნეადაც ვერ აყენებს ჩრდილს მათ საერთო მომზიბლაეობას. შემდეგი გამოცემისათვის უნდა დაქტორმა უნდა გაითვალისწინოს ეს და ძალიან მოკრძალებით მოეჭყოს თარგმანის ტექსტს.

დაუფასებელია ივანე მაჩაბლის დამსახურება ქართული სცენის წინაშე, მაგრამ არ შეეჩერდებით ამაზე. ეს არ შეადგენს ჩვენი წერილის თემას. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი რამ: მაჩაბლის დამსახურება ქართველი მკითხველისათვის შექსპირის რამდენიმე ტრაგედიის გაცნობით არ განისაზღვრება. ივანე მაჩაბელს თავის დიდ თანამედროვე მწერლებთან — ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, უდიდესი დეაწლი მიუძღვის ახალი ქართული ენისა და ქართული ლექსის განვითარების საქმეში.

დ. მაისკაძე

საბჭოთა კავშირის სამედიცინო საგარეო პოლიტიკა

★

მარქსმა და ენგელსმა, „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ დაგმეს ექსპლოატატორული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა და განსაზღვრეს ის მიზნები, რომლებსაც ისახავს მუშათა კლასი საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ავტორებმა აღნიშნეს, რომ სოციალისტური წყობილების დამყარება ძირფესვიანად შეცვლის არა მარტო ადამიანების ურთიერთობას ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ ხალხთა ურთიერთობასაც.

„იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი ინდივიდუუმის ექსპლოატაცია მეორის მიერ, მოისპობა ერთი ერის ექსპლოატაცია მეორის მიერ.

ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი“.

ისტორიის მსვლელობამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა „კომუნისტური მანიფესტის“ ეს დებულება. ბურჟუაზიულ მთავრობათა და დიპლომატთა მოქმედებამ, მათ მიერ განადებულმა მრავალრიცხოვანმა დაპყრობითმა ომებმა მკაფიოდ გამოამჟღავნეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ნამდვილი ბუნება.

მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში მარქსი და ენგელსი ცდი-

ლობდნენ შეევიარალებინათ პროლეტარიატი ექსპლოატატორულ სახელმწიფოთა ყაჩაღური ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინმა და სტალინმა განავითარეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმის პირობებში.

ლენინმა ღრმა ეკონომიური და ისტორიული ანალიზის საფუძველზე გამოავლინა კაპიტალიზმის იმპერიალისტური სტადიის არსი, იმპერიალისტური ექსპანსიის, მტაცებლობისა და ომების ეკონომიური და სოციალური საფუძველები.

მილიტარიზმი, რეაქცია, აგრესია, ანექსია ლენინური ანალიზის მიხედვით არ არის შემთხვევითობა, „ცოდვა“, ავადმყოფობა, რომელიც შეიძლება განკურნო ტკბილი პაციფისტური რეცეპტებით, არამედ წარმოადგენს კაპიტალიზმის თანდაყოლილ თვისებას მის იმპერიალისტურ სტადიაში.

ლენინმა მონობოლისტური კაპიტალიზმის წინაპერიოდი დაახასიათა როგორც კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების ეპოქა. ფეოდალიზმზე გამარჯვების შემდეგ კაპიტალიზმს შესაძლებლობა ჰქონდა მშვიდობიანად განვითარებულიყო და გაფართოებულიყო ჯერ კიდევ დაუნაწილებელი კოლონიური ტერიტორიების ხარჯზე. XIX საუკუნის დასასრულს

და XX საუკუნის დასაწყისში „ამ ეპოქამ განვლო საშუალოდ, იგი შეცვალა შედარებით ბევრად უფრო თავაწყვეტილმა, ნახტომებისებურმა, კატასტროფულმა, კონფლიქტურმა ეპოქამ“. (ლენინი. თხზ., ტ. XVIII, გვ. 430).

თუ XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე განვიღო პერიოდში წარმოებული ომებით დამთავრდა ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისათვის, 1914—1918 წ. წ. ომი იყო ბრძოლა უკვე დანაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის.

ამ ომის პერიოდში სოციალ-შოვინისტები ავრცელებდნენ ზღაპარს „უკანასკნელი ომის“ შესახებ. ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ბოლშევიკური პარტია ასწავლდნენ მასზე, რომ ომი, რომელიც მაშინ წარმოებდა, იყო უსამართლო, მტაცებლური იმპერიალისტური ომი. „თუ რამდენიმე წარმატებული რევოლუცია არ მოხდა, ამ ომს სხვა ომები მოჰყვება — ზღაპარი უკანასკნელ ომზე უშინაარსო, მავნებელი ზღაპარია, მეშინაური „მითოლოგია“ (ლენინი. თხზ., ტ. XVIII, გვ. 84). ლენინი წერდა, რომ 1914—1918 წ. წ. ომი იყო ყველაზე რეაქციული ომი. იგი იყო ომი თანამედროვე მონათმფლობელებისა კაპიტალისტური მონობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოების არნახულმა კონცენტრაციამ გამოიწვია ის, რომ მონოპოლიების საწარმოო სიძლიერემ გაცილებით გადააჭარბა ეროვნული ბაზრების ჩარჩოებს. მონოპოლიები ცდილობენ ვასაღების ახალი ბაზრების დაპყრობას, ნედლეულის მსოფლიო წყაროების ხელში ჩაგდებას. ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. კაპიტალის გაძლიერებულ ექსპორტს შედეგად მოჰყვა ჩამორჩენილი, დამოკიდებული და ნახევრადდამოკიდებული ქვეყნების ეკო-

ნომიური ანექსია. მსოფლიოს დანაწილების დამთავრების შემდეგ მსოფლიო ხალი განაწილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამხედრო შეჯახებათა საშუალებით. იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია ის, რომ მთელ მსოფლიოში ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მცირე ჯგუფმა.

„მონოპოლიები, ოლიგარქია, ბატონობისაკენ მისწრაფებანი თავისუფლებისაკენ მისწრაფებათა ნაცვლად, ერთი მუქა უმდიდრესი და უძლიერესი ერების მიერ ბატარა და სუსტი ერების სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის ექსპლოატაცია, ყოველივე ამან წარმოშვა იმპერიალიზმის ის განმასხვავებელი თვისებანი, რომლებიც გვიძღულებენ დეახასიათოთ იგი როგორც პარაზიტული ან ლობადი კაპიტალიზმი“ (ლენინი. „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, გვ. 149).

ლენინიზმი არა მარტო განმარტავს ომების წარმოშობის საერთო მიზეზებს და მათს აქცილებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში. ლენინის მიერ აღმოჩენილმა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონმა ნათლად დაგვიანახვა თანამედროვე ეპოქაში ომების წარმოშობის მექანიზმიც.

„კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკე მეურნეობათა და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარების თანაბარი ზრდა. კაპიტალიზმის დროს დრო-და-დრო დარღვეული წონასწორობის აღდგენის სხვა საშუალებანი შეუძლებელია, თუ არა კრიზისები მრეწველობაში და ომები პოლიტიკაში“. (ლენინი. თხზ., ტ. XVIII, გვ. 279).

იმპერიალიზმის ლენინური მოძღვრება განაგრძობს, განავითარებს და ახალ საფეხურზე აიყვანა ამხანაგმა სტალინიმ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „იმპერიალიზმი არის კაპიტალის ვატა-

ნა ნედლეულის წყაროებთან, გამშავებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლიურად დაპატრონებისათვის, ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ბრძოლა, რასაც განსაკუთრებული მჭვინვარებით აწარმოებენ ახალი ფინანსიური ჯგუფები და სახელმწიფოები, რომელნიც ეძებენ „ადგილს მზის ქვეშ“, ძველი ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც მაგრად ჩაბლა-უჭებიან ნადავლს. ეს გამშავებული ბრძოლა კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფს შორის იმ მხრივ არის შესანიშნავი, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს, ომებს სხვისი ტერიტორიის დასაპყრობად“. „(ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც., გვ. 4).

1926 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის VII გაფართოებულ პლენუმზე წაკითხულ მოხსენებაში „კიდევ ერთხელ სოციალ-დემოკრატიულ გადასარაზე ჩვენს პარტიაში“ ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმის პერიოდში არათანაბარი განვითარების კანონი ნიშნავს ერთი ქვეყნის ნახტომისებურ განვითარებას მეორესთან შედარებით, მსოფლიო ბაზრებიდან ერთი ქვეყნის მიერ მეორის განდევნას, უკვე დანაწილებული მსოფლიოს პერიოდულ გადანაწილებას სამხედრო შეტაკებათა საშუალებით, იმპერიალიზმის ბანაკში კონფლიქტების გარღვევას და გაძლიერებას, მსოფლიო კაპიტალიზმის ფრონტის დასუსტებას, ამ ფრონტის გარღვევის შესაძლებლობას ცალკეული ქვეყნების პროტექტორების მიერ, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

სტალინური დებულება მსოფლიო ომების გამომწვევი კაპიტალისტური სისტემის კრიზისების შესახებ ახალი საგანძურია მარქსისტულ-ლენინურ თე-

ორიაში, იმპერიალიზმისა და ომის მფხველების ლენინურ მოძღვრებაში. თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1926 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„მარქსისტებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა შეიცავს საერთო კრიზისისა და სამხედრო შეტაკებათა ელემენტებს, რომ ამის გამო მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარება ჩვენს დროში ხდება არა თანდათან და თანაბარი წინსვლის სახით, არამედ კრიზისებისა და სამხედრო კატასტროფების გზით. საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა დროთა მსვლელობაში ჩვეულებრივ იწვევს წინასწორობის მკვეთრ დარღვევას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში, ამასთან კაპიტალისტური ქვეყნების ის ჯგუფი, რომელსაც თავისი თავი ნედლეულითა და გასაღების ბაზრებით უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილად მიაჩნია, ჩვეულებრივ ცდილობს შეცვალოს მდგომარეობა და „გავლენის სფეროები“ გადანაწილოს თავის სასარგებლოდ — შეიარაღებული ძალის გამოყენების გზით. ამის შედეგად წარმოიშობა კაპიტალისტური საყაროს გათიშვა ორ მტრულ ბანაკად და ომი მათ შორის... ამრიგად, მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისის შედეგად წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი, ხოლო მეორე კრიზისის შედეგად წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი“.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის დასაბამი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა და ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში. პირველი მსოფლიო ომი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამოხატულება იყო, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო დაასუსტა კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი, როგორც ამხანაგ

სტალინი მიუთითებდა თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას პოვლობს შემდეგში: 1. კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ყოველშემცველ სისტემას, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობს სოციალისტური სისტემა, რომელიც თავისი არსებობის ფაქტით ცხადყოფს კაპიტალიზმის სიღამპლეს, არყვეს მის საფუძვლებს. 2. შერყეულია იმპერიალიზმის საფუძვლები კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; ამ ქვეყნებში გაჩნდა და გაიზარდა თავისი საკუთარი ნორჩი კაპიტალიზმი, რომელიც, წარმატებით უწყევს მეტოქეობას ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს. 3. კაპიტალისტური მეურნეობა განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს განიცდის საწარმოთა ქრონიკული დაუტეირთაობის და უშუშვერობის ზრდის გამო.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებას და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში შედეგად მოჰყვა ახალი პერიოდის დაწყება საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს პერიოდი ხასიათდება ორი მთავარი მომენტი: პირველი — ორი დაპირისპირებული სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თანაარსებობა, ურთიერთობა და ბრძოლა. მეორე — კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობათა გაძლიერება, რამაც კაცობრიობა მიიყვანა ახალ მსოფლიო ომამდე.

1936 წლის 1 მარტს რთი პოეარდთან საუბარში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ოქვენ გახსოვთ როგორ წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომი. იგი წარმოიშვა მსოფლიოს ხელახალი განაწილების სურვილის გამო. ახლა იგივე სარჩული არსებობს. არიან კაპიტალისტური სახელმწიფოები. რომლებიც მოტყუებულად თვლიან თავს გავლენის სფეროების, ტერიტორიების, ნედლე-

ულის წყაროების, ბაზრებისა და სხვათა ხელახალი განაწილებურ მომუშავედ რომლებსაც სურთ ისე გზავნიან მათსა წაწილონ ისინი თავის სასარგებლოდ. კაპიტალიზმი თავის იმპერიალისტურ ფაზაში ისეთი სისტემაა, რომელსაც ომი მიაჩნია საერთაშორისო წინააღმდეგობათა გადაჭრის კანონიერ მეთოდად, კანონიერ მეთოდად თუ იურიდიულად არა, არსებითად მაინც“.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონმა განსაკუთრებით იჩინა თავი პირველ და მეორე მსოფლიო ომების შუა პერიოდში. ნათელი გახდა, რომ გერმანიაში ნაცისტების სისტემით დაკანონებული პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალთა თანაფარდობა მეტად ხანმოკლე და არამტკიცე აღმოჩნდა.

1919 — 1923 წლებში ანტანტის სახელმწიფოები გერმანიის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ცდილობდნენ ავსტრია-გერმანიის ბლოკზე თავიანთი გამარჯვება განემტკიცებინათ გერმანიისა და მისი მოკავშირეების ტერიტორიული, სამხედრო და ეკონომიური დასუსტებით, მაგრამ გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის შინაგან წინააღმდეგობათა არსებობა ხელს უშლიდა ამ ამოცანის განხორციელებას. ინგლისის მთავრობა შიშობდა არ გაძლიერებულიყო მისი მოკავშირე საფრანგეთი. ამიტომ იგი არც იმას ცდილობდა, რომ გერმანიის ზუსტად შეესრულებინა სარეპარაციო ვალდებულებანი და არც იმას, რომ გერმანიის ნამდვილად განიარაღებულიყო. ამ ნიადაგზე ღვივდებოდა დიპლომატიური ბრძოლა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. გერმანიის ეკონომიურად წელში გაიშარათა ინგლის-ამერიკის სესხებისა და კრედიტ-

ბის საშუალებით. რეპარაციების ხის-ტემა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა მოსპო. გერმანია, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით დროებით ამოშლილ იქნა „დიდი სახელმწიფოების“ სიიდან, მალე გაძლიერდა, დაეწია და გაუსწრო გამარჯვებულ სახელმწიფოებს.

საფრანგეთი ვეროპეს სამხედრო ჰეგემონის პრეტენზიას აცხადებდა. მაგრამ მას ამკარად არ ძალუძდა შეესრულებინა ვერსალის ზავის ერთადერთი სამხედრო გარანტიის როლი, უდიდესი დისტანცია არსებობდა საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურ პრეტენზიებსა და მის ეკონომიურ სიძლიერეს შორის.

1930 წლისათვის გერმანიამ გაუსწრო ინგლისს საქონლის მსოფლიო ექსპორტში.

1929—1933 წლებში მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია ის, რომ რეაქციულმა ბურჟუაზიამ კრიზისიდან გამოსვლის საშუალებად მიიჩნია ქვეყნის ფაშიზაცია და ახალი ომის გაჩაღება.

მეორე მსოფლიო ომის გამოწვევი მიზეზები არსებითად იგივეა, რაც პირველი მსოფლიო ომისა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ, როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, მეორე მსოფლიო ომი პირველის ასლია.

კაპიტალისტური სისტემის მსოფლიო მეურნეობის მეორე კრიზისი გაცილებით უფრო ღრმა იყო, ვიდრე პირველი. იგი წარმოიშვა მსოფლიოს ორ მობირდაპირე ბანაკად დაყოფის, კაპიტალიზმის დასუსტებისა და სოციალიზმის გაძლიერების ვითარებაში. მეორე მსოფლიო ომი გაცილებით გამძაფრებული, ხანგრძლივი და ყოველისმომცველი იყო, ვიდრე პირველი.

1914—1918 წ. წ. ომში მონაწილე მეომარი ქვეყნების მოსახლეობა შეადგენდა 1.050 მილიონ კაცს, ანუ დედამიწის მოსახლეობის 50 პროცენტს.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების მოსახლეობა შეადგენდა 1.700 მილიონ კაცს, დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტის პოზიცია ეკავა 17 ქვეყანას, რომლებიც 170 მილიონ მოსახლეობას ითვლიდნენ. მეორე მსოფლიო ომში კი ნეიტრალური დარჩა (და ისიც ფორმალურად) მხოლოდ 6 ქვეყანა 56 მილიონი მოსახლეობით.

პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მეორე მსოფლიო ომის ხანგრძლივობა კი განისაზღვრება 6 წლით. თუ ამას დავემატებთ იმ პერიოდის ომებსაც, რაც ევროპის მთავარი ქვეყნების ომში ჩარევამდე, ე. ი. 1939 წლის 1-ლ სექტემბერამდე წარმოებდა, მაშინ გამოვა, რომ მეორე მსოფლიო ომი 10 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

1914 — 1918 წ. წ. ომში მობილიზებულითა საერთო რიცხვი შეადგენდა 73 მილიონ კაცს. 1939 — 1945 წ. წ. ომში კი მობილიზებული იყო 110 მილიონი კაცი.

პირველი მსოფლიო ომი წარმოებდა შედარებით შეზღუდულ პლაცდარშზე. საომარი მოქმედების სფერო არ შეეხებია მთელ აფრიკას, მთელ აზიას — მცირე აზიის სანაპირო ზოლის გამოკლებით, დასავლეთ ნახევარსფეროს, წყნარ და ინდოეთის ოკეანეებს. მეორე მსოფლიო ომის პლაცდარშად კი გახდნენ უკლებლივ ყველა კონტინენტები, ყველა ზღვები და ოკეანეები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხრეთ ყინულოვან ოკეანეს.

ომი წარმოადგენს პოლიტიკის გაგრძელებას, მხოლოდ სხვა საშუალებებით. ომის ხასიათი განისაზღვრება საერთო ისტორიული ვითარებით, მოცემული ომის დამოკიდებულებით მსოფლიო პროგრესის, ცივილიზაციის საქმესთან, იმით, თუ რა მიზანს ისახავს

ომი, რომელი კლასების ინტერესებისათვის წარმოებს იგი.

პირველი მსოფლიო ომი იმპერიალისტური იყო ორივე მემოარ დაჯგუფებათა მხრივ. ეროვნულ — განმათავისუფლებელი ბრძოლის ცალკეული მომენტები პირველი მსოფლიო ომის დროსაც იყო (ბელგიის ომი გერმანიის წინააღმდეგ, სერბულთა ბრძოლა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ), მაგრამ ეს მომენტები უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი იყო მთელი ომის მსვლელობასთან შედარებით. მათ არ შეეძლოთ განესაზღვრათ ომის საერთო ხასიათი. მთავარი ის იყო, რომ ამ ომში ორივე იმპერიალისტური დაჯგუფება იბრძოდა თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებისათვის.

მეორე მსოფლიო ომი პირველისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ახალი ისტორიული ვითარებით, იმით, რომ მსოფლიოში არსებობს უდიდესი პროგრესული ძალა — საბჭოთა კავშირი. პიტლერული გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ მეორე მსოფლიო ომი ანტიფაშისტური, სამართლიანი, განმათავისუფლებელი გახდა ანტიპიტლერული კოალიციის მხრივ, ხოლო უსამართლო, ყაჩაღური, დაპყრობითი — ფაშისტი აგრესორების მხრივ.

ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ ზღვარი გააწვავა რეაქციულ ძალებსა და პროგრესულ ძალებს შორის. საბჭოთა კავშირი გახდა ანტიპიტლერული კოალიციის წამყვანი ძალა, რომელმაც გაანადგურა ფაშისტი აგრესორები დასავლეთში და აღმოსავლეთში. მთელ მსოფლიოში გაიზარდნენ დემოკრატიის ძალები, გაიზარდა ორგანიზებულიობა და შეგნებულიობა მუშათა კლასისა, რომელიც ბევრ ქვეყანაში უკვე სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე.

მეორე მსოფლიო ომი დემოკრატიული ბანაკის გამარჯვებით დამთავრდა,

მაგრამ აღმოფხვრილი არ არის ის არსებობის ეკონომიური გრძელმიმდევრული მიზეზები, რომლებიც მსოფლიო ომებს იწვევენ. კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის მოქმედება კიდევ უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად.



„მეფის რუსეთი, — წერს ამხანაგი სტალინი, — იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი, არა მარტო იმ აზრით, რომ იგი თავისუფლად უშვებდა უცხოეთის კაპიტალს, რომლის ხელშიც იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორცაა სათბობი და მეტალურგია, არამედ იმ აზრითაც, რომ რუსეთს შეეძლო დასავლეთის იმპერიალისტების სასარგებლოდ გამოეყენა მილიონობით ჯარისკაცები. მოიგონეთ რუსეთის 12-მილიონიანი არმია, რომელიც სისხლს ღვრიდა იმპერიალისტურ ფრონტებზე ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა უზარმაზარი მოგების უზრუნველსაყოფად.

შემდეგ ცარიზმი იყო არა მარტო მოდარაჯე ქოფაკი იმპერიალიზმის აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ იგი იყო აგრეთვე დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტურაც, რათა პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და ბრიუსელში აღებული სესხებისათვის ასეული მილიონობით პროცენტი აეფცქენა მოსახლეობისაგან.

ბოლოს, ცარიზმი დასავლეთის იმპერიალიზმის უერთგულესი მოკავშირე იყო თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. გაყოფის საქმეში. ვინ არ იცის, რომ ცარიზმი იმპერიალისტურ ომს აწარმოებდა ანტანტის იმპერიალისტებთან კავშირში, რომ რუსეთი ამ ომის არსებობის ელემენტს წარმოადგენდა“ („ლენინიზმის საკითხები“. გვ. 6, მე-11 გამოც.).

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთმა დაკარგა ის დამოუკიდებელი ხაზი საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც წარსულში ატარებდა, და იგი ინგლისისა და საფრანგეთის დამხმარე რეზერვი გახდა. მეფის რუსეთის საერთაშორისო როლის ეს შეცვლა ამომწურავად არის განხილული ლენინისა და სტალინის პროგნოზში, რომლებმაც დაგვანახვეს, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში მეფის რუსეთის საერთაშორისო მნიშვნელობისა და წონის დაკემის მიზეზი მდგომარეობს რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩამორჩენილობაში.

მეფის მთავრობა და ბურჟუაზია განსაკუთრებულ ლაქიობას იჩენდნენ მოკავშირეების წინაშე, მთელი მონდობებით—იცავდნენ მათ ინტერესებს. 1914 წელს გერმანიის წინააღმდეგ რუსეთის არმიის შეტევა საფრანგეთის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის სარდლობამ გადაარჩინა პარიზი, მაგრამ დალუპა თავისი ორი არმია. რუსეთის არმიების გმირული ბრძოლა 1915 წელს, რუსეთის არმიების შეტევა 1916 წელს ბრუსილოვის სარდლობით იმითომ წარმოებდა, რომ ესხნათ მოკავშირეები, შეემსუბუქებინათ ფრანგების კრიტიკული მდგომარეობა ვერდუნთან, გადაერჩინათ იტალია და ა. შ. მოკავშირეებისაგან მიღებულ მილიარდიან სესხებს ცარიზმი თავისი მილიონობით ქვეშევრდომის სისხლით იხდიდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ იმის სრული უუნარობა გამოიჩინა, რომ მოკავშირეებთან შეთანხმების დადებისას ელაპარაკა, როგორც სწორს სწორთან. იგი დათანხმდა რუსეთის ჯარები გაეგზავნა საფრანგეთში და სალონიკში საბრძოლველად. იგი მოკავშირეებს მონურად სთხოვდა კაბალურ სესხებს, თავისი ოქროს მარაგის ნარჩენებს კი ბედ უგზავნიდა მათ. იგი ეწეოდა პურის, სპირტის შესყიდვას და მოკავშირეებს აძლევდა. მიუხედა-

ვად ამისა, მეფის მთავრობამ ვერ შეაქვია იმას, რომ მოკავშირეებს უნდა შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობები. მათ მიერ შეიარაღებისა და საჭურველის მხრივ დახმარება მინიმალური იყო ან ძალზე დიდი დავიანებით მოდიოდა. საყოველთაოდ ცნობილია ლიდ ჯორჯის განცხადება იმის შესახებ, რომ მოკავშირეებს საშუალება ჰქონდათ შეეიარაღებინათ რუსეთის არმია და ესხნათ იგი დამარცხებისაგან 1915 წელს, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს თავიანთ ეგოისტურ მოსახრებათა გამო. მოკავშირეებმა არ შეასრულეს ვალდებულებანი, რაც ნაკისრი ჰქონდათ საომარი ოპერაციების გატარებასთან დაკავშირებით. ამის შედეგად იმის მაგიერ, რომ ომი 1916 წელს დაემთავრებინათ, მოკავშირეებმა იგი კიდევ ორი წლით გააპიანურეს.



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად აღმოცენდა ახალი, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და შექმნა ადამიანებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის ახალი ფორმები.

სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი, სახელმძღვანელო პრინციპები ლენინისა და სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. შექმნეს რა მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ლენინმა და სტალინმა ამით მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურ სახელ-

მწიფოთა საგარეო პოლიტიკისაგან. უკანასკნელისაგან განსხვავებით იგი ემსახურება არა იმპერიალისტური ჯგუფების ეგოისტურ ინტერესებს, არამედ მშრომელი მასების, მთელი ხალხის ინტერესებს.

1916 წელს სტატიაში „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“ ლენინმა იმპერიალიზმის საერთაშორისო პოლიტიკას დაუპირისპირა სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკა, „სრული დემოკრატიის“ პოლიტიკა, რომელიც მოასწავებს ერთა თანასწორობას, მათი თვითგამორკვევისა და სრული გამოყოფის უფლებას, მათი ნებაყოფლობითი, „თავისუფალი კავშირის“ პრინციპს.

სხვა სტატიაში — „მასუხი პ. კიეუსკის“ ლენინი წერდა, რომ ყველა ერის თანასწორუფლებიანობის გამოცხადება, რაც ბურჟუაზიისათვის მოტყუების საშუალება გახდა, ჩვენთვის იქნება სინამდვილე, რომელიც გააადვილებს და დააჩქარებს ყველა ერის ჩვენს მხარეზე გადმოსვლას. ლენინი მოითხოვდა ერთა შორის ნამდვილი დემოკრატიული ურთიერთობის ორგანიზაციას.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კოლონიურ ქვეყნებს. იგი მიუთითებდა, რომ სოციალისტებმა უნდა მოითხოვონ კოლონიების დაუყოვნებლივ განთავისუფლება და გაატარონ ყველა ეროვნულ და კოლონიურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირის დამყარების პოლიტიკა.

ლენინის დიდმა თანამებრძოლმა და მისი საქმის გენიალურმა განმგრძობმა ი. ბ. სტალინმა მეცნიერულად დაამუშავა მარქსისტული მოძღვრება ერის შესახებ და ეროვნული საკითხი საერთოდ. ამხანაგ სტალინის შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც 1913 წელს გამოვიდა, ბოლშევიზმის თეორია და პროგრამა გახდა ეროვნულ საკითხში. მასში ზუსტად არის განმარ-

ტებული პარტიის პოლიტიკა ერთა ურთიერთობის საკითხში.

„თვითგამორკვევის უფლება“ — ერს შეუძლია მოეწყოს თავისი სურვილისამებრ. მას უფლება აქვს მოაწიოს თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძველზე. მას უფლება აქვს ფედერაციული ურთიერთობა დაამყაროს სხვა ერებთან. მას უფლება აქვს საესვლით გამოიყოს. ერი სუვერენულია და ყველა ერი თანასწორუფლებიანია“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 334).

ამხანაგმა სტალინმა შეავსო და განავითარა მარქსის მოძღვრება ექსპლოატატორული კლასების მიერ ქვეყნის შიგნით განხორციელებული ჩაგვრისა და საერთაშორისო ჩაგვრის პოლიტიკას შორის კავშირის არსებობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა განმარტა აგრეთვე ეროვნული თვითგამორკვევის მნიშვნელობა ერების გაერთიანებისა და თანამშრომლობის საქმეში.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა დიპლომატიის ყველა უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური აქტი ხორციელდებოდა სტალინის გენიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის სტალინური საგარეო პოლიტიკა თავის ძირითად ამოცანას ხედავს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში, იმპერიალისტების თავდასხმისაგან ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფაში. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა იბრძვის საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი პირობების შექმნისათვის, რომელიც ჩელს შეუწყობენ სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებას და სოციალიზმიდან — კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას.

მაშასადამე, საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების პოლიტიკა, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნების პოლი-

ტიკა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების მტკიცედ დაცვის პოლიტიკა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა მტკიცე და მეცნიერულად დასაბუთებულია. იგი პრინციპული და ტაქტიკურად ბრძნულია.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ითვლისწინებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და იყენებს მათ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლაში.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და დემოკრატიული სახელმწიფოა, იბრძვის საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიული პრინციპების ბოლომდე და თანამშვიდობურად გატარებისათვის, გადაჭრით ილაშქრებს იმპერიალისტური ომებისა და აგრესიის წინააღმდეგ, შეუდრეკელად იბრძვის ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და თანაცხოვრებისათვის, იცავს ყველა პატარა და დიდი ერისა და სახელმწიფოების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.



საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე. უკვე საბჭოების სრულიად რუსეთის II ისტორიულმა ყრილობამ 1917 წლის 26 ოქტომბერს მიიღო ლენინის მიერ შედგენილი დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც გადაცემულ იქნა რადიოთი, როგორც მოწოდება ყველა მეომარი ხალხისა და მათი მთავრობებისადმი.

ლენინური საზავო დეკრეტი გამობდა იმპერიალისტურ ომს. იგი იწყებოდა წინადადებით დაუყოვნებლივ დაწყე-

ბულიყო მოლაპარაკება ^{საბჭოთა} დემოკრატიული, უანგქსიო და უანგქრიბუციო ზავის დასადგენად. იმ ომის განგრობა, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — იმისათვის, რომ როგორ გაინაწილონ მდიდარმა და ძლიერმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ხალხები, მთავრობას მიანიხი უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ“.

ამ დეკრეტის ძალით გაუქმებულ იქნა საიდუმლო ხელშეკრულებები. საიდუმლო ხელშეკრულებათა შინაარსი უყოყმანოდ და დაუყოვნებლივ გაუქმებულად ცხადდებოდა.

ლენინურ საზავო დეკრეტს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დეკრეტმა საქვეყნოდ გამოაცხადა საფუძვლები საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ბურჟუაზიული საგარეო პოლიტიკისაგან. დეკრეტმა გამოაცხადა ხალხების განთავისუფლება მტაცებლური ომისაგან, ანტისახალხო დიპლომატიის მოსპობა, სხვათა მიწის დაპყრობის პოლიტიკის დაგმობა, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპის აღიარება და კაცობრიობის ისტორიაში პირველად დასახა ნამდვილი დემოკრატიული ზავის გაშლილი პროგრამა.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა მსოფლიო იმპერიალისტური ომის შეწყვეტისათვის, მაგრამ ანტანტის მიერ საზავო მოლაპარაკებაზე უარის თქმამ საბჭოთა კავშირი აიძულა სებარატული მოლაპარაკება დაეწყო გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან.

მაშინ კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალები მოითხოვდნენ არ შეწყვეტილიყო გერმანიასთან ომი. პირწავარდნილი მონარქისტები, კადეტები, ესერები და მენშევიკები ამ ომში ხედავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საშუალებას. მათი მოკავშირეები

იყვნენ ტროცკისტები და ბუხარინელები. სამშობლოს ამ საზიზღარმა მოლატარებმა გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ლენინურ-სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ. იული ტროცკიმ ჩაშალა საზავო მოლაპარაკება ბრესტში. გამცემლურად დაარღვია რა პარტიის დირექტივები, ლენინისა და სტალინის დირექტივები, მან 1918 წლის 10 თებერვალს გერმანელებს განუცხადა, რომ უარს ამბობს ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებაზე, მაგრამ საბჭოთა რუსეთი ომს აღარ აგრძელებს და ახდენს არმიის დემობილიზაციას. ამით მან ფაქტურად გერმანელ დამპყრობელებს მოუწოდა საბჭოთა ქვეყანაში შემოჭრილიყვნენ. ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა ამაზე სამინელი გამცემლობა.

ტროცკის მიერ საზავო ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმამ გერმანელ იმპერიალისტებს საბაბი მისცა შეტევაზე ვადმოსულიყვნენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. 18 თებერვალს მათ საქვეყნოდ გამოაცხადეს თავიანთი განზრახვა საბჭოთა ქვეყნის ოთხ კოლონიურ სამეფოდ დაყოფის შესახებ. ეს უნდა ყოფილიყო: უკრაინა, სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი, ველიკოროსია და ციმბირი.

მაგრამ ამო იყო გერმანელი მტაცებლების წადილი. ახლად შექმნილმა წითელი არმიის ნაწილებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობელებს. ნარვისთან და ფსკოვთან, აგრეთვე უკრაინაში წითელმა არმიამ ძლიერი დარტყმები მიაყენა მტერს და შეაჩერა მისი წინსვლა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1918 წლის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, წარმოიშვა და გამოიწროო წითელი არმია. 1918 წლის 23 თებერვალი, გერმანელი ჯარების უკუგდების დღე — წითელ არმიის დღედ გახდა.

გერმანიის მთავრობამ თანხმობა გაცხადდა საზავო მოლაპარაკების გან-

გრძობაზე. ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმდა ახალი საბჭოთა ხელშეკრულება, რომელმაც 3 მარტს ხელშეკრულებაზე ხელი შეკრულელებას.

ბრესტის ზავის პირობები მეტად მძიმე იყო საბჭოთა ქვეყნისათვის. ლენინი ამ ზავს „ბილწს“ უწოდებდა, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მიეცა მოეგო დრო საარსებო ამოცანების გადასაჭრელად, საზოგადოებრივი ურთიერთობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდასაქმნელად, ქვეყნის მეურნეობის მოსაწესრიგებლად.

ლენინი ამბობდა, ეს ხელშეკრულება ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის ძალების მოკრების საშუალებააო.

ლენინისა და სტალინის წინასწარხედვა ბრესტის ზავის პირობების ხანმოკლეობის შესახებ სულ მალე გამართლდა. 1918 წლის 13 ნოემბერს ანტანტის წინაშე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობამ გაუქმებულად გამოაცხადა.

გერმანიისთან დადებული ზავი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენიალური სტრატეგიული მანევრი იყო.

„ასეთი სტრატეგიის მიზანია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — დროის მოგება, მოწინააღმდეგის გახრწნა და ძალების დაგროვება შემდეგ შეტევაზე გადასასვლელად“ („ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცე. გვ. 74).

გერმანიისთან ზავის დადების შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენცია დაიწყო ანტანტის სახელმწიფოებმა. ამ ინტერვენციაში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და მთელი რიგი სხვა ქვეყნები.

იმპერიალისტურ პოლიტიკოსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდი ბრიტანეთის მაშინდელი სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, „საბ-

ქოთა რუსეთის უდიდესი მოქალაქე“ (ლენინი. თხზ., ტ. XXV, გვ. 102 რუს.). ანტანტის სამი ლაშქრობის მთელი პერიოდის განმავლობაში ინგლისი საბჭოთა სახელმწიფოს უბოროტეს მტრად რჩებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ მოსაზრებათა გამო ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებს თავი „მშვიდობისმოყვარეებად“ მოჰქონდათ და ინტერვენციის მოწყობაში პირველ ადგილს თავის ფრანგ კოლეგებს უთმობდნენ. ლენინი ინგლისელი იმპერიალისტების შესახებ ამბობდა: „თუ გერმანელმა ავაზაკებმა მხეცობის რეკორდი დაამყარეს თავიანთ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორებაში, ინგლისელებმა რეკორდი დაამყარეს არა მარტო გამაჩრდილი კოლონიების რაოდენობით, არამედ თავიანთი საძაგელი დახვეწილი ფარისევლობით“. (ლენინი. თხზ., ტ. XXIII, გვ. 180. რუს.).

უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა მთავრობა აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და ამასთან იყენებდა ყველა საშუალებას ინტერვენტების ბანაკის გათიშვისათვის, მათი განადგურებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ლენინი ამბობდა: „ომს მშვიდობისათვის ჩვენ განსაკუთრებული ენერჯით ვეწეოდით. ეს ომი საუცხოო შედეგებს იძლევა. ბრძოლის ამ სარბიელზე ჩვენ ყველაზე უფრო კარგად გამოვიჩინეთ თავი, ყოველ შემთხვევაში უფრო ცუდად არა, ვიდრე წითელი არმიის მოქმედების სარბიელზე“. (ლენინი. თხზ., ტ. XXVI, გვ. 7 რუს.).

ამხანაგი სტალინი 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე ამბობდა:

„საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს უკვე არა მარტო არსებობაზე, არამედ იმაზედაც, რომ განვითარდეს სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელიც შეძლებს ზეგავლენა მოახდინოს

საერთაშორისო ვითარებაზე, შესაძლებს შეცვალოს იგი მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ“. (სტალინი. მხარგრძობის სისში და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, გვ. 182).

თვისობრივად სრულიად ახალი ელემენტი შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ კოლონიური აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან. ავღანეთთან, ირანთან, თურქეთთან, ჩინეთთან დადებულმა ხელშეკრულებებმა ეს ქვეყნები გაათავისუფლეს მეფის რუსეთის მიერ თავზე მოხვეული არათანაბარი პირობებისაგან. საბჭოთა კავშირმა ამ ქვეყნებს ეკონომიური და პოლიტიკური დახმარება გაუწია.

საბჭოთა მთავრობის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების სუვერენული უფლებების აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში. საბჭოთა ქვეყანასთან მეგობრობაზე დაყრდნობით ავღანეთმა მიაღწია იმას, რომ ინგლისი იძულებული გახდა ხელი აეღო პროტექტორობაზე და ეცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა.

თურქეთმა და ირანმა მოსკეს კაპიტულაციის საძულველი რეჟიმები (თავის ტერიტორიაზე განსაკუთრებული უფლებების მიცემა უცხო სახელმწიფოებისათვის), ჩინეთმა შეძლო დღის წესრიგში დაეყენებინა მასთან უცხო სახელმწიფოების მიერ ძალდატანებით დადებული არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გადასინჯვის საკითხი. თავის პოლიტიკურ ანდერძში ჩინეთის დიდი რევოლუციონერი სუნ იატ-სენი, ლენინის სიტყვებით, „მებრძოლი და ძლევამოსილი ჩინეთის დემოკრატიის ეს წარმომადგენელი“, დაბეჯითებით მოითხოვდა ჩინელი ხალხის მკვიდრო თანამშრომლობას საბჭოთა ხალხთან, ვინაიდან ჩინეთის თა-

ვისუფლებებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა სუნ იატ-სენის აზრით „შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ჩინეთის ხალხთა მასების ამოძრავებით და მათი გაერთიანებით იმ ხალხებთან რომლებიც ჩინელ ხალხს უყურებენ, როგორც თანასწორუფლებიანებს“.

„პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, უმთავრესად ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შექმნეს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ახალი რეჟიმი. მშვიდობიანობის ომის შემდგომი რეჟიმი. ამ რეჟიმის მთავარი საფუძვლები იყო — შორეულ აღმოსავლეთში ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, ხოლო ევროპაში ვერსალისა და მთელი რიგი სხვა ხელშეკრულებანი“ (სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც., გვ. 704).

იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკა ამასთან ხელმძღვანელობდა ვიწრო კლასობრივი ინტერესებით. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების რეაქციული მმართველი წრეების დიპლომატია მთავარ საფრთხეს ხელსდებდა არა იმპერიალისტურ გერმანიაში, რომელიც გაშმაგებით ემზადებოდა რევანშისათვის; თავის ძირითად მტრად იგი თვლიდა საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც მთელი ძალებით იბრძოდა ხალხთა შორის მშვიდობის შესანარჩუნებლად და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალიზმის საფუძველზე აღსადგენად.

გენუაში და პაავაში შემდგარ საერთაშორისო კონფერენციებზე (1922 წლის აპრილი—მაისი, იენისი—ივლისი) იმპერიალისტური დიპლომატია ცდილობდა გაერთიანებული ფრონტი შეექმნა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

მაგრამ ლენინის დიპლომატიამ ნათქვამი იმპერიალისტების გეგმები, საბჭოთა დელეგაციამ უკუაგლოცა, რადგან იმერული სახელმწიფოების ცდა — საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავს მოეხევათ კაპიტულაციის რეჟიმი და აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი. 1922 წლის აპრილში საბჭოთა დელეგაციამ სრული ურთიერთ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე რაპალში ხელი მოაწერა გერმანიასთან ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება მოასწავებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ შექმნილი ერთიანი ეკონომიური ფრონტის გარღვევას.

1923 — 1929 წლების პერიოდი აღინიშნა იმით, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, დარწმუნდნენ რა საბჭოთა კავშირის ძალასა და სიმტკიცეში და იმაში, რომ მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო ნორმალური სამეურნეო და საერთაშორისო ცხოვრების წარმართვა, ზედიზედ იწყეს საბჭოთა კავშირის ცნობა. ამას მათ აიძულებდა საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედება, ფართო დემოკრატიული მასების ზემოქმედება, რომლებიც სისხლხორციულად იყვნენ დაინტერესებულნი მშვიდობიანი საერთაშორისო ცხოვრების აღდგენით. 1924 წელი იყო საბჭოთა კავშირთან კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ დიპლომატური ურთიერთობის დამყარების წელი.

საბჭოთა კავშირი უარს არ აცხადებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმებასა და თანამშრომლობაზე.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა სპ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე, — იგი არის მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. ვისაც სურს მშვიდობიანობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუ-

კერთ“ (სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც. გვ. 547).

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი წარმმართველი იდეა მკაფიოდ იყო გამოხატული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთ განცხადებაში უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისადმი. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო: „საბჭოთა კავშირს, რომელსაც არა აქვს არავითარი იმპერიალისტური მიზნები, სრულებით არა აქვს არავითარი მისწრაფება ახალი ტერიტორიებისაკენ, არასასურველად და თავისი ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგოდ მიაჩნია სხვა ხალხების დამორჩილება და მტკიცედ დგას მათი დამოუკიდებლობის ბაზაზე, არაფერი არ შეუძლია მოიგოს ომით, და მარტო ესეც საკმარისია იმისათვის, რომ იგი ერიდებოდეს ომს. ამას უნდა დაემატოს, რომ ომში ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება უხდებათ მშრომლებს და, იცავს რა შათ ინტერესებს, საბჭოთა კავშირი ყველა მშრომელთა ინტერესების საღარაჯოზე ორდება“ (კრებული „Внешняя политика СССР“, ტ. 3, გვ. 651).

ევროპაში ომისშემდგომი მშვიდობიანობის რეჟიმის განმტკიცების შემდეგი ეტაპი იყო ლოკარნოს ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1925 წლის 16 ოქტომბერს.

ლოკარნოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვერსალის ზავით დადგენილი სახელმწიფო საზღვრების უზრუნველყოფას ერთის მხრივ გერმანიისა, ხოლო მეორე მხრივ საფრანგეთისა და ბელგიის შორის. სამაგიეროდ ხელშეკრულება არ ეხებოდა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებს. მასასადამე, გერმანელებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ საკუთარი სურვილის მი-

ხედვით „გაესწორებინათ“ აღმოსავლეთი საზღვრები. ადვილი ეტყობოდა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებით მართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„რაც შეეხება ლოკარნოს, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი პარტიის XIV ყრილობაზე, — იგი მხოლოდ ვერსალის ვაგონებზეა. ლოკარნო ახალი ომის მომასწავებელია ევროპაში“ (სტალინი. ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობას, 1933 წ. გვ. 10 — 11. რუს.).

კაპიტალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებაში ხედავდნენ კაპიტალისტური სისტემის არსებობის მოსპობის საფრთხეს. ცალკეულ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ყველა ისინი ერთიანდნენ საბჭოთა ქვეყნის სიძულვილით. ანტისაბჭოთა კამპანია ახალი ძალით გაჩაღდა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „გვაროსნული ლაშქრობის“ დაწყების მოწოდებით გამოდიოდა რომის პაპი პიუს XI. ანტისაბჭოთა პოლიტიკის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ინგლისის იმპერიალიზმი, რომლის ყველაზე პირწავარდნილი წარმომადგენლები ბოლშევიკი, ჩემბერლენი, ჩერჩილი, მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას და სხალი ინტერვენციის დაწყებას. ინგლისის იმპერიალისტებთან კავშირში იყო საფრანგეთის რეაქციული ბურჟუაზია, რომელიც ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის შემოერთება მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა რკალი. რუმინეთს, პოლონეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ფინეთს ამზადებდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პლანდარმებად.

ახალი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ერთ-ერთ პირობად მთელი მსოფლიოს რეაქციულ ჯგუფებს მიაჩნდათ

გერმანიის გადაქცევა მომავალი სამხედრო ინტერვენციის მთავარ ძალად.

ამ მიზანს ემსახურებოდა დაუესის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიისათვის მატერიალური დახმარების გაწევას მისი მრეწველობის აღსადგენად, რაც გერმანიას მისცემდა რეპარაციების გადახდის საშუალებას და საბჭოთა კავშირს გადააქცევდა გერმანიის საქონლის გასაღების ბაზად. დაუესის გეგმამ გაააქტივრა ირა მარტო გამარჯვებული ქვეყნების იმპერიალისტები, არამედ თვით გერმანიის იმპერიალისტური წრეებიც.

ასე აშინაურებდნენ და ასაზრდოებდნენ მხეცს, რომელიც ხელსაყრელ მომენტში უნდა მიეხიათ საბჭოთა ქვეყნისათვის. მაგრამ ისტორიამ სასტიკად მიუხლო სისხლისმღერელ რეაქციონერებს. ანტისაბჭოთა პოლიტიკამ ისინი მიიყვანა მიუნხენის სამარცხეინო კაპიტულაციამდე და ჰიტლერული ჟრღოების მიერ დასავლეთ ევროპის დამონებაამდე.

საბჭოთა კავშირი იბრძოდა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის წინააღმდეგ და შეუპოვრად იცავდა მშვიდობის საქმეს. საბჭოთა მთავრობამ მეზობელ ქვეყნებს შესთავაზა თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის პაქტის დადება. 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთთან, ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ. 1926 წლის 24 აპრილს დადებულ იქნა ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. 1926—27 წწ. განმავლობაში ასეთი ხელშეკრულებები დადებულ იქნა მთელ რიგ სხვა მეზობელ ქვეყნებთან.

რათა შეენელებინა ხალხთა მასების შეშფოთება და არ მიეპყრო მათი ყურადღება ახალი ომის მზადებისათვის, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დიპლომატია ცდილობდა პაციფისტური

ფრაზებით დაეფარა აგრესიული გეგმების განხორციელება. იმპერიალისტები განგებ სტეხდნენ აურზაურებებს ლებაზე, შეიარაღების შენეღდაზე, აგრეთვე ომის, რაგორც ერთნული პოლიტიკის იარაღის აგრძაღვაზე. საბჭოთა დიპლომატია დაუღაღავად ამხელდა ასეთ ხრიცებს და მოითხოვდა ნამდვილ, საყოველთაო განიარაღებას.

მშვიდობისათვის საბჭოთა მთავრობის ეს გაბედული და შეუპოვარი ბრძოლა ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და განამტკიცებდა მისდამი ხალხთა ფართო მასების სიმპათიებს, მაგრამ მტკიცე მშვიდობისაყენ მიმართული საბჭოთა პროექტები არ მოიწონა იმპერიალისტური ქვეყნების დიპლომატიამ.

1929 — 1933 წლებში მძევინვარებდა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელმაც კატასტროფულად გაამწვავა საერთაშორისო ვითარება. კრიზისისათვის თავის დასაღწეღად იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები აძლიერებდნენ მოქმედებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამჟარად ქაღაგებდნენ ახალ ომს. 1930 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანამ წამოაყენა ევროპის ფედერაციული კავშირის შექმნის პროექტი. შეიქმნა ევროპის კომიტეტი ამ საკითხის დასამუშავებლად. სინამდვილეში „პან-ევროპის“ საფრანგეთის პროექტი ნიშნავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ცდას.

1931 წელს იაპონიის იმპერიალისტებმა დაიპყრეს მანჯურია და განავითარეს შეტევა ჩრდილოეთ ჩინეთის წინააღმდეგ. იაპონიამ დასტოვა ერთოღება და გამაღებით შეუღდა შეიარაღებას. იაპონიის იმპერიალისტები განუწყვეტლივ აწყობდნენ პროვოკაციებს საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებზე. შორეულ აღ-

მოსაელეთში აინთო ახალი იმპერიალი-
სტური ომის პირველი ხანძარი.

ომის მეორე კერა შეიქმნა შუაგულ
ევროპაში. 1933 წელს გერმანიაში
ხელისუფლების სათავეში მოექცა პიტ-
ლერული ფაშისტური პარტია („ნა-
ციონალ-სოციალისტები“), რომელსაც
მხარს უჭერდნენ გერმანიის მრეწვე-
ლობისა და ბანკების მაგნატები. პიტ-
ლერელებმა დაშალეს მუშათა ორგანი-
ზაციები, აკრძალეს კომუნისტური პარ-
ტია, დააპატიმრეს და მოსპეს მისი ხელ-
მძღვანელები. განადგურებულ იქნენ
სხვა დემოკრატიული პარტიები და ორ-
განიზაციებიც. ფაშისტურმა გერმა-
ნიამ გაცოფებით დაიწყო მზადება ახა-
ლი ომისათვის მსოფლიოს დასაპურო-
ბად, ყველა ხალხის თავის მონებად
გადასაქცევად. მთავარი დარტყმა მზად-
დებოდა საბჭოთა კავშირის წინააღ-
მდეგ.

1933 წლის 19 ოქტომბერს გერმა-
ნია, იაპონიის მაგალითისამებრ, გავიდა
ერთა ლიგიდან. მეტად აშკარა იყო
საფრთხე, რაც მსოფლიოს ემუქრებო-
და ფაშისტური გერმანიის მხრივ. ამ
საფრთხის თავიდან ასაცილებლად
საბჭოთა მთავრობა დაუდლადად მო-
უწოდებდა მშვიდობისმოყვარე ქვეყ-
ნებს გაერთიანებისა და კოლექტიური
უშიშროების უზრუნველყოფისაკენ.

საბჭოთა დიპლომატიამ დაამუშავა
და ზუსტად განსაზღვრა აგრესორის
ცნება, რომელმაც ნათელი მოჰფინა
უშიშვნელოვანეს საკითხს თავდამსხ-
მელი მხარის განსაზღვრის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა თავისი სამშვი-
დობო პოლიტიკის მტკიცედ გატარებით
ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშა-
ლა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღები-
სათვის. 1932 — 33 წლებში დადებუ-
ლი იქნა თავდაუსხმელობის ხელშეკ-
რულება მთელ რიგ ქვეყნებთან.

1933 წელს ამერიკის შეერთებული
შტატების ახალმა პრეზიდენტმა რუზ-
ველტმა მოლაპარაკება დაიწყო საბჭო-

თა კავშირთან, რის შედეგადაც ამერიკის
შეერთებულ შტატებთან რეკონსტრუქცია
დიპლომატიური ურთიერთობების
დასაწყისად.

1934 წელს 34 სახელმწიფოს მიწვე-
ვით საბჭოთა კავშირი შევიდა ერთა
ლიგაში და ცდილობდა გამოეყენებინა
იგი ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ
საბრძოლველად. ამასთან ერთად დაძა-
ბულმა საერთაშორისო ვითარებამ საბ-
ჭოთა კავშირი აიძულა დიდი ყურადღე-
ბა მიექცია ქვეყნის თავდაცვისუნარი-
ანობის განმტკიცებისათვის, აღმოსავ-
ლეთში და დასავლეთში თავისი საზღვ-
რების დაცვისათვის.



საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამ-
ხანაგმა სტალინმა შემდეგნაირად გან-
საზღვრა საბჭოთა კავშირის საგარეო
პოლიტიკის ამოცანები: „1. მომავალ-
შიც გავატაროთ მშვიდობიანობისა და
ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის
განმტკიცების პოლიტიკა; 2. დავიცვათ
სიფრთხილე და საშუალება არ მიეცეთ
ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩ-
ვეულნი არიან სხვისი ხელით ნარის
გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ
ჩვენი ქვეყანა; 3. ყოველნაირად გან-
ვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმიისა და
სამხედრო-საზღვაო წითელი ფლო-
ტის საბრძოლო ძლიერება; 4. განვა-
მტკიცოთ მეგობრობის საერთაშორისო
კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელბ-
თან, რომლებიც დაინტერესებული
არიან ხალხთა შორის მშვიდობიანობი-
თა და მეგობრობით“.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრუ-
ლად ატარებდა ამხანაგ სტალინის ამ
ბრძნულ მითითებას.

1935 წელს იტალია თავს დაესხა
აბისინიას. არავინ არ უშლიდა ხელს
ფაშისტური იტალიის დიქტატორს მუ-
სოლინის იპრიტით მოეწამლა აბისინე-
ლი მოსახლეობა და ფერფლად ექცია
მათი ქოხები. დასავლეთის დემოკრატი-

ული სახელმწიფოები სრულ უმოქმედობას იჩენდნენ. მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის დიპლომატია იცავდა გაბედულად აბისინიის ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

1936 წელს გერმანიამ და იტალიამ დაიწყეს სამხედრო ინტერვენცია ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ერთა ლიგამ არაერთგვაროვანი დახმარება არ გაუწია სახელმწიფოებს რომლებიც ფაშისტური აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები „ჩაურევლობის“ პოლიტიკას ატარებდნენ, რაც სინამდვილეში მხოლოდ ფაშისტი აგრესორებისადმი დახმარებას ნიშნავდა.

1937 წელს გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ დადეს ეგრეთწოდებული „ანტიკომინტერნული პაქტი“. გარეგნულად ეს იყო სამთა კავშირი კომუნისმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სინამდვილეში კი ფაშისტურმა ქვეყნებმა სამხედრო კავშირი შეკრეს. ფაშისტურმა გერმანიამ 1938 წელს დაიპყრო ავსტრია, ხოლო 1939 წელს ჩეხოსლოვაკია. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ცნეს ეს დაპყრობები, ისევე როგორც იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობა. მიუნხენის შეთქმულება შემდგომი აგრესიებისათვის ფაშისტი ავანაგების წაქეზების კულმინაციური მომენტი იყო.

ჩეხოსლოვაკიაში ჰიტლერის ურდოების შეჭრის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა ეცნო გერმანიის შემადგენლობაში ჩეხის ძალდატანებით შეყვანის ფაქტს.

იმ დროს როდესაც აგრესორები იმპერიალისტურ ომს აჩალებდნენ, ჩემბერლენის მთავრობა ინგლისში, დალადიეს მთავრობა საფრანგეთში, პოლონეთის რეაქციული მმართველები უბრძოლველად იხევდნენ უკან, დანაშაულებრივად ამზობდნენ უარს საბჭოთა კავშირთან შეთანხმებაზე ფაშისტურ-

რი აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის.

1939—1940 წლის ზაფხულზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომთან დაკავშირებით ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობდნენ შეთანხმება დაედოთ გერმანიასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ომის წარმოების შესახებ. ინგლისის და საფრანგეთის პრესაში გაშვებული ანტი-საბჭოთა კამპანია იყო გაჩაღებული. მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ მოეხდინათ ბაქოსა და არზანგელსკის დაბომბვა.

საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის რეაქციის ოინებით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ქვეყნების მთავრობებმა უარყვეს საბჭოთა დიპლომატიის ყველა წინადადება, რაც მიმართული იყო აგრესორის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყვანდა ინგლისის, საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკებინ დროს, რაც 1939 წლის ზაფხულზე წარმოებდა მოსკოვში. ჩემბერლენისა და დალადიეს მთავრობებს არ სურდათ სერიოზული შეთანხმება ჰქონოდათ საბჭოთა კავშირთან.

ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების გეგმა გასაგები იყო. მათ უნდოდათ საბჭოთა კავშირი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაეთრიათ და ამით მიმართულება შეეცვალათ გერმანიის აგრესიისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობა იძულებული იყო მიეღო საჭირო ზომები ქვეყნის თავდაცვისა და მშვიდობიანი ცხოვრების შენარჩუნებისათვის: როდესაც გერმანიამ საბჭოთა კავშირს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება შესთავაზა, საბჭოთა კავშირი დათანხმდა, და 1939 წლის 23 აგვისტოს თავდაუსხმელობის პაქტი დადო გერმანიასთან.

„რა მოვიგეთ ჩვენ იმით, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დადევით გერმანიასთან? ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა წელიწადნახევრის განმავლობაში და შესაძლებლობა ჩვენი ძალების მომზადებისა მტრის უკუსაგდებად, თუ ფაშისტური გერმანია, პაქტის მიუხედავად, გაბედავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას“ (სტალინი). ეს გარკვეული მოგება იყო საბჭოთა კავშირისათვის და წაგება ფაშისტური გერმანიისათვის.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. 17 დღის განმავლობაში პოლონეთი განადგურებულ იქნა: პოლონეთის რეაქციულმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის თავდაცვა. მან პოლონელი ხალხი ბელის ამარა მიატოვა და პოლონეთიდან გაიქცა. ფაშისტურმა ჯარებმა დაიკავეს პოლონეთი, მოადგნენ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიას და აპირებდნენ მის დაკავებასაც. ამრიგად, 7 მილიონი უკრაინელი და 3 მილიონი ბელორუსი უნდა მოქცეულიყო გერმანელთა უღელქეშ, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორია კი უნდა გამხდარიყო პლაცდარში საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. მაგრამ საბჭოთა მთავრობის ბრძანებით 1939 წლის 17 სექტემბერს წითელმა არმიამ დაიწყო განმათავისუფლებელი ლაშქრობა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სივცოცხლისა და ჭონების დასაცავად.

განთავისუფლებულმა უკრაინელმა და ბელორუსმა ხალხებმა, რომლებიც წინათ პოლონეთის პანების მიერ იჩაგრებოდნენ, გადაწყვიტეს შეერთებოდ-

ნენ თავიანთ მკვიდრ ძმებს საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსის უკრაინის უმადლესმა საბჭომ დააკმაყოფილა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის თავისუფლად არჩეული სახალხო კრებების გადაწყვეტილება და ორივე ეს მხარე 1939 წლის 2 ნოემბერს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამრიგად, საბჭოთა მთავრობამ აღადგინა უკრაინელი და ბელორუსი ხალხების სუვერენული უფლებები და დააკმაყოფილა მათი საუკუნოებრივი მისწრაფება თავიანთ ეროვნულ სახელმწიფოებად გაერთიანებისაკენ.

1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბელმოწერილ იქნა ხელშეკრულებები ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას შორის, ამასთან უკანასკნელს საბჭოთა კავშირმა დაუბრუნა თავისი ყოფილი დედაქალაქი ვილნიუსი. მაგრამ ამ სახელმწიფოთა პროფაშისტურმა მთავრობებმა, რომლებიც გერმანელი ფაშისტების ლაქიები იყვნენ, ურთიერთ შორის საიდუმლოდ შეკრეს სამხედრო კავშირი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანია ბალტიისპირეთს აქცევდა პლაცდარმად საბჭოთა კავშირზე მომავალი თავდასხმისათვის. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა ამ მთავრობებისათვის მოეთხოვა ბალტიისპირეთში საბჭოთა ჯარების განლაგების ნებართვა ურთიერთდახმარების პაქტის რეალურად განხორციელების მიზნით. ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში შეიქმნა ახალი მთავრობები რომლებიც დემოკრატიული ელემენტებისაგან შედგებოდნენ.

აღსრულდა ამხანაგ სტალინის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე თქმული სიტყვები:

„ბურჟუაზიას შეუძლია ექვი არ კქონდეს იმაში, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეც-

დებიან ზურგიდან დაკრან თავის მხაგრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნულარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ ზოგიერთი, მათთვის აბლობელი მთავრობა, რომლებიც ამჟამად მშვიდობიანად შეფობენ „წყალობითა ღვთისათა“. („ლენინიზმის საკითხები“. გვ. 540).

ლიტვის და ლატვიის სეიმებმა და ესტონეთის სახელმწიფო სათათბირომ თავიანთი ხალხების მოთხოვნებით მიიღეს გადაწყვეტილება ამ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შესახებ, რომელიც განადგურებული იქნა 1918 წელს გერმანელების მიერ, ხოლო 1919 წელს ანტანტის მიერ.

1940 წლის ზაფხულში საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, როგორც ცნობილია, 1918 წელს, ისარგებლა რა საბჭოთა კავშირის დროებითი სამხედრო სისტემით, რუმინეთმა გერმანიის ჯარების დახმარებით მიიტაცა ბესარაბია და 22 წლის განმავლობაში თარეშობდა იქ. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ უცენია ამ დაპყრობის კანონიერება. საერთაშორისო ვითარება მოითხოვდა წინათ გადაუტრელო საკითხების გადაუდებლად მოგვარებასა და ქვეყნების ურთიერთობაში მტკიცე მშვიდობიანობისათვის საფუძვლების ჩაყრას. 1940 წლის 26 ივნისს საბჭოთა მთავრობამ რუმინეთისაგან მოითხოვა საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის დაბრუნება, აგრეთვე ჩრდილოეთ ბუკოვინის გადაცემა, რომლის მოსახლეობაც ჯერ კიდევ 1918 წელს მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან შეერთებას. წითელმა არმიამ დაიწყო ლაშქრობა ბესარაბიისა და უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინის გასათავისუფლებლად. რუმინეთის მთავრობა დათანხმდა საბჭოთა კავშირისათვის

დაებრუნებინა უკანონოდ მიტაცებული ტერიტორია.

1940 წლის 1—7 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-7 სესიამ, მოისმინა რა ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიის და ჩრდილოეთ ბუკოვინის წარმომადგენელთა თხოვნა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიიღო: ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკები, შექმნა მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც შეუერთდა ბესარაბიის დიდი ნაწილი, ხოლო ბესარაბიის რამდენიმე მაზრა (ბოტინის, აკერმანისა და იზმაილის), რომლებშიც უკრაინელი მოსახლეობა სკარობს, და ჩრდილოეთ ბუკოვინა უკრაინის სსრ შემადგენლობაში შევიდა.

1940 წელს საბჭოთა კავშირმა განადგურა თეთრფინელთა სამხედრო ხროვა, რომელთა პროვოკაციებმაც გამოიწვია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი, მაგრამ საზავო ხელშეკრულების დადების დროს საბჭოთა მთავრობამ ფინეთს არ წაუყენა არც ერთი ისეთი მოთხოვნა რაც შეუთავსებელი იქნებოდა მის სუვერენიტეტთან. საბჭოთა კავშირმა მიიღო კარელიის ყელი ქ. ვიბორგითურთ, ლაღოვის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები, ფინეთი დათანხმდა საბჭოთა კავშირისათვის 20 წლის ვადით იჯარით გადაეცა ნახევარკუნძული ზანკო. საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული პეტსამოს ოლქი და პორტი პეტსამო, რომელიც საბჭოთა რუსეთმა 1918 წელს ნებაყოფლობით გადასცა ფინეთს, კვლავ დაუბრუნდა საბჭოთა კავშირს.

1940 წლისათვის, როგორც ეს დაწვრილებით გამოიჩვენა გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა ნიურბერგის პროცესზე, გერმანიის გენერალურ შტაბს ჰიტლერის ბრძანებით დეტალუ-

რად ჰქონდა დამუშავებული „ბარბაროსას გეგმა“, საბჭოთა კავშირზე ვერაგულად თავდასხმის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა სახელმწიფოს განადგურებას, მისი ტერიტორიის, ნედლეულისა და სურსათის უდიდესი რესურსების ხელში ჩაგდებას, ათეულ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეების მოსპობას ან ფაშისტური გერმანიის მონებად გადაქცევას.

ფაშისტური გერმანია გარეგნულად იცავდა თავდასხმელობის ხელშეკრულებას, სინამდვილეში კი ფინეთის, უნგრეთის და რუმინეთის მთავრობებთან დადებული ჰქონდა საიდუმლო შეთანხმებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ომის შესახებ.

1941 წლის ზაფხულისათვის გერმანელებს დაყრობილი ჰქონდათ ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, პოლანდია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, საბერძნეთი და იტალია.

1941 წლის 22 ივნისს გერმანელთა ჯარები ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად მოულოდნელად შემოიჭრნენ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე გაშლილ ფრონტზე. გერმანელ ფაშისტებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო იტალიამ, ფინეთმა, რუმინეთმა და უნგრეთმა. გერმანიის მხარეზე ფაქტიურად იყვნენ აგრეთვე ბულგარეთი და ესპანეთი. საბჭოთა კავშირის სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა.

ომში საბჭოთა კავშირის ჩარევამ გამოიწვია მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა. ჰიტლერელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მუქარით, მოტყუებით, დიპლომატიური მანევრებით მოახდენდნენ საბჭოთა კავშირის იზოლირებას, ახალ-ახალ ქვეყნებს ჩაითრევდნენ საბჭოთა კავშირის წინააღ-

მდეგ ომში. ამ მიზნით ჰიტლერმა თავისი უახლოესი თანაშემწე „სამხედრო-სტრატეგიის“ ინგლისში გადასახლება დასადავდა. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღეს ჰიტლერმა თურქეთში გერმანიის ელჩის ფონ-პაპენის საშუალებით კვლავ შესთავაზა ინგლისს ზავის ჩამოგდება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედება. მაგრამ საბჭოთა კავშირის იზოლაციის ყველა ჰიტლერული გეგმა და ოინი სამარცხვინოდ ჩაიშალა.

1941 წლის 12 ივლისს საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. 18 ივლისს ასეთივე ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის, ხოლო 30 ივლისს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის. იმ პერიოდში მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰარი ჰოპკინსი, რომელმაც პრეზიდენტის სახელით განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ მხარი დაუჭიროთ საბჭოთა ქვეყანას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1941 წლის სექტემბერში მოსკოვში შედგა სამი დღი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონფერენცია, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღო ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა უბოროტესი მტრის — გერმანიის ფაშისტების წინააღმდეგ ომთან დაკავშირებით. 1941 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატები ჩაებნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში.

ამ ომის, როგორც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელი, ანტი-

ფაშისტური ომის განსაკუთრებული ხასიათით თავის გამოხატულებას კხოვებდა მის მიზნებში: „ფაშისტ მანკურელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ისიც, რომ დიქტატორის ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშისტების უღელქვეშ გამოაგენ... ჩვენი ომი სამშობლოს თავისუფლებისათვის, შვედეთის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის“ (ი. სტალინი. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ 1945 წ. გვ. 14).

ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავის შესახებ მიუთითებდა: „ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორც არის სხვათა ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხების დამონება... ჩვენი ამოცანა, — ამბობდა იქვე ამხანაგი სტალინი, — არის, რომ ჩვენი ტერიტორია და ჩვენი ხალხები გერმანელ ფაშისტთა უღელისაგან გავანთავისუფლოთ.“

ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორც არის საკუთარი ნება-სურვილისა და საკუთარი რეჟიმის თავს მოხვევა სლავი ხალხებისათვის და ევროპის სხვა დამონებული ხალხებისათვის, რომლებიც შევლას მოვლიან ჩვენგან. ჩვენი მიზანია არის, რომ ამ ხალხებს დავებმართოთ მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში პიტლურული ტირანის წინააღმდეგ და შემდეგ საშუალება მივცეთ საესებით თავისუფლად მოეწყონ თავის ქვეყანაში ისე, როგორც მათ სწავლიათ. არავითარი ჩარევა სხვა ხალხების საშინაო საქმეებში“ (იქვე გვ. 33).

ერთი წლის შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის მოხსენებაში ამხანაგი სტალინი შემდეგნაირად განსაზღვრა ომის მიზნები: „რასთელი განკერძოებულობის მოსპობა; ერების თანასწორუფლებიანობა და მათი ტერიტორიების ხელუფლებლობა; დამონებული ერების განთავისუფლება მათი სუვერენული უფლებების აღდგენა; თვითნებური ერის უფლება — მოეწყოს თავისი სურვილისამებრ; ეკონომიური დახმარება დახარალებულ ერთთავის და მათი მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საქმეში მათთვის ხელის შეწყობა; დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა; პიტლურული რეჟიმის მოსპობა“ (იქვე გვ. 70).

მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ ამხანაგი სტალინი შეეხო ევროპის ხალხთა სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციისა და აღდგენის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „უნდა მივანიჭოთ ევროპის განთავისუფლებულ ხალხებს სრული უფლება და თავისუფლება — თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი სახელმწიფო წყობილების საკითხი“... „უნდა შევქმნათ ევროპის ხალხთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთდობასა და ურთიერთდახმარებაზე“ (იქვე გვ. 124).

მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშნა, რომ ომის მსვლელობაში პიტლურელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც. „ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეო-

ლოგიაში სრული გამარჯვება მოიპოვა პიტლერელთა მხედური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე“. (სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მეხუთე გამოცემა, გვ. 180).

იმვე მოხსენებაში ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანელთა მხრივ, გარდა აგრესიული ერების სრული განიარაღებისა აუცილებელია შეიქნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სპეციალური ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან, ამ ორგანიზაციის ხელშეწყობილი ორგანოს განკარგულებაში გადაცემულ იქნას აგრესიის თავიდან აცილებისათვის მინიმალურად საჭირო რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და დეველოს ამ ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს შეიარაღებული ძალები აგრესიის თავიდან ასაცილებლად ან სალიკვიდაციოდ და აგრესიის დამნაშავეთა დასასჯელად. ამასთან ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა იმ აუცილებელ პირობებს, ურომლისოდაც ამ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება არ შეიძლება ეფექტიური იყოს.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება „ეფექტიური იქნება თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნობისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტიური არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვევა“. (იქვე, გვ. 188).

გამარჯვების დღეს — 1945 წლის 9 მაისს, გერმანიის უსიტყუო კაპიტულაციის გამო ზალხისადმი მიმართებაში ამხანაგმა სტალინმა თქვა: „საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა

იგი გერმანიას არც დანაწილებს, არც რებს და არც მოსპობს“. იქვე იხილეთ ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა იმ პირობებს, რომლებიც საბჭოთა კავშირი იცავს არა მარტო თავის და თავის მოკავშირეთა სუვერენიტეტს, არამედ ომში დამარცხებულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტსაც.

ფაშისტური გერმანიის განადგურება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ფაშისტი აგრესორების მიერ თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის თავს მოხვეული ომის დასასრულს. იმპერიალისტური იაპონია კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ყოველთვის ერთგულია მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებებისა, 1945 წლის 8 ივლისს მიიღო მოკავშირეთა წინადადება იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაჩვეის შესახებ და დაიწყო საბრძოლო მოქმედება. იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ უაღრესად დააჩქარა იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხება და მილიონობით ხალხები იხსნა მრავალი ტანჯვისა და მსხვერპლისაგან. იაპონიის ძირითადი სახელმწიფო ძალები რამდენიმე დღის განმავლობაში იქნენ განადგურებულნი.

საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები.

„ამერიიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში; დაღვა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის“, თქვა ამხანაგმა სტალინმა 1945 წლის 2 სექტემბერს თავის მიმართებაში ზალხისადმი იაპონიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად საერთაშორისო ვითარებაში მომხდარმა ძირფესვიანმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გააღვიძა საბჭოთა სახელმწიფოს

საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა და გადაართოვა მისი საგარეო პოლიტიკური აქტივობის მასშტაბები.



დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ვიახესლავ მიხეილისძე მოლოტოვი თავის გამოსვლაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 6 თებერვალს ამბობდა:

„შეადარეთ რუსეთი როგორც იგი ოქტომბრის რევოლუციამდე იყო, იმას, როგორც იგი ახლა ვახდა. ცნობილია, რომ 1904—1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომმა შეაზანზარა მეფის რუსეთი. ყველას ახსოვს რუსეთის პირველი რევოლუცია, როდესაც ცარიზმს პირველი მეზი დაეცა. 1914—1917 წლებში გერმანიასთან ომმა ცარიზმი ძირშივე გადატეხა და ეს ომი რუსეთში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ლიკვიდაციით დამთავრდა. თავის დროზე მეფის მთავრობა აჩქარებდა იაპონიასთან ომი დაემთავრებინა და თავისი დამარცხება აღიარა. გერმანიასთან ომს მეფის რუსეთმა ვერ გაუძლო და ამით ცხადყო, თუ რამდენად ძირნოშპალი და უცქე დრომოკმეული იყო ძველი რეჟიმი.“

შეადარეთ ამას ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა, როდესაც დამთავრდა უმძიმესი ომი გერმანიასთან, ხოლო შემდეგ იაპონიასთან ომიც, ორივე აგრესორი მათი სატელიტებიანად განადგურებულია უმთავრესად ჩვენი წითელი არმიის მეოხებით. საბჭოთა კავშირმა გამარჯვება მოაპოვა დასავლეთში, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთშიც, რაც, როგორც ხედავთ, სრულებით არ ჰგავს ძველ, საბჭოთამდელ დროს. საბჭოთა კავშირმა განვლო მთელი ეს უმძიმესი განსაცდელი და კი-

დეც უფრო წაიწია წინ, როგორც საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა. სსრ კავშირის მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტულ სახელმწიფოთა წყებაში დგას. ახლა შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობის სერიოზული საკითხების ისე გადაწყვეტა, რომ ამაში საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდეს, ან ისე, რომ ყურს არ უგდებდნენ ჩვენი სამშობლოს ხმას. ამხანაგ სტალინის მონაწილეობა რთული საერთაშორისო პრობლემების წარმატებით გადაჭრის საუკეთესო გარანტიად ითვლება“.

ი. ბ. სტალინი პირადად იღებდა მონაწილეობას ომიანობის დროის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო თათბირებში, იგი მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას თეირანის, იალტისა და ბერლინის კონფერენციებზე.

„ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ომიანობისა და ომის შემდგომი დროის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობისა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხების მეცნიერული გადაწყვეტის ნიმუშები. ამხანაგმა სტალინმა განაწილათარა ფაშისტურ გერმანიისაზე გამარჯვების შემდეგ ევროპის ჯალხთა სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციისა და აღორძინების საქმეში მოქმედებისა და პოლიტიკის კონკრეტული პრაქტიკული პროგრამა“ (იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“. გვ. 230).

საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატია იბრძვის იმისათვის, რომ არ დაუშვას გერმანიისა და იაპონიის ყაჩაღური იმპერიალიზმის აღდგენა და დაუზოგავად ამხელს ახალი აგრესიის გამჩაღებელთა ოინებს.

მსოფლიო რეაქციას გერმანიისა და მისი მთავარი მოკავშირის იაპონიის განადგურების შემდეგ ხელი არ აუღია საბჭოთა კავშირის იზოლაციის განხორ-

ციულებისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი ომის მომზადების ცდებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში რეაქციული წრეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ პროფაშისტურ ელემენტებს ესპანეთში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, თურქეთში და სხვ. იგივე წრეები ყოველმხრივ უჭერენ მხარს ფაშისტური, იმპერიალისტური ელემენტების გამოცოცხლების პოლიტიკას გერმანიასა და იაპონიაში.

„ჩვენ თვითდამშვიდებას როდი ვეძლევით და ყოველთვის გვახსოვს, თუ ჯერ კიდევ როგორ ინარჩუნებენ სიცოცხლეს რეაქციული ძალები კაპიტალიზმის ქვეყნებში, მაგრამ ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ის ახალი მდგომარეობა, რომელიც ახლა საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო ურთიერთობაში დაიკავა, შეიქმნა არა რაღაც შემთხვევით თავმოყრილ გარემოებათა შედეგად, რომ ეს მდგომარეობა შეესაბამება ყველა მშვიდობიანობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს, აგრეთვე შეესაბამება ყველა იმ ქვეყნის ინტერესებს, რომელიც დემოკრატიული განვითარებისა და თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით მიდის“. (მოლოტოვი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზანი ყოველთვის იყო და არის ჩვენი სამშობლოს უშიშროების ინტერესების დაცვა, ყველა ხალხთა თავისუფალი და მშვიდობიანი განვითარება.

ინგლის-ამერიკის ბლოკის იმპერიალისტურ მისწრაფებებს საბჭოთა კავშირი უპირისპირებს მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლის ნათელ და მკაფიო პროგრამას.

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკაზე მთელი მსოფლიოს ხალხები მრავალი ფაქტის მიხედვით მსჯელობენ.

საბჭოთა კავშირი იბრძვის ამერიკის შეერთებულ შტატების, ენკლავურ საფრანგეთის იმპერიალისტული პოლიტიკის წინააღმდეგ რომლებიც მიმართულია გერმანიის იმპერიალიზმის აღსადგენად და დასავლეთ გერმანიის გადასაქცევად ახალი ომის პლაცდარმად. მშვიდობისმოყვარე ხალხების მხარდაჭერით საბჭოთა კავშირი ცდილობს მიიღწიოს გერმანიის დემილიტარიზაციას და დენაციფიკაციას, ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნას, გერმანიისთან ზავის დადების ყველა საკითხის რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვარებას.

საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას რამდენჯერმე მისცა წინადადება საბჭოთა და ამერიკის ჯარების კორეიდან ერთდროულად გამოყვანის შესახებ. კორეის დემოკრატიული მთავრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მხედველობაში მიიღო ამ მთავრობის სურვილი უცხოეთის ჯარების კორეიდან ვაყვანის შესახებ და განაზოცონდა საბჭოთა ჯარების ევაკუაცია კორეიდან. კორეის მოსახლეობა საზეიმო ვითარებაში მიაცილებდა თავის განმათვისუფლებლებს — საბჭოთა არმიის ნაწილებს. საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამით საბჭოთა ხალხმა მთელ მსოფლიოს აჩვენა სხვა ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის მავალითი.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა — ეს დიდი და მკირე ხალხების სუფერენიტეტისათვის პატივისცემის პოლიტიკაა.

ეს პრინციპი ბუნებრივად გამოძინარეობს სოციალისტური საზოგადოების თვით ბუნებიდან და ხასიათიდან. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო

ევრდნობა ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ერის სრულ თანასწორუფლებიანობას, ძმურ მეგობრობას და მკიდრო თანამშრომლობას. თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ავებს საბჭოთა კავშირი თავის ურთიერთობას ყველა დიდ და პატარა ქვეყანასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლერე ზოგიერთმა ქვეყანამ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით მიაღწია თავის დამოუკიდებლობას.

იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერულ გერმანიის მხარეზე მონაწილეობდნენ, საბჭოთა კავშირი არასდროს არ ხელმძღვანელობდა შურისძიების გრძნობით. საბჭოთა კავშირის მიერ რუსეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, ფინეთთან დადებულმა საზავო ხელშეკრულებებმა ხელი შეუწყვეს ამ ქვეყნების ეროვნულ აღორძინებას.

საბჭოთა ხალხის შეხედულებანი დიდი და პატარა ერების თანამშრომლობის შესახებ საუკეთესოდ გამოხატა ამხანაგმა სტალინმა ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ სადილზე 1948 წლის 7 აპრილს: — „ბევრს არ სჯერა, რომ შესაძლებელია თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დიდსა და მცირე ერებს შორის, მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვფიქრობთ, რომ ასეთი ურთიერთობა შესაძლებელია იყოს და კიდევაც უნდა იყოს. საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, რომ ყოველ ერს, — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თავისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წელილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს. ამ აზრით ყველა ერი — მცირე და დიდიც — თანაბარ მღვდმარეობაშია,

და თვითველი ერი ყოველი სხვა ერის თანაბარმნიშვნელოვანია“ *ერკენულში* ასეთია საბჭოთა ადამიანების ურთიერთობის პოზიცია. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სხივები ალღობს უნდობლობის ყინულს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აფერხებდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

•••

სამი სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციაზე 1945 წლის თებერვალში მიღებულ იქნა სპეციალური „დეკლარაცია ევროპის განთავისუფლების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „წესრიგის დამყარება ევროპაში და ნაციონალურ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნა მიღწეულ იქნას ისეთი გზით, რომელიც საშუალებას მისცემს განთავისუფლებულ ხალხებს მოსპონ ნაციონალსა და ფაშიზმის უკანასკნელი კვალი და შექმნან დემოკრატიული დაწესებულებანი მათი საკუთარი არჩევით“.

როგორც ეს, ისე სხვა დეკლარაციები, რომლებიც ომის დროს იქნა მიღებული სახელმწიფოთა ანტიჰიტლერული კოალიციის მიერ საბჭოთა მთავრობის ხელშეწყობით, განუხრელად ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა არმიამ განთავისუფლა ჰიტლერული ტირანიისაგან.

ცნობილია, რომ ომამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები „სანიტარულ კორდონს“ წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა ახალი დემოკრატიის ქვეყნების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. საბჭოთა კავშირთან მათ დადებული აქვთ პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ხელშეკრულებები კავშირისა და ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ. ცხოვრებამ

მათ ნათლად დაანახვა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა უზრუნველყოფს მათს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ისინი დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით შეუძლიათ დაამყარონ ნამდვილი დემოკრატიული წესრიგი თავიანთ ქვეყნებში და დაიცვან ეს წესრიგი საშინაო და საგარეო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომლებსაც ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა და რომელთა უმრავლესობა ახლო წარსულში ევროპის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, დასაუფლეთ ევროპის ქვეყნებში უსწრებენ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადც. ეს მიღწევები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა მოიპოვეს იმით, რომ თავი დააღწიეს იმპერიალიზმის სისტემას, შექმნეს სახალხო-დემოკრატიული რეჟიმები და დააღწენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომლებმაც უარყვეს კაბალური „მარშალის გეგმა“, საბჭოთა კავშირი განუხრებლად უწევს უანგარო დახმარებას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ პოლიტიკურ და სამეურნეო მიღწევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

•
••

ომის შემდეგ საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად ამცირებს თავდაცვის ხარჯებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა რაოდენობას. საბჭოთა მთავრობამ უკვე 1947 წლის ბოლოსათვის დაამთავრა საბჭოთა არმიიდან ყველა უფროსი ასაკის დემობილიზაცია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1948

წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა გაემართა მსოფლიო-კეზა ამერიკის შეერთებულ შტატებში და საბჭოთა კავშირს შორის არსებული უთანხმოების აღმოსაფხვრელად. ეს უთანხმოება გამოწვეულია ამერიკის იმპერიალისტების მიერ და შემფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. უოლესის ლია წერილზე ამხანაგ სტალინის პასუხში მოცემული იყო საფუძველი ასეთი მოლაპარაკების წარმოებისათვის. მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უარის თქმამ ფარდა ახადა ამერიკის იმპერიალისტების ნამდვილ განზრახვებს, რომლებიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვიან და ზღაპრულ მოგებას იღებენ ახალი ომის მომზადებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე, რაც 1948 წლის სექტემბერში გაიხსნა, საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ ცხადყო მშვიდობიანობის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ყველა ხალხთა საარსებო ინტერესებს შეესაბამება: საბჭოთა წინადადება ერთი წლის განმავლობაში ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ, ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ ღონისძიებათა გატარებისადმი მეთვალყურეობისათვის უშიშროების საბჭოს სისტემაში საკონტროლო ორგანოს შექმნის შესახებ მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასების მოწონება დაიმსახურა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა პრინციპულობა და თანმიმდევრულობა მკაფიოდ გამოამჟღავნა აგრეთვე „ბერლინის საკითხში“. თავის პასუხში „პრავდის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე (1948 წლის 29 ოქტომბერს) ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ უკვე 1948 წლის 30 აგვისტოს მოსკოვში საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფ-

რანგეთის მთავრობათა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ბერლინის საკითხის გარშემო. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ეს შეთანხმება არარსებულად გამოაცხადეს და საკითხი უშიშროების საბჭოს გადასცეს. ასევე არარსებულად გამოაცხადეს მათ შეთანხმება ბერლინში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რაც პარიზში იქნა მიღწეული.

„საქმე ის არის, რომ აგრესიული პოლიტიკის სულის ჩამდგმელებს — თქვა ამხანაგმა სტალინმა — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში თავი არ მიაჩნიათ დანტერესებულად სსრ კავშირთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით. მათ უნდათ არა შეთანხმება და თანამშრომლობა, არამედ ლაპარაკი შეთანხმებასა და თანამშრომლობაზე, რათა, ჩაშლიან რა შეთანხმებას, ბრაღი დააკისრონ სსრ კავშირს და ამით „დაამტკიცონ“ სსრ კავშირთან თანამშრომლობის შეუძლებლობა. ომის გამჩაღებლებს, რომლებიც ისწრაფვიან გააძალონ ახალი ომი, ყველაზე უფრო ეშინიათ სსრ კავშირთან შეთანხმებისა და თანამშრომლობისა, ვინაიდან სსრ კავშირთან შეთანხმების პოლიტიკა ძირს უთხრის ომის გამჩაღებელთა პოზიციებს და უსაგნოს ხდის ამ ეაებატონთა აგრესიულ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ ისინი ფუშავენ უკვე მიღწეულ შეთანხმებებს არ ეთანხმებიან თავის წარმომადგენლებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირთან ერთად შეიმუშავეს ასეთი შეთანხმებანი, საკითხი გადააქეთ უშიშროების საბჭოში და არღვევენ წესდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისას, სადაც მათ უზრუნველყოფილი უმრავლესობა ჰყავთ და სადაც შეუძლიათ „დაამტკიცონ“ ყოველივე, რაც ნებაგეთ. ყოველივე ამას იმისათვის სჩადიან, რომ „ცხადყონ“ სსრ კავშირთან თანამშრომლობის შეუძლებლობა, „ცხადყონ“ ახა-

ლი ომის აუცილებლობა და ამით მოამზადონ პირობები ომის დაწყებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკა არის აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა“.

რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა კავშირმა კვლავ სცადა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ყველა უთანხმოების მოწესრიგება ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა პირადი შეხვედრისა და მოლაპარაკების გზით. საბჭოთა კავშირის ეს მისწრაფება გამოხატული იყო ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხში ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ ევროპის გენერალური დირექტორის კინგსბერი სმიტის კითხვებზე. ამხანაგ სტალინის პასუხში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ხელი მოაწეროს დეკლარაციას თავდაუსხმელობის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის გააუქმოს სატრანსპორტო შეზღუდვანი ბერლინში, თუ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები უარს იტყვიან დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნაზე, და ბოლოს, მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს შეხვედეს ტრუმენს.

ამხანაგ სტალინის განცხადებამ სრული შეშფოთება გამოიწვია იმპერიალისტთა ბანაკში. ომის გამჩაღებელნი ნამდვილმა პანიკამ მოიცვა. ტრუმენმა უარი განაცხადა საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე. ამერიკის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო პაქტის დადებაზე უარის თქმა იმით აიხსნება, რომ სამშვიდობო პაქტი სრულებით არ შეესაბამება ამერიკის მმართველი წრეების აგრესიულ კურსს.

სამშვიდობო პაქტს ამერიკის მმართველი წრეები უპირისპირებენ ევრეთ-

წოდებულ ჩრდილო ატლანტიკის პაქტს, რომელიც გამოხატავს ამერიკის მფარველობით აგრესიული ბლოკების შექმნას, ძველი ანტისაბჭოთა კურსისაკენ დაბრუნებას, მისწრაფებას სსრ კავშირის იზოლაციისაკენ.

სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ამერიკის მხარდაჭერით 1948 წლის მარტში დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა, ბელგიასა, პოლანდიასა და ლუქსემბურგს შორის სამხედრო პოლიტიკური ბლოკის შექმნას, რომელიც ცნობილია „დასავლეთის კავშირის“ სახელწოდებით.

ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი აგრესიული ბლოკების შექმნა აშკარად უთხრის ძირს იმ საფუძვლებს, რომლებზეც აგებულია გაერთიანებულ ერების ორგანიზაცია, და არღვევს მის წესდებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები დაადგინენ აშკარა აგრესიულ პოლიტიკურ კურსს, რომლის საბოლოო მიზანია ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალადობით დამყარება, რასაც შეესაბამება აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახორციელებენ.

ასეთი მდგომარეობის გამო საბჭოთა კავშირმა უფრო ენერჯიტიკულად უფრო თანმიმდევრულად უნდა იმოქმედოს ბრძოლა ომის ყველა და ყოველგვარი გამჩაღებლის წინააღმდეგ, აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა საყოველთაო მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის“.

მსოფლიო ბატონობის დამყარების ყოველგვარი გეგმის გზაზე გადაუღახავი დაბრკოლება არსებობს. ამ დაბრკოლებას წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის ფაქტი, მისი უძლეველი ძალა და კოლოსალური საერთაშორისო პრესტიჟი, სახელმწიფოსი, რომლის გარშემოც თავის ძალებს რაზმადვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ელემენტები. დემოკრატიისა და პროგრესის ამ უდიდეს ძალთა წინაშე სამარცხენოდ ჩაშლისათვის განწირულია ახალი ომის გამჩაღებელთა ყოველგვარი იმპერიალისტური გეგმები.

სტალინური საგარეო პოლიტიკა მტკიცე მშვიდობისათვის შეუწელებელი ბრძოლის პოლიტიკაა. ეს პოლიტიკა საბჭოთა ხალხის ინტერესებისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მისების ინტერესების გამოხატველია.

ამაშია სტალინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებათა საფუძვლები.

ლ. ზოჩიალი

მათემატიკის დაუძნელები თანამედროვე დასავლური რეაქციული თეორიები

★

თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსი მელანდრება კულტურის ყოველ დარგში, კერძოდ—მათემატიკაშიც. „ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვების გამოცდილებიდან,—ამბობს ა. ა. ედანოვი,—უკვე ცნობილია, თუ როგორ ჩიხში მოაშუქვდია მთელი ხალხები იდეალისტურმა ფილოსოფიამ. ახლა იგი წარმოგვიდგება თავისი ახალი საზიზღრად ბინძური ბუნებით, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიის დაცემის მთელ სიღრმეს, სიღამპლესა და სისაძაგლეს. სუტენიორები და სისხლის სამართლის დამნაშავენი ფილოსოფიაში—ეს მართლაც დაღუპვისა და გახრწნის უკიდურესი წერტილია. მაგრამ ეს ძალები ჯერ კიდევ ცოცხლობენ, მათ კიდევ შესწევთ უნარი მოსწამლონ მასების შეგნება“.¹

მათემატიკაშიც, ისევე როგორც ყოველ სხვა მეცნიერებაში, უაღრესად აქტუალური ხასიათი აქვს ბრძოლას გამხრწნელ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ.

შეიძლება აღამინს პირველი შეხედვით მოეჩვენოს, რომ მათემატიკაში განსხვავება იდეოლოგიის მხრით დიდ გამოვლენას არ ჰპოულობს და მათემატიკის დებულებებს ამ მხრივ ერთგვარად ნეიტრალური ხასიათი აქვთ, მაგალითად, ყველას ერთნაირად მიღებული და გაგებული აქვს ის, რომ ორ-

ჯერ ორი ოთხია, ამის შესახებ ჩვენ შემდეგ ვიტყვი: თუგინდ იმავე ბურჟუაზიულ მეცნიერებას ძალატუნებურად უხდება ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ ორჯერ ორი ოთხია, რადგან ეს გამოსახავს თითონ ობიექტურ სინამდვილეში არსებულ მდგომარეობას. თვით უკიდურეს იდეალისტს არ შეუძლია მაინც ანგარიში არ გაუწიოს ობიექტურ სინამდვილეს და არ შეუძლია უკანასკნელი ნამდვილად გადააქციოს იდეად. მაგრამ განსხვავება თვალსაზრისის მხრით სწორედ იმაშია, თუ როგორ ესმით თუნდაც იგივე $2 \times 2 = 4$, უკავშირებენ მას მატერიალურ სინამდვილის ასახვას, თუ თვლიან მას სუბიექტის ერთგვარ „შემოქმედების“ შედეგად და სხვ. აქ მელანდრება განსხვავება სხვადასხვა კონცეფციებისა მათემატიკის პრინციპების შესახებ. შეიძლება ახლა სთქვან, რომ ეს ეხება არა კონკრეტულ მათემატიკურ მასალას, არამედ ზოგად ფილოსოფიურ გამოკვლევას მათემატიკის პრინციპებისა. მაგრამ საქმე მდგომარეობს სწორედ იმ განუყრელ კავშირში, რომელიც არსებობს კონკრეტულ მათემატიკურ მასალასა და სათანადო ზოგად საფუძვლების ფილოსოფიურ გამოკვლევას შორის. თუ ავიღებთ, მაგალითად, ისეთს მათემატიკისათვის ძირითად ცნებას, როგორცაა სიმრავლის ცნება, საქმეს იმგვარად ვერ წარმოვიდგენთ, რომ

¹ ტურნალი „ბოლშევიკი“, 1947, № 9, გვ. 29—30.

ერთის მხრით არსებობს ზოგადი ცნება სიმრავლისა, რომელსაც სათანადო საერთო ფილოსოფიური გამოკვლევა ესაჭიროება, ხოლო, მეორეს მხრით, მისგან განცალკევებულად — კონკრეტული მათემატიკური სიმრავლენი, რომელნიც სრულებით გულგრილი არიან სიმრავლის ზოგადი ცნების მდგომარეობისადმი ფილოსოფიურის მხრით და რომელთათვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფილოსოფიური თვალსაზრისების სხვადასხვაობას სიმრავლის ზოგადი ცნების მიმართ. სიმრავლის ზოგადი ცნება განუყრელია ცალკეულ სიმრავლებებთან და, როცა ჩვენ ცალკეულ სიმრავლებებს ვლაპარაკობთ, გვიანაა გადავიფიქროთ სიმრავლის ზოგადი ცნება.

არ შეიძლება მივიღოთ, რომ ცალკეული სიმრავლებების გვერდით ცალკე არსებობს „სუფთა“ სახით აღებული „სიმრავლე“, ისევე როგორც არ შეიძლება გვქონდეს ცალკეული სახლების გვერდით ჰიპოთეზირებული სახით აღებული „სახლი“, არ შეიძლება ვაშულებს, მსხლების და სხვ. ჰამის შემდეგ ვუცადოთ იმას, რომ შევქვათ საერთოდ „ზილი“, ანდა არ შეიძლება ცალკეული ამინდების გვერდით წარმოვიდგინოთ სუფთა „ამინდი“, როგორც ასეთი¹. ჰეგელს მოყავს ერთი მოხუცი ქალის პასუხი ჩივილზე ცუდი ამინდის შესახებ: ეს მაინც უკეთესია, ვიდრე ის, რომ ამინდი სრულებით არ იყოსო.

ცლა მათემატიკის ფილოსოფიისაგან მოწყვეტისა არამცთუ ნამდვილად ვერ განახორციელებს ფილოსოფიისაგან თავისუფლებას, არამედ მხოლოდ გამოშატველია მათემატიკის ცუდი ფილოსოფიასთან დაკავშირებისა.

ვინც ფილოსოფიის მნიშვნელობის გაბათილებას ცდილობს, ჯერ უნდა

ეცადოს გააბათილოს თავისი საკუთარი ფილოსოფიის მნიშვნელობა, რადგან კონკრეტული მათემატიკის უნდა დაამოძრავოს ზოგადი ფილოსოფიური კვლევა-ძიებას, თვით ამავდროულად მკვლევრებმა გარკვეული, მაგრამ ამ შემთხვევაში ყალბი, ფილოსოფიური თვალსაზრისი, გამოშატველი ზოგადის და ცალკეულის ერთიმეორისაგან მოწყვეტისა. საქმე ფილოსოფიის აუცილებლობაშია და არა იმაში, რომ ყველაფერი ფილოსოფიაა და სხ.

როგორც აღვნიშნეთ, მათემატიკის საერთო ფილოსოფიური თვალსაზრისიდან დამოუკიდებლობის დეკლარირებაში თავს იჩენს გარკვეული ფილოსოფიური თვალსაზრისის ზედმოქმედება (ისე როგორც აპოლიტიკურობის დეკლარირება, სათანადო პოლიტიკური თვალსაზრისის მატარებლობის გამოშატველია), და ჩვენ შეგვიძლია თუნდაც ამ თვალსაზრისის განხილვიდან დავიწყოთ გარჩევა თანამედროვე რეალურ თეორიების მათემატიკის დიფერენციალურად. უნდა ითქვას, რომ ამგვარი პოზიტივისტური მიდგომა მათემატიკის დიფერენციალურად ფართოდ გავრცელებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ მათემატიკოსებში. 1943 წელს გამოცემულ წიგნში: „რა არის მათემატიკა?“ მისი ავტორები — თანამედროვე ცნობილი მათემატიკოსი კურანტი და რობინსი ცდილობენ პასუხი გასცენ წიგნის სათაურში დასმულ კითხვას ფილოსოფიის განზე შემოვლით. საბედნიეროდ, — აღნიშნავენ ისინი, — შემოქმედებითი გონებანი იგივეებენ დოგმატურ ფილოსოფიურ რწმენებს, როგორც კი უკანასკნელებსადმი ერთგულება შეუშლის მათ კონსტრუქციულ მოქმედებას. მათემატიკის რაობაზე უნდა გვიპასუხოთ არა ფილოსოფიამ, არამედ თვით აქტიურმა მათემატიკურმა საქმიანობამ.¹ სწორედ ამ

¹ იხ. В. И. Ленин. Философские тетради, 1947, стр. 329; Энгельс. Диалектика природы, 1948, стр. 189.

¹ R. Courant and H. Robbins. What is Mathematics?, 1943, p. XIX.

გზით უნდათ ავტორებს პასუხი ვასცენ კითხვაზე: რა არის მათემატიკა? შრომაში არ არის მოხდენილი რაიმე გაღრმავებული ანალიზი მათემატიკის ლოგიკურ საფუძვლებშია. დასმულ კითხვაზე უპასუხებენ, ასე ვთქვათ, მათემატიკის მოცულობის გადაშლით და ახდენენ თანამედროვე მათემატიკის სხვადასხვა დარგების მოკლე დემონსტრაციას. სხვადასხვა თანამედროვე პოზიტივისტური თეორიების წარმომადგენლები იძულებული არიან, როგორც ეს ზემოთაც აღნიშნულია, ეცადონ გადაიზარონ საკუთარი კონცეფციის ფილოსოფიური შინაარსი. ფილოსოფიური უმანკობის დაცვის მიზნით ისინი ცდილობენ ძუნწად ილაპარაკონ თავის ფილოსოფიურ პოზიციებზე და ფილოსოფიასთან კავშირით გამოწვეული თავისი ცოდვა უნდათ შეამცირონ იმის ძალით, რომ ამ კავშირისაგან დაბადებული ბავშვი ძალიან მცირეა და მიღებული თავისი ზომით.

„მათემატიკის ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლობას, — ამბობს ჰეიტინგი, — სრულებით არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ წინასწარი ფილოსოფიური მსჯელობანი ამ სტრიქონებში მოთავსებული შეიძლება სასარგებლო იყოს წმინდა მათემატიკის გაგებისათვის საჭირო სულიერ განწყობის შექმნის თვალსაზრისი“.² აქ მხოლოდ „მოშინაურებელია“ ის სიძნელე, რომელიც მდგომარეობს წინასწარ საკუთარივე ფილოსოფიისაგან განთავისუფლების საჭიროებაში იმისათვის, ვინც ცდილობს საზოგადოდ ფილოსოფიისაგან განთავისუფლებას. ზემოთყვანილ აზრის მსგავს აზრს ვხვდებით 1922 წელს გამოსულ ინგლისელ ლოგიკოსის ვიტგენშტეინის შრომაში „Tractatus logico-philosophicus“, რომელსაც თანამედროვე ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლები ერთ-

ერთ ფუძემდებელ შრომად თვლიან. ვიტგენშტეინი აღნიშნავს, რომ „შინაინაშრომი თეორიას კი არაა შესაძლებელი, არამედ მხოლოდ გზას, რომელსაც მკითხველი იმ მდგომარეობიდან გამოყავს, როცა ის ჯერ კიდევ ფილოსოფიურ კითხვებს სვამს. ძნელია არ დაეთანხმო ვიტგენშტეინს, როცა მას თავისივე თეორია ესმის, როგორც მხოლოდ თეორია ბრჭყალებში. სიმპტომატურია ვიტგენშტეინის შენიშვნა, რომ ის თავს კმაყოფილად ჩათვლის, თუ თუნდაც ერთი მკითხველი აღმოჩნდება, რომელიც მის შრომას გაიგებს (მეორეს მხრით, ის აპირებდა მკითხველებს — მრავლობითი რიცხვით — ფილოსოფიური აზროვნებისაგან განთავისუფლებას!). აქ მელანდებდა თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი მიდრეკილება — მეცნიერული აზროვნების გადატყვევა ერთეულების პრივილეგიადა; იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში მეცნიერება მასების კუთვნილებას წარმოადგენს, ბურჟუაზიულ დასავლეთში ყოველმხრივ ცდილობენ ობსკურანტიზმის განმტკიცებას მასების შეგნებაში. შრომების განგებ გართულებული ენით წერა, რათა მთრჩეულთათვის განკუთვნილი სახე ჰქონდეთ, მხოლოდ ამცირებს მათ მეცნიერულ მნიშვნელობას. „არა ყველაფერი, რაც მისაწვდომია, იმავე დროს გენიალურია, — ამბობდა ა. ა. ჯდანოვი. — მაგრამ ყველაფერი, რაც კეშმარიტად გენიალურია, ამასთანავე მისაწვდომია, და ის მით უფრო გენიალურია, რაც უფრო მისაწვდომია ხალხის ფართო მასისათვის“.¹ ვიტგენშტეინი თავისი წიგნის მკითხველთა ზოგად ცნებას „ერთი“ მკითხველით ცვლის, და ბოლოსდაბოლოს, თუ ერთი მკითხველით დაკმაყოფილდება, თითონვე შეეძლო გამოსულიყო თავის წიგნის ასეთი ერთადერთი მკითხველის როლ-

¹ А. Гейтинг. Обзор исследований основаниям математики, 1936, стр. 20.

² „Совещание деятелей советской музыки в ЦК ВКП(б)“, 1948, стр. 143.

ში; ასეთი „ერთი“ მკითხველი სოლო-
ნიზმამდე მისულ ფილოსოფოსსაც არ
დააკლდება. უნდა ითქვას, რომ ვიტგენ-
შტეინის წიგნს მაინც საკმაოდ დიდი
მკითხველი და მიმდევარი აღმოაჩნდა
იმ წრეში, რომელშიაც გაბატონებუ-
ლია ფორმალისტური მიდგომა ლოგი-
კისა და მათემატიკის მიმართ.

მათემატიკის და ფილოსოფიის ურ-
თიერთობის პრობლემა განსაკუთრებუ-
ლის სიძლიერით გაშუქებული აქვს
მარქსს თავის მათემატიკურ ხელნაწე-
რებში. მარქსი ხაზს უსვამს იმ გარე-
შობას, რომ მათემატიკური თეორიე-
ბის ფილოსოფიასთან კავშირი არ არ-
თმევს მათ მათემატიკურ ხასიათს. საქ-
მე ხომ სწორედ შეეხება მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი ს ფილოსოფიასთან კავშირს.
ამასთანავე ეს არის კავშირი ნამდვილ
ფილოსოფიასთან, ისე რომ მათემატი-
კას არ სჭირდება ჰქონდეს თავისი ში-
ნურული „მათემატიკური“ ფილოსო-
ფია. მათემატიკის ფილოსოფია არ უნ-
და იყოს ვაგებელი, როგორც მათემა-
ტიზირებული ფილოსოფია ფილოსო-
ფირებული მათემატიკისა. მათემატი-
კური თეორიების ლოგიკური დაფუძნე-
ბისათვის სრულდება არაა სჭირთ „გა-
დავიტანოთ“ მათემატიკა ფილოსოფია-
ში და განვიხილოთ ორი მათემატიკა—
ერთი ფილოსოფიაში¹ გათქვეფილი,
მეორე—ფილოსოფიისადმი უცხო. სა-
ინტერესოა ამ მხრით ერთმანეთს შევა-
დართო ჰეგელისა და მარქსის შეხედუ-
ლებანი. ჰეგელისათვის მათემატიკის
დაფუძნების საკითხები დაკავშირებუ-
ლია გამოკვლევის გადატანასთან ფი-
ლოსოფიის სფეროში. თავისივე ცნებე-
ბის შინაარსი და მათი დიალექტიკური
განვითარება მათემატიკოსებმა, ჰეგე-
ლის მიხედვით, ფილოსოფიისაგან უნ-
და გაიგონ.² მარქსი კი პირიქით, მა-
გალითად, უსასრულოდ მცირეთა აღ-
რიცხვის ლოგიკურად მკაცრ და ში-

ნაარსობრივ საფუძველზე დაფუძნე-
ბილ თეორიას უკავშირებდა მათემატიკურ
სათანადო გარეშობანი იყვნენ მიღე-
ბული მათემატიკური გზით და არა
მხოლოდ მეტაფიზიკურ ახსნა-განმარ-
ტების საშუალებით.³

მიუხედავად თავისი ფილოსოფიური
და პოლიტიკური ნეიტრალიზების დეკ-
ლარირებისა, ბურჟუაზიული ლოგიკის
მთელი რიგი წარმომადგენლები თავის
კლასობრივ ტენდენციას საკმაოდ მო-
ურიღებლად ამჟღავნებენ. ამას ვხედე-
ბით პირველი შეხედვით ისეთ „ნეიტ-
რალურ“ დარგშიც, როგორც არის მათე-
მატიკური ლოგიკა. მაგალითად,
1947 წ. გამოსულ სუსანა სტებინგის
„თანამედროვე ელემენტარულ ლოგი-
კის კურსში“ ვითომდაც საილუსტრა-
ციო და საგარჯიშო მასალის სახით გა-
მოთქმულია უაღრესად რეაქციული და
ანტისაბჭოთა აზრები.

ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი
თანამედროვე ინგლისელი ფილოსო-
ფოსი რესელი საესებით იცილებს თა-
ვიდან ყოველგვარ ნეიტრალიზების ნი-
ღაბს და ხაზგასმით ლაპარაკობს ფი-
ლოსოფიისა და პოლიტიკის შორის
მკიდრო კავშირზე ფილოსოფიის გან-
ვითარების მთელ მანძილზე. ამ სა-
კითხს ეხება რესელის სქელტანიანი
შრომა „დასავლური ფილოსოფიის
ისტორია“. ცუდი არის, რასაკვირველია,
არა აღნიშვნა კავშირისა ფილოსოფიის-
სა და პოლიტიკის შორის, ცუდი არის
ცდა ფილოსოფიაში იმ ატომურ-დო-
ლარულ პოლიტიკის გაბატონებისა,
რომლის ერთგული დამცველია რესე-
ლი. რესელის აზრით, თანამედროვე
ადამიანი თავისი ინსტიტუტებით არაფ-
რით განსხვავდება პირველყოფილ ადა-
მიანისაგან; თავისი მიღრეკილებას
ომისადმი ის ფეხბურთითა და სხვა ამის
მსგავსი თამაშით ვერ დაიკმაყოფი-
ლებს, მას ნამდვილი ომი სჭირდება და

¹ იხ., მაგ., Гегель. Сочинения. т. II. 1934, стр. 54.

² კ. მარქსი. მათემატიკური ხელნაწერები, 1948, გვ. 18, 46, 79 და სხვ.

თანამედროვე მეცნიერებამ იმ მხრივ უნდა გაუწიოს ადამიანს სამსახური, რომ თავის კულტურულ მიღწევებს მაშინვე მისცეს სათანადო გამოყენება საომარი მიზნებისათვის. რესელი პირ-წავარდნილი მქადაგებელია ატომური ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ-როგორც სჩანს, „ლოგიკური ატომიზ-მის“ სახელით მონათლული თავისი იდეალისტური თეორიის განმტკიცების საუკეთესო საშუალებას, ლოგიკური საბუთების ნაკლებობის გამო, რესელი ატომურ ყუმბარებში ხედავს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ სერთო პო-ზიტივისტური მიდრეკილება მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე ბურჟუ-აზიულ თეორიებისა. პოზიტივისტებს სურთ არა მარტო ის, რომ თითონ გაი-მიჯნონ ფილოსოფიისაგან, არამედ ისიც, რომ მათი თვალსაზრისი ფი-ლოსოფიურად შეფასებული და გაკრი-ტიკებული არ იყოს. ასეთი მიდგომა არამტო უნდა შეზღუდვადეს ნამდვი-ლად ფილოსოფიურ შეფასების შესა-ძლებლობას, არამედ თვით უნდა იყოს სათანადო ფილოსოფიური შეფასების საგანი.

საქმე ისაა, რომ ობიექტურად უნდა შეფასდეს სწორედ ასეთი თვალსაზრი-სი შეფასებისა თვით შემფასებლის სუ-ბიექტური მითითებათა მიხედვით. რო-ცა ჩვენ ვაფასებთ, მაგალითად, რაიმე სუბიექტივისტურ თეორიას, არ შეიძ-ლება ეს შეფასება მოვახდინოთ თვით შემფასებლის თვალსაზრისზე დადგო-მით, რადგან ეს სწორედ ის სუბიექ-ტივისტური მიდგომა იქნება, რომელიც სათანადოდ უნდა შეფასებული იყოს. და სწორედ ასეთი სუბიექტივისტური მიდგომა ახასიათებს ობიექტივისტურ შეფასებას, რომელიც ვინმეს შეფასე-ბას ზღუდავს ამ შეფასების დროს „პი-რობით“ შემფასებლის პრინციპებზე დადგომით.

ასეთი ნეიტრალიზაცია და ობიექტივის-ტურობა შეფასებისა არამც თუ ობი-

ექტივობის მაჩვენებელია, არამედ ჩი-სი საწინააღმდეგო ხასიათის მიხედ-ნიერების ობიექტივობაა. მაშინვე უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტივისტური პარტიულობის და-ცვასთან მეცნიერებაში, სინამდვილის გაუმჯობესებისა და შემეცნებისა-თვის, კუშმარტივისათვის დაუცხრო-მელ ბრძოლასთან, და არა ობიექტივის-ტურ განუჩევლობასთან, რომელიც ყოველი შეხედულებისადმი წინასწარ-ვე ერთნაირი პატივისცემის საჭიროებას ქადაგებს. ა. ა. ჟდანოვი, ეხებოდა რა ფილოსოფიის ისტორიის ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს, აღნიშნავდა, რომ ისინი ვარდებიან «ფილოსოფიის ბურ-ჟუაზიულ ისტორიკოსთა ტყვეობაში, რომლებიც იქიდან გამოდიან, რომ თვითელ ფილოსოფოსში, პირველ ყოვლისა, დაინახონ მოკავშირე პრო-ფესიის მიხედვით, ხოლო შემდეგ უკვე მოწინააღმდეგე. ასეთ კონცეფციებს, ჩვენში რომ ისინი განვითარებულიყუ-ნენ, გარდუვალად მიეყვართ ობიექ-ტივიზმამდე, ბურჟუაზიული ფილოსო-ფოსების წინაშე მონურ მორჩილებამ-დე და მათ დამსახურებათა გადაჭარბე-ბით შეფასებამდე, ჩვენი ფილოსოფიის-სათვის მებრძოლი შეტევიით სულის-კვეთების გამოცლამდე. ხოლო ეს იქ-ნებოდა მატერიალიზმის ძირითადი პრინციპებიდან — მისი მიმართულობი-დან, მისი პარტიულობიდან ჩამოშო-რება. ლენინი კი გვასწავლიდა, რომ „მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, გვახალღებულებს რა მოვლენის ყოველგვარი შეფასებისას პირდაპირ და აშკარად დაეღვეთ გარკ-ვეული საზოგადოებრივი კავშირის თვალსაზრისზე“...»¹

მათემატიკის დაფუძნების თანამედ-როვე ბურჟუაზიული თეორიების კრი-ტიკის დროს ჩვენ თავს არ შევზღუ-დავთ იმ მხრივ, რომ გავითვალისწი-ნოთ მათი აღუარებელი ნაირსახეობანი, პასიურად მივეყვით და გავუწიოთ ან-

¹ ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1947, № 9, გვ. 17.

გარიში სხვადასხვა ხელოვნურ გართულებებს და ტერმინოლოგიურ კომბინაციებს, რომლითაც უნდათ შეკმაზონ, გარეგნული გაძლიერების მიზნით, შესაფერისი კონცეფციები. ლენინი აღნიშნავდა სათანადო ფილოსოფოსების მიდრეკილებას იმ ნამკეცა ცვლილებების ორიგინალურ სისტემებად გასაღებისადმი, რომელიც მათ შეაქვთ ტერმინოლოგიაში ან არგუმენტაციაში.¹

ჩვენ ქვემოთ შევხებით არა იმდენად სხვადასხვა თეორიების ცალკეულ გარჩევას, რამდენადაც მათი საერთო ხასიათის გამოვლენას და გაშიშვლებას, მათთვის დამახასიათებელ, რასაკვირველია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, საერთო ნიშნების აღნიშვნას. სათანადო სპეციალური მიმართულებათა განხილვა ამ მხრივ ხშირად გამოყენებული იქნება მხოლოდ საილუსტრაციო მასალის სახით.

ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე თეორიების ერთერთი საკმაოდ დამახასიათებელი ნიშანი — პოზიტივისტური მიდრეკილების სახით. მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ამ თეორიების ფორმალისტური ხასიათი. მათემატიკის ცნებების ზოგად ლოგიკური ანალიზი უნდათ შეცვალონ გარეგნული ხასიათის პროცედურებით და მოქმედებებით, რომელნიც წარმოებული იქნება სათანადო სიმბოლოებზე, ნიშნებზე და სხვ... საგნები, მათი თვისებები, მათ შორის დამოკიდებულება და სხვ. უნდათ შეცვალონ იმ ენობრივი აპარატით, რომელიც მათ გამოსათქმელად არის გამოყენებული. მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე ფორმალისტურ თეორიებში ყველაზე ტიპური არიან სხვადასხვა სინტაქსური, სემანტიკური და სხვ. თეორიები. ამ თეორიების ერთერთი „ფუძემდებელია“ ზემომოხსენე-

ბული ვიტგენშტეინი, ხოლო მისი ყველაზე თვალსაჩინო წიგნებში უნდათ შეიძლება მიჩნეულდეს „სინტაქსური სკოლიდან გამოსული ამჟამად გაამერიკელებული ავსტრიელი კარნაპი. კარნაპის წიგნის „ენის ლოგიკური სინტაქსი“ (რომელიც 1934 წ. გამოვიდა) მნიშვნელობას მისი ზოგიერთი მიმდევარი და მეზობლებადარება კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ მნიშვნელობას. ვიტგენშტეინის და კარნაპის მსგავს ლოგიკოსებისათვის ის პრობლემები, რომელიც შინაარსობრივ და საგნობრივ აზროვნების პროცესში წარმოსდგება, არიან ფსევდო-პრობლემები, გამოწვეული ჩვეულებრივი ენის ნაკლებოვანი ხასიათით. საკმარისია კარგად გაგებული იყოს, რომ ლოგიკის მხოლოდ სინტაქსური ხასიათი აქვს, რომ ამგვარი პრობლემების დასმა თავისთავად მოიხსნას. ვიტგენშტეინი აღნიშნავს, რომ ფილოსოფიური კითხვების ნამდვილი გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ ენა შესწორდეს და ამ შესწორებულ ენაში სათანადო საკითხი უკვე არც იქნება დასმული. „ყველა საკითხები ლოგიკის დარგიდან, — ამბობს კარნაპი, — შეიძლება ფორმალურად გამოხატული იყოს და სინტაქსურ საკითხებად აღმოჩნდებიან. განსაკუთრებული ლოგიკა შინაარსისა (Sinnlogik) ზედმეტია; არაფორმალური ლოგიკა არის *contradictio in adjecto*. ლოგიკა არის სინტაქსი“. „ყველას შეუძლია ააგოს თავისი ლოგიკა, ე. ი. ენის თავისი ფორმა ისე როგორც მას სურს“. ¹ ჩვეულებრივი ფორმულირებანი, მაგალითად: „როგორი აგებულება აქვს სივრცეს?“, „დროს?“ „მიზეზობრივობას?“ ადვილად მიგვიყვანს აბსოლუტიზმამდე. ჩვენ ვცდილობთ მათ ფორმულირებით „როგორი ლოგიკურ-სინტაქსური აგებულება აქვს სივრცის აღნიშვნათა სისტემას?“.

¹ ე. ი. ლენინი. მატერიალიზმი და ეპი-როკრიტიციზმი. 1934, გვ. 100.

¹ R. Carnap. Logische Syntax der Sprache, 1934, S. 202, 45.

„ღროს აღნიშვნათა სისტემას?“, „ბუნების კანონების აღნიშვნათა სისტემას?“. კარნაპი ფიქრობს, რომ ლოგიკის ისეთ ცნებებს, როგორც არის წინააღმდეგობა, ანალიტიკური მსჯელობა და სხვა, აქვთ წმინდა სინტაქსური ხასიათი. კარნაპი მოითხოვს ლოგიკიდან ყველა „უნივერსალური სიტყვების“ განდევნას. ასეთები არიან, მაგალითად: საგანი, სიმრავლე, თვისება, დამოკიდებულება და სხვ.

ცდილობს რა ლოგიკას სინტაქსური ხასიათი მისცეს, კარნაპი აღნიშნავს, რომ „ლოგიკაში არავითარი მორალი არაა“ (დასახელებული შრომა, გვ. 45, 117). ნამდვილად საქმე მდგომარეობს არა კეშმარტების განსაკუთრებულ მორალიზირებაში, არამედ თვით კეშმარტებაში და მის ღირებულებაში, რომელიც არ შეიძლება დაყვანილი იყოს ლოგიკურ ინსცენირებაზე სიმბოლოების თამაშის სახით. კარნაპის მოყვანილი ცინიკური განცხადების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგია არამეტო ლოგიკაში არ ეძებს მორალს, არამედ მას საზოგადოდ არსად ადგილს არ უტოვებს.

როცა ცდილობენ მეცნიერებიდან ცნებების განდევნას, გადაულახავ სიძნელეს ქმნის ცლა საკუთარი ლოგიკური თეორიის აგებისა. ამ თეორიაში ხომ მოუხდებათ სარგებლობა თუნდაც იმავე აღნიშვნის ცნებით, თუნდაც ცნებით ენობრივი საშუალებებისა, რომლებითაც უნდათ შეცვალონ მათ მიერ აღნიშნული ცნებები. როცა მეცნიერებიდან უნდათ განდევნონ ზოგადი ცნებანი, უკვე ვერ ისარგებლებენ ზოგადი ცნებით თუნდაც აღნიშვნისა, აღფაბეტის ამათუიმ ნიშნისა და სხვ.; ასეთ პირობებში იძულებული იქნებიან სიტყვების ცნება კვლავ სიტყვებზე დაიყვანონ და ა. შ. „გამოსავალს“ აქ პოულობენ ე. წ. მეტალოგიკისადმი მიმართვაში. ტერმინები: „მეტალოგიკა“, „მეტა-

მათემატიკა“, „მეტაენა“, „მეტაბიოლოგია“, „მეტაფილოსოფიკა“ და სხვ. ძალიან მოდური ტერმინები არიან მათვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში. მეტალოგიკა წარმოადგენს ლოგიკის თავისებურ „თეორიას“, ის შეისწავლის ლოგიკას, როგორც გრამატიკული ხასიათის თეორიას. ამისათვის ის მიმართავს არა ენას, არამედ უკვე მეტაენას, რომელშიაც სათანადო გამოთქმები ჩასმულია წინწყლებში და სხვ. ნამდვილად აქ ჩვენ გვაქვს ობიექტური გამოვლენა იმ ლოგიკური სიძნელისა, რომლისაკენაც მივყევართ ნომინალისტურ კონცეფციას და მისი „მოშინაურების“ ცლა. მეტალოგიკას მოუხდება საკუთარი მეტალოგიკური ფილოსოფიის გადაზრებაც და თითონ სიტყვის: ფილოსოფია — წინწყლებში აღება. ის გარემოება, რომ თვით ამ ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ის უნდა გაასაღონ „ფილოსოფიის“ სახით, საკმაოდ მჭერმეტყველურად და თვალსაჩინოდ გამოაჯღუწეს მის კეშმარტ ღირებულებას.

მეტალოგიკურ მიდგომისათვის დამახასიათებელია არა უბრალოდ ის, რომ აქ გარჩეულია ერთიმეორისაგან ლოგიკა და ლოგიკის თეორია, არამედ ის, რომ ეს გარჩევა დაკავშირებულია თვით ლოგიკის განკვეთასთან ლოგიკად და მეტალოგიკად; უკანასკნელი გამოდის არა როგორც ლოგიკის გამოვლილი ფილოსოფიური თეორია, არამედ როგორც მათემატიკური თეორია, რომელიც შემოფარგლავს თავის თავს ელემენტარულ ჰერეტიკით საშუალებების გამოყენებით და წმინდა გარეგნული განზივით სათანადო ენისა და გამოთქმის ფორმების. მეტალოგიკური კონცეფციისათვის გამოდის, რომ უკანა რიცხვით დელოგიზირებული თეორია ლოგიკისა—მეტალოგიკის სახით—თვით უნდა ლოგიკურად უსწრებდეს ლოგიკას და უზრუნველყოფდეს მისი აგების შესაძლებლობას.

საქმისადმი სწორი მიდგომის პირობებში, რომელიც შესაძლებელია მხო-



ლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიისათვის, არავითარ ლოგიკურ სიმწვანე არ წარმოადგენს შესაძლებლობა შემეცნების გაშლილ თეორიისა, შემეცნების ყველა რესურსების გამოყენებით, შესაძლებლობა თვით ლოგიკის ფართო ლოგიკური თეორიისა. როგორც შემეცნების თეორია არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემეცნებას თვით შემეცნებაში — უქანსკენლისათვის პირველად, ასე ვთქვათ, გზის გახსნისათვის, ასევე ლოგიკის თეორია არ მოითხოვს განსაკუთრებულ ლოგიკას ლოგიკაში, უქანა რიცხვით გამარტავებულს და ინტეგრირებულს. ლოგიკის თეორია არ მოითხოვს თეორიის ცნების გაღარიბებას და მის გადაქცევას „მეტათეორიად“. მაგრამ ასეთ ყალბ გზისაკენ მიყავს მეტაფიზიკური და ანტიდიალექტიკური ხასიათის მქონე მეტალოგიკურ კონცეფციას. ამ კონცეფციას ირაციონალისტური ხასიათი აქვს და მისთვის თვით ლოგიკა უნდა ეყრდნობოდეს ირაციონალისტურ აზრით გაგებულ სუბიექტის საწყის შესაძლებლობებს.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ლოგიკის ერთერთი წარმომადგენელი, ზემოთ უკვე მოხსენებული ჰეიტინგი, მეტამათემატიკურ კონცეფციის ფილოსოფიურ დასაბუთებას უკავშირებს ფაისტურ „ფილოსოფოსის“ დინგლერის შრომებს, რომელიც თვლიდა, რომ ლოგიკა უნდა ემყარებოდეს გარკვეულ წინალოგიკურ მოღვაწეობას, ირაციონალური მოქმედების სახით.¹ მოქმედების ფაისტურ-ზოოლოგიური გაგება დიამეტრალურად მოწინააღმდეგეა პრაქტიკის კრიტერიუმის წამოყენებისა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია რაციონალურ შემეცნებასთან.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ გერმანული ფაშისმის იდეოლოგიკურ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გერმანულ თემატიკის დაფუძნების თანამედროვე რეაქციულ ინგლის-ამერიკულ თეორიებზე. თავისებურად განახლებულია თვით რასიული თეორია. ფაშისმი ცდილობდა დაეხრჩო ნამდვილი მეცნიერება, შეეცვალა მეცნიერება ბნელეთისმოციქულობით, ადამიანის გონება — ინსტინქტით, ადამიანი — პირუტყვით, რომლის სხვადასხვა ჯიშები სორტირებულა „რასიული თეორიის“ მიხედვით. გერმანელ ფაშისტ-მათემატიკოსების, მათ შორის ბიბერბახის, „თეორიის“ მიხედვით მათემატიკაში ცნებითი აზროვნების, ლოგიკურ გარკვეულობის და სიზუსტის ადგილი უნდა დაეკავებინა „ნორდიულ ადამიანის“ სათანადო ინსტინქტებს, „სივრცის გრძობას“ და სხვ. ვინც ქვეშაობების გამოთქმის შესაძლებლობას, მაგალითად, თავის ქალის აგებულების გარკვეული თავისებურებებით ზომავს, თავისივე თვალსაზრისის მიხედვით ამავე თვალსაზრისის დასაბუთების ნაცვლად საკუთარი თავის ქალის ძვალი უნდა გაიშინებლოს და სათანადო „საბუთის“ სახით წარმოადგინოს. გერმანული ფაშისმის იდეოლოგიის წარმომადგენლებს დღეს მრავალი მიმბაძველი ყავს ინგლის-ამერიკელთა შორის, მაგალითად შპენგლერის ყაიდაზე გამოწყობილი ინგლისელი ტონინის და სხვ. სახით.

დავუბრუნდეთ კვლავ მეტალოგიკურ კონცეფციას. ამ კონცეფციაში გვაქვს ყველაზე ნაკლებად გულუბრყვილო ცდა უქანა რიცხვით გულუბრყვილო თვალსაზრისზე დადგომისა, და გულუბრყვილობის ასეთი ვათამაშება და ფსევდოგულუბრყვილობა თვით მოწმობს ლოგიკურად ყალბ მდგომარეობაზე. „მამაკაცი, — ამბობს მარქსი, — ხელახლა ბავშვად ვერ იქცევა, წინააღმ-

¹ Гейтинг. Обзор исследований по основаниям математики, стр. 52.

დღე შემთხვევაში გაბაეშედება¹. წინასწარ მხედველობაში უნდა გვექონდეს გარკვეული ცნებანი, რომ შევეცადოთ მათი გადააზრება (მაშინ მოგვიხდება გადავიზროთ თვით ამ გადააზრების ცდაც და ა. შ.), და გვიახაა, იმის შემდეგ, რაც მოვასწარით სათანადო ცნებების გამოყენება მათი ზოგადი და სრული აზრით, დაეარწმუნოთ ჩვენი თავი იმაში, რომ გამოყენებულია მხოლოდ მათი პრიმიტიული ექვივალენტები. აქ შეიძლება გავიხსენოთ ერთი ალქიმიკოსის რეცეპტი ოქროს მომზადებისა, რომელშიაც მოთხოვნილი იყო, რომ სათანადო პროცედურების წარმოების დროს არ ფიქტრათ თეთრ დათვებზე; მათზე ძალაუწებურად მოუხდებოდათ ფიქტი მათი გადააზრების ცდის დროს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ სანამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი ფორმალისტურ კონცეფციის მიყოლით, ჩვენ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1947 წელს გამოცემულ ცნობილ ბურჟუაზიულ ლოგიკოსის და მათემატიკოსის რაიხენბახის, რომელიც ამჟამად აგრეთვე ამერიკაში მოღვაწეობს, წიგნში „სიმბოლიური ლოგიკის ელემენტები“² მე-15 გვერდზე მოყვანილია ცხრილი. ეს ცხრილი, რომლის პირველ სტრიქონს მოვიხსენიებთ, შესდგება სამი სვეტისაგან წარწერებით: საგნები, საგნის ენა, მეტაენა. პირველ სვეტში დახატულია ჩიტი, მეორეში წერია სიტყვა: ჩიტი, მესამეში დაწერილია იგივე სიტყვა: ჩიტი მოთავსებული წინწყლებში. გავიხსენოთ, რომ საგნები ცნებების საშუალებით კი არ უნდა იყოს გამოთქმული, არამედ განგებ პრიმიტიული გზით: სურათის და სხვ. საშუალებით, თუმცა რაიხენბახს სწორედ ჩიტის ცნება ჰქონდა მხედველობაში, როცა თავის სურათს ხატავდა ან სხვას ახატინებდა.

გარდა სურათისა, გვაქვს სიტყვა: ჩიტი, რომელიც აგრეთვე ეფიქტურებს, როგორც წმინდა გარეგნული ჩასთვლის მოცემულობა. მეტაენაში, რომელიც ენის თეორიის როლში უნდა გამოვიდეს, შევხვდებით ოდნავ შეცვლილ სურათს: იმავე სიტყვა ჩიტს ოღონდ გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსებულს, წინწყლების სახით.

ნატურალისტური და ფორმალისტური ხასიათი ზემოთგანხილულ კონცეფციისა საეხებით შეთავსებულია ერთიმეორესთან. არ იქნება აქ უადგილო გავიხსენოთ სვიფტის მიერ გამოყვანილი ერთერთი პედანტი მეცნიერის პროექტი ჩვეულებრივ მეტყველების შეცვლისა ერთგვარი ჩუმი მეტყველებით, რომელიც მოხდება სათანადო საგნების ჩვენებით, რისთვისაც ყველამ თან უნდა ატაროს ბარგის სახით საგნების დიდი თუ პატარა კოლექცია, თავის შეძლების მიხედვით. სწორედ ამგვარივე გაჩუმების მიღრეკილება ახასიათებს მეტალოგიურ დოქტრინას, რომელშიაც უნდათ ცნებების აუტდენლობას გვერდი აუარონ ფორსირებული სიჩუმის გზით. ნამდვილად ასეთი მიჩუმება არამეტო არ აქვს მებს სათანადო ცნებების მონაწილეობას საქმეში, არამედ აქ სწორედ ისინი აქვთ მხედველობაში. გაჩუმების თეორია წარმოადგენს მაინც გარკვეულ თეორიას რალაციონარად გამოთქმულს. ასევე, სტალინის სიტყვებით რომ ეთქვას, „დღემლით შეხვედრის მეთოდით, როგორც უგულუბელყოფის განსაკუთრებული საშუალება, არის აგრეთვე კრიტიკის ფორმა, მართალია სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა“³.

მეტალოგიურ მიდგომისას ესა თუ ის შეცნოერება, ნაცვლად იმისა, რომ იყოს გამომხატველი მეცნიერების ზოგადი ერთიანი ცნებისა, იწვევს უკანას-

¹ ე. შარქისი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1932, გვ. 36.

² H. Reichenbach. Elements of Symbolic Logic.

³ ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამ., 1939, გვ. 645.

ქნელიც ფენებად დაყოფას; მეცნიერების ზოგადი ცნება, აღებული მეცნიერებისადმი გამოყენებული, უკანა რიცხვით ინორმება № 1-ით, და უკვე № 2-ის ქვეშ გამოდის მეცნიერება, დაკავშირებით იმ დისციპლინის მეთოდის შესწავლასთან, რომელიც ფიგურირებს № 1-ის ნიშნის ქვეშ.

ობიექტების განსხვავება ჩვენ გვაქვს ერთიანი ლოგიკის ჩარჩოებში და ეს განსხვავება არ ითხოვს თვით ლოგიკის განსხვავებულ შრეებად დანაწევრებას. „სატექნიკური ლოგიკის“ თვალსაზრისში, რომლის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს რესელის „ტიპების თეორია“, მელანება ცალკეულისა და ზოგადის ერთიმეორისაგან მოწყვეტა და სპეკულატური გაგება ზოგადისა. ასეთი გაგება თავს იჩენს საერთოდ იმ ნომინალისტურ მიდრეკილებაში, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული ლოგიკის მთელ რიგ მიმართულებათა ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია ცდა მათემატიკისათვის ისეთი ძირითადი ცნების განდევნისა, როგორც არის ცვლადი სიდიდის ცნება.

თანამედროვე ლოგიკური პოზიტივიზმის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პოლონელი მეცნიერი ტარსკი, რომელიც ამჟამად მოღვაწეობს ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, თავის ცნობილ წიგნში „ლოგიკისა და დედუქციური მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი“ აღნიშნავს, რომ ცვლადი რაოდენობის ცნება დიდი გაუგებრობის შედეგს წარმოადგენს. „ცვლად რიცხვს“ არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე ვარკვეული თვისება, ის არ შეიძლება იყოს არც დადებითი, არც უარყოფითი, არც ნული; ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთი რიცხვის თვისებები შეიცვლებოდნენ შემთხვევიდან შემთხვევაზე ე. ი. რიცხვი იქნებოდა ხან დადებითი, ხან უარყოფითი, ხან ნულის ტოლი, მაგრამ ჩვენს

სამყაროში ამგვარ არსებს საერთოდ ვერ ვნახულობთ. მათი არსებობა ეწინააღმდეგებოდა აზროვნების ლოგიკურ კანონებსა.¹

ტარსკი აქ ზოგადის უკუგდების მიზნით ერთერთს ძველ დროთაგან ცნობილ საბუთს იყენებს, რომელიც სწორედ ლაბარაკობს ზოგადის პიპოსტაზირების წინააღმდეგ და ზოგადისა და ცალკეულის განუყრელობის სასარგებლოდ. ეს საბუთი იმასში მდგომარეობს, რომ, მაგალითად, ზოგადი ცნება ადამიანისა რომ პიპოსტაზირებულად და ცალკეულ ადამიანისაგან მოწყვეტილად წარმოვიდგინოთ, მაშინ ეს ზოგადი „ადამიანი“ მაღალიც უნდა იყოს და დაბალიც, ჰევიანიც და უჰევიანიც და სხვ. ტარსკის წინასწარვე ზოგადი პიპოსტაზირებული საბუთი ესმის, და ამიტომ საბუთს, მიმართულს ასეთი გაგების წინააღმდეგ, აფასებს, როგორც საბუთს მიმართულს საზოგადოდ ზოგადის წინააღმდეგ. ცვლადი სიდიდისადმი უარყოფითი დამოკიდებულება წარმოადგენს სინამდვილის მეტაფიზიკური გაგების გამოხმურებას; ეს იჩენს თავს ტარსკის შრომიდან ამოღებულ ზემოთმოყვანილ ადგილშიც.

მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიების მეტაფიზიკური და ფორმალისტური ხასიათი ერთიმეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. როცა მოძრაობა ესმით, როგორც მხოლოდ მათემატიკური ფუნქცია, როგორც უზრალო შესაბამისობა დროის მომენტის და სერტიკლის მდებარეობისა, ამგვარი სტატიკური და ფორმალისტური მიდგომა მოძრაობის მიმართ იწვევს თითონ სათანადო მათემატიკურ ცნებების, მათ შორის პირველ რიგში ცვლადი სიდიდის ცნების, დამახინჯებას, ამ ცნებისადმი, მარქსის ტერმინი რომ გამოვი-

¹ А. Тарский. Введение в логику и методологию дедуктивных наук, 1948, стр. 32 — 33.

ყენოთ, „ჯამის თვალსაზრისზე“ დადგომას, რომელიც ცელად სიდიდეს განიხილავს, როგორც მუდმივ მნიშვნელობათა თავმოყრას. ცდა თითონ ლოგიკის მათემატიზაციისა იწვევს თვით მათემატიკის ხასიათისა და დანიშნულების დამახინჯებას.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ თანამედროვე მეტალოგიკური თვალსაზრისი. ტერმინის „მეტალოგიკა“-ს ხმარებას ფართო გასაქანი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ის ამჟამად იხმარება, პირველად მიეცა პოლონელ ბურჟუაზიულ ლოგიკოსების თაოსნობით. ეს ტერმინი ნახმარი იყო მსგავსად ტერმინისა: მეტამათემატიკა, რომელიც შემოღებული იყო ცნობილ გერმანელ მათემატიკოსის ჰილბერტის მიერ. ჰილბერტი მიზნად ისახავდა არითმეტიკისა და ლოგიკის ერთდროულად ფორმალიზაციას, სათანადო თეორიისათვის აქსიომატიკურ ტიპის მათემატიკურ თეორიის სახის მიცემით. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ერთერთ ფართოდ განზრახულ ცდას ლოგიკისა და მათემატიკის ფორმალიზაციის საქმის ბოლომდე მიყვანისა, მათგან შინაარსობრივობისა და საგნობრივობის განდევნისა და მათი გადაქცევისა ცარიელ სიმბოლოების თამაშის საარბიელად. მაგრამ შინაარსობრივი ხასიათის ელემენტების, მათ შორის ნატურალური რიცხვის, გამოყენება აუცდენელი იყო თვით დასახულ თეორიის აგებისათვის. ცდილობდნენ ამ სიძნელიდან „გამოსავალი“ იმასში ენახათ, რომ მათემატიკური დამტკიცების თეორია აგებული ყოფილიყო არა როგორც გაშლილი ლოგიკური თეორია, არამედ როგორც „მეტათეორია“, რომელიც მხოლოდ „მეტამათემატიკის“ შესაძლებლობათა გამოყენებით შემოიფარგლებოდა. მეტამათემატიკაშიც, მართალია, გამოიყენება ნატურალური რიცხვი, მაგრამ არა როგორც ცნება, არამედ ერთგვარი გულუბრყვილო სახით. აქაც გვაქვს ცდა, სიძნელების თავიდან აცდენის სურ-

ვილით, უკანა რიცხვითობითი თვალსაზრისზე დადგომისა და სათანადო ცნებების გადაზრუნვისა. სწერენ ნიშნებს $1, 1+1, 1+1+1, \dots$ ნიშნები შერჩეული არიან რიცხვების $1, 2, 3, \dots$ მიხედვით, და გვიანაა ამის შემდეგ ამ რიცხვების ცნებები ჯერ-ჯერობით ხელშეუხებლად მივიჩნით.

ის გარემოება, რომ ლოგიკის და მათემატიკის ფორმალისტური თეორიების აგებისას, ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიონ შინაარსობრივობას და საგნობრივობას, ფორმალიზმის სასარგებლოდ კი არ ლაპარაკობს, არამედ, პირიქით, მის საწინააღმდეგოთ და შინაარსობრივობისა და საგნობრივობის ობიექტურ აუცდენლობის სასარგებლოდ. როცა ლოგიკა უნდათ უბრალო შეთანხმების და დაშვების შედეგად გამოიყვანონ, თვით ასეთი „შეთანხმების“ მოსახდენად ძალაუნებურად იძულებული იქნებიან გარკვეული ობიექტური ხასიათის ლოგიკური შესაძლებლობანი გამოიყენონ.

მათემატიკის დაფუძნების ფორმალისტური თეორიებიდან განდევნილია ჰეშმარიტების ცნება და მეცნიერების შემეცნებითი მნიშვნელობა. ამგვარ თეორიებში მიღებულ შედეგები შეფასებულია არა როგორც ობიექტური სინამდვილის ამსახველი, არამედ როგორც მხოლოდ ფორმულები გამოყვანილი სათანადო აქსიომებიდან სათანადო წესების საშუალებით. ჰეშმარიტება შეცვლილია გამოყვანადობით, მიღებადობით და ა. შ., რითაც დამახინჯებულია უკანასკნელების ხასიათიც. ნამდვილად ესათვის შედეგი შეიძლება გამოყვანილი და მიღებული იყოს როგორც ჰეშმარიტება, და არა როგორც მხოლოდ ისეთი რამ, რის ღირებულებაც ისევ იმით განისაზღვრება, რომ ის მიიღება აღებულ თეორიაში. იგივე არაწინააღმდეგობრივობის პირობა, რომელიც განსახილველ თეორიებში ძირითად როლს თამაშობს, დაკავშირებულია იმავე მიღებადობის უზრუნველ-

ყოფასთან, იმასთან, რომ სათანადო მექანიზმი მუშაობდეს და არა გამოყრიდეს განურჩევლად ყველაფერს. ამგვარივე ლოგიკურად ყალბ ხასიათს ღებულობს, თუნდაც იმავე ჰილბერტის თეორიაში, დამტკიცების ცნებაც. შეიძლება ვილაპარაკოთ ამათუიმ ჰემ-მარიტების დამტკიცებაზე, ჰილბერტის თეორიაში კი იმის ღირებულება, რასაც ამტკიცებენ, განისაზღვრება კვლავ მისი დამტკიცებადობით აღებულ თეორიაში; მაგრამ, როცა განდევნიან ჰემ-მარიტებას, არ შეიძლება დამტკიცებადობაზეც ვილაპარაკოთ. როცა ჰილბერტი ამბობს, რომ დამტკიცება არის ვიგურა, რომელიც უნდა თვალსაჩინოდ წარსდგეს ჩვენს წინ, უკვე არ შეიძლება ამაზე მეტი ითქვას და ამტკიცების ცნების ლოგიკური ბუნებისაგან უარის თქმის მხრივ. მას ერთმევა შინაარსობრივი და რაციონალური ხასიათი და ის უკავშირდება მხოლოდ გარეგნული ჩანაწერის ინტუიციას. მართალია, აქ დამტკიცება არ განისაზღვრება იმით, რომ იძლევიან ნახაზს და წარმოსთქვამენ ერთად ერთ სიტყვას: უყურე!, მაგრამ თვით მოწოდებული დამტკიცება გადაიქცევა გარკვეულ გარეგნულ ფიგურად და მოუწოდებენ უყურონ, მართალია, არა ნახაზს, არამედ ფორმულათა სისტემას.

ჰილბერტი ხშირად მიუთითებდა იმაზე, რომ მისი „დამტკიცების თეორია“ დაკავშირებულია ახალ საკითხთან თვით მათემატიკური დამტკიცების აპარატის შესწავლისა. ნამდვილად ჰემ-მარიტი თეორია თუნდაც მათემატიკური დამტკიცებისა მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ლოგიკით და შემეცნების თეორიით და არა თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მოღვრი „მეტათეორიების“ სახით.

მეტათემატიკურ და მეტალოგიკურ თეორიებში ერთი მეორისაგან მოწყვეტილია ზოგადი და ცალკეული. ცალკეული, ერთგვარი უტრირებული

სახით გაგებული, მოთავსებულია მეტათემატიკაში, ხოლო ზოგადი, წმინდა სიმბოლოური ხასიათის, თეორიულ-მეცნიერებით შეცვლილი, მოქცეულია მათემატიკური თეორიების შიგნით. ასევე მოწყვეტილია ერთიმეორისაგან და ერთიმეორისაგან განცალკევებულ სფეროებს შორის განაწილებულია სასრულო და უსასრულო.

უნდა ითქვას, რომ მეტათემატიკურ და მეტალოგიკურ თეორიების დამუშავების დროს ამ თეორიების შიგნითაც წააწყდენ დაუძლეველ ხასიათის დაბრკოლებებს. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს გოედელის და ჩერჩის შედეგები, რომელნიც ეხებიან თავსებადობის, სისრულის და გადაწყვეტადობის პრობლემებს, კერძოდ, ისეთი წმინდა ფორმალური ხასიათის თეორიებისათვის, რომელნიც შეიცავენ ნატურალური რიცხვის არითმეტიკას. ის კრიზისული მდგომარეობა, რომელამდე ფორმალისტური კონცეფცია მივიდა, აღრევე შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო სწორი ფილოსოფიური მიდგომის პირობებში. მაგრამ, როგორც სჩანს, ამჯობინებენ ბრმად სიარულს ბოლომდე და პირველი სიგნალის მიღებას მხოლოდ საკუთარი შეუბღის დაჯახებით გამოწვეული ხმაურის სახით.

ფორმალისტური კონცეფციისათვის სათანადო თეორიებში მიღებულ შედეგებს ჰემ-მარიტებისადმი ერთგვარად ნეიტრალური ხასიათი აქვთ და აქაც შედარდება ლოგიკური რელატივიზმი და აგნოსტიციზმი, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ამის თვალსაჩინოდ გამოვლენა ჩვენ გვაქვს, კერძოდ, ე. წ. „ალბათობითი ლოგიკის“ თეორიებში, რომელნიც თანამედროვე დასავლურ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული არიან. ამ თეორიებში ცდილობენ თითონ ლოგიკა დაუმორჩილონ

ალბათობის ცნების ზეგავლენას, ქეშ-მარიტების ცნების ადგილი ალბათობის ცნებას დაუთმონ, და ნაცვლად საკითხის დასმისა ამათუიმ დებულების ქეშმარიტების შესახებ, დასვან საკითხი მხოლოდ მისი ალბათობის შესახებ. „ალბათობითი ლოგიკა“ წარმოადგენს ერთერთ სახეს ეგრ. წოდ. „პოლივალენტურ ლოგიკების“.

ცნობილი თანამედროვე მათემატიკოსი ბორელი განიხილავს ძველ „სოფიზმს“ მარცვალთა გროვის შესახებ,¹ რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ერთერთ მაგალითს რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა, და კითხვაზე: რა იცვლება თანდათან არა-გროვიდან გროვაზე გადასვლისას—უპასუხებს: ალბათობა იმისა, რომ მარცვალთა აღებული რაოდენობა გროვია. ამ ალბათობას ბორელი ასეთნაირად ახასიათებს. ვთქვათ, გარკვეულ აუდიტორიას უჩვენებენ მაგიდაზე მოთავსებულ მარცვალთა ამა თუ იმ რაოდენობას და ყოველ დამსწრემ უნდა უპასუხოს კითხვაზე: არის თუ არა მარცვალთა ეს რაოდენობა გროვა? დადებითი პასუხების შეფარდება დამსწრეთა რაოდენობაზე გამოხატავს ალბათობას იმისა, რომ მარცვალთა აღებული რაოდენობა გროვია. არა-გროვიდან გროვაზე გადასვლა დაკავშირებულია ამ სიდიდის ზრდასთან ნულიდან ერთამდე. საინტერესოა, რომ ბორელი თითონვე თავის აუდიტორიას კითხვას უსვამს დიზოტომიის სახით: არა-გროვა თუ გროვა, იმ დროს როცა სწორად ის თვლის საკითხის დასმას ალბათობის სახით. ბორელის მიდგომის მიხედვით, დაკითხულებმა სწორედ არ უნდა გასცენ პასუხი მის კითხვას, არამედ თითონვე უნდა მოაწყოს გამოკითხვა და ამზადონ პასუხი ალბათობის სახით და ა. შ.. ბორელს მოუხდება მიმართოს გულუბრყვილო ხალხს, რადგან დაკითხულების მაღალ ინტელექტუალურ თვისე-

ბებს შეუძლიათ მხოლოდ ხელი შეუშალონ საქმეს და შეაჩერონ მსაჯულების მიღება. ამ შემთხვევაში უნდა გორც მეტალოგიურ მიდგომისას, რომელზედაც საუბარი გვექონდა ზემოთ, ცდილობენ ინტელექტუალურ გულუბრყვილობის ექსპლოატაციას. უნდა აიძულონ არცოდნა თავის თავს ან სხვებს, უკანა რიცხვით გულუბრყვილო თვალსაზრისზე დადგენ, რომ ამ არცოდნის საშუალებით გარკვეული ცოდნა მიიღონ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, „უცილობის ცბიერებასთან“, რომელმაც საკუთარ თავიდანვე უნდა გამოიღოს გარკვეული ცოდნა.

„ალბათობითი ლოგიკის“ მიხედვით, ყოველ გამოთქმულ დებულებას დამატებით უნდა ჰქონდეს მიკუთვნილი გარკვეული მარკა ალბათობის სახით. თვით ქეშმარიტებაც გვევლინება, როგორც მხოლოდ ალბათობის ზღვარიით შემთხვევა. მაგრამ მაშინ გამოვა, რომ გარკვეული მარკა ალბათობის სახით იმ დებულებასაც დასჭირდება, რომელიც აღებულ დებულებას სათანადო ალბათობას მიაკუთვნებს და ა. შ.. გამოდის, რომ ყოველი გამოთქმული დებულების ძალა ჩვენ უკანა რიცხვით უნდა შევარბილოთ მისთვის გარკვეული ალბათობის მიკუთვნებით. აქ შეიძლება გავიხსენოთ შემდეგი სიტყვები ენგელსის „ბუნების დიალექტიკიდან“: „რა უნდა ვიფიქროთ ზოოლოგიის შესახებ, რომელიც იტყოდა: ძალს აქვს მ გ ო ნ ი ოთხი ფეხი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, შეიძლება მას აქვს ნამდვილად ოთხი მილიონი ფეხი ან სრულებით არა აქვს ფეხი? მათემატიკოსის შესახებ, რომელიც ჯერ განსაზღვრავს სამკუთხედს, როგორც ფიგურას სამი გვერდით, შემდეგ კი აცხადებს, რომ არ იცის, შეიძლება მას 25 გვერდი აქვს? 2-ჯერ 2 მ გ ო ნ ი ოთხია“². „ალბ-

¹ Ф. Энгельс. Диалектика природы. стр. 194.

² E. Borel. Le hasard, 1914, p. 122—124.

თობითი ლოგიკის* მიმდევარი ემსგავსება მოლოდინის მიერ გამოყვანილ ფილოსოფოსს მარფურიუსს, რომელიც მასთან რჩევის მისაღებად მოსულსაგან ითხოვს, რომ უკანასკნელმა არავითარ საქმეში საბოლოო დასკვნა არ გამოიტანოს, ყველაფერზე ილაპარაკოს დაჯერების გარეშე, ყოველთვის გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა, გამოიჩინოს სიფრთხილე გამოთქმების შერჩევაში და სხვ. ბოლოს მარფურიუსის მოსაუბრე მოთმინებიდან გამოდის მისი გაკვირვებული პასუხებისა და გაუთავებელი ლექვის გამო, სცემს მას ჯოხით და მარფურიუსის ყვირილზე უპასუხოს მას, რომ ის ჩქარობს და მან, თავისივე თვალსაზრისის მიხედვით, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს გამოთქმების შერჩევისას და შეუძლია თავისთავს მხოლოდ იმის ნება მისცეს, რომ თქვას, რომ მგონი მას სცემენ და ა. შ.¹

„ალბათობითი ლოგიკაში“ თავს იჩენს საერთო ტენდენცია მიმართული ალბათობის ცნების გაბატონებისაკენ, რომელიც აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ეს ტენდენცია მკლავდება ფიზიკის თანამედროვე იდეალისტურ თეორიებში, მიზეზობრივობის განდევნის ცდებთან დაკავშირებით, თანამედროვე იდეალისტურ ბიოლოგიაში — ბიოლოგიურ კანონზომიერების ბრმა შემთხვევების თამაშით შეცვლის ცდებში და ა. შ... ბელს მოყავს შემდეგი სიტყვები რესელის ლექციებიდან:² „ალბათობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება თანამედროვე მეცნიერებაში და ამავე დროს არავის ესმის, თუ რას ნიშნავს ის“. უნდა ითქვას, რომ, როცა აბირ-

ბენ ალბათობის გაბატონებას და ცოტნის გარკვეულობისაგან უკანასკნელს, მაშინ პირველ რიგში უნდა ვხედავთ თვით ალბათობის ცნების შესახებ გარკვეული ცოდნაზე, ისე რომ რესელის მოყვანილ სიტყვებში ობიექტურად თავს იჩენს სწორედ ის ლოგიკურად ყალბი მდგომარეობა, რომელსაც გამოიწვევს ალბათობის ცნების საყოველთაოდ გაბატონების თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისზე მდგომთათვის არა მარტო ალბათობის ცნების, არამედ არავითარი სხვა ცნების შესახებ არ შეიძლება გვეონდეს გარკვეული ცოდნა. ფორმალისტებს სურთ საყოველთაოდ გახადონ და სხვებსაც თავზე მოახვიონ ის, რაც სწორედ მათ ახასიათებს. ყველაზე ნაკლებად სწორედ რესელს შეუძლია საყვედური გამოთქვას ალბათობის, და საზოგადოდ რაიმე ცნების, რაობაზე ცოდნის ნაკლებლოვანობის გამო; ხომ სწორედ მას ეუფუნის ცნობილი სიტყვები წმინდა მათემატიკის შესახებ (რომელსაც ის ფორმალურ ლოგიკასთან აიგივებს): „მათემატიკა შეიძლება განსაზღვრული იყოს როგორც დოქტრინა, რომელშიაც ჩვენ არასდროს არ ვიცით არც ის, თუ რაზე ვლაპარაკობთ, და არც ის — სწორია თუ არა ის, რასაც ვლაპარაკობთ“.³

„ალბათობითი ლოგიკა“ წარმოადგენს ერთერთ თანამედროვე ცდას თვისობრივი გადასვლების ნახტომისებური ხასიათის დანაწევრებისა რაოდენობრივად თანდათან გადასვლებად და, საზოგადოდ, იმ თვალსაზრისის განმტკიცებისა, რომელსაც ყველაფერი დაყავს რაოდენობაზე და ყოველი ცვალება განუწყვეტელი სახით აქვს წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისისათვის, როცა სათანადო სიდიდის ცვალება მცირეა, ეს სიმცირე ვერცელდება ამ ცვალების ლოგიკურ მნიშვნელობაზეც.

¹ Мольер. Брак по принуждению, явл. пятое. Сочинения, т. II, 1937, стр. 247—253.

² Bell. Development of Mathematics, 1945, p. 297.

³ Б. Рессель. Новейшие работы о началах математики. Сборник „Новые идеи в математике“, № 1, 1913, стр. 83.

თუ იმავე მარცვალთა გროვის მაგალითს ავიღებთ, მარცვალთა მცირე რაოდენობით ცვლა გამოიწვევს სათანადო „თვისობრივობის“, რომელიც ალბათობის სახით აქვთ წარმოდგენილი, აგრეთვე მცირე ზომით ცვლას. ამ შემთხვევაში გვაქვს ცდა მთელი მეცნიერების მათემატიზაციისა. ამგვარი პითაგორისტული ტენდენცია, საზოგადოდ, თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერებისა ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ცდილობენ ყოველი დარგი დაუმორჩილონ მათემატიკას, როგორც საგნის ისე მეთოდის მხრით. მეთოდის მხრით ასეთი დამორჩილება გამოვლინდება, კერძოდ, მათემატიკური ლოგიკის თვალსაზრისში, მეტალოგიკურ კონცეფტიაში და სხვ., რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი; საგნის მხრით, რაც, რასაკვირველია, მკიდროდ დაკავშირებულია მათემატიკური მეთოდის აბსოლუტიზაციის ცდასთან, აღნიშნული მიდრეკილება გამოვლენას ჰპოულობს ცდაში თვისობრივობის რაოდენობაზე დაყვანისა, რის ნიმუშს, და ამასთანავე უკიდურესობამდე მიყვანილს, წარმოადგენს ალბათობითი ლოგიკის კონცეფტია.

მეცნიერების მათემატიზაციის მიდრეკილება ამჟღავნებს, პირველ რიგში, ყალბ მიდგომას თვით მათემატიკის ბუნების მიმართ. მათემატიკა შეისწავლის სინამდვილის გარკვეულ მხარეს, ის საგნობრივ და შინაარსობრივ ლოგიკას ეყრდნობა, მაგრამ როცა ყველადრის მათემატიკაზე დაყვანა უნდათ, საქმე ღებულობს ფორმალისტურ ხასიათს და დაკავშირებულია საერთოდ საგნობრივობის და შინაარსობრივობის განთავსების მიდრეკილებასთან, კერძოდ თუნდაც იმავე მათემატიკიდან.

პითაგორიზმი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა გამოხატულებას ჰპოულობდა. ბევრად მეტი აქვთ ერთმანეთთან საერთო, ვიდრე პირველი შეხედვით

შეიძლება კაცს ეჩვენოს, თუნივერსალურ თანამედროვე ალბათობითი ლოგიკას, და, ვთქვათ, იმგვარი ტიპის პრობლემებს, რომელიც ჩვენსგან საკმაოდ შორეულ დროს ქვეყნდებოდა და რომლის ნიმუშს წარმოადგენს, მაგალითად, ასეთი: მათემატიკის გამოყენება ცოდვის სიდიდის გასაზომად.

მათემატიკის უნივერსალიზაციის თვალსაზრისის ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენელი მეცნიერების ისტორიაში იყო ლაიბნიცი, რომელიც ისეთ დროზე ოცნებობდა, როცა ორი ფილოსოფოსი, გაუთავებელი კამათის ნაცვლად, მსგავსად ორი მათემატიკოსისა მიუჯდებიან მაგიდას, აღდებენ ხელში კალამს და შეცვლიან კამათს ანგარიშით. პირველ რიგში სადავოა თვით ცდა დავის შეცვლისა ლოგიკური კალკულაციით.

როცა, იმის შემდეგ, რაც მათემატიკამ გრძელი გზა გაიარა შინაარსობრივ ლოგიკურ დაფუძნებისა, თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში უნდათ კვლავ დაუბრუნდნენ ალგორითმულ მიდგომას, რომელსაც, ვთქვათ, უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის განვითარების პირველ სადებურზე შეიძლება ისტორიულად მოსაბოდიშებელი საფუძველი მოენახოს, ასეთ მიმართვას წმინდა ალგორითმულ მიდგომისადმი უღარესად რეაქციული ხასიათი აქვს. თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში თითქმის საყოველთაოდ გამხდარი მიდრეკილება — მიეცეს ლოგიკას მექანიკური ანგარიშის ხასიათი — წარმოადგენს თვალსაჩინო გამოხატულებას იმ გამოუსავალ ჩიხისა, რომელშიაც ბურჟუაზიული იდეოლოგია იძყოფება (შეიძლება ერთნაირი ანალოგიისათვის მითითებული იყოს იმასზე, რომ სქოლასტიკა ბოლოს შეუდგა პროექტს მოევგონებინა რაღაც მსგავსი აზრების ფაბრიკაციის მანქანისა (რაიმონდ ლულუსი), რაშიაც ჰპოვა გამოხატულება საკუთარი უნაყოფობის შეგნებამ). თა-

ნამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებმა თითონვე უნდა შეეცადონ 'შინაარსისაგან გაახთავისუფლონ და ფორმალისტურ თამაშობად გადააქციონ საკუთარი აზრი, რომ მოახერხონ მისი „გადარჩენა“, მსგავსად ადვოკატისა, რომელსაც, მარქსის გამოთქმით რომ ვისარგებლოთ, არ შეუძლია სხვაგვარად იხსნას თავისი კლიენტი მსჯავრის დადებისაგან, თუ არა იმით, რომ თითონვე მოკლას ის.¹

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წ. 10 თებერვლის დადგენილებაში მუსიკის შესახებ გატარებულ იყო აზრი, რომ ფორმალისტური დამახინჯებანი მუსიკაში გამოხატავენ მუსიკის ლიკვიდაციის ტენდენციას, და ჰუსიკის განვითარების არა რაიმე დადებით მშართულებას. შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ცდა ლოგიკისათვის მათემატიკურ-ფორმალისტურ ხასიათის მიცემისა მიმართულია ლოგიკის, და საზოგადოდ მეცნიერების, ლიკვიდაციისაგან. ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ლოგიკაში არის წაწილი ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა საზოგადოდ, როგორც ხელოვნებაში, ისე მეცნიერებაში, რომლის აქტუალობა ხაზგასმული იყო ცენტრალური კომიტეტის შემოთაღნიშნული დადგენილებით და აგრეთვე ბიოლოგიურ ფრონტზე ბოლო ხანებში მომხდარი ამბებით.

თუ მათემატიკის შესახებ, მისი ბუნების სწორად გაგების პირობებში, არ არის მართებული კალამბური, რომ მათემატიკოსის ფანქარი თვით მათემატიკოსზე უფრო ჰკვიანია, ის უკვე სამართლიანი იქნება არა მარტო მათემატიკოსის, არამედ ყოველი მეცნიერის შესახებ, თუ შესაძლებლად მივიჩნევთ საზოგადოდ აზროვნების აღრიცხვაზე დაყვანას.

პლუკეს მითითების გამო, რომ მასა ლოგიკური აღრიცხვის ექსპლუატაციით უვიცებთა შეუძლიათ მშობლიურად შეისწავლონ მთელი ლოგიკა, ჰეგელიმ კუჟამახვილურად შენიშნავს, რომ „ეს რეკომენდაცია, რომ აღრიცხვის საშუალებით უვიცებთა შეუძლიათ მექანიკურად შეისწავლონ მთელი ლოგიკა, წარმოდგენს, რასაკვირველია, ყველაზე უარესს, რის თქმაც შეიძლება რაიმე აღმოჩენის შესახებ ლოგიკური მეცნიერების გადაცემის დარგში“.¹

აქ ყველაზე თავმესაქცევია ის ყრუსერიოზულობა, რომლითაც გამოთქმულია პლუკეს მიერ შემოთმომყვანილი აზრი. პლუკეს, როგორც სჩანს, ეკვივარ ეპარება თავისი მსგავსების შესახებ ერთერთ პერსონაჟთან სვიფტის მიერ აღწერილ პედანტ მეცნიერთა გალერეადან, რომლის სხვა წარმომადგენელზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. სათანადო კომიზმის შესაქმნელად სვიფტისათვის საკმარისი იყო თავის მეცნიერის შესახებ ეთქვა მხოლოდ ის, რაც, კურიოზულ შემთხვევის გამო, თითქმის საესებით ემთხვევა პლუკეს მიერ დინჯად გამოთქმულ აზრს. აღნიშნული მეცნიერი მუშაობდა „ეთორიული ცოდნის გაუმჯობესების პროექტზე ტექნიკური და მექანიკური ოპერაციების დახმარებით, რომლებსაც საეციალური დაზგა შეასრულებდა. მისი გამოგონების საშუალებით ყველაზე უვიც ადამიანს ზომიერი ხარჯების გაღებით და მცირე ფიზიკური ძალღონის დახარჯვით შეუძლია წიგნების წერა ფილოსოფიაში, პოეზიაში, პოლიტიკაში, სამართალში, მათემატიკაში და ღვთისმეტყველებაში ეროდიციისა რა ნიჭის სრული უქონლობის პირობებში“.²

¹ Гегель. Сочинения, т. VI, 1939, стр. 133.

² Свифт. Путешествия Гулливера. 1936, стр. 365.

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. I, 1928, стр. 104.

შეიძლება, საკუთარივე თვალსაზრისისათვის სიღარიბის მოწმობის მიცემის მხრივ, ზემოთნათქვამის გვერდით აღწინააღმდეგობით, მაგალითად ის გარემოება, რომ თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის ერთერთი ცნობილი წარმომადგენელი — ბერნარისის მის მიერ გაზიარებული თვალსაზრისის მეთოდურ პრინციპად საკუთარივე სახელით წამოაყენებს სენტენციას ნიშნების შესახებ: „როცა ცნებანი დაგვაკლდება, მათ ნაცვლად შეიძლება ნიშნაყები ჩავსვათ“, რომელიც წარმოადგენს გოეთეს მეფისტოფელის ცნობილი სარკასტული სიტყვების პერეფრაზირებას.

ფორმალში სთიშავს ერთმანეთისაგან მეცნიერულ მეთოდს და მეცნიერების საგანს, მეთოდი ღებულობს სიმბოლიური თამაშის ხასიათს და აგვარი სახით არის აბსოლუტიზირებული, ხოლო საგნობრივობა საზოგადოდ განდევნილია მეცნიერებიდან. მსოფლმხედველობა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ წარმოადგენს მეცნიერის პირად რწმენის საგანს. ასეთ პირობებში გასაგებია, თუ როგორი როლი უნდა ჰქონდეს მიკუთვნილი რწმენას თვით ასეთ მსოფლმხედველობაში. დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალი შრომა გამოდის, რომლებშიაც მათემატიკის დაფუძნების საკითხები განხილულია თეოლოგიურ ასპექტში.

საჭიროა კარგად შეგნებული იყოს, რომ თუნდაც მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიები წარმოადგენენ ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსის ერთერთ გამოვლენას. ბურჟუაზიული მეცნიერება დღეს არა მარტო ეპიგონობის ხანას განიცდის, არამედ ახერხებს მხოლოდ იმათ ეპიგონობას, ვინც თითონ უკვე ეპიგონები იყვნენ. კანტის, ჰეგელის, თუნდაც ბერკლის ეპიგონების ადგილას დღეს არიან უკვე ეპიგონები ნეოკანტიანელების, მახის, შპენგლერის და

სხვ. თვით ყალბი ნოვატორობა რომელიც გაძანადგურებულად უგერბტსკისკელი იყო ა. ა. ედანოვისა მკინნიწკმკმკმკმოსვლაში¹ და რომელიც მიზნად მხოლოდ იმას ისახავს, რომ წინამორბედებს არ გავდეს, გამოხატავს მონურ დამოკიდებულებას მათგან და წარმოადგენს იმავე ეპიგონობის გამოვლენას, ოღონდ, ასე ვთქვათ, ნიშნით მიწუსი. ჩვენს ლიტერატურაში მოხდენილად აღნიშნული იყო, რომ დღევანდელი ბურჟუაზიული სამყარო წარმოადგენს ყველაზე შესაფერის ადრესატს მარქსის შესანიშნავი სიტყვებისა: „ის არის კომედი ანტი კვეყნის წყობისა, რომლის ნამდვილი გამორებთ ამოწყდენენ.“²

საჭიროა მუდმივად ანთებული გვეჭიროს მარქსისტულ-ლენინური ჭრიტიკის მებრძოლი ცეცხლი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულის სიაშკარავით მკლავდება მიუღებლობა რეაქციული „დისტანციის თეორიისა“³ რომელიც წინასწარვე აკანონებს გარკვეულ საცდელ ვადის გაელას, ერთის მხრით, გაცნობასა, და, მეორეს მხრით, საკუთარი შეფასების გაჩენასა და პასუხს შორის. დაუყოვნებლივ და დაუშოგავად უნდა ვურტყათ თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ყველა წარმომადგენლებს; ჰინეს სიტყვისა არ იყოს, „ამ ხალხს უნდა ვურტყათ სიცოცხლეში. მათი სიკვდილის შემდეგ ხომ არ შეიძლება მათი დასჯა, არ შეიძლება მათი სახელების გაწილება, პატივის აყრა და ამ სახელებზე სამარცხვინო დაღის დასმა, რადგან მათგან სახელიც კი არ ღარჩება.“⁴

¹ „Совещание деятелей советской музыки в ЦК ВКП(б)“, стр. 140—142.

² К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. I, стр. 403.

³ Гейне. Собрание сочинений, т. I, 1937, стр. 195.

თავის უკვდავ თეზისებში ფეიერბა-
ხის შესახებ მარქსი ამბობდა: „ფილო-
სოფოსები აქამდე მხოლოდ სხვადა-
სხვანაირად ხსნიდნენ ჭევეყანას, მაგ-
რამ საქმე იმაშია, რომ ის შეიცვალ-
ოს“. სოციალისტურ საზოგადოების
პრაქტიკაში ფესვგამდგარ საბჭოთა მეც-
ნიერებისათვის სინამდვილის შემეცნე-
ბა განუყრელად დაკავშირებულია მი-
სადმი აქტიურ დამოკიდებულებასთან,
მის გაუმჯობესებასთან და კომუნის-
მის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

ამავე დროს დღევანდელ ბურჟუაზიულ
იდეოლოგიას ჭევეყნის პატივსაცემად
ლის დონეზეც გაჩერებში უნდა შევჩვე-
შემეცნებას ის ცვლის ცარიელ სიმბო-
ლოების ფორმალისტურ თამაშის ვაქა-
ნალით. ჭეშმარიტი მეცნიერების ინ-
ტერესები მოითხოვენ ბრძოლას არა
მარტო კაპიტალისტური იდეოლო-
გიის, არამედ მთელი კაპიტალისტური
სამყაროს წინააღმდეგ და მისი აღსა-
სრულისათვის.

ბიბლიოგრაფია



დ. ჯანელიძე — „ტართული თეატრის ხალხური საფუძვლები“.
წიგნი პირველი. სახელგამი. თბილისი. 1948 წ.

მიუხედავად იმისა, რომ ტართულ თეატრს სახელოვანი წარსული აქვს, მისი ისტორია შესაფერისად მაინც არ არის შესწავლილი. ეს შესწავლა, ამ სიტყვის შეცნობით, მნიშვნელოვანია, მხოლოდ ჩვენ დროს, საბჭოთა წყობილების დღიდან, დაიწყო.

დ. ჯანელიძის ახლანდელი გამოხული შრომის „ტართული თეატრის ხალხური საფუძვლები“ პირველი ტომი ამ მხრივ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს თეატრმცოდნეობაში.

მართალია, ხსენებული წიგნი 12 თავისაგან შესდგება, მაგრამ საკვანძო საკითხების მიხედვით იგი მაინც ორ მთავარ შემადგენელ ნაწილად ვინაყოფება: სახელდობრ, ტართული სახანაობრივი კულტურის სათავეები, რომელსაც პირველი თავი აქვს მიძღვნილი, და ტართული ხალხური ხანაობანი, რომელსაც დანარჩენი ორთმეტი თავი მიეკუთვნება.

ვფიქრობთ, აჯობებდა რომ ეს პირველი თავი ავტორის თავისი შრომის შესავალ კარად ცალკე გამოეყო და დანარჩენი შემდეგ უკვე დიდ თანმიმდევრობით მიჰყოლოდა. კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ეს შესავალი კარი მას უფრო ვრცელად ვაეშალა, რადგან მომდევნო ნაწილისათვის იგი ერთგვარ დასაყრდენს წარმოადგენს, მით უფრო, რომ თანამედროვე ძველდამოსავლეთმცოდნეობის მიღწევები დღეს ამის შესაძლებლობას საკმაოდ იძლევა.

მართალია, ავტორი არ არის ძველდამოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ ამ დარგში ახლა იმდენად მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომ მას ამგვარი მორიდება წედმეტად უნდა ჩაეთვალა; მით უფრო, რომ მას მხოლოდ საკითხების დაყენება და მასთან ამ მდიდარი ტართული მასალის შეპირისპირება ღასპირდებოდა, რომელიც მას შემდეგომ თავებში ასე უხვად, ასე მრავალფეროვნად მოაქვს.

ჩვენ არ მოვიტანთ ძველდამოსავლეთის ისტორიკოსთა აზრებს ტართული ხალხის უძველეს წინაპართა გამო, ამ წინაპართა გამო, საიდან ჩვენი თეატრის სათავეები მოედინება.

მოვიტანთ მხოლოდ, ისიც მოსაგონებლად, პროფ. შესტაკოვის ციტატის მის სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსიდან: „ყველაზე ძველი სახელმწიფოები ჩვენს ქვეყანაში იმიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში აღმოცენდა. ეს იყო დაბლობებით 3000 წლის წინათ. იმიერკავკასიის პირველ სახელმწიფოს, — არარატის რაიონში ვინის ტბასთან, — ურარტუ ეწოდებოდა. მისი მბრძანებლები ბატონობდნენ ტართულ ტომებზე. მათ ყავდათ ბევრი მონა, რომელნიც ამუშავებდნენ მათთვის სასახლეებს, თხრიდნენ არხებს მეფის ყინებისა და ბაღების სარწყავად.

ეს იყო ახლანდელ საქართველოს წინაპართა სახელმწიფო“ (გვ. 9).

ურარტულთა აქვე ბინადრობას ადისტრუტებს აგრეთვე სომეხთა დიდი მეცნიერი მანუკ აბულაძე: „... [ც. ი. მდინარე არზის ანუ არაქსის აუზში. დ. შ.] უკერ კიდევ მეხუთე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ბინადრობდნენ ალაროდნი, რომელთაც მატყუნებთან ერთად (ურ-მის ტბის რაიონში) ვრცელი მიდამოები ემუარათ“.

თუ ჩვენ ურარტულთა და ტართულთა წინაპრების შვირე აზიაში მოსახლეობის დასადასტურებლად ეს ორი ციტატა მოვიტანთ, იმის დასამტკიცებლად, — მელენთი გვეტატორი ღვთაება დიონის-საბაოთისი ძველ ბერძნულ პანთეონისათვის რომ ზარზაროსი იყო, მისი მგვიდრი არ იყო, არცერთ საბუთს არ მოვიტანთ, რადგან ეს საკითხი უკერ კიდევ ბევრ ვინელებისა და შემდეგ მის მომდევნო მკვლევართა ძიებების შედეგად კარგაზნაია რაც გამორკვეულია. ცნობილია, რომ ეს ღოთი, მშფოთავარ ღმერთი თავისი აღვირახსნილი ამფსონებით, — თხოვნი სატარებით, ღირწი ფალოფორებით ელადისავენ აზიიდან მიგრატობოდა, თავისი კარავიანი ნავით ვადმოლახავდა ბერძენთა ზღვას და აქაურ ქალაქებს, სოფლებს ყვიინით, ღრიანცელოთ, ურცხვი ცეკვა-თამაშით აიკლებდი, უწმარწერ შიირებით, სიმღერებით და სქესობრივი ორგით მზის ნათელი ღვთაების, აპოლოს, ამ მუეტრის სამფლობლოს რამდენიმე დღით მარ-

ოღაც რომ აარსებებოდა, პრიაპის, სილენესა და სატირების ჭიხინ-ბორბოციით ცასა და მიწას დააყრდებოდა. არ იყო უმსგავსობა, რომ მათ არ ზედინათ. არ არსებობდა ძალა, რომ მათთვის ხელი ამშოე შეეშალა, არ არსებობდა იმიტომ, რომ ეს „უმსგავსოებანი“ ღვთაებრივნი იყვნენ, ხალხიც მათ ამიტომ ხალისით უერთდებოდა.

დიონისეს აზიელობას ვერაზიდეს ტრიგედის „ბაქანების“ პროლოგიც ადასტურებს, სადაც ეს ნაყოფიერების სიღოდა ღვთაება დაწერილებით უამბობს თავის ბაქანებს, თუ როგორ დასტოვა მან თავის მშობლიურ ღლიდის, ფრიგიის, სპარსეთისა და აზიის სხვა ქვეყნები, როგორ ღაღობდა იქ, როგაედა და იხდიდა დღესასწაულებს, როგორ ვთავყავნებოდა მას იქაურ ხალხი, როგორც ღმერთს, და თავის მონოლოგს შემდეგი სატყუებით ასრულებს: ახლა „აქ საბერძნეთის მიწას ფეხით პირველად ვეგებოა“.

აზიის ყველა ხალხი მას, ამ საერთო ღვთაებას, ყველგან თავის სახელს უწოდებდა და ეს სახელი მრავალგვარი იყო: ეა, მარდუცი, ტე-ლფუნში, თამუზი, თეუშმა, ატისი, აღონისი, მაგრამ შინაარსით მუდამ ერთი იყო და ერთგვარი. როგორც ბუნების განმსაზიერებელი ღვთაება, იგი მოკვდავიც იყო და უკვდავიც, რადგან ყოველ შემოდგომით ბუნებასთან ერთად კვდებოდა და ვახუბულზე ბუნებასთანვე ერთად მკვდრეთით აღებოდა, ქვესკნელიდან, საიქიოდან განახლებული ამოდოდა. აქედანვე მომდინარებოდა მისი ბტონური საწყისი და იგი ქვესკნელის ბატონად და მკვდართა უფლად ამიტომაც ითვლებოდა, დიონისეს დღესასწაულებს ხალხი სასაფლაოს მახლობლად იმიტომაც იხდიდა. მისი ტრფიალი, ქალღმერთი იშთარეთერი (აფროდიტე-პროზერპინე) მის დასახსნელად ეშვეობა ქვესკნელში და ტანჯვა-წამების შემდეგ ამოკაედა იქიდან მკვდრეთით აღმდგარი. ბაბილონის უზუნაესი ღმერთი ეა ამიტომ ავალებს თავის შთაიბს, რომ დეცხპაროს ქვესკნელში თამუზის დასახსნელად ჩასულ იშტარს და ამოიყვანის იგი, იშტარი, ბაბილონის სახით. რატომ ბუაყვის სახით? რა აქვს საერთო სიღამაზის ღვთაება იშტარს (ვენერას) საერთო ბუაყვთან ან მის ნილაბთან? იმიტომ, რომ ნ. მარის განმარტებით, იშტარი სამპროვანი ღვთაება იყო, სამ ცას განსაზიერებდა: შალდ ცას, ზესკნელს, და ფრთოსანი ამიტომ იყო, დამალ ცას, ქვესკნელს და თეუზის ქველად მოსილი სტუელი ამიტომ ჭმონდა, შუა ცას (დედამიწას) და ძაღლის თავი ამიტომაც გააჩნდა. როგორც ვხედავთ, იგი ქვესკნელის ბინადარიც იყო, ხოლო ქვესკნელი წყლის

ღვდა და ბუაყვი წყლისა და მუღმევი სინელის მფარველი ღვთაების ერთერთი, ზომორფული განსახიერებათაგანია. შრეგორენე ზემუგან ერთხელ უფრო ვრცლად გამოთქმულ მოსახრებას მზეთუნახავის გამო ცნობილია, რომ ულაზხეს ქალს ჩვენში მზეთუნახავი ეწოდება. რატომ? მზისგან ნახულმა რა დაამეა? ამის პასუხს ჩვენი მკვლევარი მ. წერეთელ-ტიხაია თავის ცნობილ შრომაში ვერ იძლევა. მზეთუნახავი ასტრალური ღვთაება ვთვრი (აფროდიტე-ვენუსი) იყო, ხოლო ვარსკვლავი ვენერა, როგორც ვიცით, დღე-ღამეში ოჯარე ჩნდება: ერთხელ მზის ჩასვლის შემდეგ და მას ქართველი ხალხი მწუხრის ვარსკვლავს, ხოლო ბაბილონელები ბელიტის უწოდებდნენ, მეორედ გათენების ხანს, მზის ამოსვლის წინ, ე. ი. მზის უნახავადვე ჩადის და მას ქართველი ხალხი დილის ცისკარს, ხოლო ბაბილონელები იშთარს (ეთერს) უწოდებდნენ. როგორც ვხედავთ, იგი მზეს ვერასოდეს ვერ ხედავს და ამ სიტურფის ღვთაებას „მზეთუნახავს“ ქართველი ხალხი, ჩვენი აზრით, იმიტომაც უწოდებდა. თუ მოვიგონებთ ქართული ზღაპრის ბუაყვ-ქალს, რომელიც მზეთუნახავი იყო და ბუაყვის ტყავში ამოვლებოდა, მაშინ რაა საკვირველი თუ ეს ბრძანებით იგი ქვესკნელიდან თავის ტრფიალთან ერთად ბუაყვის სახით ან ნილაბით ამოდოდა? თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ ვთვრი თამუზივით ქვესკნელის, შამსადამე მკვლართა მფარველი ღვთაებაც იყო, მაშინ გასაკვირი იქნება ისიც, თუ რად მიაჩნდა „ეთერი“ (სწორედ ამ სახელწოდებით) ქისტების სულის ამოღდის დროს მოკლენილ ანგელოზად.

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ დიონისე (და მისი აზიელი მოძვე ღვთაებანი) თბის ღვთაებად ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ბერძნელები პასექის (აღდგომის) ბირველ და მეორე დღეს თბის საფლაობელს ამბობდნენ ზოლმე. ამ სიმღერაში მოხბრბილია ამავე, თუ როგორ იყიდეს თბა, როგორ შეკვამა თბა კატამ, კატა ძაღლმა, ძაღლი ჯოშმა, ჯოში ცეცხლმა, ცეცხლი წყალმა და ასე შემდეგ. ვინა ეს საგალობელი იგივე ჩვენებური „მოდი ვნახოთ თბა“ არ არის? ვამოდის, რომ ეს სიმღერაც დიონისეს საგალობელი ანუ დიფირაში უფილა და მის შესაფერისი ადგილი უნდა ეპოვა დ. ჯანელიძის წიგნის ძირითად ტექსტში.

საყურადღებოა, რომ დიონისე თავდაპირველად ხალხს რქოსან-წყეროსან ვაჯკაცად (ბერიკა) ჰყავდა წარმოდგენილი. ტრათ მას ვრწელი, აღმოსავლური სამოსი ეცვა, ხოლო, როგორც ამას უძველეს წარსულში ივრიზის კლდეზე (კაპადოკიაში) ხეობისაგან გამოკვეთილი მისივე ხატე მიგვიჩიოებს, იგი მინახულის ღვთაებად

ყოფიერების ნიშნად მის ცალ ხელში თავთავის კონა, ხოლო შერეულ ეტრანის მტევნებით დაუფრული კვანძი ვიკრა. ცნობილია ისიც, რომ ამ ავტორულ ვენებისაგან დაგრებული-დამაწვეულ მიწიერ პრიაპის მამასა და აფროდიტეს (ეთერის) დაუცხრომელ ტრფილს, რომელიც ხეთაში დიონისეს კი არა, ტელეფენიმის სახელს ატარებდა, სუბარ-ბერიტნი (ქართულთა წინაპრნი) ატისს ან თევშას უწოდებდნენ.

როგორც ვიცით, ძველბერძნულში დიდებულმა ტრაველიამ (ვაგიხსენოთ, რომ ძველბერძნულად ტრავოს თხას ნიშნავს, ხოლო ოდეს სიმღერას) თავისი საწყისი ნიღაბებისა და დიალოგის სახით ამ ანთერ მისტერებში ჰოვო, სწორედ იმ ორგანულ მისტერებშია ვაგიფრანქსა, რომელსაც, რა თქმა უნდა, შერყვილია სახით, თითქმის დღევანდლამდე იხდოდა ჩვენი ხალხი საქართველოში გლეხურ-სოფლური დიონისეის, ბერკიათა-შერყვიამობის, სახელწოდებით. ეს ბერკიათა, როგორც სხანს, სრულიად არ იყო ქალაქური მოვლენა. თუ მოვიფიქრობთ, რომ ჩველთათა, ხარფების, კეკია და სხვა ენებები ათილიხისა ერთ ღრის საგარებენო სოფლები იყო და ქალაქი ისინი თანდათან ზრდით შთანთქა, ცხადია, სხვა სოფლურ აღთწვეულებებთან ერთად იგი ამ სოფლურ დიონისეისავე შეიწოვდა.

ჩვენ აქ არ მოვიტანოთ იმის გუმანს, რომ ბერკიათას ყველისის პოლიტიკური სახე თბილისში მიანიჭა, რადგან ეს შორს წავიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ხეთურ-ძველბერძნულ ტელეფენიმ-დიონისეს ეს დღესასწაული ჩვენს შველავარს ს. მაკალათიას თავისი თვალთუქანებით სიანეთში, ხოლო ფაღურ-ვაგერატორი ხასიათი დაწერილებით აფერხია და მას თერძე იქ ახლად ტელეფენიმ-დიონისეს ანუ ტელეფას (ტელეფენიმის) დღესასწაული ეწოდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ ღვთაების სახელი ძველბერძნულურ ქალაქების სახელთა შერქმევის ტრადიციის თანხმად (ქართული ქალაქი თუშბათუშბა და სხვ.) დღევანდლამდე ცოცხლად დაცულს იმერეთის სოფელ ტელეფას, როგორც ეს ამ ექვსი წლის წინათ ჩემგან შერკალთა კავშირში ვაქცეებულ მოხსენებში ღრის მქონდა აღნიშნული. თუ მოვიფიქრობთ იმასაც, რომ ტელეფენიმის ისევე, როგორც თევშა-დიონისე, სინედლის ღვთაებად იყო და მასთან ერთად მოვიგანებთ იმასაც, რომ ქართულ წარმართობას, რომელსაც ქრისტიანული დღესასწაული მისთვის ჩვეული მოხერხებით ვერე მტკიცედ შერწყმია და რომელსაც ტილიფობა (ტირიფობა) ეწოდება, ვფიქრობთ, რომ ეს დღესასწაულიც ერთ ღრის

ტელეფას სახელთან უნდა ვოფილიყო დაკავშირებული. ტილიფს ტელეფას სახელი ანაბათ იმპრომ დაუცავს, რომ იგი უფროსი მისი პირის (სინედლის) მცენარეულობის მისი პრიოტიპია. საყურადღებოა, რომ ღვთაების ეს სახელი ჩერქეზებსაც ჰქონიათ და ცუდი თელეფის ანუ თელეფის სახელწოდებით.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ დიონისეს მსგებელ თხაფება სატირებს ხალხის რწმენით სამეგრელოს ტყეებშიც ჰქონიათ ბინა დადებულნი და მათ ორ-კორები (ვა-კაცები) ეწოდებოდათ. მეგრებზე ცულის პირი ჰქონიათ ამოზრდილი და ვაი მას, ვისაც ისინი გულში ჩაიხუტებდნენ. ეს ცუდი მათი ფალოფობის რელიგიური დანაშაულია და იგი ცუდად ქრისტიანული ზეგავლენით ქცეულა. კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ დიონისეს ეს გულ-ცუდა თხაყი-მსგებლები, ჩაბ აბრევის დამოწმებით, თურმე საჩანის უღრან ტყეთა ლეგენდებშიც ბინადრობდნენ, რაც ქრისტიანობის დამაბრტყებელია. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ძველად შუამდინარეთში თხას, როგორც ტოტემს, სწორად თვეზ ან ღორი ენაცელებოდა, ხოლო ჩრდილო ქვეყნებში მათ ადგილს დათვი (დათვი) იჭერდა. ამას თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც ის, რომ ეთერის ტრფილი, მონადირეობის, ნაყოფიერებისა და ომიანობა-შეკარების მფარველი ურარტული ღმერთის, თუშუმის, კერპ ტახის ანუ ღორის ჰინდაკზე იყო ამართული, რაც მისი ზოომორფული წარმოშობის უდავო საბუთია. თუ მოვიფიქრობთ ქართულ კალანდობას, როდესაც აბაღურაშია დღეს ოჯახის უფროსნი ღორის თაგს აკვნიან* ძახილით საწინებელზე არახუნებდნენ, მაშინ ეს ანალოგია კიდევ უფრო საყურადღებოა.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ამ საკალანდო ღორს სიანები უქმნის ანუ ვეშბას უწოდებენ, რაც მის კავშირს ვეშბათუშბათთან კიდევ უფრო დანახერხებულს ხდის. ვფიქრობთ, რომ თვით სიანური შვერვალის უშბას სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. მართლაც და, ვინ არის ეს აგენა? ეს აგენა, ჩვენი აზრით, აგენია, რომელსაც თაყვანს ჩერქეზებმა სცემდნენ. ჩერქეზული აგენის მოგზაურობა ჩვენს საოცარი მსგავსებით მოგვაგონებს ბაბილონური მარდუკის მოგზაურობას ბორსიპაში, ხოლო აგენა-აგენის სახელი ძველ ინდურ ცეცხლის (შუას) ღვთაება აგენის სახელს საყურადღებო მსგავსებით უკავშირდება. როგორც სხანს, აქ ერთგვარ სინკრეტულთან გვაქვს საქმე. აგენა, რომ უწმაწურო დიონისეებთან იყო დაკავშირებული ამას ასაბუთებს თ-

დო სახოეასაგან ეწინაღ „მოამბეში“ მოთვე-
სებული წერილიც, რომელსაც „ახალწილწიანი
სამეგრელოში“ ეწოდება. კუჩხა საღამოს, ე. ი.
ფერხობის საღამოს ყმაწვილებს ნება ეძლეო-
დად მუტის თავისუფლებით მოქცეოდნენ ქა-
ლებს და ეს ამბავი ხშირად თურმე რომინათაც
სრულდებოდა.

თუ შა-დიონისე, მიწადმოქმედთა გარდა,
პრინდირეთა ლეთაებაც იყო და ამ საწყისით
აიხსნება აგრეთვე მის კულტში შეტანილი
დათვის ნიღბი. საინტერესოა, რომ ამ კულტს
ცოშინარმდეც მიუღწევია. ყველაერთი აჭურე-
ბი მარხილზე მართაოდნენ ნავს (დიონისეს ნავი),
შოგ მოშინაურებულ დათთან ერთად სხდე-
ბოდნენ და ქენა-ქენა დასეირნობდნენ, რასაც
აგრე საველისხმეირად ეხმარება თვით დ. ჯო-
ნელიძისაგან მოტანილი დათოს ბერიკაობა და
არსი სკამოროხების მოშინაურებული დათვი.
*არ გავატყველებთ სიტყვას იმის გამო, რომ
მსგავსსავე ომას იხდიდნენ ლეკები ყანაში
გუფონის პირველ გატანისას და მას ბელტებს
უშენდნენ, რის გამოძახილიც უნდა იყოს თბი-
ლისის ყენობაში წესად მიწნეული კვეთა და
საერთოდ თოვლის გუნდებით „ომიც“. საუ-
რადღებოა, რომ მას, ვისაც ლეკები ბელტს
უშენდნენ, ბეწვით უკედლა ამობრუნებული
ტყაპუბი ეცვა და შით ცხოველს (დათვს) განი-
სახიერებდა.

ისტორიკოსებს აღნიშნული აქვთ, რომ ნივს
სახელი წარმოშობილია სიტყვა ნავისაგან, რად-
გან წარდენის დროს იგი ნავში იჯდა, ხოლო
პარდუ-დიონისეს ხომალდს კარნავი ეწოდე-
ბოდა. კარ — კარავს ნიშნავს, ხოლო ნავი ზო-
მალდს, რომელზედაც კარავი იყო გამართული.
უნებლიედ გვადგება ენაზე „კარნავის“ მსგავ-
სად ჩვენებური სიტყვა „კარავი“. ცნობილია
იხიც, რომ შარდუკის სადგომი ოთახს საყვი
ეწოდებოდა, ებრაულად სენია, საიდანაც წარ-
მოიშვა სენა (სენა) და აქედანვე უნდა იყოს
წარმომდგარი ქართული „საკანიც“. ურარტუ-
ლი თევშია, როგორც წყლის მეცელი ღვთაება,
თავისი შაბილონელა მოძმის ვას მსგავსად თევ-
ზის ან ვეშაპის სახითაც იყო წარმოდგენილი.
იხ. ნ. მარსისა და ა. სმირნოვის „Визиты“).
თვით მისი სახელი თე-უშა, ვეშა ვეშაპის სა-
ხელწოდების შეიცავს, ხოლო ვინაიდან იგი
ომისა და ვეჯაცობის ღვთაებაც იყო, ამიტომ
განდა ჩვენში სიტყვა ვეჯ, ვაშეჯი- იქედან-
ვე წარმოსდგა ქართული სიტყვა „ვავეშებელი“,
ე. ი. განრისხებული და ქართული საერაობით
უფინა „ვაშა“, რომლითაც ჩვენი წინაპრები
ომის ღმერთს ვაშას ძახილით იერომის ანუ შე-
ტვის დროს (თევშას) მიმართავდნენ და მას
შემწუბასა და გამარჯვებას შესთხოვდნენ.

ჯერ კიდევ დიდი მეცნიერი ნიკო მარი გაც-
ვირვებით კითხვობდა, რატომღაც მსგავს
ვეჯაცობის სიყვარულისა, შენდობისა და
ნაყოფიერების ღმერთს სეირთო ომთან და მე-
კობრუბასთან? თუ გავიხსენებთ ფრიდრიხს
ენგელსის გენიალურ განმარტებას, რამ ომი და
შეკობრეობა-ქედრობა ძველად დოვლდის მო-
ვევის ერთი მნიშვნელოვანი წყაროთაგანი იყო,
მაშინ ამ ლეთაების ეს ფუნქციაც თავისთავად
გასაგები იქნება.

რახან ეს ასეა, მაშინ გასაგები იხიც მის
დღეობასთან, ბერიკაობასთან, რად იყო დაკე-
შირებული ვადუთრებული მეშტო-კრები, რომე-
ლიც ბერიკაობა-ყენილის შემდეგ უსათოდ
იმართებოდა ზოლმე და რომელიც ომის საერა-
ლურ ინსტენიერებას წარმოადგენდა. ამიტომ
არის აგრეთვე საერაულად მიწნეული ის ქურ-
ღობა, რომელსაც ბერიკები ეწევიან ველოერ-
ში და სახლის პატრონი ამას ვეთოშვდა ვერ
ამწვევენ, ხოლო ვინაიდან თევშია (ვეშაპი)
წყლის, ანუ სინელოს, ე. ი. სივრცლის
ღვთაებაც იყო, ამიტომ ავლებენ მის განსახი-
ერებას, ბერიკა-ყენის, რიტუალური კრებისა და
პარცვა-გლავის შემდეგ შდინარეში.

რადგან თევშია, ამას გარდა წყლის მომნი-
შებელი ქვეყნელის ღვთაებაც იყო, ამიტომ
განსახიერებდა მას გველიც და მის ზოომორ-
ფულ სახეს გველშაპები წარმოადგენდა. გვე-
ლშაპები ერთ დროს წყლის მეცელი და მისი
მომნიშებელი იყვნენ, მაგრამ, როგორც ნიკო
მარი ამტკიცებს, შემდეგ ქრისტიანობის ზეგავ-
ლენით ეს კეთილი ღვთაება, როგორც წარმარ-
თული ღვთაება ზღუდ, ბოროტ არსებად იქცა
და ეს კონკრეტული მის შემდეგ შევლდა ჩვენი
ზღაპრებში, სადაც იგი უკვე წყალს კი აღარ
იღავს.—იტაცებს და, პირიქით, სწორედ ის მშუ-
უნსაბავი (იშთარა) უნდა შთანთქმას, რომელიც
მას ერთ დროს ეგრე შესტრფოდა და მისი ქვეს-
ქნელიადად მსხენლი იყო.

სამეგრელოში გველის მოყვლა ეზომი ცოდ-
ვად აყო ამიტომაც ითვლებოდა. ოჯახიდან ბა-
რჩაა წავაო, იტყოდნენ. ასევე ყოფილა სვანეთ-
ში, რასაც კარგად გვისურათობატებს ბანოვანის
წერილი „მეზისი“, რომელიც ამ თვთმეტოოდ
წყლის წინადად ვაზეო „ლომისში“ დაიბეჭდა. ასე-
ვე იყო ძველ თბილისში, როცა მოჭალატის ქა-
ლები ჯოჯობაა დღეს მტეტხის კლდეებზე ჯო-
ჯოებს შაქარყინულს დაუწყობდნენ. ცნობი-
ლია, რომ საქართველოში გველის ხსენება არ
შეიძლება, „არ ვარა“, ვაშინერს, როგორც
იტყვიან მეგრელები. რატომ? იმიტომ რამ გვე-
ლი ნაყოფიერებისა და ბარაქის ღვთაების ზოო-
მორფული განსახიერებაა და მისი სახელი, რო-
გორც ამგვარი ღვთაება, ტაბუიზმის იდუმალე-

ბით არის მოცული. შევამოწმოთ ასეთივე ტაბულებით იყო თუ არა მოცული მონადირეთა ქართული ღვთაება? როგორც ვიცით, თევზა ნადირობის ღვთაებაც იყო, და შევამოწმოთ ისიც მასთან ერთად ასეთისავე ბედს იზიარებდა თუ არა დიონისე? უნდა ვთქვათ? რომ ეს ამ შემთხვევაშიც ასე იყო. სენი მონადირე სანადიროდ უბრად უნდა გასულიყო სოფლიდან და არამთელ მისი მგარჯველი ღვთაების, არამედ თვით სანადირო იარაღის პირდაპირ ხსენებაც არ შეიძლებოდა. ასევე იყო ქალაქშიც. დიონისეს სწორედ ამ ტაბუს დარღვევა იაზრეს აივნებში სოფლებს ერთერთ წარმოდგენაში და ბერძნული ტრადიციის მშვენიერების ქვეით ჩაქოლვა არ ასცდებოდა, რომ მას მახლობელ ტაბაში არ შეესწრო და თავისთვის ამით არ ეშველა. ასეთივე ტაბულებით არის მოცული ვაგთა ღვთაება ოსეთში „ღვთა ძეარ“ და მისი ხსენება განსაკუთრებით ქალბისთვის აკრძალულია.

როგორც ვიცით, თევზა-ვაგთა ომის მგარჯველი ღვთაებაც იყო და ამიტომაც, როგორც სხანს, ჩვენს წინაპრებს მისი ზოომორფული განსახიერება გველეშაბი ჰქონით დრომდ აღიარებულ, მით უფრო, რომ მის ტრფილსაც ვთვარს თავი ძალის ქონდა, რაც ეგრე მოვადგინებს გველეშაბის და ღმრის დაღუპულ ხაზს (ე. ტრევერი). არიან მოგვიტოხოზს, როგორც კერავენენ თერზე სკვითი დროინათები ფერად ნაჭრებისაგან გველეშაბის ბუღის და დროშის ტარზე ამგარებდნენ. შეტრევის დროს პირდაპირქონდა გველეშაბის ეს გუღბის თერზე პაერთი იბერებოდა და „ვაგთა“ მახლობლან ერთად მათი ზეზენი მტერს თავზარს სცემდა.

ქართულმა ხალხმა დროშის ეს სახე ჩვენამდე შეინარჩუნა, მაგრამ მისი აზრი დაავიწყდა და ეს გუღა ღმრის მიაშვავია. თავის დროშას, რომელიც ფართოფეხისაგან ნაერ ღმრის გუღბის წარმოადგენს. სვანები დღესაც „ღმრის“ უწოდებენ, ხოლო მედროშეს, — „მელმეს“ (იხ. პ. ინგოროვას „სვანური ბელნაწერები“). ამგვარი დროშის სურათი დ. ჯანელიძის წიგნიც არის მოტანილი. იქედან არის წარმოშობილი დღემდე გავრეპარი სახელწოდება ფშავ-ხევსურეთის უღლიერესი ზატის „ღმრისა“ და ამავე ღვთაების სახელია დაეძლი გერულთა გვარში „ვაგთა-ლომიძე“ (ვაგთა-ღმრის).

რადგან სიტყვა ტრეტმერ ცხოველთა გამო ჩამოგვიყარდა, არ შემიძლია აქვე შემთხვევითი არ ვისარგებლო და არ ვთქვა, რომ სოფერთი ჩვენი მკვლევარი (მაგალითად, მიხ. ჩაქოვანი). ცხოველთა ეპოსს ძალზე უბრალოდ, ვიტყვი პირდაპირ, პრიმიტიულად უცქერის და ვერ

გაუგია მისი ღრმა შინაარსი. ამ ეპოსის გმარები ერთ დროს ტრეტმერს *ტრეტმერს* უწოდებდნენ და ამიტომაც *ტრეტმერს* და ირგუბიან ზღაპრებში ისე, როგორც აღმთიანებში. ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რადგან ზღაპრები და იგავ-არაყვები, როგორც ლიტერატურული ენაობი, თავის საწყისის აქ მოვლიდნენ. მაგრამ დავებრუნდეთ ჩვენს საგანს. ვოველივე იმის შემდეგ, რაც ზეით ითქვა, ისმის საკითხი, — რათ მიიღო დიონისე-ბიდან წარმოშობილი ძველბერძნულმა სატირიკულმა (ეპიკურმა) ტრავდიამ დიდებული სახე და რად დარჩა ქართულ წინაპრთა დედანი ჩანასახად? იმითმ რომ სუბარულ-სერიტული კულტურა განადგურდა მანამ, სანამ მას განვითარებას იგი მოასწრებდა; ეს კულტურა დაემხო სწორედ მაშინ, როცა მკვლევრმა ახალგაზრდა სამყარომ, პირიქით, აღორძინება იწყო და გაადივა ის თესლი, რომელიც მას აღმოსავლეთში დაეტრია. ამას გარდა, სოფლური დიონისები განვითარა ახალი ტიპის სავაპრო ქალაქ-სახელმწიფომ, პოლისში. თუ ეს ასე იყო, ისმის ისევე საკითხი: რად ვერ შესწლო ამ კულტის განვითარება ქართულმა ქალაქებმა მცხეთამ, ფაზისმა და არქაიპოლისმა? საქმე ის არის, რომ ეს ცენტრები უბარტული კულტურის დაღუწვისა და მკვლევრის სამყაროს აღორძინების ვერაძალში შეიქმნენ, შეიქმნენ მაშინ, როცა ტრავდიამ კულტურის კულტურის უკვე შექმნილი ქონდა და ისტორიას, როგორც ვიცით, უკან მობრუნება არ უყვარს. მეოთხე საუკუნედიან კი ბერეკობა ქრისტიანობის გავრცელების გამო, ცხადია, თეატრად მით უფრო ვერ იქცეოდა, რადგან იგი მას დენიდა, როგორც წარმართულ მოვლენას. თუ სწორია შ. ამბრანაშვილის მტკიცება, რომ უფლისციხეში ელინისტური თეატრი უნდა ყოფილიყო, ვფიქრობთ, იგი ხალხობის კულტურულ პრობლემის გამოსახედად ვერ გამოდგება, რადგან იგი იყო ქართული, რასაც საქართველოში აღმოჩენილი ელინისტური თეატრის ნიღბებიც აღსტურებენ და რომელთა სურათებიც დ. ჯანელიძეს თავის წიგნში მოტანილი აქვს.

როგორც ვხედავთ, ქართული ბერეკობა-ყვენიბა მეტად ძვირფასი ნაშთია თეატრის ისტორიის ხალხური საწყისების დასადგენად და დ. ჯანელიძისაც ამ მხრივ სწორედ წარუშართავს თავისი კვლევა-ძიება: იღონდ ვნანობთ რომ საფუძველი ამ კვლევა-ძიებისა, ე. ი. პირველი თავი წიგნისა, ეგრე მოკლედ გადმოუციათ ჩვენი მკვლევარი იმთავითვე გულისხმიბდა წინასწარ ცოდნას ჩვენ წინააზრდ წინასწარა კულტურისა, მაშინ პირდაპირ უნდა გან-

ვაცხადოთ, რომ მას ამაში ვერ დაეთანხმებით; ვერ დაეთანხმებით იმიტომ, რომ ეს საკითხები ქართულ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალების მიხედვით დღემდე გამაზღვლი არ ყოფილა. ეს კი უპირველეს ყოვლისა ქართულ მეცნიერება ვალია. ეს ვალი ქართული მკითხველის წინაშე, მართალია, დ. ჯანელიძეს მოუხდია, მაგრამ, ვისურვებდით, რომ ეს პირველი თავი მას კიდევ უფრო განეყრცო.

ჩვენ სურლიადაც არ ვიფიქვებთ, რომ დ. ჯანელიძე პირველ წელს ავლებს ამ ყაზირზე, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ეს უხვი მასალა, მასალა ზმირად და ძალზე ზმირად უცნობი და მასთან ერთად მისი ანალიზიც რომ არ მოეცა, რა თქმა უნდა, ბევრი კარდინალური საკითხი ჩვენს კულტურისა პნელად დარჩებოდა.

ვადავდივართ ჩვენგან პირობიად გამოყოფილ შერეულ ნაწილზე, რომელსაც წიგნის თეატრით თავი მოიცავს. პირდაპირ უნდა ვანუცხადოთ, რომ ჩვენს მკვლევარს დიდი შრომა გაუწევია და ამიტომაც ეს საკმაოდ მოზრდილი ტომი, მიუხედავად მისი სპეციფიურობისა, შეუწევლებელი ინტერესით აკითხება.

ამ შრომით საბოლოოდ და დოკუმენტალურად მტკიცდება, რომ ბერეკობა-ყუენობა მთელ საქართველოსათვის საერთო, ორგანიული მოვლენა ყოფილა და მით ზოლო ელება იმ უნაითი აბდაუბდის, რომლის წინააღმდეგ ერთ დროს ჩება წერილით „ზურნა-დღუდეკ“ უსაოოდ არასაკმაო სიშავცრით ვავოლშქრე. ეს აბდაუბდა შეფარვით, არამირაპირ ახლაც ვაისმის ანტიეტრად ჩვენს ლიტერატურაში.

დ. ჯანელიძის ამ წიგნით საბოლოოდ მტკიცდება, რომ ბერეკობა-ყუენობა არ ყოფილა მხოლოდ თბილისურ-ამტრული მოვლენა, როგორც ამის ზოგადებობა ამტკიცებდნენ. პირიქით, ეს საოლურ-ავლუბური მისტერია შეუთვისებია ტალაქის ამქარს.

დ. ჯანელიძეს დიდი დამაჯერებლობით აქვს დამტკიცებული ბერეკის სატირული საწყისი და დღის დამაჯერებლობითაც აქვს ვადმოცემული მისი ვრადიები ეპოპათა მოთხოვნილების მიხედვით. ზონდირული ყოფის დათოს ბერეკად ქვევა, ბერეკასთან დავაშირებულ ბერეკის კვისრად ქვევა, შემდეგ მღვდლად, ყუენად და სულ ზოლოს „ატრეტრად“ (დ. ა. აღუტანტრად) ვარდაქმნა თავისი „პურეოჩიკებით, პისრებთა და პალჩიებით“. ეს ზომ მთელი მრავალსაუყუნოვანი ისტორიაა ქართული ზალბისა წარმართულ საგვარეულო ყოფიდან ადრინდელ ფოდალიზმის ქრისტიანობაზე ვადასვლით და პიზანტის, სპარსეთისა და მეფის რუსეთის ემპაზისის პოლიტიკურ-სატირული გამახსრეკ

ბით! ამ წიგნში კარვად არის ავრეთვე განალიზებული ჩვენებური ფერხვლის მრავალფეროვანება და მისი რაობა. საყურადღებოა, რომ მკვნება ფერხვლს, მარის მოწონაით, ოტილოდეს უწოდებენ, სადაც ბერმწულ ტრადიდიის სუფუძველია დაცული. ვონენამახულირად არის ვახსნილი არხი როკვა „სამაიასი“, რომელიც აქამდე თერმე ვერე ვალბად ყოფილა ვაგებული. ნათელყოფილია შინაარხი შრომის სიმღერა-თამაშობათა და სხვა მრავალი. უხვად არის წარმოდგენილი ქართული დამწერლობით მასალა, რაც ამ შრომის ვიდე უფრო მყარ მასყადვს უქმნის. ოღონდ ვერ დაეთანხმებით ჩვენს მკვლევარს აინბაპს საკითხში. ვერ ერთი აინბაპა კო არა, აჯი-ბაპა უნდა იყოს. ეს აჯი-ბაპა ამ ოდდაათიოდე წლის წინათ მოველინა სამეგრელის ოსმალეთიდან, როგორც ანტიეტრისტრი და უშვილო ტალოა ექიმბაში. მაგრამ საყურადღ ზოა, რომ ივტ, როგორც ვასამართხებული მოვლენა, ზალბს თავის სატირულ ბერეკობის პერსონაჟად ისევე უქვევია, როგორც მღვდელი, ვაქარი და „ატრეტრად“.

ჩვენს მკვლევარს ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად ფოლკლორი კიდევ უფრო უხვად რომ ვამოვეყენებინა, ეფიქრობთ, რომ მისი შრომა ამით დიდად მოიგებდა. მაგრამ უნდა ვანუცხადოთ, რომ ყოველივე ეს სურვილების ფარგლებში შედის, იმ სურვილებისა, რომელსაც თვით ეს წიგნი აღმრავს და რაც მისივე ღირსება და არა ნაკლო.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ამ წიგნის მნიშვნელობა ქართული ნიღაბის გამორკვევის საკითხში. ეს ის საკითხია, რომელიც ვერე აინტერესებდა ჩვენი თეატრის ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორც კ. მარჯანიშვილი და ვ. მკვლდიშვილი იყენენ. უნდა ვთქვათ, რომ ეს საკითხი ფართოდ არის ვაშლილი ამ წიგნში და ჩვენს მკვლევარს ამის გამო, მადლობის ვარდა, არა ეთქმის რა. წიგნში სრულად არის ავრეთვე წარმოდგენილი თოჯინებისა და ლანდების თეატრის საწყისებოც.

სწორედ არის ვამუქებული ძველდობისავლურ მისტერიის ეპოხად ქვევა და ვვოლუტოა ტაროული სანაბოპრივი კულტურისა, — მისნერი ცვაკვისს ვერე ვადოსნურ საწყისა ქმედებად და შემდეგ დარამად ქვევა უნდა აიინიშნოს ავრეთვე ისიც, რომ მრავალი საკითხები აქ პირველად არის დავენებული და ამიტომაც მისი პრინციული მნიშვნელობა დიდია. ცნობილია, რომ ზოგვიტრები ჩვენი თეატრის ისტორიას ვორონცივის შავმწულ ზანიდან იწვევენ და მას ვვრობულ თეატრის ზედს ისევე უავშირებენ, როგორც რუსეთში ზოგვიტრთი რუსულ თეატ

რის ისტორიის სათავეებს ევროპაში ეძებდნენ, რაც უსათოდ მონური სელისკვეთებით არის გამოწვეული. უნდა ვთქვათ, რომ როგორც რუსეთის დიდებული თეატრის ნამდვილი ხალხური საწყისები ეგრეთწოდებულ „სკომპოზიციებისა“ და „პეტრუშკების“ სახალხო წარმოდგენებში იფარება, ასევეა ჩვენშიც. მსგავსად ჩვენი ზომე დიდი ხალხის სახელოვანი თეატრისა, ჩვენს თეატრსაც ხალხის გულში აქვს გადგმული ფესვები, რასაც ეგეთის საბუთიანობით ამტკიცებს ჩვენი მკვლევარიც. ამ დიდი მუშაობის გარეშე, რომელიც მას ეგეთის მონდომებით ჩატარებაა ჩვენი თეატრის ისტორია ცალი ფეხით მუდამ დაკლებული იქნებოდა.

ეს წიგნი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენში დღესაც გაისმის ხმა, რომ თითქმის ქართული თეატრის მეცხრამეტე საუკუნის ისტორია იწყება, არა გიორგი ერისთავის დიდი ღვაწლით, რაც შემდგომ ზ. ანტონოვიმა და აქვს. ცაგარელმა განაგრძეს, არამედ ვაჟა-ფშაველას, ილ. ყაზბეგისა და დავით კლდიაშვილის პეისებით. და ეს არამცთუ უბრალო შეცდომაა, დამახინჯება, საერთოდ, ჩვენი ისტორიისა და, კერძოდ, ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა. ამგვარი თვალსაზრისი ძირითადად ხსნის ისეთ ისტორიულ-სოციალურ მოვლენას, როგორც კაპიტალიზმის შემოჭრა და მისი განვითარება

იყო ჩვენს ქვეყანაში და რამაც ეგეთი მკაფიო გამოხატულება პპოვა გ. ერისთავის შემოქმედებაში. მეორე მხრივ გაუგებებებს უმცირესობით რიული კანონზომიერება თვრგდალულებს მოვლინებისა ჩვენს საზოგადოებრივობაში. ჩვენი ლიტერატურის ძველ წარმომადგენლებს თავის დროზე რომ არ შეექმნათ წინაპირობები რეალისმისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციისა, მაშინ ჩვენი დიდი ილია და აკაკი ვერ შესძლებდნენ იმ ისტორიული ვალის მოხდას სამშობლოს წინაშე, რომლითაც ისინი ეგრე ბრწყინდნენ. ეს ნიადაგი მათ ჯერ დავით გურამიშვილმა, შემდეგ იოანე ბატონიშვილმა და სულ ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გიორგი ერისთავმა, დანიელ კონჭაქემ და ლავრენტი არდაზიანმა შეამზადეს. ესენი რომ არა, მაშინ ილია და აკაკი ვერ მოახდენდნენ იმ ენობრივ-ლიტერატურულ გარდაქმნას, რის შედეგადაც წარმოიშენნენ თვით ვაჟა-ფშაველა, ილ. ყაზბეგი და დავით კლდიაშვილი. ეს საკითხები ისაღ თეატრს მიეკუთვნება და ამის პასუხს, ვფიქრობ, ჩვენ უსათოდ მივიღებთ დ. ჯანელიძის შრომის შემდგომი წიგნებიდან, სადაც ქართული თეატრის შემდგომი საკითხები იქნება გაშუქებული.

დინება შინგელაია.

